

რუდოლფ შტაინერი

# ანთროპოსოფია

ვრამუნტი

1910 წელი

ბიბლიოგრაფია GA45

თბილისი

2017

RUDOLF STEINER

# ANTHROPOSOPHIE

Ein Fragment  
aus dem Jahre 1910

Bibliographie-Nr. 45

2002  
RUDOLF STEINER VERLAG  
DORNACH/SCHWEIZ

Tbilisi 2017

თქვენ წინაშეა ანთროპოსოფიული სულისმეცნიერების ფუძემდებლის რუდოლფ შტაინერის დაუმთავრებელი წიგნი – „ანთროპოსოფია. ფრაგმენტი“. მოცემულ წიგნზე დეტალური ინფორმაცია იხილეთ გერმანული გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორის წინასიტყვაობაში, ასევე დანართებსა და შენიშვნებში.

ადამიანის არსების სიღრმისეული შესწავლისთვის წიგნი შესაძლოა, ძალზე საინტერესო აღმოჩნდეს ექიმებისთვის, ფიზიოლოგებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის.

მთარგმნელი: **ა. კვარაცხელია**

რედაქტორი: **ლ. მესხია**

მხატვარი: **ბ. ბუღაძე**

ფოტოგრაფი: **ბ. ჯიბახაშვილი**

Übersetzt ins Georgisch von: **A. Kvaratskhelia**

Redaktion: **L. Mesxia**

Maler: **Gia Bughadze**

Fotograf: **Guram Tzibaxashvili**

ასოციაცია „კოგიტო“  
Assoziation „Cogito“

თარგმანი შესრულებულია 1980 და 2002 წწ. გერმანული გამოცემების მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

ბარეკანი: გია ბუღაძის ნახატი – „ტბა ჭა“

## შინაარსი

გამომცემლის (გერმ. გამოცემის) წინასწარი შენიშვნები . . .	5
I. ანთროპოსოფიის სასიათი. . . . .	7
II. ადამიანი, როგორც გრძნობების ორგანიზმი . . . . .	15
III. სამყარო, რომელიც გრძნობების საფუძველში ძევს. . . . .	24
IV. სასიცოცხლო პროცესები . . . . .	31
V. პროცესები ადამიანის შინაგანში . . . . .	41
VI. „მე“-ს განცდა. . . . .	46
VII. სამყარო, რომელიც გრძნობათა ორგანოების საფუძველ- ში ძევს. . . . .	49
VIII. სამყარო, რომელიც სასიცოცხლო ორგანოების საფუძ- ველში ძევს . . . . .	58
IX ზენა სულიერი სამყარო . . . . .	67
X. ადამიანის გეშტალტი . . . . .	70

## ღანართი

1. IV-VII თავების კორექტურული რედაქციების ვარიანტები. . .	80
2. მანუსკრიპტი (ხელნაწერი) – ესკიზები. . . . .	90
3. ცალკეული ფურცელი „ანთროპოსოფიისთვის“. . . . .	135
4. ჩანაწერი ფურცელზე . . . . .	138
5. მოსმენასა და ლაპარაკზე . . . . .	140
6. პირადული გამონათქვამები ფრაგმენტზე „ანთროპოსოფია“ ამ გამოცემაზე . . . . .	152 161
ტექსტის საფუძვლები. . . . .	167
ტექსტის კორექტურები. . . . .	174
შენიშვნები. . . . .	176
მოსმენაზე და ლაპარაკზე. . . . .	181
რუდოლფ შტიინერის მოღვაწეობა. . . . .	186
დამატებითი გამონათქვამები. . . . .	187

ბამომცემლის (ბერმანული ბამოცემის) წინასწარი  
შენიშვნები

ფრაგმენტი „ანთროპოსოფია“ განეკუთვნება რუდოლფ შტაინერის იმ ნაშრომებს, რომლებიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. რაღაც იდუმალებით არის გარემოცული დაუსრულებელი ნაშრომი. თუმცა 1910 წელს მას უდაოდ სურდა მისი გამოქვეყნება და დაიწყო კიდევ ხელნაწერების ჩაბარება დასაბეჭდად. წიგნის პროგრამული სახელწოდება მალევე უნდა ქცეულიყო მთელი მისი სულისმცენიერული მოძრაობის დასახელებად, როცა ის გამოეყო თეოსოფიურ საზოგადოებას. ერთი წლით ადრე მან ეს შინაარსი ოთხ ლექციაში გადმოსცა, რომ ამით გაეხსნა საკუთარი ქმნილების რაღაც ახალი განზომილება: უნდა დაედგინა ადამიანის კონკრეტული სხეულებრივი აგებულება, მშენიერი და სულიერ სამყაროსთან მისი კავშირით. ამოსავალ წერტილად იქცა ადამიანური ცნობიერების თორმეტი სფეროს განცდის გახსნა გრძნობის ათ სფეროსთან ერთად, – ამას რუდოლფ შტაინერი დროის იმ პერიოდში ასე ხედავდა, – რომელიც ადამიანს აკავშირებდა როგორც სხეულებრივ შინაგან სამყაროსთან, ისე ფიზიკურ და მშენიერ-სულიერ გარე სამყაროსთან. თუმცა მან ვერ მოახერხა მისი რამდენადმე დამაკმაყოფილებელ ფორმაში გადმოცემა. კვლევის ღიად დარჩენილ საკითხებთან ერთად და გადმოცემით, რომელიც სამეცნიერო მოთხოვნების დონეზე უნდა ყოფილიყო, შტაინერი გადატვირთული იყო სხვა მრავალრიცხოვანი ამოცანით. მოხდა ისე, რომ თხზულება, მეტწილად უკვე დაბეჭდილი, დაუმთავრებელი დარჩა. ამის თაობაზე მოცემული გამოცემის ბოლოს შტაინერის მიერ პირადი გამონათქვამების წაკითხვისას დარწმუნდებით, რომ ეს გადმოცემა შეუძლებელი იყო, მისუღიყო რაიმე საფუძვლიან ფორმამდე, მეორე მხრივ, შტაინერმა ჯერ კიდევ 1920/21 წწ. ამ ნაშრომის შესახებ აღნიშნა, რომ ესაა „ნამდვილი ანთროპოსოფია“, რომლის დასრულებასაც საჭიროდ მიიჩნევდა.

იმ დროს, როდესაც რუდოლფ შტაინერის მუშაობა ამ მიმართებით ვითარდებოდა, იხსნებოდა კვლევის ახალი ჰორიზონტები. ადამიანის გაგება, პრინციპულად ახალ ფორმაში, ეყრდნობოდა რა 1909/10 წწ. ათ გრძნობას, 1916/17 წწ. პირველი

მსოფლიო ომის პერიოდში, განვითარდა ადამიანის თორმეტი გრძნობის სწავლებამდე, მათ ერთობლიობაში. გრძნობებზე სწავლება რჩება რუდოლფ შტაინერის ერთ-ერთ ცენტრალურ აღმოჩენად, რომელიც ეხება არა მარტო უშუალოდ ადამიანის ფიზიოლოგიას, ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას, არამედ თანამედროვე სამყაროსთან ადამიანის მთელ ურთიერთობას აყენებს ახალ საფუძველზე: მეტყველების პროცესი, აზროვნება და სხვა „მე“, – ახლობლის „მე“, – ვლინდება, როგორც უშუალო გრძნობადი აღქმები, გრძნობის ორგანოებისა და სამშენველის მოვლენები. 1917 წელს რუდოლფ შტაინერმა გამოაქვეყნა თორმეტ გრძნობაზე საკუთარი შეხედულების მოკლე მიმოხილვა თავის თხზულებაში „სამშენველის გამოცანები“ (GA21). ანუ, იმავე თხზულებაში, რომელშიც მან ესკიზურად წარმოადგინა მის მიერ ოცდაათწლიანი კვლევის შემდეგ გახსნილი ადამიანის ორგანიზმის სამწვერიანობა, გამოვლენილი ნერვულ-გრძნობად სისტემაში, რიტმულ სისტემასა და ნივთიერებათა ცვლის სისტემაში, მათი შესაბამისობით წარმოდგენის, მგრძობელობისა და სურვილის მშენიანი ფუნქციებთან. შტაინერის უფრო გვიანდელი ანთროპოსოფია თეორიასა და პრაქტიკაში წარმოუდგენელია შემეცნების ამ შედეგების გარეშე.

ფრაგმენტი „ანთროპოსოფია“ აუცილებელია განვიხილოთ, როგორც არსებითი, მაგრამ მაინც დროებით მიტოვებულ საფეხურად შტაინერის შრომასა და კვლევით გზაზე. თავისი ფორმითაც კი ტექსტი ეფუძნება ხელნაწერის რთულ სტატუსს, რომელიც გამორიცხავს ტექსტის საბოლოო სახეს. ფრაგმენტი პირველად გამოქვეყნდა 1951 წელს და მხოლოდ მოგვიანებით ჩართეს ლიტერატურული მემკვიდრეობის კატალოგში. ჰენდრიქს კნობელისა და იოჰანა ვაეგერის რედაქციით, ასევე დევიდ ჰოფმანის მოსამზადებელი სამუშაოების საფუძველზე შექმნილი ეს ახალი გაფართოებული გამოცემა შეიცავს: – ფრაგმენტის ტექსტს, რომელიც შეესაბამება ტექსტის შენარჩუნებულ უკანასკნელ სტადიას, პირველად ყველა ვარიანტით და გამონაკლისის გარეშე ყველა ხელნაწერი მონახაზით; დაუმთავრებელ კვლევას მოსმენასა და საუბარზე; განმარტებებს ტექსტის საფუძველსა და ტექსტის სახეობაზე; რუდოლფ შტაინერის პირად გამონათქვამებს თავისი დაუმთავრებელი თხზულების თაობაზე.

## I. ანთროპოსოფიის თავისებურება

უხსოვარი დროიდან ადამიანები გრძნობდნენ, რომ უშუალოდ ადამიანის განხილვა კვლევის ყველაზე ღირსეულ დარგს წარმოადგენდა. ახლა ვინც იმყოფება ადამიანური არსების შემეცნების გავლენის ქვეშ, რომელიც დაგროვდა დროის მსვლელობაში, ის შეიძლება ცოტა შეფიქრიანდეს. შემოთავაზებულია უამრავი მოსაზრება, როგორც პასუხი კითხვაზე: რა არის ადამიანი და რა მიმართებაშია ის სამყაროსთან? ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს სრულიად განსხვავებული მოსაზრებები. აქედან შეიძლება წარმოიქმნას შეგვრძნება, რომ ადამიანი არაა მოწოდებული ასეთი კვლევისთვის და მან უარი უნდა თქვას იმის მიღწევაზე, რომ ხსენებული გრძნობა შესაძლებელია, დაკმაყოფილდეს.

არის კი ასეთი შეგვრძნება სამართლიანი? მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ ობიექტზე სხვადასხვა შეხედულების არსებობა დასტური იქნებოდა იმისა, რომ ადამიანს არა აქვს უნარი, ობიექტის შესახებ გაიგოს რაიმე ჭეშმარიტი. ვინც მოისურვებდა ასეთი დასტურის დაშვებას, მას უნდა დაეჯერებინა, რომ ობიექტის მთელი არსი ადამიანს მაშინვე უნდა გაეხსნას, თუ საერთოდ შეიძლება საუბარი შემეცნებაზე. ახლანდელ დროში ადამიანურ შემეცნებასთან დაკავშირებით საქმე ისე არაა, რომ მოვლენის არსი მას შეიძლება მაშინვე გაეხსნას. პირიქით, მათ ისე მოსდით, როგორც სურათთან დაკავშირებით, რომელსაც დახატვისა თუ გადაღების შემდეგ აღიქვამენ ერთი განსაზღვრული მხრიდან, მაგ., რომელიმე ხეს. ეს სურათი სავსებით სწორად იძლევა ხის სახეს რომელიმე განსაზღვრული თვალთახედვიდან. თუ აირჩევენ სხვა თვალთახედვას, მაშინ სურათი სრულიად სხვა ხდება. მხოლოდ სურათების სერიას სხვადასხვა თვალთახედვიდან შეუძლია ხეზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა ამ სურათების ურთიერთშეხამების წყალობით.

ადამიანს მხოლოდ ამგვარად შეუძლია სამყაროს საგნებისა და არსებების დაკვირვება. ყველაფერი, რაც მას შეუძლია მათ შესახებ თქვას, მან უნდა გვაუწყოს შეხედულებების სახით, რომლებიც შეესაბამება განსხვავებულ თვალთახედვებს. ასეთია მოვლენების მდგომარეობა არა მარტო ობიექტების

დაკვირვებისას გრძნობად სამყაროში, არამედ სულიერშიც. ოღონდ სულიერ სამყაროსთან მიმართებით ზემოხსენებული შედარების გამო თავგზა არ უნდა აგვებნას და თვალთახედვის განსხვავების შემთხვევაში წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც სივრცობრივი. ყოველი შეხედულება შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, თუ ის დაკვირვებას სწორად და ზუსტად გადმოსცემს. ის მხოლოდ მაშინაა უარყოფილი, როცა დადასტურებულია, რომ იმავე თვალთახედვის გათვალისწინებით მას ეწინააღმდეგება სხვა, სამართლიანად დასაბუთებული. სხვა თვალთახედვიდან დანახული განსხვავება, წარმოდგენილი მხედველობით, როგორც წესი, არაფერს ამბობს. ვისაც ეს მოვლენები ამგვარად ესმის, ის დაცულია ზერელე შეპასუხებისაგან, რომ ასეთი ვაგებისას ყოველი აზრი საჭიროა, სამართლიანი გვეგონოს. როგორც ხის სურათს უნდა გააჩნდეს სრულიად განსაზღვრული ფორმა ერთი თვალთახედვიდან, ასევე უნდა გააჩნდეს სულიერ მხერასაც ერთი თვალთახედვიდან რაღაც ამის მსგავსი. თუმცა ცხადია, რომ შეხედულებაში შეცდომა შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ მაშინ, როცა გაარკვევენ თვალთახედვას, საიდანაც ის არის აღებული.

ამას მუდმივად თუ გაითვალისწინებდნენ, მაშინ ადამიანური აზრების სამყაროში ყველაფერი გაცილებით უკეთესად იქნებოდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება. მაშინ აღმოაჩენდნენ, რომ განსხვავებული აზრები უმრავლეს შემთხვევაში წარმოიქმნება უმთავრესად მხოლოდ განსხვავებული თვალთახედვებიდან. მოვლენების არსთან მიახლოება კი შეიძლება მხოლოდ სხვადასხვა ჭეშმარიტი შეხედულების მეშვეობით. ამ მიმართულებით წარმოქმნილი შეცდომები მომდინარეობს არა იქიდან, რომ ადამიანებმა ჩამოიყალიბეს განსხვავებული შეხედულებები, არამედ იმის გამო, რომ თითოეულს სურს საკუთარი შეხედულება დაინახოს, როგორც განსაკუთრებული უფლების მქონე.

ამ ყველაფრის შეპასუხება ძალზე მარტივი ჩანს. შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტების გადმოცემის მსურველ ადამიანს მართებს, არ შეიზღუდოს მარტოდენ მოსაზრებით, არამედ ამაღლდეს შესაძლო შეხედულებებზე, გაიგოს შესაბამისი მოვლენები მთლიანობაში. ეს მოთხოვნა შეიძლება მისაღებად ჟღერდეს. თუმცა ის განუხორციელებელია. რამდენადაც



ის, რაც წარმოადგენს საგანს ან მოვლენას, საჭიროა სხვადასხვა თვალთახედვიდან დახასიათდეს. სხვადასხვა თვალთახედვიდან გამოსახული ხის არჩეული სურათი სწორი აღმოჩნდება. ვისაც მოუნდება ამის უგულებელყოფა და არ მოისურვებს, მისდოს განსხვავებულ გამოსახულებებს, რათა მიიღოს მთლიანი სურათი, მას ალბათ შეეძლებოდა, დაეწერა რაღაც სრულიად ბუნდოვანი, გაუგებარი; მაგრამ ასეთ ბუნდოვან სურათში ჭეშმარიტება არ იქნება დავანებული. მოკლედ, შეუძლებელია რაიმე ჭეშმარიტების მოპოვება ასე – შემეცნების მეშვეობით, რომელსაც სურს, ობიექტი მოიცვას ერთი თვალის შევლებით; ჭეშმარიტება მიიღწევა მხოლოდ ნამდვილი, ჭეშმარიტი შეხედულებების გაერთიანებით, გამომდინარე განსხვავებული პოზიციებიდან. ეს ალბათ ნაკლებად პასუხობს ადამიანურ მოუთმენლობას, მაგრამ შეესაბამება ფაქტებს, რომელთა შემეცნებასაც სწავლობენ, თუ ავითარებენ შემეცნებისკენ ინტენსიურ სწრაფვას.

ცოტა რამეს შეუძლია, ასე ახლოს მიიყვანოს ჭეშმარიტების ნამდვილ შეფასებამდე, როგორც შემეცნებისკენ ამგვარ სწრაფვას. ამ შეფასებას კი ჭეშმარიტი შეიძლება მხოლოდ იმიტომ ეწოდოს, რომ მას არ შეუძლია გამოიჩინოს სულმოკლეობა. ჭეშმარიტებისკენ სწრაფვაში მას არ მიჰყავს სასოწარკვეთისკენ, ვინაიდან ჭეშმარიტებას, როგორც ასეთს, შეხედულებად აღიარებს; თუმცა ის იცავს უშინაარსო ქედმაღლობისგან, რომელსაც ჰგონია, რომ შეუძლია მოიცვას საგანთა ყოვლისმომცველი არსი იმის ფარგლებში, რომელშიც ის ფლობს ჭეშმარიტებას.

ვინც ამას საკმარისად გაითავისებს, მისთვის გასაგები იქნება, რომ ადამიანის შემეცნების მოპოვება მართებთ მისი არსის სხვადასხვა თვალთახედვიდან განხილვით. ერთი ასეთი თვალსაზრისი საჭიროა აირჩეს შემდეგი მითითებიდან გამომდინარე. ეს მითითება უნდა დავახასიათოთ, როგორც ისეთი, რომელიც ძვეს, თითქოსდა, შუაში ორ სხვა მითითებას შორის. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ამ სამის გვერდით, რომლებზეც აქ ყურადღებას ვამახვილებთ, არ შეიძლებოდა კიდევ ბევრი სხვა თვალსაზრისის მოცემა. და მაინც, აქ უნდა ავარჩიოთ სამი, როგორც განსაკუთრებით დამახასიათებელი.

ამასთან კავშირში გათვალისწინებული პირველი თვალსაზრისი არის *ანთროპოლოგია*\*. ეს მეცნიერება აგროვებს იმას, რაც მომდინარეობს აშკარა დაკვირვებიდან, რომელიც ეხება ადამიანს და ესწრაფვის მათი არსის ახსნას საკუთარი დაკვირვების შედეგებიდან. მაგ., ის განიხილავს გრძნობის ორგანოებს, ძვლების აგებულების ფორმას, ნერვული სისტემის კავშირებს, კუნთების მოძრაობის პროცესებს და ა. შ. თავისი მეთოდების დახმარებით ის იჭრება ორგანოების ზუსტ აგებულებაში და ცდილობს, გაეცნოს აღქმის, წარმოდგენის პროცესების პირობებს და ა. შ. ის ასევე იკვლევს ადამიანის არსების მსგავსებას ცხოველურთან და ცდილობს, მოიპოვოს წარმოდგენები სხვა ცოცხალ არსებებთან ადამიანის კავშირზე. ის კიდევ უფრო შორს მიდის და იკვლევს არაცივილიზებული ხალხების ცხოვრებისეულ მიმართებებს, რომლებიც ცივილიზებულ ხალხებთან შედარებით განვითარებით ჩამორჩენილები არიან. იმის მიხედვით, რასაც ის აკვირდება ასეთ ხალხებთან, იგი ადგენს თავისთვის წარმოდგენას იმაზე, ოდესღაც როგორები იყვნენ დღეს შედარებით განვითარებული ხალხები, რომლებმაც განვლეს განვითარების ის დონე, რომელზეც არაცივილიზებული ხალხები დარჩნენ. ის იკვლევს ძველი დროის ადამიანთა ნაშთებს დედამიწის ფენებში და წარმოდგენას იქმნის იმაზე, როგორ წაიწია წინ კულტურულმა განვითარებამ. ასევე იკვლევს კლიმატის გავლენას, ზღვებისა და სხვა გეოგრაფიული პირობების გავლენას ადამიანის ცხოვრებაზე. ის ცდილობს, წარმოდგენები შეიქმნას რასების განვითარების პირობებზე, ხალხთა ცხოვრებაზე, სამართლებრივ ურთიერთობებზე, დამწერლობის ფორმირებაზე, ენაზე და ა. შ. აქ სახელწოდება ანთროპოლოგია გამოიყენება ადამიანზე ზოგადი ფიზიკური ცოდნისთვის; ანთროპოლოგიას მიეკუთვნება არა მარტო ის, რასაც მას ხშირად მიაკუთვნებენ ვიწრო გაგებით, არამედ მორფოლოგია, ადამიანის ბიოლოგია და ა. შ.

ჩვენს დროში ანთროპოლოგია, როგორც წესი, მიჰყვება შიგნითა საზღვრებს, რომლებიც განპირობებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდებით. მისი წყალობით უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა გროვდება. მიუხედავად წარმოდგენების განსხვავებული მეთოდებისა, რომლებიც ამ მასალას

განაზოგადებენ, მასში არის რაღაც, რასაც შეუძლია ადამიანის არსების შემეცნებაზე ნაყოფიერად იმოქმედოს. ეს მასალა განუწყვეტლივ იზრდება. ის შეესატყვისება თანამედროვეობის შეხედულებებს, რომელიც უდიდეს იმედს ამყარებს იმაზე, რაც შეიძლება ამ მხრიდან ადამიანის გამოცანების ახსნისთვის მიიღონ. სრულიად ბუნებრივია, რომ ანთროპოლოგიის თვალსაზრისს ბევრი მიიჩნევს იმდენად სანდოდ, რამდენად საეჭვოდაც უნდა თვლიდნენ ისინი იმას, რაც აქ შეიძლება კვალდაკვალ დახასიათდეს.

ეს სხვა თვალსაზრისი არის *თეოსოფია*\*. ამ სახელის წარმატებული თუ წარუმატებელი არჩევა არაა ახლა ჩვენი კვლევის საგანი. უბრალოდ აუცილებელია ამ მეორე თვალსაზრისის დახასიათება ადამიანის დაკვირვებასთან მიმართებაში ანთროპოლოგიურთან შედარებით. თეოსოფია ემყარება იმას, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სულიერ არსებას წარმოადგენს. ის ესწრაფვის მისი, როგორც ასეთის შემეცნებას. მას მხედველობაში აქვს, რომ ადამიანის სამშენველი ხილულ საგნებს და პროცესებს აჩვენებს არა მარტო, როგორც სარკეში და გადაამუშავებს მათ, არამედ მას აქვს თავისი მოტივები და შინაარსი იმ მხრიდან, რომელსაც შეიძლება, სულიერი ეწოდოს. ის განკუთვნილია იმისთვის, რომ ადამიანს შეეძლოს სულიერ სამყაროში შეღწევა ისევე, როგორც იგი ხილულში აღწევს. უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანის შემეცნება ფართოვდება იმის წყალობით, რომ იგი თავის გრძნობის ორგანოებს წარმართავს საგნებისა და პროცესების სულ უფრო მეტ რიცხვზე და ამის საფუძველზე იქმნის საკუთარ წარმოდგენებს. სულიერ სფეროში შემეცნება სულ სხვაგვარად ვითარდება. იქ დაკვირვებას ახორციელებენ შინაგან განცდაში. ხილული საგნები და მოვლენები სახეზეა ადამიანის წინაშე; სულიერი განცდა იბადება შინაგანში, კერძოდ, როცა თავად ადამიანის არსების ცენტრიდან ამოიზიდება. სანამ ადამიანს სჯერა, რომ ასეთი ამოსვლა შეიძლება იყოს მხოლოდ სამშენველის შინაგანი საქმე, მისთვის თეოსოფია ძალზე საეჭვო რამ უნდა იყოს. ვინაიდან, ასეთი რწმენა არც ისე შორსაა მეორისგან, რომელიც ვარაუდობს, რომ მსგავსი განცდები წარმოადგენენ მხოლოდ ხილული დაკვირვებების შემდგომ შინაგან გადაამუშავებას. ასეთი

რწმენით შეიძლება იყო მანამდე, სანამ სერიოზული საფუძვლის წყალობით არ დარწმუნდები, რომ შინაგანი განცდები, ისევე როგორც ხილული ფაქტები, გარკვეული მომენტიდან განისაზღვრება რაღაცით, რაც ადამიანის პიროვნებასთან მიმართებით გარე სამყაროს წარმოადგენს. ამ რწმენის მიღწევით, უწევთ გარეგნული სულიერი სამყაროს აღიარება ისევე, როგორც აღიარებენ ფიზიკურს. მაშინ გასაგები ხდება, რომ ადამიანი საკუთარ სულიერთან მიმართებით დაკავშირებულია სულიერ სამყაროსთან ისევე, როგორც იგი საკუთარი ფიზიკურის წყალობით არის ფესვგადგმული ფიზიკურში. მაშინ გასაგები გახდება, რომ ამ სულიერი სამყაროდან შეიძლება უწყებების მიღება ადამიანის შემეცნებისთვის, მსგავსად იმისა, როგორც ფიზიკური დაკვირვებიდან იღებს ანთროპოლოგია მონაცემებს ფიზიკური ადამიანისთვის. მაშინ უკვე აღარ დაეჭვდებიან სულიერ სამყაროში კვლევის შესაძლებლობაში. სულისმკვლევარი ისე გარდაქმნის საკუთარ მშვინივიერ განცდას, რომ მის მშვინივიერ განცდაში სულიერი სამყარო შემოდის. ის აყალიბებს გარკვეულ მშვინივიერ განცდებს ისე, რომ ეს სულიერი სამყარო მათში ვლინდება. (ეს როგორ ხდება, ამას მე აღვწერ ჩემს წიგნში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“. ისეთი სახით ფორმირებულ სამშვინიველის ცხოვრებაზე შეიძლება საუბარი „ნათელმხილველური ცნობიერების“ წყალობით. ოღონდ ამ ცნებისგან შორს უნდა იყოს მთელი სისულელე, რომელსაც ჩვენს დროში აკავშირებენ სიტყვასთან „ნათელმხილვა“.

სანგრძლივი, მუხლჩაუხრელი დაძაბული მშვინივიერი სავარჯიშოებია აუცილებელი იმ შინაგან განცდამდე მისასვლელად, რომელიც სამშვინიველს სულიერი სამყაროს ამა თუ იმ ფაქტებს უშუალოდ უხსნის. მომაკვდინებელი ცრურწმენა იქნებოდა, თუ დაიჯერებდნენ, რომ მსგავს მშვინივიერ განცდებს შეუძლიათ, ნაყოფი მოუტანონ მხოლოდ მას, ვინც ასეთი მშვინივიერი სავარჯიშოების წყალობით მათ უშუალოდ განიცდის. ამასთან დაკავშირებით საქმე სრულიად სხვაგვარადაა. თუ სულიერი ფაქტები შესაბამისი მშვინივიერი სავარჯიშოების წყალობით გამოცხადებად იქცა, მაშინ ისინი თითქოს ადამიანური სამშვინიველით არის მოცული. მათი პოვნის შემდეგ თუ სულისმკვლევარი ამას სხვებს აუწყებს, ისინი შეიძ-

ლება გასაგები იყოს თითოეული ადამიანისთვის, ვინც მათ ჭეშმარიტების ჯანსაღი გრძნობითა და მიუკერძოებელი ლოგიკით მიაყურადებს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ დასაბუთებული რწმენა სულიერი სამყაროს ფაქტებზე შეიძლება, მხოლოდ ნათელმხილველურ ცნობიერებას ჰქონდეს. თითოეული სამშენიველი განწყობილია, სულისმკვლევარის მიერ მოპოვებული ჭეშმარიტებები აღიაროს. თუ სულისმკვლევარი დაიწყებს რაიმე არაჭეშმარიტის დაცვას, მაშინ ეს ყოველთვის განპირობებული იქნება ჭეშმარიტების ჯანსაღ გრძნობასა და მიუკერძოებელ ლოგიკაზე უარით.

სულიერ შემეცნებათა უშუალო განცდა რთულ მშენივერ გზასა და მშენივერ სავარჯიშოებს ითხოვს; ასეთ შემეცნებებს უნდა დაეუფლოს თითოეული სამშენიველი, თუ სურს საკუთარი ადამიანურობის გაცნობიერება. გარკვეული მომენტიდან ყოფიერების ასეთი გაცნობიერების გარეშე ადამიანის ცხოვრება უკვე შეუძლებელი იქნება.

დღეს თეოსოფიას რომც შეეძლოს, წარმოადგინოს შემეცნებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ადამიანის სამშენიველის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს და შეიძლება აღიარონ ჭეშმარიტების ბუნებრივი გრძნობისა და ჯანსაღი ლოგიკის წყალობით, მაშინ მასა და ანთროპოლოგიას შორის მაინც დარჩება რაღაც უფსკრული. თუმცა ყოველთვის შეიძლება შემდეგი. შესაძლებელია, ვაჩვენოთ თეოსოფიის დასკვნები ადამიანის სულიერ არსებასთან მიმართებით, შემდეგ კი იმის ჩვენება, – როგორ ადასტურებს ანთროპოლოგია ყველაფერს, რასაც თეოსოფია ამბობს. მაგრამ გზა შემეცნების ერთი სფეროდან მეორისკენ შორი იქნება.

თუმცა არსებობს უფსკრულის ამოვსების შესაძლებლობა. გარკვეულწილად ეს უნდა მოხდეს *ანთროპოსოფიის* ზოგადი შტრიხებით გადმოცემისას. თუ ანთროპოლოგია საშუალებას იძლევა, თავისი თავი შეადაროს თანამგზავრის დაკვირვებებს, რომელიც მოძრაობს ვაკეზე ერთი ადგილიდან მეორისკენ, სახლიდან სახლისკენ, რათა წარმოდგენა შეიქმნას ადგილმდებარეობის არსზე; თეოსოფია კი აკეთებს მიმოხილვას, რომელსაც იმავე ადგილმდებარეობაზე ბორცვის სიმაღლიდან იღებს, მაშინ ანთროპოსოფია შეიძლება, შევადაროთ მიმოხილვას, რომლის მიღებაც შეუძლიათ ბორცვის ფერდო-

ბიდან, სადაც წვრილმანების გარჩევა ჯერ კიდევ შეიძლება თვალეპით, თუმცა ეს მრავალფეროვნება უკვე იწყებს მთლიანთან დაკავშირებას.

ანთროპოსოფია ადამიანს განიხილავს ისეთს, როგორადაც ის წარმოჩნდება ფიზიკური დაკვირვებისთვის. თუმცა ის დაკვირვებას ისე ახდენს, რომ ფიზიკური ფაქტებიდან ეძებს მითითებას სულიერ საფუძველზე. ასე შეუძლია ანთროპოსოფიას, ანთროპოლოგიიდან გადაიყვანოს თეოსოფიისკენ.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ აქ შეიძლება ნაჩვენები იყო ანთროპოსოფიის მხოლოდ ძალზე მოკლე ნარკვევი. საფუძვლიანი გადმოცემა ძალზე დიდ დროს წაიღებდა. ნარკვევი ისეა ჩაფიქრებული, რომ ეხება მხოლოდ ადამიანის სხეულებრივს, რამდენადაც ის არის სულიერის გამოვლინება. შედარებით ვიწრო თვალსაზრისით ანთროპოსოფია ამ ფარგლებში იგულისხმება. მას უშუალოდ უნდა მოჰყვეს *ფსიქოსოფია, რომელიც განიხილავს მშეინგიერს და პნევმატოსოფია, რომელიც სულით არის დაკავებული\**. მათთან ერთად ანთროპოსოფია შემდეგ საკუთრივ თეოსოფიას ერწყმის.

## II. ადამიანი, როგორც ბრძოლავის ორბანიზმი

ანთროპოსოფიის საწყისი უნდა შეიქმნას ადამიანური გრძობების განხილვით. გრძობების წყალობით ადამიანი აღწევს კავშირს რაღაც გარე სამყაროსთან ერთი მიმართულებით. გრძობებზე საუბრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი რამ. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, უყურადღებოდ დაგვივით ის, როგორ იჭრება ადამიანი გარე სამყაროში, კერძოდ გარე სულიერ სამყაროში, ზემოაღნიშნული სხვა გზით. შემდეგ კი, გემართებს, გვერდი აუაროთ იმის განჭვრეტას, სულიერი იმყოფება თუ არა გრძობებით ხილულის მიღმა. როდესაც საუბარია გრძობებზე, სულიერთან მიმართებით მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აუცილებელია ლოდინი, ბუნების თანახმად რა სახით მოვა *მიითეება* სულიერზე, გამომდინარე გრძობების დაკვირვებიდან. სულიერის ამოგდება არ შეიძლება, ამავე დროს მისთვის თავის არიდებაც არ შეიძლება; საჭიროა, ველოდოთ მის გამოვლენას.

აქ იგულისხმება არა გრძობადი დაკვირვების საგნები, არამედ თავად გრძობები, როგორც ადამიანური ორგანოები. იმის საფუძველზე, რასაც აუწყებენ ადამიანს მისი გრძობები, იგი წარმოქმნის საკუთარ წარმოდგენებს გარე სამყაროზე. ასე წარმოიქმნება ამ გარე სამყაროზე შემეცნება. შემეცნებასთან მიმართებით საუბარი შეიძლება ჭეშმარიტებასა და ცდუნებაზე. ხომ არ წარმოიქმნება ცდუნება უკვე გრძობის სფეროში ან იქნებ მხოლოდ იქ, სადაც გრძობების გამონათქვამებით წარმოიქმნება წარმოდგენები განსჯის, მესხიერებისა და ა. შ. მეშვეობით? არის გარკვეული უფლება, ისაუბრო გრძობების ილუზიაზე. თუ უსწორობის გამო ყურში ან თვალში ბგერითი ან სინათლის შთაბეჭდილება სხვაგვარი ჩანს, ვიდრე ისინი წარმოგვიდგება ნორმალურად ფორმირებული შესაბამისი ორგანოთი, მაშინ სახეზეა, მაგალითად, გრძობების ცდომილება. ამიტომ, საფუძველიანი იქნება ის, *რაც გოეთემ თქვა*\*: „შენ შეგიძლია, თამამად ენდო გრძობებს, ისინი არ მოგცემენ სიყალბის ჭვრეტის უფლებას, როცა შენი გონი მხნედ არის შენარჩუნებული“? გოეთეს გამონათქვამი მაშინვე სწორი აღმოჩნდება, თუ დაუფიქრდებით შემდეგს. გონით ან მესხიერებით გამოწვეული ცდუნება თავისი ხასიათით წარმოადგენს სხვას, ვიდრე გრძობების

ცდომილებაა. უკანასკნელი ხომ შესაძლებელია, ჯანსაღი განსჯის მეშვეობით გამოსწორდეს. თუ ვინმეს მისი მხედველობითი პრობლემის გამო ხე წარმოუდგება ადამიანად, მაშინ ის ცდუნებაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არ გამოასწორებს მხედველობის პრობლემას და დაინახავს, მაგ., მტერს მოჩვენებით ადამიანში, რომლისგანაც თავის დაცვას დაიწყებს. სხვაგვარად ხდება გონის ცდუნებასთან დაკავშირებით, რამდენადაც იქ სახეზეა თავად ეს განჯა, რომელიც ცდება და ამიტომაც არ შეუძლია თავისი საკუთარი შეცდომების გამოსწორებაც. მხოლოდ განსჯის მეშვეობით გარდაიქმნება გრძნობათა შეცდომები ნამდვილ ცდუნებებში. ეს განსხვავება გამოწვეულია არა პედანტურობით, არამედ აუცილებლობით.

გრძნობად აღქმებზე საუბრისას მრავალი ადამიანი მიეჩვია საკუთრივ ხუთი სახის გრძნობის ჩამოთვლას: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება (ან გრძნობა). ამ ჩამონათვალზე შეჩერება არ შეიძლება, ვინაიდან, არსებობს რაღაც ისეთიც, რომლის წყალობითაც ადამიანი შედის სხვა ურთიერთობაში გარე სამყაროსთან, ვიდრე, მაგ., სმენის ან მხედველობის შემთხვევაში. ჩვენს დროში ანთროპოლოგიაც საუბრობს, ზემოჩამოთვლილის გარდა, სხვა გრძნობებზეც. აქ არ არის იმის აუცილებლობა, რომ ანთროპოლოგიის მიერ მოცემულ ჩამონათვალზე შეჩერდეთ. საჭიროა მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ აქ არის ერთი ძალზე სანუგეშო მომენტი, როცა მეცნიერება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ გრძნობად-ფიზიკურ ფაქტებს ეყრდნობა, თავისივე საკუთარი დაკვირვებების წყალობით მიდის შეხედულებებისკენ, რომლებიც ნაწილობრივ ემთხვევა იმათ, რასაც სულისმკვლევარი უნდა ამტკიცებდეს. დროთა განმავლობაში შეხების ასეთი წერტილები სულ უფრო მეტად გამოვლინდება; ხოლო განსხვავებული მხრიდან თუ იქნება კეთილი ნება, მაშინ შესაძლოა, უფრო სწრაფადაც დადგეს დრო, როცა გაბატონდება საბუნებისმეტყველო და სულიერი კვლევის ურთიერთაღიარება.

ანთროპოსოფიის ჭრილში ადამიანური გრძნობა შეიძლება ეწოდოს ყველაფერს, რაც ადამიანს უბიძგებს, აღიაროს საგნების, არსებებისა და პროცესების ისეთი ყოფიერება, რომ მას შეეძლოს, ეს ყოფიერება ფიზიკურ სამყაროსაც მიაკუთვნოს.



მაგ., ასეთია ყველაზე გაურკვეველი და ყველაზე ზოგადი გრძნობა, რომელსაც შეიძლება, *სიცოცხლის* გრძნობა ეწოდოს. არსებითად, ადამიანი ამ გრძნობის ყოფიერებას ნამდვილად მხოლოდ მაშინ ამჩნევს, როცა მისი წყალობით საკუთარ თავში აღიქვამს იმას, რაც სხეულებრიობაში წესრიგს არღვევს. ადამიანი თავის თავში გრძნობს სისუსტეს, დაღლას. მას არ ესმის სისუსტე და დაღლა, ის მათ არ ყნოსავს, თუმცა აღიქვამს მათ იმავე აზრით, როგორითაც აღიქვამს სუნსა და ბგერას. საკუთარ სხეულებრიობასთან დაკავშირებული ასეთი აღქმა ცხოვრების გრძნობას უნდა მიეწეროს. ის, არსებითად რომ ვთქვათ, ყოველთვის სახეზეა მხნე და ჯანმრთელ ადამიანთანაც, თუმცა ძალზე საგრძნობი ხდება მხოლოდ რაიმე დარღვევის დროს. სიცოცხლის გრძნობის წყალობით ადამიანი თავის თავს შეიგრძნობს, როგორც სივრცის შემავსებელი სხეულებრივი „მე“.

ამ გრძნობისგან განსხვავდება სხვა, რომლის წყალობითაც ადამიანი აღიქვამს, მაგ., მის მიერ შესრულებულ მოძრაობას. ამოძრაგებენ ფეხებს და ამ მოძრაობას აღიქვამენ. გრძნობას, რომლის წყალობითაც ეს ხდება, შეიძლება ეწოდოს საკუთარი მოძრაობის გრძნობა. ამ გრძნობის განსხვავება პირველისგან გამოვლინდება, როცა ვიფიქრებთ, რომ ცხოვრების გრძნობის მეშვეობით აღიქვამენ მხოლოდ რაღაცას, რაც არსებობს შინაგან სხეულებრიობაში იმის გარეშე, რომ ამას თავად რაიმე მოუხერხო. საკუთარი მოძრაობის გრძნობა აღიქვამს იმას, რაშიც იგულისხმება მოქმედება, მოძრაობა.

მესამე გრძნობა ვლინდება, როცა ამჩნევენ, როგორ შეუძლია, ადამიანს თავისი თავი შეაკავოს განსაზღვრულ მდგომარეობაში ზევითას და ქვედას, მარჯვენასა და მარცხენასთან და ა. შ., მიმართებით. ამ გრძნობას შეიძლება წონასწორობის ან სტატიკის გრძნობა ეწოდოს. მისი თავისებურება ვლინდება, როცა გესმის, რომ საჭიროა, გაგაჩნდეს საკუთარი მდგომარეობის აღქმა, თუ გსურს, მასში შეჩერდე, როგორც ცნობიერი არსება. როცა არ მოქმედებს წონასწორობის გრძნობა, ადამიანს თავბრუ ეხვევა, ის ეცემა. საგანი, რომელიც თავის თავს ვერ აცნობიერებს, ამ მდგომარეობაში საკუთარი მდგომარეობის აღქმის გარეშე ნარჩუნდება. მას შეუძლებელია, თავბრუხვევა ჰქონდეს. ანთროპოლოგია, ამ გრძნობებზე საუბრისას, მიუთითებს ადამიანის ყურში პატარა ორგანოზე. აქ არსებობს ნახევ-

რადწრიული ფორმის სამი არხი, რომლებიც ე. წ. ყურის ლაბირინთშია განლაგებული. თუ ისინი დაზიანებულია, მაშინ ადგილი აქვს თავბრუსხვევის მდგომარეობას.

ჩამოთვლილი სამი გრძნობის თავისებურებათა დაკვირვებისას ხელავენ, რომ თითოეული მათგანის წყალობით ადამიანი რაღაცას აღიქვამს, რასაც საკუთარ ფიზიკურ ყოფიერებასთან მიმართება გააჩნია. სიცოცხლის გრძნობის წყალობით ის იძენს საკუთარი სხეულებრიობის ზოგად შეგრძნებას; საკუთარი მოძრაობის გრძნობის მეშვეობით იგი ამ თავის სხეულებრიობაში ცვლილებებს აღიქვამს; წონასწორობის გრძნობის მეშვეობით იგი აღიქვამს თავის მიმართებას სივრცობრივ გარე სამყაროსთან. თუმცა ამ აღქმას იგი იძენს ისე, რომ ეს მას ეხსნება, როგორც საკუთარი სხეულებრიობის მდგომარეობა, როგორც თავისი საკუთარი მდგომარეობის შეგრძნება. ამ სამი გრძნობის წყალობით ადამიანი იღებს თავისი საკუთარი სხეულებრიობის, როგორც ერთიანი მთლიანის, შეგრძნებას, რომელიც წარმოადგენს თვითცნობიერების საფუძველს მისთვის, როგორც ფიზიკური არსებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სამშვიინველი საკუთარ სხეულებრიობასთან მიმართებით თავის კარებს ხსნის სიცოცხლის გრძნობის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობის მეშვეობით და ამ სხეულებრიობას შეიგრძნობს, როგორც ფიზიკურ გარე სამყაროს, რომელიც მასთან ყველაზე ახლოს დგას.

მომდევნო გრძნობებით ადამიანი ეგუება გარე სამყაროს, რომელიც თავად მას სხვაგვარად ეკიდება. პირველი გრძნობა, რომელსაც იქ ვხვებით, არის ის, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ახლო შეხებაში შედის იმასთან, რასაც *მატერიალ* უწოდებენ. მატერიალურთან ახლო შეხებას ჰაეროვანი ან გაზისებრი სხეულები უშეგებენ. ეს შეხება ყნოსვის გრძნობის მეშვეობით ხორციელდება. *ყნოსვის გრძნობის* მეშვეობით შეიძლება მატერიის აღქმა, თუ იგი უნატიფვეს დონემდე გახლეჩილია და გაზისებურად გავრცელებული.

მაშინ გრძნობის ორგანოთა აღქმის მომდევნო საფეხურს წარმოადგენს ის, რომლის მეშვეობითაც აღიქმება არა მარტო მატერია, როგორც ასეთი, არამედ მატერიალურის ზემოქმედება (ქმედება). ეს ხდება *გემოს გრძნობის* მეშვეობით. ამ გრძნობის მეშვეობით შეიძლება მხოლოდ თხევადი სხეულის აღქმა, ან

ისეთის, რომელიც მისი გემოს ნახვისთვის იხსნება პირის სითხეში. გემოს გრძნობის წყალობით ადამიანი გარეგნულ მატერიალურობაში ერთი საფეხურით ღრმად იჭრება, ვიდრე ყნოსვის გრძნობის მეშვეობით. ამ უკანასკნელში თავად ნივთიერება მიდის ადამიანთან და თავს ავლენს თავისი დამახასიათებელი თვისებით; რაც გემოს გრძნობაში შეიგრძნობა, არის ადამიანზე ნივთიერის ზემოქმედება. ეს განსხვავება შეიძლება ყველაზე უკეთ იგრძნო, თუ წარმოიდგენ, რომ ყნოსვის გრძნობაში ნივთიერება ადამიანთან უნდა მივიდეს მზა, გაზისებრი სახით, რომ მას შეეძლოს, ის აღიქვას ისეთი, როგორც არის; გემოს გრძნობაში იმისათვის, რომ შეიჭრა ნივთიერების იმ თვისებაში, რომლებსაც თავად არ უხსნის ადამიანს, იგი თავისი საკუთარი სითხით ხსნის ნივთიერებას, ანუ ამ გახსნით მას ცვლის. ასე ახასიათებს ყნოსვის გრძნობას მატერიალურის გარეგნული მხარის აღქმა; გემოს გრძნობა მატერიალური საგნის შინაგანში უფრო ღრმად იჭრება. ხოლო ადამიანმა უნდა შეცვალოს საგნის გარეგნული მხარე, რათა ამ შინაგანს გამოვლენისკენ უბიძგოს.

მომდევნო გრძნობის წყალობით ადამიანი ფიზიკური გარე სამყაროს შინაგანში კიდევ უფრო ღრმად იჭრება. ეს არის *მხედველობის გრძნობა*. ყინულის ნატეხის ან თბილი საგნის შეხებისას ირკვევა, რომ სიცივე ან სითბო არ წარმოადგენს რაღაცას, რაც ვლინდება მხოლოდ გარედან ზედაპირზე, როგორც ფერი, არამედ ისინი მთლიანად მსჭვალავს სხეულს. აღსანიშნავია, რომ გრძნობების აქ დახასიათებული გრადაცია ისეთია, რომ ყოველი მომდევნო საფეხურით ადამიანი გარე სამყაროს სხეულების შინაგანში უფრო ღრმად ეფლობა.

შემდგომი ჩაფლობა წარმოდგენილია *სმენის გრძნობით*. ის აღწევს სხეულის შინაგანში წინსვლის კიდევ უფრო მაღალ საფეხურს, ვიდრე სითბოს გრძნობა. ტონი (ბგერა, Ton) სხეულის შიგნით ვიბრაციას იწვევს. ეს უფრო მეტია ვიდრე ხატი, როცა საუბრობენ იმაზე, რომ რომელიმე სხეულის სამშენველი გამოცხადებამდე მიყვანილია ტონის მეშვეობით. სითბოს მეშვეობით, რომელსაც სხეული თავის თავში ატარებს, გეზულობენ რაღაცას გარემოსგან მის განსხვავებაზე; ტონის მეშვეობით გარეთ გამოდის და აღქმას ეუწყება სხეულის საკუთარი ბუნება, მისი ინდივიდუალური საწყისი.

საქმის არსთან შესაბამისობაში თუ აქ ვისაუბრებთ გრძნობაზე, როგორც ისეთ გაგებაზე, რომელიც ხორციელდება გონის, მეხსიერების და ა. შ., დანმარების გარეშე, მაშინ ჩამოთვლილის გარდა საჭიროა, კიდევ სხვა გრძნობების არსებობაზეც შევთანხმდეთ. ამ განსხვავების საფუძველად მიღებით აღვივლია, დავინახოთ, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში სიტყვას „გრძნობა“ ხშირად არამართებულად იყენებენ. ასე ხდება, როცა საუბრობენ მიბაძვის გრძნობაზე, დაღლის გრძნობასა და ა. შ. მიბაძვის, დამალვისა და ა. შ., სახით გამოვლენილში უკვე მონაწილეობს განსჯა და გონი. მარტოოდენ გრძნობადი მოქმედებით ამის განხორციელება შეუძლებელია.

სრულიად სხვაგვარადაა საქმე, როცა მეტყველებაში აღვიქვამთ იმას, რაც ბგერის (Laut) მეშვეობით გვეხსნება. თავისთავად ცხადია, რომ გამოთქმის აღქმაში აუცილებლად მხედველობაში მიიღება განსჯის რთული მოქმედება, ისევე, როგორც სამშვინველის ფართო ფუნქციები, რომლებიც საერთოდ არ შეიძლება, დაკავშირებული იყოს სიტყვასთან „გრძნობა“. თუმცა, ამ სფეროშიც ასევე არის მარტივი, უშუალო აღქმა, რომელიც წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა, განსჯის ზუსტად ისეთივე აღქმას, როგორსაც წარმოადგენს ფერი და სიტბოს ხარისხი. ბგერა აღიქმება არა მარტო თავისი უღერადობის სიმადლესთან მიმართებით, არამედ მასთან აღიქმება გაცილებით უფრო შინაგანი, ვიდრე ეს ტონთან ხდება. თუ ამბობენ, რომ ტონში ცოცხლობს სხეულის სამშვინველი, მაშინ ასევე შეიძლება ითქვას, რომ ბგერაში ეს მშვინვეირი ვლინდება ისე, რომ ის ჩნდება გარკვეული დამოუკიდებლობით, რომელიც სხეულებრივისგან დაშორებულია, გათავისუფლებულია. რამდენადაც ბგერის განცდა წინ უსწრებს განსჯას, ამიტომ ბავშვი სწავლობს სიტყვის ბგერითი მნიშვნელობის აღქმას, სანამ იგი განსჯის გამოყენებამდე მივა. მეტყველებაში ბავშვი სწავლობს განსჯას. სავსებით სამართლიანია საუბარი *ბგერის* განსაკუთრებულ *გრძნობაზე* ან *მეტყველების* გრძნობაზე. ამ გრძნობის აღიარება გართულებულია მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ბგერაში გახსნილის უშუალო აღქმას, როგორც წესი ემატება განსჯის ყველაზე მრავალფეროვანი მოქმედება. თუმცა ზუსტი აღქმა აჩვენებს, რომ უღერადობაში მოცემული ყველანაირი მოსმენის საფუძველში ძვეს ასეთივე უშუალო, განსჯისგან თავისუფალი დამოკიდებულება

არსებასთან, რომლისგანაც მომდინარეობს ბგერა, როგორც ეს ხდება, როცა აღიქმება ფერადოვანი შთაბეჭდილება. ამ ფაქტის გაგება გაადვილდება, თუ წარმოვიდგინოთ, როგორ შეიძლება ტანჯვის ხმამ გვაიძულოს, უშუალოდ განვიცადოთ არსების ტკივილი, თუმცა თავიდან აღქმაში არც ერევა რაიმე განსჯა ან ამის მსგავსი. აქ გათვალისწინებულია ის, რომ მოსმენილი ბგერა არ არის ის ერთადერთი, რომლის წყალობითაც ადამიანს ესხნება ისეთი შინაგანი არსი, რომელიც თავს ავლენს მეტყველების ხმაში. ასევე უესტს, მიმიკას, ფიზიოგნომიკურს, ბოლოს და ბოლოს, მიჰყავს იმ მარტივამდე, უშუალომდე, რაც ზუსტად ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მეტყველების გრძნობის სფეროში, როგორც მოსმენილი ბგერის შინაარსი.

მომდევნო გრძნობისთვის, რომლის დახასიათებაც აუცილებელია, გრძნობადი ხასიათი კიდევ უფრო მაღალ დონეზეა დაფარული. თუ ესმით ადამიანის, რომელიც რაიმეს აუწყებს მეტყველების ბგერების, უესტისა და ა. შ. მეშვეობით, მაშინ ამ გაგებაში მოქმედებს, უპირატესად განსჯა, მეხსიერება და სხვ. თუმცა აქაც ამ ფაქტის სწორ გაცნობიერებას მიჰყავს იმის აღიარებისკენ, რომ არსებობს უშუალო აღქმა, გაგება, რომელიც შეიძლება ყველანაირ მოფიქრებას, განსჯას წინ უძღოდეს. ყველაზე უკეთ ეს ფაქტი შეიძლება იგრძნოთ, თუ გაარკვევთ, როგორ შეიძლება თუნდაც იმის გაგება, რასთანაც განსჯის უნარით საერთოდ ვერ მივიდნენ. ანუ არსებობს სრულიად უშუალო აღქმა თვით იმისიც, რაც ცნებაში იხსნება, ასე რომ, აუცილებელია, ითქვას *ცნების გრძნობა ზე*. ადამიანს საკუთარ სამშვიინველში ცნების სახით განცდილი ასევე შეუძლია მიიღოს, უცხო არსებაში მისი გახსნით. ცნების გახსნის მეშვეობით კიდევ უფრო ღრმავდებიან არსებაში, მის შინაგანში, ვიდრე ბგერის აღქმის მეშვეობით. სხვა არსებაში ჩაფლობის გაღრმავებისთვის ხელშესახები წინსვლა შეუძლებელია უფრო შორს, ვიდრე იმის აღქმამდე, რა ცხოვრობს ამ არსებაში ცნების სახით. ცნების გრძნობა არის ის, რაც გარეგნული ადამიანის უშინაგანესში იჭრება. სხვა ადამიანში მცხოვრები ცნებით ადამიანი აღიქვამს იმას, რაც თავად მასში მშვიინვიერად ცხოვრობს.

ჩამოთვლილი ათი გრძნობისგან სრულიად განსხვავებული წარმოგვიდგება იმ გრძნობის თავისებურებები, *რომელსაც ჩვეუ-*

*ლებრივ შეხებას უწოდებენ\**; ის გადმოსცემს გარეგნულ ზემოქმედებას, წინააღმდეგობას, სიმტკიცესა და სირბილეს. საჭიროა, წარმოვიდგინოთ არსი იმისა, რასაც ახასიათებენ, როგორც „ზემოქმედებას“. პროცესი არსებითად არც ისე მარტივია. სინამდვილეში უშუალოდ აღიქვამენ არა თავად სხეულს, რომელიც ზემოქმედებს, არამედ იმ ფაქტს, რომ ის უბიძგებს კანს, ამა თუ იმ ადგილას უკან დაიხიოს, ან აუცილებელია მეტ-ნაკლები ძალისხმევა, რათა სხეულზე მოხდეს ზემოქმედება. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ამ აღქმასა და მაგალითად, იმ აღქმას შორის, რომელიც გაცხელების ხარისხის მიხედვით რომელიმე სხეულში ვლინდება. თუმცა აბსოლუტურად სწორია, რომ გახურებულ ადამიანს ცივი აბაზანა მოეჩვენება სითბოს სრულიად სხვა ხარისხით, ვიდრე გაყინულს, რომ სითბოს აღქმაში, თითქოსდა, თანამონაწილეობს სუბიექტური მდგომარეობა, და მაინც, სწორი რჩება ის, რომ სითბოში, არსებითად, იხსნება გარეგნული ობიექტის თვისება. ეს ავლენს აღმქმელი ადამიანის უშუალო მიმართებას იმასთან, როგორია ობიექტი. საქმე სულ სხვაგვარადაა, როცა ამბობენ, რომ სხეულზე მოხდეს ზემოქმედება ან გადაიღახოს წინააღმდეგობა, რასაც სხეული საკუთარი სიმკვრივისა თუ სირბილის წყალობით ახდენს. ის, რაზეც აქ არის საუბარი, გახლავთ საკუთარ სხეულში არსებული განცდის პროექცია. ფაქტები რომც დაიმალოს, მაინც სწორია ის, რომ ასეთი აღქმისას თითქოს იდუმალად წარმოქმნება *მოსაზრება*: „მე ვეჯახები ძლიერ წინააღმდეგობას, მაშასადამე სხეული მყარია“. და როგორც სწორია ის, რომ, მაგ., მეტყველების გრძნობასთან აღქმა შეიძლება სრულიად უშუალო იყოს, განსჯის ყოველგვარი მოქმედების გარეშე, ასევე სწორია ისიც, რომ შეხების გრძნობის საფუძველში ყოველთვის ძვეს განსჯა, თუნდაც ის ძლიერად იყოს დამალული. შეხების გრძნობით უშუალოდ აღქმული ყოველთვის შეიძლება გამოვლინდეს იმ სამი გრძნობის სფეროს შიგნით, რომლებიც დასაწყისში ჩამოვთვალეთ. სხეული, რომელიც მე მაწვეს, იწვევს, მაგ., მდგომარეობის არევას ჩემი სხეულებრიობის შიგნით; ეს აღიქმება სიცოცხლის გრძნობით, ან საკუთარი მოძრაობის გრძნობით, ანდა წონასწორობის გრძნობით.

აუცილებელია, გრძნობის ცალკეული სფეროები ზუსტად განვასხვაოთ. ყოველი გრძნობისთვის მიმართება, რომელშიც

შედის ადამიანი გარეგნულ ობიექტთან, სრულიად სხვაა, ვიდრე გრძნობის დანარჩენი ორგანოებისთვის. ცხოვრების გრძნობის, საკუთარი მოძრაობის გრძნობისა და წონასწორობის გრძნობის წყალობით ადამიანი ეფლობა საკუთარ სხეულებრიობაში და საკუთარ თავს გარე სამყაროს არსების სახით შეიგრძნობს. ყნოსვის, გემოსა და მხედველობის გრძნობების წყალობით ვლინდება სხეულებრიობა, რამდენადაც ის ვლინდება გარეთ. სიტბოს გრძნობის მეშვეობით იგი ავლენს შინაგან არსს, თუმცა ჯერ კიდევ გარეგნული სახით. სმენის, მეტყველებისა და წარმოდგენის გრძნობების დახმარებით ადამიანი აღიქვამს სხვას, მისთვის გარეგნულ, შინაგან ცხოვრებას. თუ ყურად იღებენ გრძნობის სფეროში ამ განსხვავებას, მაშინ ზოგადად აღარ ისაუბრებენ იმაზე, რას წარმოადგენს გრძნობა, გრძნობადი აღქმა და ა. შ. პირიქით, ყურადღებას მიაპყრობენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, რომელშიც ადამიანი შედის გარე სამყაროსთან თითოეული გრძნობის წყალობით. ცოტა რამ შეიძლება, ითქვას იმით, რომ გრძნობის აღქმა, მაგ., ხასიათდება, როგორც შთაბეჭდილება, გამოწვეული სამშინველში გრძნობის ორგანოთა ნერვების უშუალო გაღიზიანებით. ასეთი განსაზღვრებების მეშვეობით შეიძლება ძალზე იოლად დაიკარგოს ზოგად ბუნდოვან წარმოდგენებში ყოველი ცალკეული გრძნობის განმასხვავებელი თვისებები. ამავე დროს, რომელიმე სხეულის სიტბური მდგომარეობისაგან განცდილი შთაბეჭდილებები სრულიად სხვა სახისაა, ვიდრე ის, რომელიც სინათლის მდგომარეობას იწვევს. თუ ამას მხედველობაში არ მიიღებენ, მაშინ ადვილად ვარდებიან ცდუნებაში, დიდი ღირებულება მიანიჭონ, მაგ., ასეთ განსჯას: „გრძნობის ორგანოების წყალობით ადამიანი აღიქვამს გარე სამყაროს და გრძნობის ორგანოთა აღქმის საფუძველზე იქმნიან წარმოდგენებსა და ცნებებს“. აქ გრძნობის ორგანოების აღქმას უბრალოდ ათავსებენ აბსტრაქტული აზროვნების პირისპირ. ასეთი განსჯით იბნდება აუცილებელი თავისუფალი პერსპექტივა იმ ფაქტზე, რომ, მაგ., სუნის შეგრძნება ძალზე ჩამორჩება ცნების განცდას, მაგრამ სმენის გრძნობა, როგორც გრძნობის ორგანო უკვე უახლოვდება იმას, რაც სამშინველის შინაგანში ასეთი განცდის სახით არსებობს.

### III სამყარო, რომელიც გრძნობების საფუძველში იქვს

გრძნობის ორგანოთა აღქმებში მოცემულია სამშენიველის შემდგომი ცხოვრების საფუძველი. პირველი სამი გრძნობის, ასევე სუნის, გემოს, ფერის, ტონისა და ა. შ. აღქმის საფუძველზე, გარე სამყაროსთან ადამიანის თანაცხოვრებიდან იქმნება წარმოდგენები, რომელთა წყალობითაც სამშენიველში აისახება გარედან მოცემული. წარმოიქმნება სიმპათიის ან ანტიპათიის განცდები, რომელშიც ფორმირდება გრძნობათა ცხოვრება; ვითარდება სურვილები, ვნებები, სწრაფვები. თუ ვეძებთ ადამიანური სამშენიველის ამ შინაგანი ცხოვრების განმასხვავებელ ნიშნებს, მაშინ ყურადღება უნდა მივაპყროთ იმაზე, როგორ ნარჩუნდება შინაგანი ცხოვრება და როგორ იმსჭვალება იმით, რასაც თავის საკუთარ „მე“-ს უწოდებენ. გრძნობადი აღქმა გარდაიქმნება სამშენიველის განცდაში, როცა მას გრძნობის სფეროდან „მე“-ს სფეროში აამაღლებენ. ამ ფაქტზე შეიძლება დასაბუთებული წარმოდგენის შექმნა, თუ მოუხმობთ შემდეგ მარტივ განსჯას. მაგ., შეიგრძნობენ რომელიმე საგნის სითბოს. ამ საგანთან შეხებადვე „მე“-სა და გარე სამყაროს შორის არსებობს ურთიერთმიმართება. ამ ურთიერთმიმართებისას „მე“-ში წარმოიქმნება მითითებული საგნის სითბურ მდგომარეობაზე წარმოდგენა. ახლავს მშენიველი ცხოვრების შიგნით რაღაც რეალურს აყალიბებს. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ წარმოდგენა არის ის, რაც გამოიყოფა გრძნობადი განცდისგან და ცხოვრებას სამშენიველში აგრძელებს. გარკვეული საზღვრების შიგნით ახლა ადამიანს შეუძლია, საკუთარი სამყარო უწოდოს განცდას, რომელიც შექმნილია მის მიერ და შემდეგ აგრძელებს სამშენიველში დარჩენას.

ვინც ახლა დაფიქრდება იმაზე, როგორ იჭრება ეს სამყარო მის სფეროში, ის იძულებული იქნება, ამ სამყაროს წარუმიძღვაროს სხვა ყოფიერება. ვინაიდან, რისი წყალობით შეიძლება ადამიანმა მის შესახებ რაიმე იცოდეს? მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ მას გრძნობები აქვს. სანამ სამყარო გრძნობადი აღქმის სახით წარმოჩნდება ადამიანის წინაშე, ამ სამყაროსგან უნდა დაიბადოს თავად ეს



გრძნობები. ადამიანისთვის სამყარო იქნებოდა მდუმარე, თუ მას სმენის გრძნობა არ ექნებოდა. მისთვის სამყარო არ იქნებოდა თბილი, თუ ადამიანს სითბოს გრძნობა არ ექნებოდა. მართალია, ეს არის კიდევაც სწორი, თუმცა, ასევე ნათელია სხვა რამეც, რომ შეუძლებელი იქნებოდა სმენის გრძნობის წარმოქმნა სამყაროში, რომელშიც მოსასმენი არაფერი იქნებოდა; სითბოს არ მქონე სამყაროში სითბოს გრძნობის ფორმირება შეუძლებელია. უბრალოდ საჭიროა, წარმოვიდგინოთ, როგორ უვითარდებათ თვალები სიბნელეში მცხოვრებ არსებებს; ან როგორ უქვეითდებათ მხედველობა იმ არსებებს, რომლებმაც თვალები განავითარეს სინათლის ზეგავლენით, თუ ამ თვალების მატარებელი სინათლეში ყოფნას შეცვლის სიბნელეში ყოფნით. ამის სრული სიცხადით გააზრების გარდა სხვა არაფერია საჭირო იმისათვის, რომ საკუთარ თავს უთხრა: სამყაროს საფუძველში, რომელიც ადამიანს მიეცა მისი გრძნობების წყალობით და რომლის დახმარებითაც იგი აგებს საკუთარ მშვენიერ ცხოვრებას, ძევს სხვა სამყარო, რომელიც თავად გრძნობების ამ სამყაროს შესაძლებელს ხდის იმის წყალობით, რომ იგი საშუალებას აძლევს თავისი თავიდან წარმოქმნას გრძნობები. შეუძლებელია ეს სამყარო დაეშვას ხილულის სფეროში, რამდენადაც ის მთლიანად უნდა უსწრებდეს მას.

ასე იხსნება განსჯის პერსპექტივა გრძნობადი სამყაროს მიღმა არსებულ სხვა სამყაროზე, რომელიც შეუძლებელია, თავად აღიქვა გრძნობებით, მაგრამ რომლისგანაც ამოიზრდება გრძნობადი სამყარო, როგორც ყოფიერების ზღვიდან, რომელიც მის მიღმა ძევს. სითბოს გრძნობა აღიქვამს სითბოს, სითბოს მიღმა კი ძევს რაღაც, რასაც წარმოქმნის სითბოს გრძნობა. თვალები აღიქვამს სინათლის წყალობით, სინათლის მიღმა კი ძევს რაღაც, რაც ადამიანს მიეცა გრძნობების წყალობით და იმით, რაც თვალებს აყალიბებს. საჭიროა, იპოვონ განსხვავება იმ სამყაროს, რომელიც ადამიანს მიეცა გრძნობების წყალობით, და იმას შორის, რომელიც ამის საფუძველში ძევს. თუმცა, ამ უკანასკნელ სამყაროზე, მარტოოდენ განსჯიდან გამომდინარე, იქნებ არაფრის თქმა არ შეიძლება? შეიძლება რაღაცის თქმა, თუ გავიხსენებთ შემდეგს. გარე სამყაროსთან ადამიანის ურთიერთმიმართების

წყალობით, როგორც ის გადაეცემა გრძნობადი აღქმით, ადამიანის შიგნით წარმოიქმნება წარმოდგენების, ემოციებისა და ვნებების სამყარო. ზუსტად ასევე შეიძლება იფიქრო ადამიანის მიმართებაზე სხვა, ნაგულისხმევ სამყაროსთან. მისი წყალობით ადამიანში წარმოიქმნება გრძნობადი აღქმის ორგანოები. ყველაფერში, რაც გრძნობად სამყაროში განიცდება, ადამიანი მონაწილეობს საკუთარი „მე“-თი, რომელშიც გრძნობადი განცდების საფუძველზე მშვინვიერი სამყარო თავის თავს ქმნის. ყველანაირი გრძნობადი აღქმის უცილობელი წინამორბედი გრძნობადი ორგანოების წარმოქმნა უნდა ხდებოდეს იმ რეალობის სფეროში, რომელშიც გრძნობად აღქმას შეჭრა არ შეუძლია. (სრულებითაც არ ღირს შეჩერება საწინააღმდეგო აზრზე, რომელიც შეიძლება წამიერად მოუვიდეს თავში ნებისმიერს, რომ ადამიანს მაინც შეეძლებოდა სხვა არსებაში გრძნობის ორგანოების შექმნის დაკვირვება. იმას, რისი აღქმაც მას აქ შეუძლია, იგი ხომ სწორედ გრძნობების დახმარებით აღიქვამს. ალბათ, შესაძლებელია დაკვირვება, როგორ წარმოიქმნება ჩაქუჩი, თუ ამავე დროს არ სარგებლობ ამ ჩაქუჩით, თუმცა, აშკარაა, რომ შეუძლებელია იმის დაკვირვება, როგორ წარმოიქმნება გრძნობების ორგანო, რაღაც მსგავსის გამოყენების გარეშე).

სრულიად სამართლიანია, ითქვას, რომ გრძნობის ორგანოები უნდა აიგოს რაღაც სამყაროდან, რომელიც თავად არის *ზეგრძნობადი*. ხოლო გრძნობადი აღქმების დახასიათებული არსი ამ სამყაროზე შემდგომი მსჯელობისთვის ამოსავალ წერტილს იძლევა. რამდენადაც გრძნობის ორგანოები, ბოლოს და ბოლოს, აღმოჩნდება შედეგი ამ სამყაროს მოქმედებისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოქმედება მრავალმხრივია. ის, თითქოსდა, ზემოქმედებს ადამიანზე იმდენი მხრიდან, რამდენი გრძნობის ორგანოც არსებობს. ამ სამყაროს ნაკადები იღვრება ჭაში, რომელიც გრძნობის ორგანოებში ძევს, ასე რომ, ადამიანს შეუძლია, საკუთარი მშვინვიერი ცხოვრებისთვის საზრდო ამ ჭებიდან მოიპოვოს. რამდენადაც, ამ ჭებიდან მოპოვებული ბოლოს და ბოლოს თავს „მე“-ში იყრის; მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მხრიდან მოდის, იგი საჭიროა თავდაპირველად მაინც გამომდინარეობდეს ისეთი რამისგან, რაც თავის თავში განუყოფლად მოქმედებს. განსხვავებუ-

ლი გრძნობადი აღქმები „მე“-ში თავს იყრიან რაღაც ერთიანობაში. ისინი ამ ერთიანობაში რაღაც ერთი მთლიანობის სახით წარმოგვიდგება. სამშენიველს გრძნობად აღქმებში ურტყამს ის, რომ თავად „მე“-ს შინაგანი ცხოვრება იქიდან მოცილებულია. აქედან ცხადია, რომ გრძნობადი სამყაროს მიღმა არსებობს მოქმედების იმდენივე ზეგრძნობადი წყარო, რამდენი გრძნობის ორგანოც არსებობს. მოქმედების ეს წყაროები იხსნება საკუთარი *ქმედების* წყალობით, რომელიც გრძნობის ორგანოების შექმნაში მდგომარეობს.

ამრიგად, მოქმედების ამგვარი წყაროების სფერო მოიცავს ამ წყაროების რაოდენობას, რომლებიც გრძნობის ორგანოთა რაოდენობის ტოლია. უნდა ითქვას, რომ ამ სფეროს ყველაზე გარეგნული საზღვრები შეიძლება გამოჩნდეს „მე“-ს მეშვეობით, ერთი მხრივ, და „შეხების გრძნობის“ მეშვეობით, მეორე მხრივ, თუმცა, *როგორც შეხების გრძნობა, ასევე „მე“-ც ნაკლებად შეიძლება, საკუთრივ გრძნობათა ცხოვრებას მიეკუთვნოს\**. ის, რაც მიეკუთვნება „მე“-ს, გამოეყო გრძნობის აღქმებს, შესაბამისად, წარმოადგენდა მთლიანად შინაგან განცდას და აღარ შეიძლებოდა მისი გრძნობათა აღქმებისთვის მიკუთვნება. თუმცა, ის მაინც მიეკუთვნება გრძნობათა *ყველანაირი* აღქმის არსებობას. მაშასადამე, გრძნობათა თითოეული ორგანო, გამომდინარე ზეგრძნობადი სამყაროდან, მიდრეკილი უნდა იყოს, დაფაროს რაღაც, რასაც „მე“-განცდად ქცევის უნარი აქვს. შეხების გრძნობა კი გარკვეულწილად საპირისპირო სახის განცდებს აყენებს. ამ გრძნობის წყალობით ობიექტზე გამოთქმული წარმოადგენს ისეთ რამეს, რაც მთლიანად ადამიანის გარეთაა განლაგებული. შესაბამისად, ადამიანი მთლიანი სახით, ზეგრძნობადი სამყაროდან გამომდინარე, საჭიროა აიგოს ისე, რომ მან, შეხების განცდის საფუძველზე, საკუთარი თავი მის გარეთ არსებულ სამყაროს დაუპირისპიროს.

გრძნობადი განცდების საფუძველზე ადამიანის მშენივერი ცხოვრების ფორმირებას თუ დავაკვირდებით, მაშინ გრძნობის ორგანოები აღმოჩნდება მყარი წერტილების სახით რაღაც გარემოცვაში; „მე“ კი წარმოჩნდება მოძრავი, რომელიც ამ გარემოცვის სხვადასხვაგვარი გავლის მეშვეობით მშენივერ განცდებს მოიპოვებს. ეს არის ადამიანის ორგანიზმის მთლი-

ანი აგებულება, რამდენადაც ის ვლინდება გრძნობის ორგანოებში და ზეგრძნობად სამყაროში საკუთარ მიზეზებზე მიუთითებს. გრძნობის რამდენი ორგანოცაა, იმდენივე ასეთი მიზეზია. ამ მიზეზების სფეროს შიგნით კი არის ერთიანი ზეგრძნობადი პრინციპი, რომელიც ვლინდება ორგანიზებულობაში, მიმართული „მე“-ერთიანობაზე.

შემდგომი დაკვირვება აჩვენებს, რომ გრძნობის ორგანოების აგებაში გამოვლენილი ზეგრძნობადი მოღვაწეობა სრულიად განსხვავებული სახით ქმნის. სამ სფეროში: გრძნობათა ცხოვრება, საკუთარი მოძრაობის გრძნობა და წონასწორობის გრძნობა, – მოქმედება მომდინარეობს ადამიანის სხეულებრიობის შიგნიდან და თვით კანის მიჯნამდე ვლინდება. ყნოსვის, გემოს, მხედველობის, სითბოსა და სმენის გრძნობებთან მოქმედების ეს სახე ასევე არსებობს, თუმცა მათთან ერთად მოქმედებს სხვა, რომელსაც უნდა მიეწეროს სხეულებრიობის გარედან შიგნით მიმართულება. მაგ., ადამიანური ორგანიზმის წევრს წარმოადგენს სმენის ორგანო, რომლის შიგნითაც უნდა მოქმედებდნენ ძალები, რომლებიც შეესაბამებიან საერთო სხეულებრივი არსების ამ ორგანოს გეშტალტს. მაგრამ გარედან უნდა მოდიოდნენ ბგერების სამყაროში დაფარული ზეგრძნობადი ძალები, რომლებიც ამ ორგანოს სწორედ ისე აყალიბებენ, რომ ის ტონისთვის არის შემთვისებელი. ამრიგად, სხეულებრივი გრძნობის ხუთი ორგანოსთვის თითქოსდა მონიშნულია ძალების შეხვედრა ადამიანის სხეულის ზედაპირზე: სხეულის შიგნიდან ძალები მოქმედებენ გარეთ და გრძნობის ცალკეულ ორგანოებს, მთლიანი ორგანიზმის არსის თანახმად აყალიბებენ; მათ შესაგებებლად მოსული ძალები გარედან შიგნით მოქმედებენ და ისე აღბეჭდავენ ორგანოებს სხეულში, რომ ისინი გარე სამყაროს მრავალფეროვან გამოვლინებებს ეგუებიან; ცხოვრების გრძნობის, საკუთარი მოძრაობის გრძნობისა და წონასწორობის გრძნობისთვის ამ ორი მიმართულებიდან არსებობს მხოლოდ ერთი, რომელიც შიგნიდან გარეთ ისწრაფვის. შემდეგ აღმოჩნდება, რომ მეტყველებისა და გაგების გრძნობებთან მიმართულება შიგნიდან გარეთ ჩამოცილდება. მათთვის ამგვარად აღწერილი ზეგრძნობადი მოღვაწეობა ისე ვლინდება, რომ ის მათ ფორმირებასთან დაკავშირებით სამშინველის შინაგან ცხოვრებას მიეახლება.

რამდენადაც ახლა „მე“ აუცილებელია ზემოაღწერილი სახით დავინახოთ, ასევე იმ ზეგრძობადი ძალებისკენ მიდრეკილი, რომლებიც ქმნიან გრძობებს, შეიძლება ითქვას, რომ „მე“-ში ეს არსებები საკუთარ ბუნებას ყველაზე კარგად ავლენენ. თუმცა, ამ „მე“-ში ეს საკუთარი ბუნება თითქოს ერთ წერტილშია შემჭიდროებული. თუ განვიხილავთ „მე“-ს, მაშინ ის ერთ ადგილზე გვაჩვენებს რაღაც არსს, რომელიც, მთელი სიხვედრით გავრცელებული, დავანებულია ზეგრძობად სამყაროში და იქიდან თავის თავს მხოლოდ საკუთარ ქმედებებსა და გრძობების შექმნაში ავლენს. თვით ამ მიმართებაში შეხების გრძობა „მე“-ს საპირისპირო აღმოჩნდება. ამ გრძობაში ზეგრძობადი სამყაროდან, ან, თუ გნებავთ, გარეგნული ზეგრძობადი სამყაროდან ვლინდება ის, რაც შეუძლებელია ადამიანის შინაგან განცდად იქცეს, მაგრამ რომლის მეშვეობითაც შესაბამისი შინაგანი განცდები იხსნება.

ანთროპოლოგია გრძობის ორგანოებს აღწერს, როგორც ხილულ მოვლენებს. ამას კი სრულად შეესაბამება ის, რომ ის ჯერაც არ მიუთითებს განსაკუთრებულ ორგანოებზე სიცოცხლის გრძობისთვის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობისთვის. შიგნიდან გარეთ მოქმედი ზემოთ დახასიათებული ძალები ადამიანს აყალიბებენ სწორედ, როგორც გრძობათა ერთიან ორგანიზმს, რომელიც თავს ინახავს და თავად განიცდის საკუთარ თავს. გრძობის ამ სამი სფეროს ორგანოები გარკვეული სახით მთელ სხეულებრიობაზეა განფენილი. ანთროპოლოგები მხოლოდ წონასწორობის გრძობასთან დაკავშირებით მიუთითებენ ნახევრადწრიული ფორმის სამ არხზე, როგორც გრძობის ორგანოთა განსაკუთრებულ ნიშანზე, რამდენადაც ამ გრძობით ადამიანი შედის ელემენტარულ ურთიერთობაში გარე სამყაროსთან, კერძოდ სივრცობრივ მიმართულებებთან. შუაში განლაგებული ხუთი გრძობისთვის არსებობს განსაკუთრებული ორგანოები, რომლებთან მიმართებით იოლად უნდა აღიარონ, რომ მათ ფორმირებაში ზემოთ დახასიათებული უნარები სხვადასხვა მეთოდით ერთობლივად მოქმედებენ გარედან შიგნით და შიგნიდან გარეთ. (სითბოს გრძობასთან დაკავშირებით ანთროპოლოგებთან თუნდაც ჯერ კიდევ არსებობდეს გარკვეული ეჭვი გრძობის გარეგნული ორგანოს გამო, ეს ეჭვი ალბათ მაინც

მოიხსნება პროგრესული მეცნიერების მიერ). ხმისა და გაგების გრძნობისთვის შეუძლებელია გარეგნული ორგანოების ისეთივე სახით აღწერა, როგორც სხვა ორგანოებისთვის, ვინაიდან, ეს ორგანოები უკვე იქაა განლაგებული, სადაც სხეულებრივი ცხოვრება ეფლობა მშვიდობიანად. შეხების გრძნობის ორგანოებს კი მეცნიერება ყოველთვის დიდ როლს ანიჭებს, ვიდრე ეს უნდა იყოს ზემოაღნიშნული განსჯის თვალსაზრისით. ის მოქმედებს ისე, რომ ობიექტთან შეხებისას ადამიანი, გარკვეულწილად, უკან იხევს თავის თავში და იკეტება შინაგან სხეულებრივ განცდაში გარე სამყაროს სფეროების წინაშე, რომელიც ამ გრძნობას შეესაბამება. ამრიგად, მთელ სხეულებრივ ზედაპირზე გავრცელებულ სტრუქტურებში, რომელთაც შეხების ორგანოებად მიიჩნევენ, აუცილებელია ვადაიროთ რაღაც, რაც არსებითად უკავშირდება სხეულებრივი ზედაპირის განრიდებას გარე სამყაროს შეხებისგან. შესაბამისად, შეხების ორგანოები სინამდვილეში ადამიანური სხეულებრივი ფორმის შინაგანი ნაწილებისთვის მაფორმირებელს წარმოადგენენ. ისინი სხეულს ანიჭებენ ფორმას, რომლის წყალობითაც ის თავის თავში იკეტება გარე სამყაროსაგან, რომელიც მას ყველა მხრიდან ეხება. (აღვილებში, სადაც შეხების ორგანოები ავლენენ უდიდეს მგრძობელობას, ადამიანი გარე სამყაროს ეკიდება სხვაგვარად, ვიდრე ნაკლებად მგრძობიარე აღვილებში. ის თითქოსდა ქმნის გარე სამყაროს წინააღმდეგ ერთ ან მეორე ბარიერს მეტ-ნაკლები ხარისხით: აქედან ამჩნევენ, რომ გარკვეული მიმართებით სხეულის ფორმა არის სხეულის ზედაპირის სხვადასხვა აღვილზე შეხების ორგანოთა თავისებურების შედეგი).

#### IV. სასიცოცხლო პროცესები\*

ახლა ადამიანის გრძნობათა ცხოვრებაში სხვა რამ ჩანაწევრდება. მასში ასევე შეიძლება რამდენიმე სფერო განვასხვაოთ. უპირველეს ყოვლისა, იბადება აზრი პროცესზე, რომლის წყალობითაც ნარჩუნდება სხეულის შინაგანი ცხოვრება: ეს არის *სუნთქვა*. ამ პროცესში სხეულებრივი ცხოვრება გარე სამყაროს ეხება; ის დგას გარე სამყაროს წინაშე იმგვარად, როგორითაც ვერ შეძლებს არსებობის გაგრძელებას, თუ მისგან ძალას არ მიიღებს. ამ სიტყვებით დაახლოებით გამოხატულია ის, რაც ადამიანს ეხსნება სუნთქვის პროცესში, თუმცა გარეგნული მეცნიერების შედეგებში შედწევის გარეშე. ეს უკანასკნელი ანთროპოლოგიას განეკუთვნება. აქ დახასიათებული ადამიანი კი, ცხოვრების შეწყვეტის დაკვირვებისას, უშუალოდ საკუთარ ცხოვრებაში განიცდის ჰაერის უკმარისობას და ა. შ. – ამ სფეროს მომდევნო პროცესი შეიძლება აღინიშნოს, როგორც *ვათბობა*. ამ პროცესით ადამიანს მიეცა თავისი სხეულებრივი ცხოვრებისთვის განივითაროს სრულიად განსაზღვრული ხარისხის სითბო საკუთარი სხეულის შიგნით, რომელიც არაა დამოკიდებული იმ პროცესებზე, რომლებიც განსაზღვრავენ მისი გარემოცვის სითბოს, არამედ იმათზე, რომლებსაც ადგილი აქვთ მის გარემოცვაში და იქ ინარჩუნებენ საკუთარ სითბოს გარკვეული საზღვრების შიგნით, როგორც არ უნდა ფორმირდებოდეს გარეგნული სითბო. – ასეთი სახის მესამე პროცესს წარმოადგენს *კვება*. ამის წყალობით სხეულებრივი ცხოვრება ისეთ დამოკიდებულებაში შედის გარე სამყაროსთან, რომ მის მიერ მოხმარებული ნივთიერებები კვლავ ანაზღაურდება. კვების ამ მდგომარეობას საჭიროა, შეუერთდეს მეოთხე პროცესი. უკვე პირში ჩადებისთანავე პროდუქტი ურთიერთქმედებაში შედის ნერწყვთან, რომელიც სხეულისგან გამოიყოფა. ასეთივე პროცესი შემდეგ საჭმლის მომწელებელ ტრაქტშიც ხდება. ის შეიძლება, ამ სფეროს მეოთხე პროცესად აღინიშნოს – ესაა *სეკრეცია*. აქ თვითჭვრეტა სხეულში აჩვენებს, რომ ამ პროცესთან დაკავშირებულია სხვა. საჭმლის მონელებას ემსახურება სეკრეცია, რომელშიც გამოყოფილს უნარი აქვს კვების პროდუქტები გარდაქმნას მხოლოდ ისე, რომ ისინი შეიძლება სხეულის სი-

ცოცხლით იქნეს აღქმული. გარდა ამისა, ადამიანმა უნდა გამოეცხოს ის, რასაც შეუძლია ამ სხეულებრივ ცხოვრებაში შესვლა. მან ისე უნდა გარდაქმნას საკვები ნივთიერებები, რომ ისინი მოემსახუროს მისი სხეულის აგებას. ამის საფუძველში ძვეს პროცესი, რომელიც უკვე დახასიათებული სეკრეციის ფარგლებს სცდება. ამ პროცესს საჭიროა *შენარჩუნების პროცესი (Erhaltungsprozess)* ეწოდოს – მომდევნო პროცესი გამოვლინდება, თუ ყურადღებას ადამიანის ზრდა-განვითარებას მივაპყრობთ. ეს აღემატება მარტოოდენ შენარჩუნებას. შენარჩუნების პროცესს, რომელიც სხეულს შესაძლოა, დატოვებდა ისეთს, როგორსაც ის წარმოადგენს დროის რაღაც განსაზღვრულ მომენტში, ემატება სხვა, რომელიც შეიძლება აღინიშნოს, როგორც *ზრდის პროცესი*. შენარჩუნებისა და ზრდის პროცესები თავის დამთავრებას აღწევენ იმით, რომ მზა სხეული ადამიანში სრულიად განსაზღვრულ ფორმას წარმოადგენს. ადამიანის შიგნიდან ფორმირებას სრულიად განსაზღვრულ ფორმაქმნადობაში საჭიროა ეწოდოს – *წარმოქმნა*. მაშინ გამრავლება წარმოგვიდგება, როგორც ამ წარმოქმნის გამეორება. თავად სხეულის კუთვნილი წარმოიქმნება ისე, რომ ადამიანთან შეერთებული რჩება; გამრავლებისას წარმოქმნილი გარეთ ვლინდება. ვინაიდან, აქ საუბარია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანზე, როგორც თავის თავში ჩაკეტილ სხეულებრივ ინდივიდუალობაზე, ამიტომ გამრავლების პროცესი მხედველობაში არ მიიღება.

პროცესებს, რომლებიც აქ აღინიშნა, როგორც სუნთქვა, სითბო, კვება, სეკრეცია, შენარჩუნების, ზრდისა და წარმოქმნის პროცესები, ადამიანში უერთდება შინაგანი განცდები, მსგავსად იმისა, როგორც „მე“-ში შინაგანი განცდები უერთდება გრძნობადი აღქმის პროცესებს. სუნთქვას, სითბოს და კვებას უერთდება ემოციური განცდები, რომელთაც ნაკლებად ამჩნევენ მათ ზომიერ მდგომარეობაში, მაგრამ რომლებიც მაშინვე ვლინდება, თუ ეს მდგომარეობები დაირღვევა ამა თუ იმ მხარეს. თუ სუნთქვას არ შეუძლია სათანადო სახით წარმოქმნა, მაშინ დგება შიშისა და ამის მსგავსის მდგომარეობა. სითბოს მდგომარეობის დარღვევა თავის თავს ავლენს შეცივების ან სიცხის მდგომარეობაში. კვების დარღვევა ვლინდება შიმშილსა და წყურვილში. შეიძლება ითქვას, რომ სუნთქვას-



თან, სითბოსა და კვებასთან დაკავშირებულია შინაგანი განცდები, რომლებიც ვლინდება, როგორც კარგი გუნება-განწყობის, სიამოვნების რაღაც სახე და ა. შ. ეს განცდები აქ ყოველთვის არსებობს; ისინი ძვეს იმის საფუძველში, რაც რაიმე დარღვევისას მოელი სისავსით ავლენს თავს უძლურების სახით, ცუდ გუნება-განწყობაში, შიმშილში და ა. შ. თუმცა ჭეშმარიტი გაცნობიერება აჩვენებს, რომ მსგავსი ემოციური განცდები მჭიდროდაა დაკავშირებული ასევე სეკრეციასთან, შენარჩუნების პროცესთან, ზრდისა და წარმოშობის პროცესთან. შეგვიძლია გავიხსენოთ, როგორ გამოიყოფა ჭარბი ოფლი საშინელებისა და შიმშის შემთხვევაში; ასევე შეიძლება, შევთანხმდეთ, რომ ასეთი სახის გამონაყოფი, რომელიც შესაბამის საზღვრებში მიედინება, მჭიდროდ არის დაკავშირებული რაღაც ემოციასთან, რომელიც გამოიხატება ზოგად სიამოვნებაში, ისევე, როგორც შეიძლება ვაღიაროთ, რომ ნებისმიერ გამონაყოფს თან ახლავს რაღაც ემოციური მდგომარეობა, რომელიც ცნობიერების ყურადღების მიღმა რჩება მანამ, სანამ ის ნორმალურად მიედინება. შემდგომი გაცნობიერება აჩვენებს, რომ მსგავსი ემოციური განცდები მჭიდროდაა დაკავშირებული შენარჩუნების პროცესთან, ზრდისა და წარმოქმნის პროცესთან. შესაძლებელია, მაგ., შევიგრძნონ, რომ ახალგაზრდული ემოციის ენერგია წარმოადგენს იმის გამოხატულებას, რაც შინაგან განცდებში ზრდას უკავშირდება.

ეს შინაგანი ემოციური განცდები წარმოადგენს რაღაც ისეთს, რაც ადამიანში სუნთქვის, სითბოს, ზრდისა და მსგავს პროცესებს უკავშირდება, როგორც „მე“-ში გრძნობად აღქმებთან დაკავშირებული შინაგანი განცდები უპირისპირდება ამ აღქმის პროცესებს. აქედან გამომდინარე შეიძლება საუბარი იმაზე, რომ, როგორც, მაგ., სუნთქვა ადამიანში მჭიდროდ არის დაკავშირებული განცდასთან, ასევე სმენაც მჭიდროდაა დაკავშირებული განცდასთან, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ტონი. ოღონდ სიმკვეთრის ხარისხი, რომლითაც შინაგანად განიცდება გარეგნული გრძნობადი აღქმები, გაცილებით მაღალია, ვიდრე ის ხარისხი, რომელიც ზემოაღნიშნულ შინაგან განცდებს შეესაბამება. გარკვეულწილად „მე-ადამიანში“ ან მის ქვეშ იგულისხმება სხვა, შინაგანი განცდებისგან თავისი თავის შემქმნელი, ისევე, როგორც ქმნის

„მე-ადამიანი“ თავის თავს გარეგნული გრძნობადი აღქმების განცდისგან. „მე-ადამიანის“ ქვეშ არსებულ ამ ადამიანს ნამდვილად მხოლოდ მაშინ ამჩნევენ, როცა საკუთარი განცდების დარღვევით ის „მე-ადამიანში“ თავის თავს ავლენს. თუმცა, როგორც არ შეიძლება გრძნობადი აღქმის პროცესის შერევა მისგან გამოყოფილ პროცესთან „მე“-ში, ასევე არ შეიძლება ამის გაკეთება, მაგ., სუნთქვის პროცესთან და შინაგან განცდებთან (ემოციური ბუნების) მიმართებით, რომლებიც ამ პროცესთან არიან გაერთიანებულნი. ძალზე მაცდური იქნებოდა, საერთოდ არ ვლიარებინათ ამ შინაგანი პროცესების თავისებურებები და ეთქვათ, რომ ამათსა და იმათ შორის, რომლებიც ვითარდებიან გრძნობადი აღქმების გავლენით, საერთოდ არ არსებობს არანაირი განსხვავება. ახლა აუცილებელია, ვადიაროთ, რომ შინაგანი განცდების ორივე სახეს შორის განსხვავებას არ გააჩნია არანაირი განსაკუთრებული სიმკვეთრე, მაგ., ცხოვრების გრძნობისთვის და შინაგანი ემოციური განცდისთვის სუნთქვის ან სითბოს პროცესთან. თუმცა უფრო ზუსტი დაკვირვების წყალობით ის ადვილად უნდა გამომჟღავნდეს, თუ დააფიქსირებენ შემდეგს. გრძნობად განცდებს მოეთხოვება, რომ განსჯას შეეძლოს მასთან შეერთება მხოლოდ „მე“-ს მეშვეობით. ყველაფერი, რასაც ადამიანი განსჯის გავლენით ახორციელებს, თუ ეს ეხება გრძნობად აღქმებს, მაშინ უნდა ხდებოდეს ისე, რომ განსჯა „მე“-ს შიგნით იქნება გამოტანილი. მაგ., აღიქვამენ ყვავილს და ასკვნიან: ეს ყვავილი მშვენიერია; ასეთ შემთხვევაში გრძნობად აღქმასა და დასკვნას შორის „მე“-ს აყენებენ. ხოლო ის, რაც გამოწვეულია შინაგან განცდებში სუნთქვის, სითბოს, კვებისა და ა. შ. პროცესებით, ეს თავისთავად, „მე“-ს ჩარევის გარეშე, მიუთითებს რაღაც განსჯის მსგავსზე. შიმშილის განცდაში უშუალოდ ძვეს მითითება რაღაც შიმშილის შესაბამისზე და ის დაკავშირებულია მასთან ისე, როგორც ადამიანი აკავშირებს გრძნობად აღქმასთან იმას, რაც წარმოიქმნება დასკვნის გამოტანის შემდეგ ამ გრძნობადი აღქმების პასუხად. როგორც მსჯელობის დროს „მე“-ს მოქმედება აკავშირებს რაღაცას გრძნობად აღქმასთან, ასევე რაღაც გარეგნულის იერი აღმოჩნდება დაკავშირებული შიმშილთან, თუმცა „მე“ ამ დაკავშირების ორგანიზებას არ ახდენს. ამიტომ ამ გაერთიანებას შე-

იძლება ეწოდოს ის, რაც თავის თავს ინსტინქტურად ავლენს. სწორედ რაღაც მსგავსს აქვს ადგილი ყველა შინაგანი განცდისთვის, რომლებიც სუნთქვის, კვებისა და ზრდის პროცესებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამიტომ, აუცილებელია დავინახოთ განსხვავება სუნთქვის სიამოვნებას, სითბოს ჯანსაღ გრძნობასა, – რამდენადაც ისინი წარმოადგენენ შინაგან ინსტინქტურ პროცესებს, – და ცხოვრების გრძნობის აღქმებს შორის, რომელიც მათ შეესატყვისება. ცხოვრების გრძნობის სფეროს მისაღწევად, საჭიროა ინსტინქტურის ტალღამ გარკვეულწილად ჯერ „მე-ადამიანი“-სკენ გააღწიოს. – ამრიგად, საჭიროა, „ასტრალურ ადამიანს“ მიეწეროს შინაგანი განცდების სტრუქტურა, რომელიც ხსენებული პროცესების მეშვეობით „მე-ადამიანის“ მიღმა თამაშდება. სახელთან „ასტრალური ადამიანი“ ამუამინდელ მომენტში კვლავ არ უნდა დავაკავშიროთ რაიმე სხვა, გარდა იმისა, რაც აქ არის მითითებული. და როგორც „მე-ადამიანი“ იღებს „გრძნობადი სამყაროდან“ საკუთარ განცდებს გრძნობის ორგანოების დახმარებით, ასევე იღებს „ასტრალური ადამიანიც“ იმ სამყაროდან, რომელიც მას სუნთქვის, ზრდისა და ა. შ., პროცესების დახმარებით მიეცა. ამ სამყაროს ჯერჯერობით „სასიცოცხლო სამყარო“ უნდა ეუწოდოთ.

ვინაიდან, „სასიცოცხლო სამყარო“ უნდა მიეცეს, სასიცოცხლო ორგანოები, სავარაუდოდ, საჭიროა აიგოს იმ სამყაროდან გამომდინარე, რომელიც განლაგებულია ყველანაირ სიცოცხლეზე ზევით, მსგავსად იმისა, როგორც ძალები გრძნობის ორგანოების შექმნისთვის განლაგებულია ხილული სამყაროს მიღმა. ეს სამყარო კვლავ ავლენს თავის თავს საკუთარი ზემოქმედებებით, სასიცოცხლო ორგანოების აგებით. სასიცოცხლო პროცესების ცალკეული სფერო: სუნთქვა, სითბო, კვება და ა. შ., შეიძლება აღინიშნოს, როგორც მითითება ამ სამყაროს ასეთივე მრავალ სფეროზე. მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ სასიცოცხლო პროცესების სფერო ნაკლებად მკაცრად არის გამიჯნული ერთმანეთისგან, ვიდრე გრძნობათა აღქმების სფერო. გემოს გრძნობის სფერო, მაგ., მკაცრად არის გამოყოფილი მხედველობის გრძნობისგან; სასიცოცხლო პროცესების სფეროები უფრო ახლოს არიან განლაგებული, ისინი უფრო მეტად გადადიან ერთი მეორეში. სუნთქვა გადადის სითბოში, ეს უკანასკნე-

ლი – კვებაში. ამიტომ ანთროპოლოგია გრძნობადი აღქმებისთვის, არსებითად, გრძნობის განცალკევებულ ორგანოებს აჩვენებს; სასიცოცხლო პროცესებისთვის ის აჩვენებს ორგანოებს, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის. ასე, მაგ., სუნთქვის უმთავრესი ორგანო ფილტვი მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლის მოძრაობის ორგანოებთან, რომლებიც სითბოს წარმოქმნიან; ესენი თავის მხრივ ერწყმიან საჭმლის მონელების ორგანოებს, რომლებიც შეესაბამება კვებას და ა. შ. – ეს არის მითითება იმაზე, რომ იმ სამყაროს შესაბამისი სფეროები, რომელშიც სასიცოცხლო ორგანოების შემქმნელი ძალებია, ასევე სხვა მიმართებაში დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ძალები გრძნობის ორგანოების აგებისთვის. პირველნი ერთმანეთთან მიმართებით გარკვეულწილად უფრო მოქნილები არიან ამ უკანასკნელებზე. მაგ., გემოს გრძნობის განცდა შეიძლება შეგვხვდეს სმენის გრძნობის განცდასთან მხოლოდ საერთო „მე“-ში, რომელსაც ისინი მიეკუთვნება. სამაგიეროდ ზრდის შეგრძნება თავისთავად ხვდება იმას, რაც სუნთქვის პროცესში ვლინდება. ზრდის ენერჯის შეგრძნება სუნთქვაში, სითბოში და ა. შ., ვლინდება გაძლიერებული შინაგანი ცხოვრების წყალობით. ამ სახის თითოეული ემოციური განცდა ემთხვევა იმავე სახის სხვა განცდას. გრძნობადი აღქმების სფერო კი ისეთი აღმოჩნდა, რომ მათთვის შეიძლებოდა იმ გარემოცვის ხატის გამოყენება, რომელზეც დავანებულება ცალკეული სფეროები, მაშინ, როცა „მე“ ყველაზე ლივლივებს. სასიცოცხლო პროცესებისთვის, ზემოთქმულიდან მომდინარეობს სხვა სიმბოლო. მათი წარმოდგენა შეიძლება ისე, რომ ყველა მათგანი წარმოადგენს მოძრავს და თითოეულს შეუძლია გადაირბინოს ნებისმიერზე.

თუმცა გრძნობად აღქმებსა და სასიცოცხლო პროცესებს შორისაც ასევე არსებობს მკაფიო დამოკიდებულება. დააკვირდით სუნთქვის პროცესს და შეაფარდეთ ის სმენის აღქმასთან. ორივე შემთხვევაში გარე სამყაროს უპირისპირდება შესაბამისი სხეულებრივი ორგანო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გარე სამყაროში ვლინდება რაღაც, რასაც მიმართება აქვს, როგორც ერთთან, ისე მეორესთან. ეს მხოლოდ გვაჩვენებს, რომ ჰაერში, მაგ., რაღაც ორგვარი ვლინდება; პირველი განეკუთვნება სუნთქვის ორგანოს ფორმირებას, რომელიც სხეულის სამსახურში ჩაყენებული, მეორე კი სმენის ორგანოს აგებას. შეიძლება

ვაღიაროთ, რომ სმენის ორგანოს მაფორმირებელი ძალები თავიდანვე უნდა იყოს, ვიდრე სმენის ორგანოს წარმომქმნელი ძალები. ვინაიდან, ფორმირებულ ადამიანურ სხეულში ყველაფერი ორმხრივ დამოკიდებულებაშია. ადამიანური სმენის ორგანოს განვითარება შიგნიდან გარეთ შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სუნთქვის ორგანოს აქვს უშუალოდ ისეთი მიდრეკილება, რომელიც სწორედ რომ ვლინდება. ორგანიზმიდან გარე სამყაროს შესაგებებლად ვითარდება აგრეთვე სუნთქვისა და სმენის ორგანოები. ამრიგად, სუნთქვის ორგანო მხოლოდ შინაგან სხეულებრივ ცხოვრებას ემსახურება, სმენის ორგანო კი უნდა მოერგოს გარე სამყაროს, ბგერის სფეროს. შესაბამისად, სხეულიდან სუნთქვის ორგანოს ამოზრდაში ყურადღება უნდა გამახვილდეს თავად სხეულის თვისებაზე; სმენის ორგანო საჭიროა ამოიზარდოს ისე, რომ გარეგნულ ბგერით სამყაროს შეესაბამებოდეს. სმენის ორგანოს მოწყობამდე სხვა რაიმეს აუცილებლობა არ არის; ის შინაგან მაფორმირებელ ძალებთან შესაბამისობაში იზრდება. თუმცა, სმენის ორგანო უნდა ამოიზარდოს უკვე არსებული ჩანასახის შესაგებებლად. გარე სამყაროსთან მისი შეგუება წინ უნდა უსწრებდეს შინაგანი სხეულებრივი ცხოვრებიდან მის ამოზრდას. ამით ვლინდება, რომ აღქმის ორგანოში სმენის ორგანოს მაფორმირებელი ძალები განეკუთვნება სამყაროს, რომელიც სხვასთან შედარებით უფრო მაღალის წინამორბედი, ამ სხვაში კი არის ძალები, რომლებიც ვლინდება როგორც ასეთი და სხეულისგან აყალიბებს სმენის ორგანოსაც და სუნთქვის ორგანოსაც. – მსგავსი რამ შეიძლება, ვაჩვენოთ ასევე სხვა გრძნობად აღქმებზე და სასიცოცხლო პროცესებზე. ყურადღება მიაქციეთ გემოს გრძნობას. მასთან მიმართებით სეკრეცია შეიძლება, დავაყენოთ ისეთსავე დამოკიდებულებაში, როგორც სუნთქვის პროცესი სმენის გრძნობასთან. ნერწყვი შეიცავს იმას, რაც შლის კვების პროდუქტებს და ამის წყალობით ისინი გემოთი შეიგრძნობა. წარმოდგენილის მსგავსმა მსჯელობამ შეიძლება, გამოავლინოს სეკრეციის ორგანოების მაფორმირებელი ძალების უფრო გვიანდელი წარმოქმნა, იმ ძალებთან შედარებით, რომელთა წყალობითაც გემოს გრძნობა წარმოიქმნება.

შესაბამისად, ამგვარი მსჯელობის თვალსაზრისით ადამიანში შეიძლება, აღვიქვათ ზეგრძნობადი მაღალი არსება, რომლის ძალებიც, მაგ., თავისი ზემოქმედებით, თავს იჩენს ადამიანური გრძნობის ორგანოების შექმნაში. შეიძლება ასევე აღვიქვათ სხვა არსება, რომლის ზემოქმედებებიც ადამიანის სასიცოცხლო ორგანოების მშენებლობისას ვლინდება. ეს უკანასკნელი სამყარო „ასტრალურ ადამიანს“ შეიგრძნობს საკუთარი ინსტინქტური შინაგანი განცდების სახით. პირველი ეძლევა „მე-ადამიანს“, როგორც ხილული რეალობა (გრძნობადი სამყარო). თუმცა შეუძლებელია, გრძნობის ორგანოების მეშვეობით ასტრალურ ადამიანში უშუალოდ მიხვიდე, როგორც პირველი, ისე მეორე სამყაროს გამოცხადებასთან.

ითქვა, რომ „მე“-ში ზეგრძნობადი სამყარო ვლინდება მის თავისებურებაში თითქოსდა ერთ წერტილში შემჭიდროებული; სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება, ვაღიაროთ, რომ მითითებული სამყაროებიდან მეორე ვლინდება „ასტრალური ადამიანის“ ემოციურ განცდებში, რომლებიც შეიძლება, აღინიშნოს, როგორც სასიცოცხლო ინსტინქტები. ამ განცდებში ვლინდება რაღაც, რომელთანაც ერთიანდებიან „ასტრალური ადამიანის“ სხვა ინსტინქტური განცდები და ავლენენ ზეგრძნობადი სამყაროს ხატს იმავე აზრით, როგორითაც წარმოდგენს მსგავსი სამყაროს ხატს „მე-ადამიანი“.

„მე-ადამიანი“ და „ასტრალური ადამიანი“ წარმოდგენენ ადამიანური არსების ორ ნაწილს, რომლებიც თავის თავს შინაგან პროცესებში განიცდიან. „მე-ადამიანის“ განხორციელებისთვის ზეგრძნობადი სამყაროს ძალები გრძნობის ორგანოებს აგებენ. ვინაიდან, ადამიანის სხეული არის გრძნობის ორგანოების მატარებელი, ის აგებულია ზეგრძნობადი სამყაროდან გამომდინარე. გრძნობის ორგანოების ამ მატარებელს ახლა შეგვიძლია, *ადამიანის ფიზიკური სხეული* ვუწოდოთ. „მე-ადამიანი“ მას მსჭვალავს, რათა მისი დახმარებით გრძნობად სამყაროში იცხოვროს. აქედან გამომდინარე, ადამიანის ფიზიკურ სხეულში აუცილებელია დავინახოთ რაღაც არსება, რომელიც აგებულია ძალებით, რომლებიც თავიანთი თვითმყოფადობით თავად „მე“-ს მონათესავეებია. გრძნობადი სამყაროს შიგნით ადამიანის ფიზიკური სხეული შეიძლება, გვეჩვენოს მხოლოდ თავის ხილულ გამოვლინებაში. თავისი შინაგანი

რეალობის შესაბამისად ის ზეგრძობადი სახის არსებას წარმოადგენს. „ასტრალური ადამიანის“ განხორციელებისთვის სასიცოცხლო ორგანოები აგებენ სხვა სამყაროს, რომელიც ზემოთ დახასიათებულ ზეგრძობად სამყაროს „სასიცოცხლო სამყაროს“ სახით უერთდება. ამ სამყაროს ძალები იმ განცდების მონათესავეა, რომლებიც „ასტრალურ ადამიანს“ სასიცოცხლო ინსტინქტებში გააჩნია. ზემოთ მითითებული აზრით გრძობად სამყაროში თავის თავს ავლენს ის, რაც ფიზიკურ ადამიანს აშენებს. სასიცოცხლო ორგანოების ამგები ძალები შეიძლება, ფიზიკურ სამყაროში მხოლოდ სასიცოცხლო პროცესებში გამოვლინდნენ. ვინაიდან, ისინი ქმნიან სასიცოცხლო ორგანოებს და სასიცოცხლო პროცესის გამოვლენა მხოლოდ ასეთის მეშვეობით შეიძლება. თავად სასიცოცხლო ორგანოები აღქმის ორგანოებს არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ სასიცოცხლო ორგანოების ამგები ძალები რჩება გრძობადი აღქმის მიღმა, არამედ ამ ძალების გამოვლენაც თავად ადამიანში არ შეიძლება, გახდეს ხილული და შესაძლოა, იყოს მხოლოდ ემოციური ინსტინქტური განცდა. ამ გამოვლინებას ახლა შეიძლება, „ადამიანის ეთერული სხეული“ ეწოდოს. („ეთერულის“ ქვეშ აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ აქ ნახსენები და არა ის, რასაც ფიზიკაში „ეთერს“ უწოდებენ). როგორც ადამიანის ფიზიკური სხეული განეკუთვნება „მეადამიანს“, ასევე განეკუთვნება „ადამიანის ეთერული სხეულიც“ „ასტრალურ ადამიანს“. ფიზიკური სხეული თავისი არსით ისეა მოწყობილი, რომ ის „მე“-ს გრძობად განცდებს გადასცემს; „ეთერული სხეული“ შეიძლება „ასტრალურმა ადამიანმა“ უშუალოდ მხოლოდ ემოციურად განიცადოს. უნდა იყოს ასეთი მიმართება: „მე“ ისევე ეკიდება ადამიანის ფიზიკურ სხეულს, როგორც „ასტრალური ადამიანი“ – „ადამიანის ეთერულ სხეულს“. ამრიგად, სასიცოცხლო პროცესები გულისხმობს იმ ძალების არსებობას, რომლებსაც თავად ისინი არ ემსახურებიან, თუმცა მათ ეგუებიან, აყალიბებენ რა გრძობის ორგანოებს, მაგ., სმენის ორგანოს, განცდის თვალსაზრისით სხეულიდან ამოსვლით; გრძობის ორგანოები კი, პირიქით, გულისხმობს სასიცოცხლო ორგანოებს, ნარჩუნდება რა მათი პროცესების წყალობით.

მაშასადამე, შეგვიძლია განვასხვაოთ: 1. ზეგრძობადი სამყარო, რომელშიც არიან განლაგებული ძალები გრძობათა ორგანოების შექმნისთვის. 2. ზეგრძობადი სამყარო, რომელშიც იმყოფებიან ძალები სასიცოცხლო ორგანოების შექმნისთვის. ეს სამყარო გულისხმობს პირველს; აქედან გამომდინარე პირველს შეიძლება, ზენა სულიერი სამყარო ეწოდოს, უკანასკნელს კი – ქვედა სულიერი სამყარო. 3. სამყარო, რომელშიც ასტრალური ადამიანი ისეთ მიმართებაში იმყოფება სასიცოცხლო პროცესებთან, რომ ეს უკანასკნელი მასში სასიცოცხლო ინსტინქტების სახით ვლინდება. სასიცოცხლო ინსტინქტები გულისხმობს სასიცოცხლო პროცესებს, შესაბამისად, მეორე სამყაროს. ამ მესამე სამყაროს ასტრალურ სამყაროს ვუწოდებთ. 4. სამყარო, რომელშიც „მე-ადამიანის“ გრძობადი განცდები გრძობის ორგანოების წყალობით ვლინდება, არის ფიზიკურ-გრძობადი სამყარო.

ზენა სულიერი სამყაროდან წარმოიქმნა ადამიანის ფიზიკური სხეული, რამდენადაც ის არის გრძობის ორგანოების მატარებელი. ქვედა სულიერი სამყაროდან ფორმირებულია ადამიანის „ეთერული სხეული“, რამდენადაც ის კვლავ აგებს სასიცოცხლო ორგანოებს. ასტრალურ სამყაროში „ასტრალური ადამიანი“ ხედება სასიცოცხლო პროცესებს, რამდენადაც ისინი სასიცოცხლო ინსტინქტებში ვლინდება. ფიზიკურ სამყაროში „მე-ადამიანი“ ხედება გრძობად განცდებს, რომლებიც წარმოადგენენ გარე სამყაროს (ბგერა, ტონი, სითბო, სინათლე და ა. შ.), რამდენადაც გრძობადი განცდები ვლინდება, როგორც გრძობადი სამყარო.



## V. პროცესები ადამიანის შინაგანში

ზემოთ „ასტრალური ადამიანი“ განვიხილეთ მისი მხოლოდ ემოციური განცდების მხრიდან, როგორც სასიცოცხლო ორგანოებში მიმდინარე პროცესების ანასახის მეთოდი. თუმცა ეს განცდები არაა ერთადერთი, რაც მისთვისაა დამახასიათებელი. ამ განცდებს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ადამიანის *მოძრაობის უნარი*. ადამიანი საკუთარ სხეულს გადაადგილებს არა მარტო იმპულსის მოთხოვნით, რომელიც სასიცოცხლო პროცესების საფუძველზე თამაშდება. მოძრაობისკენ იმპულსი ძვეს შინაგან ცხოვრებაში, თუ ის სასიცოცხლო პროცესებისგან დამოუკიდებელია. თუმცა ამის გაცნობიერება აჩვენებს, რომ ეს იმპულსები „მე-ადამიანის“ იმპულსებს მუდმივად არ უნდა მისდევდნენ; ისინი იწყება, როგორც ინსტინქტური განცდები და ამით განეკუთვნება იმავე სფეროს, რასაც ინსტინქტური განცდები, რომელიც უკავშირდება სასიცოცხლო პროცესებს, ანუ – „ასტრალურ ადამიანს“. შემდეგ „ასტრალური ადამიანის“ ასეთი განცდის სახით წარმოჩნდებიან ისინი, რომლებიც შეიძლება, აღინიშნოს, როგორც ინსტინქტური სურვილები. სურვილები გრძნობადი აღქმების საფუძველზე წარმოიქმნება. თუმცა გრძნობად აღქმებთან მიმართებით თვითცნობიერება აჩვენებს შემდეგს. გრძნობადი აღქმა, როცა ის აღქმულია „მე-ადამიანის“ მიერ, უპირველეს ყოვლისა, წარმართავს განსჯისკენ. ეს განსჯა, თუ მას მიჰყავს სურვილისკენ, შემდეგ „ასტრალურ ადამიანზე“ მოქმედებს. „მე-ადამიანში“ ჩნდება განცდა: გრძნობადი აღქმა ძალზე ღირებულია; მის მიმართ ინტერესი იღვიძებს. ახლა კი ეს ინტერესი სურვილში თუ გადაიზრდება, მაშინ განსჯა „ასტრალური ადამიანის“ იმპულსმა უნდა მოიცვას. გარდა ამისა, სურვილები წარმოიქმნება სასიცოცხლო პროცესებთან დაკავშირებული განცდების საფუძველზე. თუმცა, ზემოთ მითითებული ემოციური განცდები ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სურვილებს. შიმშილის განცდა ჯერაც არ არის სურვილი. მსგავსი განსჯის ფორმით ის მხოლოდ სასიცოცხლო პროცესებზე მიუთითებს. სურვილი არის დამოუკიდებელი განცდა, რომელსაც „ასტრალური ადამიანი“ შიმშილის შეგრძნებასთან აკავშირებს. ამასთან ერთად არსებობს სურვილები, რომლებიც

განფესვილია(ფესვგადგმულია) „ასტრალურ ადამიანში“ და არაა სტიმულირებული სასიცოცხლო პროცესებით ან გარეგნული აღქმებით. ზოგიერთი მიდრეკილება მიეკუთვნება სფეროს, რომელიც ასეთი სურვილებისგან ამოიზრდება. „ასტრალური ადამიანის“ დამოუკიდებელი განცდების მესამე სახე გამოვლინდება, თუ დაფიქსირდებიან, როგორ ერთგვება კიდევ რაღაცა გრძნობის ორგანოების აღქმის პროცესსა და „მე-ადამიანის“ განცდას შორის. ეს არის „ხატი“, რომელიც პირველის საფუძველზე გრძნობების განცდასა და „მე“-ს შორის ურთიერთგაცვლის მსვლელობის დროს წარმოიქმნება. გრძნობების განცდა წარმავალია. ის გრძელდება მანამ, სანამ გრძნობის ორგანო ობიექტზეა მიმართული. „ხატი“ რჩება, მაგრამ ეს „ხატი“ არაა ისეთი რამ, რაც თავად განსჯას, „მე“ მოქმედებას განეკუთვნება. და მაინც, განსჯა მხოლოდ ამ „ხატის“ საფუძველზე შეიძლება. „ხატი“ მოიცავს „ასტრალური ადამიანის“ და არა „მე-ადამიანის“ განცდას. ამ „ხატს“ ასევე შეიძლება, ეწოდოს *შეგრძნება*, თუ ამ სიტყვას მივაკუთვნებთ თავად გრძნობად განცდას და არა მის შინაარსს. ამ თვალსაზრისით *შეგრძნებები* წარმოადგენს „ასტრალური ადამიანის“ დამოუკიდებელი განცდების მესამე სახეს. – როგორც ფიზიკურ ადამიანთან მიმართებით საუბრობენ გრძნობის ორგანოებზე, „ეთერულ ადამიანთან“ მიმართებით – სასიცოცხლო ორგანოებზე, ასევე მართებთ „ასტრალურ ადამიანთან“ მიმართებით ისაუბრონ მოძრაობის იმპულსებზე, სურვილებსა და შეგრძნებებზე. ორგანოები ამ განცდებისთვის შეუძლებელია, წარმოიშვას თავად „ასტრალური ადამიანისაგან“, რამდენადაც „ასტრალურ ადამიანს“ ჯერ უნდა გააჩნდეს ისინი, სანამ მას განცდა შეეძლება. ეს ორგანოები უნდა წარმოიქმნას სამყაროდან, რომელიც „ასტრალური ადამიანის“ გარეთ მდებარეობს. რამდენადაც „ასტრალურ ადამიანს“ შეგრძნებებში, სურვილებსა და მოძრაობაში გააჩნია ისეთი განცდები, რომელთა იმპულსებიც თავად მასშია განფესვილი და გარკვეულწილად ის არის დამკვირვებელი იმისა, რაც უნდა გაიშალოს თავად მასში, ამიტომ შესაბამისი ორგანოების წარმოქმნელი ძალებიც, შეიძლება, წარმოიქმნას მხოლოდ იმ სფეროდან, რომლისგანაც არის წარმოშობილი მთელი „ასტრალური ადამიანი“. ამის შესაბამისად უნდა იყოს ნაგულის-

ხმევი სამყარო, რომელიც მართალია „ასტრალური ადამიანის“ გარეთაა განლაგებული, მაგრამ მაინც არსობრივად მას ემსგავსება. თუ როგორია ეს სამყარო, აქ ეს შეიძლება ასევე გაიხსნას „ასტრალური ადამიანის“ იმ განცდიდან, რომელიც ყველაზე უშინაგანესია. ასეთად შეიძლება, ვაღიაროთ „შეგრძნების“ ან „ხატის შეგრძნების“ განცდა ზემოხსენებული აზრით. სურვილებში და მოძრაობის იმპულსებში, პირიქით, გააჩნიათ რაღაც, რასაც გაჰყავს შინაგანი განცდების მიღმა. სურვილებიც და მოძრაობის იმპულსებიც ალბათ აღძრულია სამყაროდან, რომელიც ჰგავს „ასტრალური ადამიანის“ სურათ-ხატების სამყაროს, რომელთა აგებისას ის სახეხეა, როგორც „ასტრალური ადამიანი“. ახლა შეიძლება ერთმანეთისგან განვასხვაოთ „ასტრალური ადამიანი“, როგორც ის განიცდის თავის თავს „სურათ-ხატებში, სურვილებსა და მოძრაობის იმპულსებში და ის „ასტრალური ადამიანი“, რომელიც არის მოძრაობის იმპულსისა და სურვილის მიღმა განლაგებული სამყაროს გამოცხადება. პირველისგან განსხვავებით ამ „ასტრალურ ადამიანს“ საჭიროა ეწოდოს ადამიანის „ასტრალური სხეული“. ის ისევე ნაკლებად შეიძლება, გრძნობადად აღიქვან, როგორადაც „ეთერული სხეული“, ვინაიდან, მან შექმნა არა ორგანოები ფიზიკური აღქმისთვის, არამედ მხოლოდ შეგრძნების, სურვილისა და მოძრაობის იმპულსის მსგავსი. მოძრაობის იმპულსსა და სურვილთან მიმართებით ისედაც ნათელია, რომ არანაირი ხილული აღქმის გადმოცემა მათ არ შეუძლიათ; თუმცა, ამის აღიარება მართებთ თვით შეგრძნებასთან მიმართებით, რამდენადაც ის „ასტრალური სხეულის“ შემქმნელ ძალებთან ერთგვაროვანია. ამასთან, თვით გრძნობადი განცდის წყალობით წარმოქმნილი „ხატიც“ ამ განცდას გამოეყოფა და რჩება „ასტრალური ადამიანის“ შინაარსის სახით; როგორადაც იაზრებენ ცალკეულ „ხატებს“, ასევე უნდა გაიაზრონ „ასტრალური ადამიანის“ ორგანოების შემქმნელი ძალებიც. არა ისეთის, როგორიცაა გრძნობადი აღქმა. ცხადია, სანამ ეს „ხატი“ წარმოუდგენიათ ისე, თითქოს მისი შინაარსი მოვიდა გრძნობადი განცდისგან, არ შეიძლება, ასევე სწორად წარმოიდგინონ ძალები, რომელთაგანაც „ასტრალური სხეული“ წარმოიქმნა. ვინაიდან, *ასეთი* ხატის წარმოქმნისთვის აუცილებელია გრძნობების ორგანო. აქ

საჭიროა მსგავსი სახის, ოღონდ სხვა წარმოშობის ხატზე დაფიქრება. ასეთი სახისაა ფანტაზიის ხატი. სანამ ფანტაზიის ხატი მომდინარეობს მხოლოდ „მე-ადამიანის“ პირადი თვითნებობისგან, მას, ბუნებრივია, ხსენებული სამყაროს დახასიათებისთვის მხედველობაში ვერ მივიღებთ. ის უნდა მომდინარეობდეს *სინამდვილიდან*, რომელიც „მე-ადამიანის“, ასევე „ასტრალური ადამიანის“ გარეთ ძვეს. ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება, წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, როგორ უნდა შექმნილიყო „ასტრალური სხეული“. აღნიშნული მითითებების შესაბამისად, ის წარმოადგენს სურათ-ხატების სხეულს, რომელიც ფესვგადგმულია რეალობაში და თავისი თავიდან სურვილისა და მოძრაობის ძალებს აღძრავს.

გრძნობის განცდების შესატყვის სფეროებში მოცემული იყო ხატოვანი წარმოდგენა გარემოცვის სახით, რომელზეც განაწილებულია ცალკეული ძალები, რომლებიც ვლინდება გრძნობის ორგანოებში, როგორც მათი ქმედებები. სასიცოცხლო პროცესების შესატყვის სფეროებში ხატი შეიძლება, აირჩეს ისე, რომ ცალკეული შესაბამისი ძალები ერთიმეორის ზემოთ ერთდროულად მოძრაობდნენ. *საჭიროა* ითქვას, ერთიმეორის ზემოთ ერთდროულად“, („*übereinander hinlaufen*“), რამდენადაც ცალკეული პროცესები *ერთმანეთს არ მსჯავლავენ*. მაგ., სუნთქვა უახლოვდება შენახვის, მუდმივობის) პროცესს, ვინაიდან, ამ უკანასკნელის მეშვეობით განუწყვეტლივ უნდა წარმოიქმნას სუნთქვის ორგანო. მაგრამ სუნთქვის პროცესი ხდება უცვლელი იმით, რომ სუნთქვის პროცესი განიცდის მუდმივობის პროცესის ამგვარ ზეგავლენას. ორივე მსვლელობა: სუნთქვისა და მუდმივობის პროცესები მოქმედებენ ერთმანეთის გვერდის ავლით. მოძრაობის, სურვილისა და „ხატოვანების შეგრძნების“ პროცესებთან ეს სხვაგვარად ხდება. ეს სამი პროცესი მოქმედებს შემდეგი სახით. ხატოვანების შეგრძნებები ქმედითად ავლენენ თავს სურვილებში, სურვილები კი ცხოვრებას მოძრაობის იმპულსებში აგრძელებენ. აქედან გამომდინარე, სამართლიანი იქნება, ითქვას: როცა შეგრძნების ხატი ხვდება სურვილის ძალას, მაშინ პირველი იჭრება უკანასკნელში და სურვილში ცხოვრებას აგრძელებს შეგრძნების ხატი. მაშასადამე, სურვილი შეგრძნებასთან ერთად ცხოვრებას მოძრაობაში აგრძე-

ლებს. ამრიგად, შეიძლება მკაფიოდ ვაჩვენოთ იმ სამყაროს ძალები, რომლისგანაც წარმოქმნილია „ასტრალური სხეული“, თუ მათ გავიაზრებთ ძალთა სამი ფორმის სახით: ის ფორმა, რომელიც შეესაბამება შეგრძნების ხატს, რომელიც ზემოქმედებს წარმონაქმნზე, გადმღვრის სურვილებს, და ფორმა მოძრაობისთვის, რომელშიც ცხოვრებას აგრძელებს ორი პირველი ფორმის ზემოქმედება.

ახლა იოლია, ვაღიაროთ, რომ სამყარო, რომელზეც აქ ითქვა, რომ მისგან მომდინარეობს „ასტრალური სხეული“, წინა თავეში აღწერილი „ასტრალური სამყაროს“ მსგავსია. დასაწყისში სასიცოცხლო ინსტინქტებში უნდა გადავიდეს მარტოოდენ სასიცოცხლო პროცესები, რათა „ასტრალურ ადამიანში“ იმპულსად იქცეს. ამრიგად, სასიცოცხლო ინსტინქტები, ხატ-სახეთა შეგრძნებები, სურვილები და მოძრაობის იმპულსები განეკუთვნება „ასტრალურ ადამიანს“, რამდენადაც ეს „ასტრალური ადამიანი“ უკვე გულისხმობს ქვედა სულიერ სამყაროს, თავად კი „ასტრალური სამყაროდან“ არის წარმოქმნილი.

## VI. მემბანცლა

ადამიანის მიერ თავად „მე“-ს განცდაში არაფერია ისეთი, რაც გრძნობადი პროცესით არის აღძრული. პირიქით, „მე“ თავის საკუთარ განცდებში აღიქვამს გრძნობადი პროცესების შედეგებს და საკუთარი შინაგანი, უშუალო „მე-ადამიანის“ სტრუქტურას მათგან იქმნის. ამრიგად, ეს „მე-ადამიანი“ მთლიანად შედგება განცდებისგან, რომელთაც თავისი დასაბამი აქვთ „მე“-ს გარეთ და მაინც შესაბამისი გრძნობადი განცდების თანახმად არსებობას „მე“-ში განაგრძობენ. მაშასადამე, ისინი შესაძლოა მე-განცდაში გარდაიქმნან. წარმოდგენა იმაზე, ეს როგორ ხდება, შეიძლება მივიღოთ, თუ განვიხილავთ ე. წ. შეხების გრძნობის განცდას. შეხების გრძნობისას მე-განცდაში გარე სამყაროს საგნისგან არაფერი შედის. „მე“, გარკვეულწილად, თავის საკუთარ არსებას ასხივებს გარეგნულ ობიექტთან შეხების ადგილამდე და შემდეგ შეხებისთანავე აიძულებს ამ საკუთარ არსებას თავის თავში დაბრუნდეს. უკუფენილი საკუთარი არსება წარმოქმნის შეხების აღქმის შინაარსს. „მე“ მაშინვე რატომ არ აცნობიერებს შეხების აღქმას, როგორც საკუთარ შინაარსს? იმიტომ, რომ ამ შინაარსმა მიიღო კონტრდარტყმა მეორე მხრიდან, გარედან და ახლა ბრუნდება ისეთი, როგორც ის გარე სამყაროს ამ დარტყმამ აღბეჭდა. ამრიგად, „მე-შინაარსი“ უკან მიბრუნდება ანაბეჭდით, რომელიც გარედან მიიღო. ამიტომ „მე“ აღიქვამს გარე სამყაროს გარკვეულ თავისებურებას, როგორც თავისი შინაარსის თვისებას. მხოლოდ განსჯის მეშვეობით არის შესაძლებელი იმაში დარწმუნება, რომ ეს ნამდვილად შინაგანი მე-განცდებაა, რომლებმაც გარე სამყაროს თავისებურება საკუთარ ფორმაში უბრალოდ აღიქვეს. – ახლა დავუშვათ, რომ „მე“-ს განცდას შეეძლებოდა გარეგნულ ობიექტთან შეხება. ის ასხივებს თავის არსს და მე-განცდა უნდა აისახოს შეხების მომენტამდე. მაშინ „მე“-ს შიგნით უნდა წარმოიქმნას განცდა, რომელიც შეხების განცდის მსგავსია; მხოლოდ „მე“-ს უფრო სუსტი წინააღმდეგობის წყალობით მისი განცდის პროცესში შედის რაღაც, მაგ., მასში გარეგნული იჭრება. ყნოსვის პროცესი ნამდვილად შეიძლება, დავახასიათოთ, როგორც ამგვარი პროცესი. – თუ დარტყმა გარედან ისე ძლიერ

რია, რომ გარეგნული გამოსხივება მე-განცდაში აღიბეჭდება, მაშინ შეჭრა გარედან მოხდება, და თუ წინააღმდეგობას გარკვეულწილად განცდის მხოლოდ შინაგანი პროცესი უწევს, მას შეუძლია, გარე სამყაროს თავისებურებისგან ჩაიკეტოს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მე-განცდის პროცესმა თავის თავში აღიქვა ნაკადები გარედან, ის უკვე ატარებს მას თავის თავში, როგორც საკუთარ შინაგან არსებას. ასეთივე სახით შეიძლება, გემოს გრძნობაც დავახასიათოთ. მაგრამ თუ „მე“ გარეგნულ ყოფიერებას მიაგებებს არა თავისი საკუთარი განცდების თავდაპირველ ნაკადს, არამედ ისეთ არსებას, რომელიც თავად „მე“-მ გარედან აღიქვა, ამ შემთხვევაში შინაგან განცდაზე გარე ყოფიერებიდან შეიძლება, აღიბეჭდოს რაღაც თვისება, რომელიც გარედან თავიდანვე იყო შეტანილი შინაგანში. მაშინ გარე სამყარო აღიბეჭდება შინაგან განცდაში, რომელმაც დასაწყისში გარე სამყაროდან შიგნით ჯერ თავად გადაინაცვლა. ასეთად წარმოგვიდგება მხედველობის გრძნობა. მასთან მიმართებით ხდება ისე, თითქოს გარე სამყაროს ეს უნდა განეხორციელებინა თავისი თავისთვის მე-განცდის შიგნით. თავიდან მან თითქოსდა ადამიანში გაგზავნა თავისი არსების რაღაც წევრი, რათა შემდეგ ამ წევრზე აღებეჭდა თავისი განსაკუთრებულობა. – ახლა კი დაუშვათ, რომ გარე სამყარო თითქოსდა მთლიანად ავსებს მე-განცდის პროცესს იმით, რაც მან გრძნობის ორგანოების დახმარებით შინაგანში გაგზავნა; მაშინ შინაგანი აგრძელებს გრძნობად აღქმაში გარეგნულის დამახასიათებელი თვისების აღქმას, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი განცდა და გარე სამყარო ერთმანეთს უპირისპირდება. შემდეგ კი გარე სამყაროს მხრიდან შეჭრა ვლინდება, როგორც რაღაც ერთგვაროვანი შინაგანთან. გარეგანსა და შინაგანს „მე“ განიცდის, როგორც ერთგვაროვანს. ასე ხდება სითბოს გრძნობაში. ახლა სითბოს გრძნობის განცდა შევადაროთ გათბობის სასიცოცხლო პროცესს. სითბოს შთაბეჭდილება საჭიროა მივიღოთ რაღაც, მსგავსად იმ სითბოსი, რაც განიცდება საკუთრივ შინაგანში და მას ავსებს.

ყნოსვის, გემოსა და მხედველობის გრძნობებთან დაკავშირებით საუბარი შეიძლება მე-განცდაში გარე სამყაროს რაღაც შეჭრაზე. სითბოს გრძნობის მეშვეობით შინაგანი ცხოვრება გარე სამყაროს თავისებურებით ივსება. წონასწორობის,

საკუთრივ მოძრაობისა და სიცოცხლის გრძნობებთან დაკავშირებით გრძნობადი აღქმა თავის თავზე შიგნიდან გვაუწყებს. მათი მეშვეობით „მე“ განიცდის თავის შინაგან ფიზიკურ განხორციელებას.

სმენის გრძნობასთან დაკავშირებით ადგილი აქვს სხვა რამეს. აქ გარეგნული არსება მე-განცდას საშუალებას აძლევს, თავის თავს მიეახლოს უკვე არა ისე, როგორც, მაგ., შეხების გრძნობას. გარეგნული არსება მე-განცდის შიგნით არ ინერგება, როგორც ეს ხდება ყნოსვის, გემოსა და მხედველობის გრძნობებთან, არამედ თითქოსდა გასხივოსნდება მე-განცდებით, და ის საშუალებას აძლევს მათ, მას მიეახლონ. მხოლოდ მაშინ უპირისპირებს ის საკუთარ ძალებს მათ. ამის წყალობით გარე სამყაროში „მე“-მ უნდა განიცადოს რაღაც თავისი თავის გაფართოების მსგავსი, კერძოდ ამ მე-განცდის გარეთ გადაადგილება. ასეთი მიმართება შეიძლება, ვალიაროთ სმენის გრძნობასთან დაკავშირებით. (თუ ვინმე აბსტრაქტულად არ შეაპირისპირებს, ის არ შეეწინააღმდეგება, რომ, მაგ., თავისი თავის ასეთი გავრცობა ხდება ასევე მხედველობის გრძნობასთან. ტონის აღქმა მნიშვნელოვნად განსხვავდება მხედველობითი აღქმისგან. მე-განცდა, როგორც ასეთი ფერში არსებობს სხვა აზრით, ვიდრე ტონში). მე-განცდის ეს განვრცობა გარემომცველ სამყაროში კიდევ უფრო მაღალ დონეზე მოცემულია ბგერის გრძნობასა და ცნების გრძნობაში.



## VII. სამყარო, რომელიც ბრძნობის ორბანოების საფუძველში ძვეს

„ასტრალური ადამიანის“ დასახასიათებლად საჭიროა, მივუთითოთ ტრიადაზე: შეგრძნება-ხატი, სურვილი და მოძრაობის იმპულსი. „მე-ადამიანი“ თავს ავლენს, როგორც ერთიანობა, რამდენადაც ის უშუალოდ განიცდის საკუთარ თავს თავისივე გრძნობის პროცესებში. როგორც წინა განხილვა აჩვენებს, ყველა გრძნობადი განცდა წარმოადგენს განსხვავებულ მოდიფიცირებულ ან ხარისხებად დაყოფილ მე-განცდებს. საკუთრივ „მე“-ს განცდის პროცესში ადამიანი უშუალო ურთიერთობაში იმყოფება ზეგრძნობად სამყაროსთან. სხვა მე-განცდები მას ორგანოების მეშვეობით ეუწყება. გრძნობადი სფეროების მრავალფეროვნებაში მე-განცდები ორგანოების დახმარებით ვლინდება. ორი ორგანოს, – წარმოდგენის (ცნების) გრძნობისა და ბგერის გრძნობის, – მაგალითზე ახლა უკვე შეიძლება, გარკვეულ დონეზე იოლად მივადევნოთ თვალი გრძნობადი უნარების განვითარებას. რომელიმე წარმოდგენის აღქმის პროცესში აღმოჩნდება, რომ ეს ახალი წარმოდგენა ადამიანის მიერ აღიქმება წინა ცხოვრებაში მოპოვებული წარმოდგენით. ადამიანი აღმოჩნდება გონიერი მასთან მოსულ წარმოდგენასთან მიმართებით იმ დონით, როგორც იგი ადრე ამა თუ იმ წარმოდგენას აღიქვამდა. ამრიგად, წარმოდგენის, ცნების გაგების პროცესი მდგომარეობს ადამიანის მიერ თავისი თავის გახსნაში და უკვე არსებული ცნებით ორგანიზმის აღქმულ სტრუქტურაში ჩაფლობაში. იქ განვითარებული ცხოვრება იშლება გარეთ და ფესვგადგმულია ცნებით ორგანიზმში. – მსგავს რამეს ადგილი აქვს ბგერის გრძნობისთვისაც. ადამიანი იხსნება ახალი ბგერითი მნიშვნელობისთვის იმდენად, რამდენადაც მან უკვე აითვისა სხვა მნიშვნელობები. ადამიანი თავის თავში ნამდვილად ატარებს წარმოდგენით (ცნებით) და ბგერით ორგანიზმებს. ორივე უკვე უნდა არსებობდეს, სანამ წარმოდგენითი და ბგერითი ორგანიზმების წყალობით მე-განცდა გააქტიურებას შეიძლება. მე-ადამიანს არ შეუძლია ამ წარმოდგენითი და ბგერითი ორგანიზმების აგებაზე გავლენა მოახდინოს გრძნობათა ცხოვრებაში ჩადებული ძალების მეშვეობით. ასევე აუცილებელია მესამეც. თავისი

განცდის პროცესს „მე“ ავითარებს გარკვეულწილად ყველა მიმართულებით. განცდის ამ პროცესში მას თავად საკუთარი თავის განცდა არ შეუძლია. მისი საკუთარი განცდა თვითგანცდას უნდა ეწინააღმდეგებოდეს. თავის თავს იგი უპირისპირებს საკუთარი თავის შეგრძნებას. აქ ჩანს: სამი ორგანიზმის მეშვეობით „მე“-ს შესაგებებლად მიაქვთ – მე-შეგრძნება, წარმოდგენისა და ბგერის გრძნობის განცდა. დანარჩენ ორს შეიძლება ასევე მე-ორგანიზმიც მიეწეროს. თუ მივყვებით ზემოაღწერილ მძლავრ ხატს, მაშინ შეიძლება, ითქვას, რომ მე-განცდა ყოველმხრივ ვითარდება; ერთ მხარეს ის ფესვადგმულია მისივე მსგავს ზეგრძნობად სამყაროში და ისწრაფვის წარმოდგენის ორგანიზმისა და ბგერის ორგანიზმისკენ ისე, რომ მისი საკუთარი განცდების განვითარება მას ეგებება, თითქოსდა მას გაშლისკენ მიჰყავდეს მე-ორგანიზმი, ცნების (წარმოდგენის) ორგანიზმი და ბგერის ორგანიზმი, მსგავსად ყვავილისა. – ახლა კი ადამიანს თუ წარმოვიდგენთ გრძნობადი სამყაროს არსებად, რომელთანაც მიერთებულია ხსენებული მიმართულება, მაშინ მართებთ დაფიქრება დაპირისპირებულობაზე – ზევით და ქვევით. „ზევიდან ქვევით“ არის ერთი მიმართულება, რომელზეც მე-განცდის განვითარებაა შესაძლებელი. „ქვევიდან ზევით“ ამ გაშლას თავის თავს უპირისპირებს მე-ორგანიზმი, რომლის შესაგებებლად მე-განცდა აღმოცენდება. როგორც მცენარესთან არის დაკავშირებული ყვავილები ღეროების მეშვეობით, როცა ის იშლება ქვევიდან ზევით, ასევე უერთდება ზევიდან ქვევით წარმოდგენისა და ბგერის ორგანიზმები „მე-ორგანიზმს“. ზემოაღნიშნულის შემდეგ ახლა სამართლიანია ითქვას, რომ დასაბამისეული მე-განცდა ვითარდება ზეგრძნობადი სამყაროდან, ამიტომ მე-ორგანიზმის, წარმოდგენისა და ბგერის წარმოქმნა შეიძლება მივიღოთ ისე, რომ მათ განხორციელებაში მუშაობენ ძალები, რომელთაც აქვთ ერთნაირი მასალა, არსებული მე-განცდაში. ოღონდ ისინი ამ მასალას შენებისთვის იყენებენ იმ წარმონაქმნებში, რომლებიც უკვე უნდა არსებობდნენ იქ, როცა მე-განცდა გრძნობადად აღიქმება. აქედან მაშინვე ნათელია ის, რომ ადამიანის მე-განცდა მომდინარეობს ზეგრძნობადი სამყაროდან, მაგრამ მისი აღქმა შეიძლება მხოლოდ ორგანიზმში განფესვის შემთხვევა-

ში, რომელიც თავისი მოწყობით წარმოადგენს მე-ორგანიზმს, წარმოდგენის ორგანიზმს და ბგერის ორგანიზმს. მეტიც, შეიძლება ითქვას: ესაა ერთი ორგანიზმი, რომელიც ვითარდება საკუთარი გრძნობის ამ სამ ორგანოში. ამის განვრცობისთვის საჭიროა, გავითვალისწინოთ „ასტრალური სხეულის“ ზემოთ მოცემული აღწერა. მის არსებაზე მიუთითებს ასტრალური ადამიანის შეგრძნება-ხატი, სურვილი და მოძრაობის იმპულსი. ახლა შეიძლება, იოლად შევთანხმდეთ, რომ მე-ორგანიზმში მოცემულია შეგრძნება-ხატი, რომელიც გრძნობადი განცდის მეშვეობით არ წარმოქმნილა. ვინაიდან, მე-ორგანიზმი, არსებითად, თავად მე-განცდაა, დაპირისპირებული საკუთარ თავთან საწინააღმდეგო მიმართულებით. წარმოდგენის (ცნების) ორგანიზმში შეიძლება გამოვლინდეს ძალები, რომლებიც იშლება, როგორც სურვილი ადამიანის შინაგანში – ასტრალურ ადამიანში. ზუსტი თვითგაცნობიერება ხდება მიზიდულობაში, რომელიც ცნების ამ ორგანიზმს გააჩნია ხელახლა შემოსული ცნებისთვის, რომელიც სურვილი ცნების ამ ორგანიზმისთვის იოლად შესაძენია. მსგავსი რამ კი სამართლიანია ბგერის ორგანიზმისთვის. აქედან გამომდინარე, „ასტრალური სხეულის“ მოღვაწეობის შემეცნება შეიძლება მე-ორგანიზმის, ცნებისა და ბგერის ორგანიზმების განხორციელებაში.

დავუშვათ, რომ არსებას, რომელიც „მე“-ს განიცდის არა შინაგანში, როგორც მაგ., ადამიანი, არამედ მას აკვირდება გარედან, შეეძლებოდა მე-ორგანიზმის, ბგერისა და ცნების ორგანიზმების წარმოქმნის დაკვირვება. ასეთი არსება თავად მე-განცდის პროცესს, ალბათ, ისე აღიქვამს, რომ ის საშუალებას არ აძლევს თავის თავში შემოვიდეს რაიმე მე-განცდის ამ პროცესისგან, არამედ მიდის მხოლოდ მიჯნამდე და ამ მიჯნაზე მე არსებას თავად ასახავს უკანვე მასში. ჩანს, რომ ამით მოცემულია ე. წ. შეხების გრძნობის საპირისპირო. ისევე, როგორც „მე“-სთან გამოგონილი (შვილობილი) არსების მიმართება. თუმცა, რამდენადაც შეხების გრძნობაში „მე“ შეხების მეშვეობით აღძრავს მხოლოდ თავის საკუთარ განცდებს, ანუ განიცდის მხოლოდ თავის საკუთარ შინაარსს, ამიტომ ნაგულისხმევი არსება მე-განცდებში შეიტანს საკუთარ შინაარსს, ასე რომ, ეს შინაარსი მე-განცდის შიგნით მე-

აღქმაში გარდაიქმნება. ამრიგად, თუ „მე“ თავად აღიქვამს თავის თავს, მაშინ ეს ხდება მისი მოღვაწეობის შედეგად, რომელიც შინაარსით ერთგვაროვანია მის საკუთარ განცდასთან და საკუთარი განცდისგან განსხვავდება იმით, რომ ის აჩვენებს მას საკუთარ არსებას გარედან, მაშინ, როცა „მე“-ს ამ არსების განცდა მხოლოდ თავის თავში შეუძლია. – გაგების გრძნობასთან ის გამოგონილი არსება „მე“-სთან შეხებისას არა მარტო ასახავს ცნების განცდას, არამედ უკან სწევს მათ მე-განცდის პროცესში, ასე რომ, ისინი აქ ფორმირდებიან ცნებითი ორგანიზმის სტრუქტურაში. ამ ცნებითი განცდებისთვის არაა საჭირო რაიმეს დამატება, არამედ საჭიროა მათი შენარჩუნება ცნებითი განცდის პროცესის შიგნით. – თუმცა ბგერის ორგანიზმისთვის არასაკმარისი იქნებოდა შენარჩუნება. ცნებისთვის აუცილებელია რაღაცის მიერთება, თუ ის ბგერად უნდა იქცეს. ჰიპოთეზურად გამოგონილ არსებას თავისი საკუთარი შინაარსიდან რაღაც უნდა გადაეგზავნა მე-განცდის პროცესში. აღნიშნული მიმართებების განხილვა აჩვენებს, რომ მე-ორგანიზმში გარედან აისახება „მე“-ს მხოლოდ საკუთარი არსება; ცნების ორგანიზმში საკუთარი მე-განცდა სხვა სახით შეიძლება თავად წარმართოს უკან თავის თავში გარეგნულის მეშვეობით, მაშინ როცა მე-განცდის პროცესში ბგერის ორგანიზმში გადაიღვრება რაღაც თავად გარე სამყაროს არსიდან. იმ გამოგონილ გარეგნულ არსებას უნდა აღექვა მე-ორგანიზმის წარმოქმნა, როგორც შეხების საპირისპირო, შებრუნებული განცდა. ცნების ორგანიზმის ფორმირება კი მას უნდა შეეგრძნო, როგორც ადამიანი შეიგრძნობს თავის საკუთარ სასიცოცხლო პროცესებს ცხოვრების გრძნობის წყალობით. განსხვავება იქნებოდა მხოლოდ ის, რომ სიცოცხლის გრძნობაში შეიგრძნობენ შინაგან სტრუქტურას; ხოლო იმ გამოგონილ არსებას თავისი შესატყვისი გრძნობით უნდა შეეგრძნო ის მეთოდი, როგორითაც ეს ჩაშენდება ადამიანის მე-განცდაში. ასეთ შემთხვევაში ბგერის გრძნობაში ხდება გარედან შერწყმა. თუ ეს უნდა გამოეცადა გამოგონილ გარეგნულ არსებას, მაშინ ეს მოხდებოდა საკუთარი მოძრაობის შებრუნებული გრძნობის მეშვეობით. საკუთარი მოძრაობის გრძნობის მეშვეობით ადამიანი საკუთარ მოძრაობებს აღიქვამს; საკუთარ-

რი მოძრაობის შებრუნებული გრძნობის მეშვეობით ის არსება შეიგრძნობდა საკუთარი რეალობის წინსვლას მე-განცდის პროცესში. მას შეეძლო, *საკუთარი თავი* მე-ადამიანის გარეგნულ მოძრაობაში განეცადა.

ამრიგად, ადამიანში საკუთარი სასიცოცხლო პროცესები გრძნობათა ცხოვრების საფუძველში უნდა იდოს. როგორც უკვე ვახვეთ, სასიცოცხლო პროცესები შეიძლება, დაიყოს შემდეგი სახით: სუნთქვა, სითბო, კვება, გამოყოფა, შენარჩუნება, ზრდა და წარმოშობა. ახლა ცნების ორგანოს წარმოქმნისას პროცესი, სინამდვილეში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც წარმოშობა, მიმართული გარედან შიგნით, ხოლო ბგერის ორგანიზმის წარმოქმნა, როგორც მე-განცდაში გარეგნული გამოგონილი არსების რაღაც ნაწილის შეზრდა. მხოლოდ აუცილებელია, წარმოვიდგინოთ, რომ თავად მე-განცდები გამოიყენება, როგორც ამ წარმოშობისა და ზრდის მასალა.

განხილვის მიღებული მეთოდის გაფართოების მეშვეობით ახლა ასევე შეიძლება, *აიხსნას* სხვა გრძნობადი განცდებიც იმასთან მიმართებით, რაც მათ მიღმა დგას. სმენის გრძნობისთვის განცდა წარმოჩნდება ისე, რომ ტონი მიუთითებს გარეგნულ ობიექტზე, თავად სმენის ორგანო კი – მოქმედებაზე, რომლის წყალობითაც ის წარმოქმნილია იმის მსგავსად, როგორც ცნების ორგანოა წარმოქმნილი ცხოვრების შებრუნებული გრძნობის დახმარებით, ბგერის გრძნობა კი – საკუთარი მოძრაობის გადაბრუნებული გრძნობის მეშვეობით. ახლა დავუშვათ, რომ მის საპირისპირო ყოფიერებაში ვლინდება წონასწორობის გრძნობა. მან იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს ადამიანში წონასწორობის შენარჩუნების პროცესს სივრცის სამ გარეგნულ მიმართულებასთან დაკავშირებით, იგი თავისი შებრუნებით ქმნიდა შიგნით მიმართულ რაღაც სხვა არსების წინააღმდეგობას სივრცის სამ მიმართულებასთან დაკავშირებით. თუ ზემოთ ნაგულისხმევმა გარეგნულმა არსებამ ადამიანთან მიმართებით ნამდვილად დააყენა თავისი თავი ისე, რომ გადაღვრიდა მასში თავის საკუთარ ბუნებას და მის შიგნით მოვიდოდა წინააღმდეგობაში სამ სივრცობრივ მიმართულებასთან დაკავშირებით, მაშინ ის შეძლებდა მოქმედებას ასეთი სახით: მე-განცდის შინაგანში ჩაღვრილი არსება

აღიქმება, როგორც განცდა, მაგრამ წონასწორობის შებრუნებული გრძნობის მოქმედება კი არ იგრძნობა, არამედ მოქმედებს იმ ძალის მსგავსად, რომელიც ცხოვრების შებრუნებული გრძნობით აყალიბებს ცნების ორგანიზმს და საკუთარი მოძრაობის შებრუნებული გრძნობით – ბგერის ორგანიზმს. ასეთ შემთხვევაში წონასწორობის შებრუნებული გრძნობა სმენის აგებულებაში ორგანოთა წარმოქმნილი სახით მოქმედებს. ასე მიუთითებს ტონი გარეგნულის შინაგანზე, რომელიც იღვრება მე-განცდაში; სმენის ორგანო მიუთითებს წონასწორობის შებრუნებულ გრძნობაზე, რომელმაც ადამიანში მისი საკუთარი არსების ხატები შეკრიბა და ორგანულად ჩართო, მსგავსად იმისა, როგორც, მაგ., ცხოვრების შებრუნებული გრძნობა აგროვებს და აკავშირებს ცნების განცდებს. შემდეგ თუ ნაგულისხმევი გარეგნული არსება მისი ბუნების თანახმად ნამდვილად აღიქმება, როგორც ტონი, რომელიც ჩანერგილია წონასწორობის შებრუნებული გრძნობის მიერ, მაშინ შეიძლება, ასევე წარმოვიდგინოთ, რომ სმენის მოწყობის წარმოქმნის საფუძველში ძვეს პროცესი, რომელიც ორგანოს აძლევს უნარს, აღიქვას გარეგნული არსება მისი საკუთარი შინაარსის შესაბამისად, რომელიც ადამიანთან კონტაქტის დროს ტონის სახით იღვრება მე-განცდაში, მაშინ, როცა წონასწორობის შებრუნებული გრძნობა წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც ძვეს ტონის საფუძველში და რამაც ტონის განცდისთვის ხელის შესაწყობად, ორგანიზმიდან გამოძინარე, სმენის აგებულება ჩამოაყალიბა.

სითბოს გრძნობის ასახსნელად, გვმართებს ყნოსვის განცდის შებრუნება. ყნოსვის გრძნობისას ადამიანში იჭრება გარეგნული ნივთიერება, ხოლო ყნოსვის განცდა არის ნივთიერებასთან უშუალო ურთიერთქმედება. შებრუნება მაშინ მოხდებოდა, თუ ნაგულისხმევი გარეგნული არსება შედგებოდა სითბოს შეგრძნების შინაარსისაგან და განიმსჭვალებოდა მოქმედებით, რომელიც ადამიანთან უშუალო ურთიერთკავშირში შედის. მაშინ სითბოს შეგრძნების შინაარსის მიღმა იქნებოდა ისეთი მოქმედება, რომელიც სითბოს ჩანასახს აყალიბებს. მისი ხასიათი ისეთია, რომ მის მიერ იღვრება სითბო, როგორც სუნის მქონე ნივთიერება ღვრის – სუნს. როგორც სუნი ვრცელდება გარე სამყაროში ყველა მიმართულე-

ბით, ასევე ეს მოქმედებაც საჭიროა, წარმოვიდგინოთ, როგორც ადამიანისგან ყველა მიმართულებით მსწრაფი და ამ სწრაფვაში გაშლილი ორგანოსებრი ძალა სითბოს გრძნობისთვის. და როგორც ყნოსვის გრძნობით ვლინდება გარეგნული ნივთიერება, ასევე უნდა გამოვლინდეს ამ მოქმედებით ადამიანის შინაგანი. ასეთი გამოვლენა იქნებოდა მაშინ, თუ მოქმედების საფუძველში, რომელიც გარეთ ისწრაფვის, ჩაიდებოდა რაღაც სახის სასიცოცხლო პროცესი, ანუ, თუ ეს მოქმედება ადამიანს მისი საკუთარი არსით აავსებდა. ამით სითბოს გრძნობის საფუძველში ძვეს ადამიანის რაღაც სახის კვება ნივთიერებით, რომელიც თავისი შინაარსის შესაბამისად სითბოს გრძნობის განცდაში ვლინდება.

მხედველობის გრძნობის ასხნისთვის საჭიროა, წარმოვიდგინოთ გემოს განცდის შებრუნება. თუ არსების გარეგნული მოქმედების მეშვეობით, რომელიც ზემოთ ჰიპოთეზურად არის მიღებული, მხედველობის ორგანო განხორციელებოდა ისე, რომ, მაგ., ფერი აავსებდა მის არსებას, ამავე დროს მთლიანად განიმსჭვალებოდა მოქმედებით, რომელიც წარმოადგენს შებრუნებულ გემოს, მაშინ გემოს მოქმედების ეს გამოსხივება შეიძლება გაიაზრო, როგორც მხედველობის გრძნობის ორგანოს წარმომქმნელი ძალა. საქმე ის არის, რომ გარეგნული ნივთიერების მოქმედებას შეიგრძნობენ არა, როგორც გემოს განცდისას, არამედ ისეთი სახით, რომ ის არსება გადმოღვრის მასხივებელ გემოს თავისი თავის შესაგებებლად ადამიანური შინაგანიდან. როგორც გემოსთან დაკავშირებით ხდება ნივთიერების ცვლილება, განხორციელებული ადამიანის მიერ, ასევე უნდა იყოს გარეგნული არსება დაკავებული ადამიანური შინაგანის ცვლილებით. თუმცა ეს ხდება შინაგან სასიცოცხლო პროცესებში, მაგ., სითბოში, გათბობაში (Wärmung). სითბო ადამიანში გამოვა გემოსგან, რომელიც შინაგანიდან ასხივებს. ოღონდ ეს გათბობა გამოვლინებოდა არა როგორც გარეგნული სითბური პროცესი, ვინაიდან, მას ნივთიერებაში აქვს არა გარეგნული სითბო, არამედ თავისი შინაარსით რაღაც თანასწორი მხედველობის გრძნობის განცდასთან. აშკარაა, რომ მოქმედების მეშვეობით მოწოდებულ ამ გათბობაში, რომელიც დაფუძნებულია გამოგონილი არსების ფერში და ასხივებს ადამიანის შინაგანიდან, ძვეს

თავად სინათლის შინაგანი ბუნება. არა მხედველობით განცდა, არამედ მხედველობითი განცდის მიღმა არსებული სინათლის *შინაგანი* ბუნება აღძრავს სითბოს, რომელიც ცხოვრობს მხედველობის გრძნობის ორგანოთა წარმოქმნულ ძალაში, როგორც გემოს განცდაში ცხოვრობს ნივთიერება გემოს განცდასთან გაცვლით კავშირში.

გემოს გრძნობა ასევე შეიძლება, დავახასიათოთ, როგორც ყნოსვის შებრუნებული გრძნობა. ოღონდ აქ შებრუნებას სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გემოსა და მხედველობის გრძნობების შედარებისას. წარმოიდგინეთ, რომ ყნოსვის ორგანოში ადგილი აქვს ისეთ შებრუნებას, რომელიც ადამიანის შინაგანში არ აგზავნის სუნს არც ერთი ნივთიერებიდან, ხოლო შესებობისას შეიძლება, უკუიქცეს და ასეთ შემთხვევაში სინამდვილეში მოცემული იქნებოდა გემოვნების ადამიანური ორგანოს ანალოგი. თუმცა, თავად ადამიანური შინაგანი საჭიროა, მოთავსდეს ზემოთ მიღებული გარეგნული არსების ადგილზე. ანუ, ყნოსვის გრძნობისთვის აუცილებელია, ადამიანის შინაგანში ვივარაუდოთ ერთნაირი არსება იმ გამოვლინებულ გარეგნულთან. მაგრამ იმ დროს, როცა ეს ჰიპოთეზური არსება თავის საკუთარ ბუნებას აიძულებს, ადამიანს მიეახლოს გარედან, ყნოსვის გრძნობისთვის მისი ასლი უკვე ადამიანში უნდა იყოს ჩადებული. რამდენადაც ადამიანის ორგანიზმი არის ყნოსვის გამომწვევი, ის სავსეა მისთვის უცხოთი, არსებითად გარეგნულით. გარეგნული გარდაიქმნა შინაგანში და შინაგანიდან განავითარა ისეთი ძალები, რომლებიც იყვნენ კიდევ სმენის, მხედველობისა და სითბოს ორგანოების წარმოქმნისას ქმედითნი. – აშკარაა, რომ ყნოსვის გრძნობაში უნდა გამოვლინდეს რაღაც, რაც თავად შეიძლება, შედარდეს გარეგნულის შინაგან რეალობას. და თუ გემოს გრძნობა არის ამის შებრუნებული, მაშინ სამართლიანია, ითქვას: ის, რაც იჭრება ადამიანში გემოს განცდისას, როგორც გარედან გამოცხადება, არის იგივე, რაც მოქმედებს ყნოსვის ორგანოს შინაგანში. თუმცა, მაშინ გემოს გრძნობასა და ყნოსვის გრძნობას შორის არსებობს ადგილი, სადაც გარეგნული და შინაგანი სამყაროები ვლინდება, როგორც თანასწორი. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ყნოსვის განცდის მიღმა დგას რაღაც, რაც თავს ავლენს ადამიანის შინაგანში ორგანოს ნამდვილ წარმოქმ-



მწედად, როგორც გარე სამყაროს *ნივთიერება*, კერძოდ, გემოს ორგანოს წარმოქმნაში. ამრიგად, გემოს ორგანო იქმნება გარე სამყაროს *ნივთიერებით*. მაშინ ყნოსვის ორგანოში საჭიროა, წარმოვიდგინოთ მხოლოდ თავად ნივთიერება, გამჭრალი გარეთ, რომელიც, როგორც ასეთი, აღიქმება უშუალოდ სუნის განცდაში. შესაბამისად, სუნის შეგრძნება წარმოადგენს თითქოსდა ნივთიერების თვითაღქმას, გემოს ორგანო კი – ნივთიერების თვითგამოცოცხლებას.

ამ განხილვებმა უნდა მიუთითონ იმაზე, რომ გრძნობების განცდის მიღმა აღარ უნდა წარმოვიდგინოთ რაიმე მატერიალური, არამედ მხოლოდ – სულიერად რეალური. მაშინ გრძნობების განცდა წარმოადგენს სულიერის გამოვლენას. გრძნობადი დაკვირვებით უშუალოდ ვლინდება გრძნობადი განცდა და არა მის მიღმა მდგომი სულიერი.

## VIII. სამყარო, რომელიც სასიცოცხლო ორბანოების საფუძველში ძევს

თუ მე-ორგანიზმში, ცნებისა და ბგერის ორგანიზმებში მე-განცდის განხილვიდან ვლინდება სურათ-ხატი, მსგავსი რა-ღაც მცენარეული ფორმის, რომელიც ზევით კვევით ის-წრაფვის, მაშინ მთელი დანარჩენი ადამიანი შეიძლება, წარ-მოვიდგინოთ, როგორ უპირისპირებს იგი თავის თავს კვევი-დან ზევით მე-განცდის პროცესს, ის კი თავისი ნაკადით ზე-ვიდან კვევით აფერხებს მას, შეიძლება ითქვას, უკანვე თავის თავში აგდებს. ამ დანარჩენ ადამიანში სახეზე არსება, რო-მელიც ყოფიერებაში შობის მეშვეობით შედის. ეს არსება დროებითი წინაპირობაა იმისა, რაც ზემოაღნიშნული სახით კვევიდან ზევით ისწრაფვის. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ვინც მე-განცდის პროცესს თავის თავს უპირისპირებს კვევი-დან ზევით, ის დედამიწაზე შობის მეშვეობით შედის. შესაბა-მისად, ამ ადამიანურ არსებაში უკვე უნდა იყოს გაშლილი ზემოაღწერილი სახის მოქმედება, რომელიც გრძნობის ორგა-ნოებს ქმნის. გარდა ამისა, გრძნობის ამ ორგანოების წარმოქ-მნა საჭიროა, წარმოვიდგინოთ მხოლოდ შემდეგი სახით: გრძნობის ორგანოების მაფორმირებელი ძალები ნაკადების სახით იჭრება ადამიანში, რომელიც კვევიდან ზევით ისწრაფ-ვის. ამ დროს ვლინდება მხოლოდ იმ ძალთა ხატი, რომელიც სხვადასხვა მხრიდან ისწრაფვის. ეს ძალები ადამიანს გარშე-მო ერტყმის და თავის მხრივ კვლავ უნდა შეაფერხოს წინა-აღმდეგობა, როგორც ზევით კვევით გადმოღვრილი მე-გან-ცდა ხვდება მთლიანად კვევიდან ზევით მსწრაფ ადამიანში. ეს წინააღმდეგობა მოცემულია, თუ წარმოვიდგინოთ გრძნობის ორგანოების წარმომქმნელ ძალებს, რომლებიც სასიცოცხლო პროცესებში არსებულ ძალებთან არის დაპირისპირებული. წარმოვიდგინოთ წონასწორობის შებრუნებული გრძნობა, რომე-ლიც ისწრაფვის ტონის ძალის მოქმედების შესაგებებლად და მიიღებთ ყურის ორგანოს აგებულებას; სითბოს ორგანოს აგე-ბულების მისაღებად საჭიროა, წარმოვიდგინოთ ყნოსვის შებ-რუნებული გრძნობა, რომელიც ისწრაფვის სითბოს განცდის ძალის შესაგებებლად. სითბოს ორგანო განფენილია მთელ ადამიანზე. ეს ფაქტი ყალიბდება სურათ-ხატში, თუ გემოს

შებრუნებულ გრძობას საშუალებას აძლევს, იდინოს საპირისპირო მიმართულებით, როგორც ყნოსვისა და წონასწორობის შებრუნებული გრძობებისას. გარდა ამისა, ყნოსვის შებრუნებული გრძობა კვეთს მთელ სხეულს, მეორე მხრივ კი მიედინება გემოს შებრუნებული გრძობა, რათა სინათლის განცდის ძალით აღმოჩნდეს ორგანოს წარმომქმნელად მხედველობის გრძობისთვის. მაშინ თავად გემოს გრძობაში ორგანოს წარმომქმნელად მოქმედებს ნივთიერება, რომელიც ვლინდება ყნოსვის გრძობაში და თავის წინააღმდეგობას პოულობს ორგანიზმში, რომელიც დანარჩენი გრძობების მეშვეობით იქმნებოდა. ყნოსვის გრძობაში ნივთიერების შინაგანი ისწრაფვის ნივთიერების შინაგანის შესაგებებლად. აქ მიეახლება გარემოცვის სურათ-ხატს, რომლისგანაც მომდინარეობენ ორგანოს წარმომქმნელი ძალები, რომ ადამიანში იმოქმედონ, როგორც გარემოცვის ცენტრში. ორგანოს წარმომქმნელად მხოლოდ ეს ძალები თუ იმოქმედებდნენ, მაშინ უნდა გამოსულიყო გრძობის ორგანოების სრულიად სხვა ფორმა და სხვაგვარი მოწყობა, ვიდრე ამას ადგილი აქვს სინამდვილეში. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ორგანოს წარმომქმნელი ძალები კვლავ ფერხდება საკუთრივ თავისი გაშლისას. დაუშვათ, რომ სმენის აგებულების ორგანოთა წარმომქმნელი ძალა ერთ ადგილას ძლიერდება, მეორე ადგილას სუსტდება, შემდეგ რომელიმე ადგილას ის განსაკუთრებით ძლიერად იჩენს თავს. თუმცა ასეთი ხდება მაშინ, როცა თავად ორგანოთა წარმომქმნელ ძალებზე კიდევ სხვა ძალებიც მოქმედებენ. ახლა საკითხავია, მიუთითებს თუ არა ადამიანში რაიმე იმაზე, რომ მის გარეთ არსებობენ კიდევ სხვა ძალებიც. რაღაც განსაკუთრებული ვლინდება აქ, უპირველეს ყოვლისა, სასიცოცხლო პროცესებში. ისინი გრძელდება ასევე, როცა გრძობების განცდა დავანებებულია ძილში. ეს აჩვენებს, რომ მათ ორგანოებში უნდა იყოს წარმომქმნელი ძალები, რომლებიც მოქმედებენ მაშინაც, როცა გრძობები გამოთიშულია. შესაბამისად, გრძობის ორგანოების წარმომქმნელი ძალები, გარკვეულწილად, წარმოადგენენ ორგანოთა წარმომქმნელი მოქმედების მხოლოდ ერთ მხარეს. სანამ არსებობას შეძლებდეს, სასიცოცხლო პროცესები უნდა მომზადდეს სასიცოცხლო ორგანოების ორგანოთა წარმომქმნელი ძალებით.

ამრიგად, სასიცოცხლო ორგანოების საფუძველში ჩადებული ძალები ადამიანის ცნობიერებაში კიდევ უფრო ღრმად დგანან, ვიდრე გრძნობის ორგანოების ამგები ძალები. გრძნობის ორგანოებში ძალები ავლენენ თავიანთ მოქმედებას, რომელიც გრძნობის ორგანოების მეშვეობით ვლინდება. სასიცოცხლო ორგანოებში მათი ამგები ძალები კი არ ვლინდება, არამედ მხოლოდ მათი შედეგები, ანუ თავად ორგანოები. სითბოს ორგანოების მეშვეობით შეიგრძნობენ სითბოს, სიცოცხლის გრძნობის მეშვეობით კი - სასიცოცხლო ორგანოებს. მაშასადამე, სასიცოცხლო ორგანოების წარმოქმნა გულისხმობს სხვა სამყაროს, ვიდრე გრძნობის ორგანოების წარმოქმნა. და მაინც, გრძნობის ორგანოები ჰარმონიულად უნდა შეეგუოს სასიცოცხლო ორგანოებს. იმისათვის, რომ გრძნობის ორგანოებმა შეძლონ თავისი შესაბამისი ფორმით წარმოქმნა, საჭიროა, სასიცოცხლო ორგანოების ამგებ ძალებში არსებობდეს ჩანასახები გრძნობებისთვის. ამით კვლავ მოცემულია მითითება სამყაროზე, რომელშიც სასიცოცხლო ორგანოების ამგები ძალები ისე მოქმედებენ, რომ გრძნობის ორგანოებს ამ სასიცოცხლო ორგანოებში დებენ, მაგრამ თავად გრძნობის ორგანოებს მათში არ აყალიბებენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასიცოცხლო ორგანოები ფორმირებულია, ამ სასიცოცხლო ორგანოების იერში ისინი გრძნობის ორგანოებს აღბეჭდავენ. თუმცა არ უნდა ჩავთვალოთ, რომ გრძნობის ყველა ორგანო მსგავსი სახით უკვე იმყოფება სასიცოცხლო ორგანოების ფორმაქმნად ძალებში. ე. წ. შეხების გრძნობის ორგანოები საერთოდ არ საჭიროებენ შიგნით განთავსებას. ისინი ხომ მხოლოდ ასახავენ სასიცოცხლო ორგანოების განცდებს საკუთარ თავში. მაგრამ სიცოცხლის გრძნობა, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობებიც არ საჭიროებენ რაიმეს, რასაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა გრძნობის ორგანოები აღბეჭდილია სასიცოცხლო ორგანოებზე. ამრიგად, აღნიშნულ მონაცემებში არ შედის ის, რაც თავად გრძნობის ორგანოებში სიცოცხლისა და საკუთარი მოძრაობის გრძნობების ემოციურ განცდებს განეკუთვნება. თუმცა ამით მითითებაა სამყაროზე, რომელშიც არსებობს სასიცოცხლო ორგანოების ორგანოთა წარმოქმნელი ძალები და სმენის, სითბოს, მხედველობის, გემოსა და ყნოსვის გრძნობების

ორგანოთა წარმომქმნელი ძალების *ჩანასახები*. – თუმცა, გრძნობის ორგანოები თუ აღიბეჭდება უკვე არსებულ სიცოცხლის ორგანოებზე, მაშინ, ალბათ, სიცოცხლის ორგანოების ფორმაქმნადმა ძალებმა საფუძველი უნდა ჩადონ ამ სასიცოცხლო ორგანოებში. ამის საფუძველზე სასიცოცხლო ორგანოები ავითარებენ სასიცოცხლო პროცესებს, ხოლო ამ სასიცოცხლო პროცესებში გრძნობების ორგანოთა წარმომქმნელი ძალები თავიანთ ნაკადებს ასხივებენ. ამრიგად, ორგანოთა წარმომქმნელ ამ ძალებს სასიცოცხლო ორგანოებში წინააღმდეგობები გააჩნია. მათი მოღვაწეობა ამ წინააღმდეგობას ეჯახება. გრძნობებს მხოლოდ იქ შეუძლია განვითარება, სადაც ამის საშუალებას სასიცოცხლო ორგანოები იძლევა. ადამიანის გამოსახულება აჩვენებს, რომ დაპირისპირებულობაში „მარცხნივ-მარჯვნივ“ და „მარჯვნივ-მარცხნივ“ მოცემულია ის, რაც მხედველობაში მიიღება ხსენებული გრძნობის ორგანოების დალაგებისას. და ადამიანის სიმეტრიული აგებულებისას ამ მიმართულებებში კვლავ ავლენენ იმას, რომ სასიცოცხლო და გრძნობის ორგანოებს ერთმანეთის მიმართ ორგვარი მიმართება აქვს. საკმარისია მხოლოდ განვიხილოთ ადამიანის გრძნობის ორგანოები „წინ“ მიმართულებასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება მივიღოთ, მაგ., ყურთან მიმართებით სურათი, რომლის თანახმადაც მარჯვენა ყური ფორმირებულია მარცხნიდან მარჯვნივ, რამდენადაც თავისი წარმომქმნით ის მოვალეა იმ სტადიის, რომელზეც გაბატონებულია სასიცოცხლო ორგანოების წარმომქმნელი ძალები, შემდეგ კი გარდაიქმნა გრძნობის ორგანოებში იმის წყალობით, რომ მარჯვნიდან მარცხნივ ახლახან დახასიათებულ ფორმაქმნადობას უპირისპირდება გრძნობის ორგანოების წარმომქმნელი ძალები. საპირისპირო საჭიროა მივაკუთვნოთ მარცხენა ყურს. მსგავსი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვა, სიმეტრიულად განლაგებული გრძნობის ორგანოებისთვისაც. რამდენადაც ადამიანი წარმოადგენს არსებას, რომელსაც გრძნობის ორგანოების წყალობით გააჩნია განცდები, მისი წარმოშობა უნდა ვეძიოთ იმ სამყაროში, რომელზეც ზემოთ ითქვა, რომ მისგან წარმოიქმნა ასტრალური ადამიანი. ახლა თუ გავითვალისწინებთ, რომ საკუთრივ გრძნობის შებრუნებული განცდები წარმოადგენს გრძნობის ორგანოთა წარმომ-

ქმნელ ძალებს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ სამყაროზე, რომლისგანაც მომდინარეობს ასტრალური ადამიანი, საუბარია მაშინ, როცა გულისხმობენ არსებას, რომელიც გრძნობის ორგანოებს აყალიბებს იმ ძალების მეშვეობით, რომლებიც გარკვეულწილად გარედან ურტყამენ. შემდეგ გაირკვა, რომ გრძნობის ორგანოების წარმოქმნისას გრძნობის შებრუნებული განცდები ადამიანის შინაგანში იღვრება. შესაბამისად, ამ ძალებით აღიძვრება სურათ-ხატების შეგროვება. მაგრამ სურათ-ხატების შეგროვება სურვილთან და მოძრაობის იმპულსთან ერთად წარმოადგენს იმას, რაც მიუთითებს ადამიანის ასტრალურ სხეულზე. ახლა წარმოიდგინეთ გრძნობის ორგანოთა წარმოქმნელი ძალები, უკვე როგორც მოძრაობისა და სურვილების იმპულსების გადაბრუნება და მიიღებთ წარმოდგენას იმაზე, როგორ არის ადამიანის ასტრალური სხეული გრძნობის ორგანოთა შემქმნელის სახით აღებული აქ გრძნობადად აღუქმელი სამყაროდან. – ამით იგულისხმება სამყარო, რომელიც ძევს გრძნობადი აღქმების სამყაროს საფუძველში, რასაც „ასტრალური სამყარო“ ეწოდება. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი, რასაც ადამიანი გრძნობადი სახით განიცდის, აუცილებელია მივიღოთ უშუალოდ რეალობის სახით და ვივარაუდოთ მასში დამალული ასტრალური. პირველს საჭიროა *ფიზიკური* სამყარო ვუწოდოთ. მის საფუძველში *ასტრალური* სამყარო ძევს. ახლა გაირკვა, რომ ამ უკანასკნელის საფუძველში კიდევ სხვა რამე ძევს. ამ სხვაში განფესვილია (ფესვგადგმულია) სასიცოცხლო ორგანოების ორგანოთა წარმოქმნელი ძალები და მონაცემები სმენის, სიტბოს, მხედველობისა და გემოს გრძნობებისთვის. რამდენადაც ეს სამყარო შეიცავს ფორმაქმნად ძალებს სასიცოცხლო ორგანოებისთვის, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თვით ადამიანიც მისგანაა წარმოშობილი, რამდენადაც მას საკუთარ სხეულში აქვს სასიცოცხლო ორგანოების ფორმაქმნადი ძალები. თუ ახლა იმ ძალების ჯამს (გვ. 39-ის აზრით), რომლებიც ადამიანში აყალიბებენ სასიცოცხლო ორგანოებს, ვუწოდებთ ადამიანის „ეთერულ“ სხეულს, მაშინ შეიძლება ვაღიაროთ, რომ ეს ეთერული სხეული თავის საწყისს იღებს სამყაროში, რომელიც ასტრალურზე მაღლა ძევს. ამრიგად, ამ სამყაროს ეწოდა „ქვედა სულიერი სამყარო“, ამასთან ამ

დასახელების ქვეშ კვლავ არ გვმართებს წარმოვისახოთ სხვა რამ, გარდა აქ მითითებულისა.

სასიცოცხლო პროცესებს შორის არის სამი, რომელთა ორგანოებიც მიუთითებს სამყაროზე, რომელშიც ზემოთ გამოხატულის თანახმად, საჭიროა სასიცოცხლო ორგანოების წყარო ვეკებოთ. წარმონაშობში ცოცხალი ფიზიკური სხეული იმეორებს თავის საკუთარ ხატებს, ზრდაში იგი ამატებს არსებულს ახალს ამ არსებულის ნივთიერებიდან; გამოყოფაში კი ის სასიცოცხლო პროცესიდან გამოყოფს რაღაცას იმისგან, რაც თავიდან თავის თავში ჰქონდა. ამრიგად, ეს ის სასიცოცხლო პროცესებია, რომლებიც თავად სასიცოცხლო ორგანოების შიგნით თამაშდება. კვებასთან, სითბოსთან და სუნთქვასთან ეს ასე არ ხდება. ეს პროცესები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სასიცოცხლო ორგანოები რაიმეს აღიქვამენ მათთვის გარეგნული სამყაროდან.

გრძნობად განცდებს შორის არსებობს ხუთი, რომელთა ორგანოებიც მსგავსი სახით მიუთითებს სამყაროზე, რომელშიც საჭიროა, ვეძიოთ სხვა გრძნობადი განცდების შესატყვისი ორგანოების წარმოშობა. ზემოაღნიშნულის თანახმად გემოს გრძნობა წარმოადგენს ყნოსვის შებრუნებულ გრძნობას ისეთი სახით, რომ გემოს გრძნობა შიგნით შეაბრუნებს განცდას, რომელიც გარეგნულ ნივთიერებაში შეხების გრძნობით განიცდება ისე, რომ უკვე გრძნობს სხეულის შინაგანში არსებული ნივთიერების სუნს. ამრიგად, გემოს გრძნობა უკვე ორგანიზმში არსებულ ნივთიერებას გულისხმობს. თუმცა ყნოსვის გრძნობა გულისხმობს გარე სამყაროს ნივთიერებას. მხედველობის გრძნობისთვის ზემოაღნიშნული განსჯიდან გამომდინარეობს ის, რომ მისი ორგანო წარმოიქმნება, როცა ამ წარმოქმნაში მოქმედებს არსება, რომელიც ფერების განცდას ეკიდება არა ისე, როგორც ეს ხდება მხედველობის გრძნობით მათი აღქმისას, არამედ ფერების განცდა მოჰყავს იმის საპირისპირო მოძრაობაში, რომლისგანაც იგება გემოს ორგანო. ამრიგად, თუ ორგანიზმში არსებობს მიდრეკილება ასეთი მოღვაწეობისკენ, მაშინ შეიძლება, წარმოიქმნას მხედველობის ორგანო იმის წყალობით, რომ გემოს ორგანოსკენ ადრე არსებული მიდრეკილება მხედველობის ორგანოში გარდაიქმნება. შესაბამისად, მაშინ, როცა შეხების ორგანო

წარმოუდგენელია გარეგნულ ნივთიერებასთან კონტაქტის გარეშე და გემოს ორგანო წარმოადგენს შიგნით შებრუნებულ შესხების ორგანოს, ანუ გულისხმობს შიგნით არსებულ ნივთიერებას, მხედველობის ორგანო შეიძლება, განხორციელდეს, თუ ჩანასახში არსებული გემოს ორგანო არაა მიყვანილი ბოლომდე, როგორც ასეთი, არამედ შინაგანში გარდაიქმნება. მაშინ ამ ორგანოსკენ შინაგან გზაზე ნივთიერებაც უნდა გადმოიღვაროს. სითბოს ორგანოსთან ეს ხდება ასეთივე სახით. იგივე შესაძლებელია ისეთივე მიზეზით, რაც მითითებულია მხედველობის ორგანოსთვის, როცა შინაგანში განიხილავენ ყნოსვის ორგანოს, რომელიც შეკავებულია და გარდაქმნილია თავისი ფორმირების პერიოდში. (ამავე დროს, საჭიროა, გემოს ორგანო განვიხილოთ, როგორც უბრალოდ *გარდაქმნილი*, მაშასადამე თავისი ფორმირების ბოლოს უკუღმა შებრუნებული, ხოლო სითბოს ორგანო გარდაქმნილი ყნოსვის ორგანოდ). მსგავსი აზრით სმენის ორგანო აღმოჩნდებოდა წონასწორობის გარდაქმნილი ორგანო, ბგერის ორგანო – თავის განვითარებაში ადრე შეფერხებული საკუთარი მოძრაობის გრძნობის ორგანო, ხოლო ცნების ორგანო – წარმოქმნისთანავე გარდაქმნილი ცხოვრების გრძნობის ორგანო. ამრიგად, ამ ორგანოების წარმოქმნა არ გულისხმობს რაიმე გარეგნული ნივთიერების არსებობას, მაგრამ უბრალოდ აუცილებელი აღმოჩნდება, რომ შინაგანისკენ მსწრაფი ნივთიერება მოიხელთონ უზენაესმა მაფორმირებელმა ძალებმა, როგორსაც წარმოადგენენ ყნოსვის ორგანოში გაბატონებული ძალები.

ყნოსვის ორგანოსთვის კი, პირიქით, აუცილებელია გარეგნულ ნივთიერებასთან კონტაქტი. წონასწორობის გრძნობა გარეგნულ ნივთიერებასთან კონტაქტს კი არ გულისხმობს, არამედ უფრო სივრცის სამ მიმართულებასთან კავშირს. ეს მიმართულებები ცარიელ სივრცეში ასეთი რომ ყოფილიყო, მაშინ წონასწორობის გრძნობა არ იქნებოდა; ის შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდეს, როცა სივრცე აივსება ნივთიერებით და ნივთიერებით ავსებული ეს სივრცე განიმსჭვალება ძალებით, რომლებთანაც კავშირში მოდის ადამიანური სხეული. თუმცა ამ ძალებთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეს სხვა ძალებს, როცა საჭიროა ურთიერთკავშირის



დამყარება. ამრიგად, ადამიანის სხეულმა საჭიროა თავის თავში სამი ძალა თავის საკუთარ ნივთიერებაში დაუპირისპიროს სამ ძალას ნივთიერებისა, რომელიც სივრცეს ავსებს. შესაბამისად, ადამიანის სხეულს უნდა ჰქონდეს ორგანო, რომელიც არა მარტო იმყოფება ასეთ მიმართებაში გარეგნულ ნივთიერებასთან, როგორც ყნოსვის ორგანო, არამედ რომლის დახმარებითაც შეუძლია ამ ნივთიერების სამი ძალოვანი მიმართულების შეგრძნება. ზევით უკვე ვახვევთ, რომ წონასწორობის გადაბრუნებული გრძნობა შეიძლება ქმედითად წარმოვიდგინოთ სმენის ორგანოს წარმოქმნისას. ახლა დაუშვათ, რომ წონასწორობის ამ გადაბრუნებულ გრძნობას სმენის ორგანოს წარმოქმნის ფარგლებს მიღმა გაჰყავს სმენის არსებული ჩანასახი, ანუ ეს ფორმირება არ მთავრდება იმ მომენტში, როცა ის სმენის ორგანოდ იქცა, არამედ აგრძელებს განვითარებას. მაშინ სმენის ორგანოს ჩანასახიდან წარმოიქმნებოდა წონასწორობის ორგანო. მსგავსად ამისა შეიძლება, წარმოვიდგინოთ, რომ საკუთარი მოძრაობის გადაბრუნებულ გრძნობას ბგერის ორგანოს ჩანასახი გაჰყავს ხმოვანი მოწყობილობის თვისების ფარგლებს მიღმა. მაშინ შესაბამისი ორგანოს მეშვეობით ადამიანი აღიქვამს არა ხმას, არამედ აღიქვამს გარეგნული ნივთიერების ძალებთან არსებულ კავშირებს. და თუ ცხოვრების გადაბრუნებული გრძნობა ცნების ორგანოს გაიყვანდა შორს მისი ფორმირების ფარგლებს მიღმა, მაშინ შესაბამისი ორგანოს მეშვეობით შეიგრძნობდნენ საკუთარი ნივთიერების კავშირს გარეგნულ ნივთიერებასთან. ეს რომ შესაძლებელი იყოს, ნივთიერება არა მარტო ქმედითი უნდა იყოს ადამიანის სხეულში, არამედ შეეძლოს, სხეულთან შეხების გარეშე, მასშივე გარედან შეიგნოს აამოქმედლოს საკუთარი ძალები. მაშინ წონასწორობის გრძნობაში, საკუთარი მოძრაობის გრძნობასა და სიცოცხლის გრძნობაში მოცემული იქნებოდა სამი ორგანო, რომლებისთვისაც მათი წარმოქმნისთვის აუცილებელი იქნებოდა გარე სამყარო. მაგრამ შეხების გრძნობისთვის ეს ისედაც ნათელია, რამდენადაც ის ხომ დაფარული განსჯის მეშვეობით შეიმეცნებს გარე სამყაროს, შესაბამისად, გარე სამყარო ნაგულისხმევია, როგორც აუცილებელი პირობა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გემოს, მხედველობის, სითბოსა და სმენის ორგანოებში მოცემულია ორ-

განოები, რომლებიც ორგანიზმში შეიძლება წარმოიქმნან ნივთიერების ძალთა წყალობით, რომელიც *მასში* იღვრება; ყნოსვის გრძნობისთვის, ასევე წონასწორობის, საკუთარი მოძრაობის, სიცოცხლისა და შეხების გრძნობებისთვის გარეგნული ნივთიერება თავისი ძალებით თურმე წინაპირობაა.

როგორც სასიცოცხლო ორგანოები მიუთითებენ გარეგნულ მატერიალურ სამყაროზე სუნთქვაში, სითბოსა და კვებაში, ასევე მიუთითებენ ამ გარეგნულ მატერიალურ სამყაროზე ხსენებულ ორგანოთა გრძნობის ორგანოებიც. სამაგიეროდ, გამოყოფა, შენარჩუნება, ზრდა, წარმოშობა, ასევე გემოს, მხედველობისა და სმენის, ბგერის, ცნებისა და „მე“-ს ორგანიზმები გულისხმობენ წარმოქმნის შინაგან პრინციპებს, რომელთაც მოქმედება მხოლოდ შიგნით ჩაფლობილ ნივთიერებაში შეუძლიათ.

## IX. ზენა სულიერი სამყარო

ზემოაღნიშნულის მსგავსად ახლა თუ დავუშვებთ, რომ წარმომქმნელი ძალები სასიცოცხლო ორგანოებისთვის და ჩანასახები გრძნობის ორგანოთა ძალებისთვის არსებობს ქვედა სულიერ სამყაროში, მაშინ ამ სამყაროში გაბატონებული სასიცოცხლო ორგანოების მაფორმირებელი ძალებისთვის არსებობს განსხვავება იმათ შორის, რომლებიც გულისხმობენ შიგნით ჩაფლობილ ნივთიერებას და რომლებიც საკუთარ ორგანოებს აყალიბებენ ნივთიერების გარედან მისაღებად. ადვილი შესამჩნევია, რომ უკანასკნელი კვლავ წარმოადგენს პირველის წინაპირობას. რამდენადაც თავად ნივთიერებაში თუ არ იქნებოდა შიგნით ჩაღრმავების შესაძლებლობა, ის თავად ვერ მივიდოდა თავის თავში ქმედითობამდე. მაშასადამე, ნივთიერებაში უნდა ბატონობდეს ძალები, რომლებიც მას საშუალებას მისცემდა, თავად გამოეწვია თავის თავში საპირისპირო ქმედება გარედან. ზემოთ მოყვანილმა განხილვამ აჩვენა ნივთიერების ამგვარი საპირისპირო ქმედებები თავის თავთან. შინაგანი ფორმირების გამოწვევისთვის სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გადაბრუნებული გრძნობები თავის თავში ატარებენ აქტიური მოქმედების, როგორც თავად ნივთიერება, დაფარულ შესაძლებლობას ფორმირების შინაგანი პრინციპების, როგორც ასეთის, გამოყენების გარეშე. ის მოქმედებს არა მარტო *შიგნით*, არამედ მათ ფარგლებს *გარეთაც*. ახლა თუ წარმოიდგენთ ამ სამი გადაბრუნებული გრძნობადი მოღვაწეობის ისე მოქმედებას, რომ ისინი არ ეჯახებიან არც ერთ შინაგანად ფორმირებულ ორგანოს, არამედ პირიქით, მათი მოქმედების ხასიათი არ იცვლება, მაშინ ისინი აღწევენ ზღვარს, სადაც თავის თავში თავად უნდა დაბრუნდნენ. მაშასადამე, ამ ზღვართან ნივთიერება თავის თავში თითქოსდა თავად არის უკან მოსროლილი. ის თავის თავს ეწინააღმდეგება საკუთარ თავში. ამ ზღვარს თითქოსდა მიეცა ის, რასაც, ალბათ, შეიძლება, ეწოდოს ნივთიერების ყოფიერება ნივთიერების ყოფიერებაში. ამით კი მითითებულია შესაძლებლობა იმისა, რომ ორგანოები, რომლებიც იყენებენ შინაგან ნივთიერებას, წარმოიქმნება

სამყაროდან, რომელშიც ნივთიერ-გარეგნული ხდება ნივთიერ-შინაგანი. ამ სამყაროში უნდა არსებობდეს პირველი ჩანასახები სასიცოცხლო პროცესების სახით იმ ორგანოებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფილია შიგნით ჩაფლობილი ნივთიერებით, ასევე მათთვისაც, რომლებიც გარეგნულ ნივთიერებას იყენებენ. ხოლო ძალებში, რომელთაც გარეგნული ნივთიერება მიჰყავთ შიგნით ჩაფლობისკენ, უკვე უნდა არსებობდეს მონაცემები ამ ჩაფლობისთვის. თავად სასიცოცხლო ორგანოებში, როგორც მიუთითებენ ძალები სხვა ძალების სამყაროზე, საიდანაც ფორმირდება თავიდან სასიცოცხლო ორგანოები, ასევე მიუთითებენ სასიცოცხლო ორგანოები შინაგანი ნივთიერი ნაკადებით ჩანასახებზე კიდევ უფრო მაღალი სამყაროდან, რომლიდან გამომდინარეც ისინი ფორმირდება. აქ მივედით იქამდე, რომ მივეუთითოთ გარე სამყაროზე, რომელსაც შეუძლია, თავის თავში ადანთოს შინაგანი სამყარო სიცოცხლის გრძნობის, საკუთარი მოძრაობის გრძნობისა და წონასწორობის გრძნობის დაპირისპირებულობის მეშვეობით. არადა, ამ სამყაროს, შეიძლება, ეწოდოს „ზენა სულიერი სამყარო“. მაინც რისი ძიება გემართებს მასში? არა იმ ძალების, რომლებიც ზოგადად აყალიბებენ სასიცოცხლო ორგანოებს, არამედ იმათი, რომლებიც მათ ხატებში ნერგავენ მონაცემებს, იქცნენ სასიცოცხლო ორგანოებად. თუმცა, ეს ძალები აუცილებელია, წარმოვიდგინოთ, როგორც წონასწორობის გრძნობის, საკუთარი მოძრაობის გრძნობისა და სიცოცხლის გრძნობის დაპირისპირებულობა. საკუთარი მოქმედების მიჯნამდე სანამ მივიდოდნენ, ფორმირების შინაგანი პროცესებით ეს ძალები თუ შენარჩუნდებიან ორგანოებში, რომლებიც უკვე მოცულია ფორმაქმნადობით, მაშინ ისინი ორგანოების ასეთი მონაცემებიდან შექმნიან სმენის, ბგერისა და ცნების ორგანოებს. რა ხდება, თუ ისინი მიდიან იმ მოქმედების მიჯნამდე, რომელიც მათივე საკუთარ ხასიათში ძევს? თუ ცნების ორგანოში სიცოცხლის გადაბრუნებულ გრძნობას არ შეეგებებოდა რაღაც, რაც მხოლოდ სიცოცხლის გადაბრუნებული გრძნობის მიერ გარდაიქმნება, მაშინ, როგორც ჩანს, სიცოცხლის გადაბრუნებული გრძნობა თავად წაიყვანდა უკან თავის თავში ცნების განცდას. და ცნების განცდა თავის

ანასასში უშუალოდ მივიდოდა თავის თავთან. ამით მივიღებდით იმის მსგავსს, როგორსაც ადგილი აქვს გრძობად განცდაში, მაგრამ ამას ექნებოდა დამოუკიდებელი ყოფიერება გრძობის ორგანოს გარეშე, რომელიც მის საფუძველში დევს. საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გადაბრუნებული გრძობისთვისაც შეიძლებოდა მსგავსი რამის თქმა. ამრიგად, ზენა სულიერ სამყაროში გვმართებს, ვეძიოთ თავის თავში დავანებული გრძობადი განცდები, რომლებიც მონათესავე აღმოჩნდა იმ გრძობადი განცდების, რომლითაც ადამიანი ფიზიკურ სამყაროში თავისი „მე“-თი ყველაზე ახლოს დგას ცნების, ბგერისა და სმენის გრძობების განცდებთან. თუმცა, თავის თავში დავანებული გრძობადი განცდები არსებობენ ისე, თითქოს ადამიანური „მე“ კი არ იმყოფება მათ წინაშე, არამედ აღიქვამს მათ, მაგრამ ისე, თითქოს მათ უკან იმყოფება არსება, რომელიც მათი საკუთარი მოღვაწეობით არის შექმნილი.

## X. ადამიანის გეშტალტი

ახლა კი საფუძვლად ზემოთ მოყვანილ განხილვას თუ გამოვიყენებთ, მაშინ ადამიანისთვის მის მაფორმირებელ პრინციპებთან მიმართებით სახეზეა შემდეგი:

1. *ზენა სულიერი სამყარო*; მასში ძვეს ძალები, რომლებიც აფორმირებენ სურათ-ხატებს; ისინი დამოუკიდებელ სუბსტანციაში ცოცხალ გრძნობად განცდებს წარმოადგენს. ამ ხატებზე კი აღბეჭდილია *მონაცემები* სასიცოცხლო ორგანოებისთვის.

2. *ქვედა სულიერი სამყარო*; მასში ძვეს სასიცოცხლო ორგანოების ფორმაქმნადი ძალები. პირველ სამყაროში მოქმედი ძალები აფორმირებენ ხატებს, რომლებიც იკვებებიან უკვე შიგნით ჩაფლობილი ნივთიერებისაგან. თავად ამ სამყაროს ძალები კი მათ უერთებენ ისეთ ხატებს, რომლებიც თავიდან ჩაფლავენ გარეგნულ ნივთიერებას. ეს ავლენს სასიცოცხლო ორგანოების განსხვავებას წარმოშობის ორგანობესა და კვების ორგანოებში. პირველი სამყაროდან ფორმირებული სურათ-ხატები გარდაიქმნებიან გრძნობის ორგანოების ისეთ მონაცემებში, რომლებიც იკვებებიან შიგნით ჩაფლობილი ნივთიერებით. თავად ამ სამყაროს მაფორმირებელი ძალები კი გრძნობის ამ მონაცემებს უერთებენ ისეთებს, რომელთაც ურთიერთკავშირი აქვთ გარეგნულ ნივთიერებასთან.

3. *ასტრალური სამყარო*; მასშია გრძნობის ორგანოთა მაფორმირებელი ძალები. ამ სამყაროდან გამომდინარე სასიცოცხლო ორგანოებიც ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მათ შეეძლოთ თავის თავში გრძნობის ორგანოების მიღება.

4. *ფიზიკური სამყარო*; მასშია ადამიანის გრძნობადი განცდები.

ახლა აუცილებელია იმის აღიარება, რომ ეს ოთხი სამყარო ერთმანეთში მოქმედებს, ისე რომ, თითოეული უზენაესის ძალა არსებობას აგრძელებს ქვედაში. იმის წყალობით, რომ ხსენებული ძალები გამოყვანილია ზენა სამყაროთა ძალებისაგან, შეიძლება ითქვას ერთი რამ, რომ ეს ორგანოები იმყოფება ზენა სამყაროების ზეგავლენის ქვეშ, თუნდაც ისინი გამოვლინდნენ ქვედა სამყაროებში. ფიზიკური სამყაროდან ზეგრძნობადი სამყაროს ძალები გრძნობის ორგანოებზე არ ზე-

მოქმედებენ; ასტრალური სამყაროდან სულიერი სამყაროს ორივე ძალა სასიცოცხლო ორგანოებზე არ ზემოქმედებს; არც ზენა სულიერი სამყაროს ძალები ზემოქმედებენ ქვედა სულიერი სამყაროდან ზემოთ დახასიათებული სასიცოცხლო ორგანოების მონაცემებზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ზენა სამყაროთა ძალებმა საკუთარი აქტივობა უნდა გამოავლინონ ფიზიკური სამყაროდან სხვა მეთოდით, ვიდრე უშუალოდ საკუთარი სამყაროდან ზემოქმედებისას. ზენა სულიერი სამყაროს ძალებს შეუძლიათ იმოქმედონ ადამიანზე, რომელიც შემოსილია გრძნობის ორგანოებით, სასიცოცხლო ორგანოებით და ორგანოების ჩანასახებით მხოლოდ ფორმაქმნადი ძალების სახით. მათ შეუძლიათ ორგანოების გეშტალტის და განლაგების დადგენა. ასე მომდინარეობს ზენა სულიერი სამყაროს ზემოქმედებიდან აქ ფიზიკურ სამყაროში ადამიანური სხეულის ორგანოების გეშტალტი და განლაგება. „მე“ ცნებებს განიცდის ცნებების აღქმაში; სიცოცხლის გრძნობას თავისი გადაბრუნებული სახით მოაქვს ზენა სულიერი სამყაროს ცოცხალი ცნებები. ფიზიკურ სამყაროში მათ მოქმედება შეუძლიათ მხოლოდ ფორმაქმნადი ძალების სახით. სრულიად გასაგებია, რომ ცნების აღქმის უნარს ადამიანი უნდა უმადლოდეს თავის გამართულ გეშტალტს. ადამიანის გარდა არც ერთ მიწიერ არსებას არა აქვს ასეთი გამართული სახის გეშტალტი. (მარტივ განსჯას შეუძლია, აჩვენოს, რომ ცხოველებთან, რომელთაც თითქოს გამართული გეშტალტი აქვთ, ეს მოჩვენებითი გამართული დგომა საჭიროა, აიხსნას სხვა ძალებით, ვიდრე შინაგანი ძალებით). ასე შეიძლება, დავინახოთ ქვევიდან ზევით მიმართულებით ის, რაც დაკავშირებულია ცნების აღქმასთან, როცა ამაში არ მონაწილეობს სიცოცხლის გადაბრუნებული გრძნობა. აქედან გამომდინარე სიცოცხლის გადაბრუნებული გრძნობისთვის შეიძლება, ვაკეთდეს დასკვნა ქვევიდან ზევით მიმართულებაზე. კიდევ უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა – თითქმის ზევიდან ქვევით მიმართულებაზე. რამდენადაც ქვევიდან ზევით ზრდის მიმართულებაში საჭიროა, დავინახოთ რაღაც ისეთი, რაც დაპირისპირებულია შეხების გადაბრუნებულ გრძნობასთან. ვინაიდან, ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის თვალსაზრისით შეხების საპირისპიროდ წარმოდგენილია „მე“, ამიტომ სხეულის ზრდის ვერ-

ტიკალური მიმართულება ზევით შეიძლება, განვიხილოთ, როგორც „მე“-მზიდავი, როგორც წონის ქვევით მოქმედების მუდმივი გადალახვა, რაც წარმოადგენს კიდევ შეხების განცდის შემობრუნებას. ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეიძლება, მივუთითოთ ამგვარ დაპირისპირებულობაზე – „ზევიდან-ქვევით“ და „ქვევიდან-ზევით“, რომლის დროსაც ნაკადს თითქოს ადგილი აქვს ქვევიდან ზევით ისე, რომ მასში მოცემულია სიცოცხლის გადაბრუნებული გრძობის გადალახვა, რომელიც ქვევიდან ზევით მიედინება. ასე რომ, სიცოცხლის ამ გადაბრუნებულ გრძობაში აუცილებელია, დავინახოთ ზენა სულიერი სამყაროს ზემოქმედება ადამიანის ფიზიკურ სხეულზე. ამგვარად, შეიძლება ითქვას: ადამიანური სხეული ისწრაფვის ზევით, ვინაიდან ის არის „მე“-ს მატარებელი; ადამიანის ფიზიკური სხეული ისწრაფვის ქვევიდან ზევით, რამდენადაც ის თავის გეშტალტში ავლენს ზენა სულიერი სამყაროს ზემოქმედებას. რამდენადაც ადამიანი სხეულებრივად გამოხატავს ზენა სულიერი სამყაროს კუთვნილი არსების ხატს, ის შეიძლება, განვიხილოთ, როგორც „მე“ სხეულის შესხვედრა ფიზიკურ სხეულთან ორი ძალოვანი მიმართულებების შეჭრის შედეგად. თავისი „მე“-განცდით ადამიანი ეკუთვნის ფიზიკურ გარე სამყაროს, მაგრამ ამავდროულად წარმოადგენს იმას, რასაც წარმოადგენს საკუთარ თავში ასახული განცდის სურათ-ხატი. ეს არის ხატი იმისა, რაც დავახასიათეთ, როგორც თავის თავში დავანებული ზენა სულიერი სამყაროს გრძობადი განცდები. ამრიგად, სხეულში, რამდენადაც ის არის „მე“-ს მატარებელი, შეიძლება ნივთიერების იმ ხატის დანახვა, რომელიც თავად ეფლობა შიგნით. სხვა დაპირისპირებულობები გვხვდება „უკნიდან-წინ“, „წინიდან-უკან“ მიმართულებით. გრძობის ორგანოები, *არსებითად*, მათი კუთვნილი ნერვებით წარმოადგენენ „წინიდან-უკან“ მიმართულებით ზრდად ორგანოებს. თუ მათ წარმოვიდგენთ, – რაც სრულიად დასაბუთებულია, – ისე ზრდადს, რომ მათ ზრდას უპირისპირდება მათივე განვითარების თავდაპირველი მიმართულების ფორმაქმნადი ძალები, რომლებიც წარმოშობილნი არიან ქვედა სულიერი სამყაროდან, მაშინ ეს უკანასკნელი მიმართულება შეიძლება ვეძიოთ უკნიდან წინ. მაშინ შეიძლება, ითქვას, რომ ადამიანურ ფორმასთან მიმართებით უკან მი-



მართულების დასრულებაში მოცემულია რაღაცა დაბალ სულიერ სამყაროსთან მიმართებაში, მსგავსად იმისა, როგორც არის ზენა სულიერ სამყაროსთან დაკავშირებით მოცემული ქვევიდან ზევით მიმართულების დასრულებისას. ასეთ შემთხვევაში სასიცოცხლო ორგანოების გარეგნული გაფორმებისას წინიდან უკან ზემოქმედებდნენ ქვედა სულიერი სამყაროს ის ძალები, რომლებსაც ადამიანზე ზემოქმედება არ შეუძლიათ ფიზიკური სამყაროდან; ქვედა სულიერი სამყაროს ძალებიც ასევე ზემოქმედებდნენ ადამიანის ფიზიკური სამყაროს შიგნით უკნიდან წინ. მათში ვლინდება ის, რასაც ზემოაღნიშნული განსჯის თვალსაზრისით შეიძლება ასტრალური ადამიანი ეწოდოს. ამრიგად, ვინაიდან ასტრალური ადამიანი თავის თავს ავლენს საკუთარ სხეულებრივ ფორმაში, ის ისწრაფვის სწორედ „უკნიდან-წინ“, როგორც ადამიანის ფიზიკური სხეული ისწრაფვის ზევით. მესამე დაპირისპირებულობა არის „მარჯვნიდან-მარცხნივ“, „მარცხნიდან-მარჯვნივ“. ადამიანური გემტალტის სიმეტრიაში ამ მიმართულებასთან დაკავშირებით შეიძლება, დავინახოთ მითითება იმაზე, რომ აქ ძალები ერთმანეთს თანაბარწილად უპირისპირდება. ასეთი ვლინდება, როცა ამ მიმართულებებში ხედავენ ადამიანური სხეულებრივი გემტალტის ურთიერთქმედებას, რამდენადაც მან უკვე ჩამოაყალიბა სხეულებრივი ორგანოები დაბალი სულიერი სამყაროდან, გრძნობის ორგანოთა ფორმაქმნადი ძალებით. მაშასადამე, ასტრალური სამყაროს ფორმაქმნადი ძალები, რამდენადაც ეს ძალები ფიზიკურ სამყაროში უშუალოდ უკვე აღარ მოქმედებენ, უმჯობესი იქნებოდა, გრძნობის ორგანოებისთვის წინ მიმართულებასთან დაკავშირებით ადამიანის სხეულის მარცხენა ნახევარში ისე წარმოგვედგინა, რომ ისინი სხეულის მარცხენა ნახევრიდან მარჯვნივ მოქმედებდნენ; ასტრალური სამყაროს იმ ძალებმა, რომლებიც სხეულებრივ გემტალტზე ზემოქმედებას ისე აგრძელებენ, რომ ამ სხეულებრივ გემტალტში ვლინდება მათი ზემოქმედება, საჭიროა, ასეთ შემთხვევაში მარცხნივ იმოქმედონ. ახლა, როცა ამ ძალებმა საჭიროა, ზემოქმედება მოახდინონ უკვე ქვედა სულიერი სამყაროდან განსაზღვრულ ორგანოებზე, ისინი თავს ავლენენ შიგნით მოქმედებისას, ზუსტად ისე, როგორც ზენა და ქვედა სულიერი სამყაროს ძალები ვლინდებიან გარეთ ფორმირები-

სას. (აქ ნათქვამის დასტური შეიძლება, ვიპოვოთ ანთროპოლოგიის მეშვეობით ნერვული გზების ხაზებში, რომლებიც ორგანიზმში გადაიკვეთებიან.) – ეს მიუთითებს ასტრალური სამყაროს რაღაც ავსებას ადამიანის ეთერული სხეულით, რამდენადაც ეთერული სხეული გამოხატულებას სხეულებრივ ფორმაში პოულობს. შეიძლება ითქვას:

1. ადამიანის ფიზიკური სხეულის ფორმაქმნალობა განპირობებულია ზენა სულიერი სამყაროდან „ზევიდან-ქვევით“ მიმართულებით.

2. ადამიანური სხეულის გეშტალტი, რამდენადაც ის არის ასტრალური სხეულის მატარებელი, მიუთითებს მიმართულებაზე „უკნიდან-წინ“.

3. ადამიანური სხეულის გეშტალტი, რამდენადაც ის არის სასიცოცხლო პროცესების მატარებელი, მიუთითებს მიმართულებაზე, როგორც „მარჯვნიდან-მარცხნივ“, ისე „მარცხნიდან-მარჯვნივ“.

4. ასეთ შემთხვევაში ამ ფორმაქმნალობის შედეგი იქნებოდა ადამიანის ჭეშმარიტი ფიზიკური გეშტალტი. ამ მდგომარეობის მისაღებად, ამ ფორმაქმნაღმა ძალებმა ერთმანეთი უნდა განმსჭვალოს. ასეთი განმსჭვალვა შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი თავის თავს ჩააშენებს ფიზიკურ სამყაროში, ამასთან ასტრალური სამყაროს ძალები ისე მოიცავენ გარეგნული ფიზიკური სამყაროს ძალებს „მარჯვნიდან-მარცხნივ“ და „მარცხნიდან-მარჯვნივ“ მიმართულებით, რომ თავისი ფორმირებით ღიად ტოვებენ შემდგომი ფორმირების შესაძლებლობას უკანა მხრიდან წინ მიმართულებით და ამ პირობებთან შესაბამისობაში ღიად რჩება „ზევიდან-ქვევით“ მიმართულება. ვინაიდან, მხოლოდ წარმოვიდგინოთ რა მიმართულებას, რომელიც გაივლის „მარჯვნიდან-მარცხნივ“ და „მარცხნიდან-მარჯვნივ“-ის პრინციპით, როცა მოქმედებს ყველა მიმართულებით, ანუ კვლავ შეცვლილი წინ მიმართულებით და შემდეგ ხელახლა გაივლის რა ზევითა მიმართულებით, შეიძლება, წარმოვიდგინოთ, როგორ ხორციელდება ზემოაღნიშნული. თუმცა, ამან რომ ადამიანური გეშტალტი გამოავლინოს, საჭიროა, ამ ძალებისთვის ველოდოთ მათ საპირისპირო ძალებს თავად ფიზიკური სამყაროდან. ასეთ შემთხვევაში ეს ის ძალებია, რომლებიც ვლინ-

დება უკვე არა როგორც ზემოთ დახასიათებული ფიზიკური სამყაროდან მოქმედი, არამედ როგორც ძალები, რომლებიც უშუალოდ სულიერი სამყაროდან მოქმედებენ. ადამიანის ფიზიკურ ჩანასახში მართებთ მხოლოდ ამ უკანასკნელთა ძიება. სხვა ძალებთან ურთიერთობაში ადამიანი მხოლოდ *ასეთი ჩანასახის* სახით შედის. – ამრიგად, თუ სურთ, ფიზიკურ სამყაროში ადამიანში იპოვონ მინიშნება ზენა სამყაროებზე, მაშინ მართებთ, შეხედონ არა სასიცოცხლო პროცესებს და არა მათ კავშირს საკუთარ ორგანოებთან, არც გრძნობის ორგანოების ცხოვრებას, ასევე არც თავის ტვინს, არამედ უშუალოდ მხოლოდ ამ „*როგორ*“-ს, სხეულისა და ორგანოების ფორმათა *მოხაზულობას*. ამ „*როგორ*“-ში შეიძლება გამოვლინდეს, რომ მინიშნებები სულიერ სამყაროებზე შეიძლება, აღქმული იყოს ჯერ კიდევ ფიზიკურ ადამიანში. (აქედან გამომდინარე, ადამიანის განსხვავება ცხოველისგან სულიერ სამყაროებთან მიმართებით შეიძლება, მომდინარეობდეს სხეულებრივი ფორმის განხილვიდან, რამდენადაც ცხოველი სივრცის მიმართულებით სხვაგვარადაა განლაგებული; ეს სხვა მიმართულება კვლავ ავლენს, რომ ზენა სამყაროები ადამიანზე სხვაგვარად ზემოქმედებს, ვიდრე ცხოველზე).

ანთროპოსოფიული განხილვები შეიძლება, ნაყოფიერი იყოს, თუ მითითებულ განხილვებს გამოვიყენებთ ადამიანის სხეულის გეშტალტის დეტალებზე. მაშინ ანთროპოლოგიურ დაკვირვებებთან სრულ თანახმიანობას ყველგან მივიღებთ. მითითება იმაზე, როგორ არის დანახული სმენის ორგანოში, მხედველობის ორგანოში და ა. შ. გარდაქმნა იმ ორგანოების ჩანასახებიდან, რომლებიც წარმოქმნის პროცესში იმყოფება, ან გემოს ორგანოში დანახული ყნოსვის შებრუნებული ორგანო, შესაძლოა, ამან მოგვცეს წარმოდგენები, რომლებიც ხელახლა უნდა იქნეს ნაპოვნი ორგანოთა ფორმებში. ასიმეტრიული ორგანოები გასაგები ხდება, თუ ისინი ესმით ისე, რომ მათი ფორმები წარმოიქმნენ იმის წყალობით, რომ შეიძლებოდა, გამორიცხულიყო ასტრალური სამყაროს ძალები, რომლებიც „მარცხნიდან-მარჯვნივ“ და „მარჯვნიდან-მარცხნივ“ მოქმედებდნენ. თუ განვიხილავთ, როგორც ეს ზემოთ გაკეთდა, გრძნობის ორგანოთა გადაბრუნებას, თავად მათ შებრუნებას შიგნით, მაშინ შესაძლებელი იქნება ასევე დათანხმება იმაზე,

რომ გარდაქმნა შეიძლება, განპირობებული იყოს კიდევ სხვა პრინციპებითაც. განვიხილოთ სმენის ორგანო. თავად ის მოყვანილია კავშირში წონასწორობის გრძნობასთან. შეიძლება, წარმოვიდგინოთ, რომ წონასწორობის გრძნობაში გამოვლენილი მოქმედება დაიყოლიებს ორგანოს ჩანასახს, რომელიც შიგნითაა მიმართული ჯერ კიდევ არა დიფერენცირებულად სმენის ორგანოსთვის, მისი ფორმირების თავდაპირველი მიმართულებისგან. სმენის გრძნობა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ორგანოს შესაბამის ჩანასახზე მიმართულია სხვა მოქმედება. ორგანოს შესატყვისი ჩანასახი შეიძლება დაკავშირდეს მოძრაობის საკუთარი გრძნობის განცდასთან. ამით შეიძლება ნათელი მოეფინოს იმ ფაქტს, რომ სმენის ორგანო ვლინდება გარეგნული ნივთიერებისკენ მიმართულ ორგანოში, ხოლო ბგერის ორგანოს აღქმა გარეგნულად შეუძლებელია. საკუთარი მოძრაობის გრძნობის განცდა შეესაბამება სხეულის შინაგანს, ხოლო წონასწორობის გრძნობის განცდა ვლინდება სივრცის გარეგან მიმართულებებთან მიმართებაში. ამის შედეგად ბგერის ორგანოს შეიძლება, ეწოდოს ასევე სხეულის შინაგანში დაფარული სმენის ორგანო. საკუთრივ მე-განცდისთვის, რომელიც არ შეესაბამება არანაირ გრძნობად განცდას, მხედველობაში არ მიიღება არც ერთი ცალკეული ორგანო, არამედ მარტოოდენ სხვა ორგანოს ჩანასახის სწრაფვა ზევით. ამრიგად, ბგერისა და ცნების, წარმოდგენის ორგანოებში შეიძლება დანახვა წარმონაქმნების, რომელთა ფიზიკური ფორმაც განსაზღვრულია მე-განცდისკენ მათი მიდრეკილების წყალობით. ხოლო იმაში, რაშიც სხეული „მე“-ს მატარებლის სახით მონაწილეობს შიგნიდან გარეთ, შეიძლება, ვაღიაროთ გადაბრუნება ფორმაქმნად ძალებში და ვთქვათ, რომ, თუ სხეული, როგორც „მე“-ს მატარებელი კვლავ აყალიბებს ორგანოს საპირისპირო მიმართულებით, მაშინ ამ ორგანოს *ხატში* კვლავ უნდა გაიხსნას ზენა სულიერი სამყაროს ქმნილებათა თავისებურება. ასეთ ორგანოს წარმოდგენს მეტყველების ორგანო (ხორხი). თუ შეიძლება მთელ რიგ ორგანოებს, – სმენის, ბგერის გრძნობისა და ცნების ორგანოებს, – ეწოდოს სხეულებრივი ჩაფლობით შიგნით მიმართული გრძნობათა ჩანასახი, მაშინ მეტყველების ორგანოში შესაძლებელია, ვაღიაროთ ბგერის გადაბრუ-

ნებული გრძნობა. აქ ბგერა არ იქცევა გრძნობის განცდად, რომელიც ორგანოს მეშვეობით შიგნით, „მე“-სკენ ისწრაფვის, არამედ წარმოადგენს თავის თავში დავანებული გრძნობის შემოქმედებით შინაარსს, გრძნობის ნამდვილად გადაბრუნებულ განცდას. ხორხის წარმოქმნა ზუსტად შეესაბამება ამ პირობებს. – გარდა ამისა, შეიძლება ასევე ვეძიოთ ორგანო, რომელიც ადამიანში შეესატყვისება უნარებს, რომლებიც დგას ლაპარაკსა და „მე“-ს შორის ისევე, როგორც ცნება – მოსმენასა და „მე“-ს შორის. ამ ორგანოს წყალობით ადამიანისგან უნდა მომდინარეობდეს რაღაც ისეთი, რაც არც ისე ნაკლებშინაარსიანია, როგორც მე-განცდა, მეტიც თავისი გამოცხადებებით გარე სამყაროში უშუალოდ არ იღვრება. ადამიანის თავის ტვინში ეს იქნებოდა ორგანო, რომელიც შეესაბამება ფანტაზიებს. შემდგომში თანდათანობით ისწავლიან თავის ტვინში ერთმანეთისგან განასხვავონ ცნების ორგანო ფანტაზიის ორგანოსაგან.

რამდენადაც ადამიანის ფიზიკური სხეულის გემტალტში გარკვეულწილად ქდერს სამი ზენა სამყაროს ფორმაქმნადი ძალები, ამიტომ აუცილებელია ასევე აღიარება იმისა, რომ უშუალოდ ასტრალური სამყაროდან შეიძლება, ასტრალურ სხეულზე ორივე უფრო მაღალი სულიერი სამყაროს ფორმაქმნადმა ძალებმა იმოქმედონ; და ბოლოს, უშუალოდ ზენა სულიერი სამყაროდან იღვრება ზემოქმედებები უკვე სასიცოცხლო ორგანოების ჩანასახში, როგორებიც ისინი იბადებიან ქვედა სულიერი სამყაროდან. ასეთი ძალების გათვალისწინებით, შეიძლება გამოვლინდეს გულის, სუნთქვის ორგანოების, სისხლის მიმოქცევის, კუნთებისა და ძვლოვანი სისტემის და ა. შ., ფორმა და მდებარეობა.

ფიზიკური სამყაროს შიგნით ადამიანის სხეულის გემტალტში ვლინდება ის, რომ ადამიანის განვითარება მისდევდა არა მარტო ურთიერთობების შეგუებას, რომლებიც უცხოა ადამიანის შინაგანი არსებისთვის, არამედ ეს ფორმა, ბოლოს და ბოლოს, ხატოვნად გამოხატავს „მე“-ს ხასიათს. ადამიანის განვითარებადი ჩანასახი ისე უნდა ყოფილიყო ჩაფიქრებული, რომ მისი ფორმირებისას ზენა სამყაროს ძალებს ჰქონოდათ საწყისი წერტილი. გრძნობად სამყაროში აღქმისთვის მოცემულია მხოლოდ შეგრძნებათა შინაარსი, რომლებსაც საკუთარ

თავს, სურათ-ხატის შეგრძნების სახით, უპირისპირებს „მე“, როცა თავის თავს თავად აღიქვამს. მაგრამ სურათ-ხატის შეგრძნება განეკუთვნება ასტრალურ სამყაროს. ამრიგად, სურათ-ხატის შეგრძნება „მე“-ს თვითგანცდისას დავანებულია სივრცეში, გარკვეულწილად, თავისუფლად. გემოს გრძნობასთან გამოვლინდა, რომ მასში შესაძლებელია ყნოსვის გადაბრუნებული გრძნობის დანახვა. თუ ნივთიერების დარტყმას ყნოსვის გრძნობაში არ მივიღებთ იმად, რაც იწვევს შეგრძნებას, არამედ ჩავთვლით, რომ თავად ყნოსვის განცდა ხდება „მე“-ს შემადგენელი ნაწილი, როგორც თვითგანცდა „მე“-ში, მაშინ ასტრალური „მე“-ს სურვილსა თუ მოძრაობის იმპულსში შეიძლება ამ „მე“-ს პასუხის დანახვა იმის შესახებ, რაც მომდინარეობს ნივთიერებისგან და უერთდება „მე“-ს ფიზიკური შუამავლის გარეშე. მაშინ ყნოსვის განცდის მიღმა, სურათ-ხატის განცდის გარდა, დგას „მე“-ს სურვილისა და მოძრაობის იმპულსის საპირისპირო ასტრალური ქმედება. ტონში ის, რაც გარეგნული ობიექტისგან გამოიყოფა, მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს იმისგან, რაც ამ ობიექტში აღიქმება სხვა გრძნობებით, ვიდრე სმენის გრძნობით. ეს გამოყოფილი კი წარმოადგენს „მე“-ს განცდას. თუმცა, შეიძლება ნამდვილად ითქვას: როცა ობიექტი ესმით, მაშინ მხოლოდ მუდერი ობიექტი ეკუთვნის სამყაროს, რომელშიც არ იმყოფება „მე“ და რომელშიც მას არ შეუძლია თავისი თავის გაიგივება გრძნობის განცდასთან. მოძრაობის საკუთარ გრძნობაში აღიქმება საკუთარი ორგანიზმის მდებარეობა და ფორმის ცვლილება. ამრიგად, ამ გრძნობისთვის ჩნდება წარმოდგენა, რომ „მე“-ს თვითგანცდის მიღმა საჭიროა, დაეუშვათ მოძრაობის იმპულსის საპირისპირო ასტრალური ქმედება. ხოლო, თუ ფიზიკურ სამყაროში არ არსებობს არაფერი, გრძნობის განცდის გარდა, მაშინ ამ სამყაროში საუბარიც კი არ შეიძლება სხვა რაიმეზე, გარდა გრძნობების განცდისა. ვინაიდან, გრძნობის განცდის მიღებისთვის ფიზიკურ სხეულს უნდა გააჩნდეს გრძნობის ორგანოები, ადამიანისთვის ამ ფიზიკურ სამყაროში არაფერია, გარდა გრძნობების განცდისა და სურათ-ხატის ასტრალური განცდის სახით – „მე“-აღქმისა. „მე“-ს არა აქვს სხვა რაიმე შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომ განიცადოს გარე სამყაროს ობიექტები და ამავე დროს, სხვადასხვა სახით კომ-

ბინირებით, იპოვოს გრძნობების განცდა. შესაძლოა, აქ მომხდარი სხვა არაფერია, თუ არა გრძნობათა განცდის თავისუფალი ლივლივი სივრცეში. თუმცა, გემართებს ვივარაუდოთ, რომ ადამიანის გეშტალტი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს რაიმე უმნიშვნელოს, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ რა მიმართულებით და რა მდგომარეობაში იმყოფება ერთი ორგანო მეორესთან მიმართებით. ფიზიკური სამყაროს განხილვა საჭიროა სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის, რომ გემოს ორგანო წარმოადგენს ყნოსვის გადაბრუნებულ ორგანოს. ვინაიდან, თუ ახლა განიზრახავენ, ყნოსვის განცდა წარმოიდგინონ, როგორც არის ის, სურათ-ხატის შეგრძნებით, როცა არ უარყოფენ თავად ნივთიერების უნარს შეავსოს სივრცე, თუ წარმოიდგენენ ამ განცდას სურათ-ხატის ისეთივე შეგრძნებით, რასაც წარმოადგენს თავის თავში „მე“-განცდა, სივრცეში თავისუფლად მოლივლივე სურათ-ხატის შეგრძნებად, მაშინ აუცილებელია იმის აღიარება, რომ რაღაცა დამოკიდებულია იმაზე, რომ ადამიანი შემოაბრუნებს ფიგურას ზედაპირით ობიექტისკენ ისე, რომ მისკენ მიმართოს გრძნობის ესა თუ ის ორგანო ობიექტისგან გამომდინარე სურათ-ხატის შეგრძნების მისაღებად. რასაკვირველია, ფიზიკურ სამყაროში ადამიანის არსებობისთვის აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ორგანოს გამოყენებით ერთ შემთხვევაში აღიქვამენ სუნს, მეორე შემთხვევაში – გემოს. ხოლო, როცა „მე“ არა მარტო მოიცავს ფიზიკურ სამყაროში არსებულ „მე“-აღქმას, არამედ ეს „მე“ ნამდვილად ძეგს თავის სხეულებრივი ფორმის საფუძველში ისე, რომ სურათ-ხატების მთელ განცდას ისინი განიცდიან, როგორც საკუთარს, მაშინ „მე“-ს თვითგანცდა ამ „მე“-ში ერთ შემთხვევაში იქნებოდა სუნის, მეორე შემთხვევაში – გემოს სურათ-ხატის შეგრძნება. თუ საქმე ექნებოდათ არა მზა სხეულებრივ ფორმასთან, არამედ ფორმირების პროცესში მყოფთან, მაშინ არანაირი „მე“-აღქმა არ იარსებებდა; „მე“-ს თვითგანცდა სრულიად სხვა იქნებოდა.

## დანართი

### 1. IV-VII თავების კორექტურული რედაქციების ვარიანტები

ქვემოთ მოყვანილია რუდოლფ შტაინერის ორმაგი კორექტურის ვარიანტის რედაქციები IV-VII თავებისთვის. ისინი აღნიშნულია A და B. თუ ტექსტის ერთი და იგივე ადგილი ნაბეჭდი ფურცლების ორივე ეგზემპლარზე განსხვავებულადაა გასწორებული, მაშინ ეს მითითებულია. აღნიშნულია ასევე, თუ საუბარია მთელ ფრაგმენტებზე, რომლებიც ხელახლა დაემატა. ყველა სხვა შემთხვევაში საუბარია კორექტურების მხოლოდ ორი რედაქციიდან ერთ-ერთზე, მაშინ, როცა ვარიანტი აღადგენს მეორე ნაბეჭდი ფურცლის გაუსწორებელ ტექსტს. ორივე რედაქციაში შეტანილი ერთნაირი შესწორებები მხედველობაში არაა მიღებული, რამდენადაც ამ შემთხვევაში ტექსტის საბოლოო სახე ზუსტად არის დადგენილი. შესაბამისად დასაწყისში გვერდისა და სტროფის შემდეგ მოყვანილია ვარიანტი, რომელიც არჩეულია მთავარი ტექსტისთვის, ხოლო მის ქვემოთ – მეორე.

გვ. სტრ.

31,20 B გარემოცვაში, და იქ

A გარემოცვაში და იქ

31,31 B ამ სფეროს მეოთხე პროცესად აღინიშნოს – ესაა *სეკრეცია*

A ამ სფეროსთვის: აღინიშნოს *სეკრეცია*.

31,19-20 B თავად სხეულის კუთვნილი წარმოიქმნება ისე, რომ ადამიანთან შეერთებული რჩება;

A იმ დროს, როცა საკუთარი სხეულისთვის კუთვნილი წარმოიშობა ისე, რომ ადამიანთან შეერთებული რჩება, გამრავლებისას წარმოშობილი გარეთ გამოდის.

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში.*

33,10 B გამოიყოფა;

A გამოიყოფა;

33,28 B უპირისპირდება;

A უპირისპირდებიან;

33,34 B გარეგნული გრძნობადი აღქმები



- A გრძნობადი აღქმები
- 33,34 B განიცდება,
- A განიცდება
- 34,1 B გარეგნული გრძნობადი აღქმების
- A გრძნობადი აღქმების

34,30-34 B რაღაც შიმშილის შესაბამისზე და ის დაკავშირებულია მასთან ისე, როგორც ადამიანი აკავშირებს გრძნობად აღქმასთან იმას, რაც წარმოიქმნება დასკვნის გამოტანის შემდეგ ამ გრძნობადი აღქმების პასუხად.

A რაღაც შიმშილის შესაბამისზე და რაც დაკავშირებულია მასთან ისე, როგორც ის, რასაც ადამიანი ახორციელებს განსჯის შემდეგ, დაკავშირებულია რაღაც გრძნობად აღქმასთან.

/... ახორციელებს განსჯის შემდეგ, მიუთითებს რაღაც გრძნობად აღქმაზე, რომელიც დაკავშირებულია ამ გრძნობად აღქმასთან/

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში. B რედაქციას აქვს გასწორებული ტექსტის ორი გამარტება.*

- 34,37 B გარეგნული
- A სხვა

35,20-21 A ამ სამყაროს ჯერჯერობით „სასიცოცხლო სამყარო“ ვუწოდოთ.

B ამ სამყაროს „სასიცოცხლო სამყარო“ ვუწოდოთ.

- 35,31 A მაგ., მკაცრად არის გამოყოფილი
- B მკაცრად არის გამოყოფილი

- 36,20 B გაძლიერებული შინაგანი ცხოვრების წყალობით.
- A თავად საკუთარი თავის წყალობით.

- 36,22 A შეიძლებოდა გარემოცვის ხატის გამოყენება
- B შეიძლება გარემოცვის ხატის გამოყენება

36,31-37 A ორივე შემთხვევაში გარე სამყაროს უპირისპირდება შესაბამისი სხეულებრივი ორგანო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გარე სამყაროში ვლინდება რაღაც, რასაც მიმართება აქვს, როგორც ერთთან, ისე მეორესთან. ეს მხოლოდ გვაჩვენებს, რომ ჰაერში, მაგ., რაღაც ორგვარი ვლინდება; პირველი განეკუთვნება სუნთქვის ორგანოს ფორმირე-

ბას, რომელიც სხეულის სამსახურშია ჩაყენებული, მეორე კი სმენის ორგანოს აგებას

B ორივე შემთხვევაში გარეგან ჰაერს უპირისპირდება შესაბამისი სხეულებრივი ორგანო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჰაერისთვის ადამიანური ორგანიზმი მისი შექმნისას აგებულია ერთი ან მეორე ორგანოს წყალობით. ამით ჩანს, რომ ჰაერთან მიმართებით ადამიანურ სხეულში ვლინდება ორგვარი; ერთი ახდენს გარეთ სუნთქვის ფორმირებას და მას სხეულში ჩააშენებს; მეორე სმენის ორგანოს აგებს.

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში.*

37,7-11 B ორგანიზმიდან გარე სამყაროს შესაგებებლად ვითარდება აგრეთვე სუნთქვისა და სმენის ორგანოები. ამრიგად, სუნთქვის ორგანო მხოლოდ შინაგან სხეულებრივ ცხოვრებას ემსახურება, სმენის ორგანო კი უნდა მოერგოს გარე სამყაროს, ბგერის სფეროს

A ორგანიზმიდან სუნთქვის ორგანო ამოიზრდება გარე სამყაროს შესაგებებლად ისევე, როგორც სმენის ორგანო. ამრიგად, სუნთქვის ორგანო მხოლოდ შინაგან სხეულებრივ ცხოვრებას ემსახურება; თუმცა სმენის ორგანო მორგებულია გარე სამყაროს – ბგერის სფეროს.

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში.*

37,13 B ყურადღება უნდა გამახვილდეს

A გამახვილებულია ყურადღება

37,37 B ადამიანში შეიძლება, აღვიქვათ ზეგრძნობადი მაღალი არსება,

A აღვიქვათ ზენა სამყარო

38,2 A ასევე აღვიქვათ სხვა

B ასევე აღვიქვათ მათ შორის არსებული სხვა

38,13-20 A სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება, ვაღიაროთ, რომ მითითებული სამყაროებიდან მეორე ვლინდება „ასტრალური ადამიანის“ ემოციურ განცდებში, რომლებიც შეიძლება, აღინიშნოს, როგორც სასიცოცხლო ინსტინქტები. ამ განცდებში ვლინდება რაღაც, რომელთანაც ერთიანდებიან „ასტრალური ადამიანის“ სხვა ინსტინქტური განცდები და ავლენენ ზეგრძნობადი სამყაროს ხატს იმავე აზრით, როგორც თაც წარმოიდგენს მსგავსი სამყაროს ხატს „მე-ადამიანი“.

**B** სწორედ იმავე აზრით შეიძლება, ვაღიაროთ, რომ ასტრალური ადამიანი ემოციის განცდებში, რომელიც წარმოჩნდება მის წინაშე სასიცოცხლო პროცესების მეშვეობით, აღიქვამს ზეგრძნობადი სამყაროს გამოცხადებას, რომელშიც ამ პროცესების ორგანოები (სასიცოცხლო ორგანოები) იძენენ არსს: 1. ემსახურონ სიცოცხლეს. 2. შექმნან თავისი თავისგან გრძნობის ორგანოები. ამ განცდებში ვლინდება რაღაც ისეთი, რაშიც ერთიანდებიან სხვა ინსტიქტური განცდები და თავის უმაღლეს ქმედებას ავლენენ ფორმაქმნადი ძალების სახით.

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში.*

39,1-10 **A** „ასტრალური ადამიანის“ განხორციელებისთვის სასიცოცხლო ორგანოები აგებენ სხვა სამყაროს, რომელიც ზემოთ დახასიათებულ ზეგრძნობად სამყაროს „სასიცოცხლო სამყაროს“ სახით უერთდება. ამ სამყაროს ძალები იმ განცდების მონათესავეა, რომლებიც „ასტრალურ ადამიანს“ სასიცოცხლო ინსტინქტებში გააჩნია. ზემოთ მითითებული აზრით გრძნობად სამყაროში თავის თავს ავლენს ის, რაც ფიზიკურ ადამიანს აშენებს. სასიცოცხლო ორგანოების ამგები ძალები შეიძლება, ფიზიკურ სამყაროში მხოლოდ სასიცოცხლო პროცესებში გამოვლინდნენ.

**B** „ასტრალური ადამიანის“ განხორციელებისთვის ზეგრძნობადი სამყაროები სასიცოცხლო ორგანოებს აგებს. ამ სამყაროს ძალები „ასტრალური ადამიანის“ განცდების მონათესავე აღმოჩნდა. ის, რაც ფიზიკურ ადამიანს აშენებს, თავის თავს გრძნობად სამყაროში ზემოთ დახასიათებული აზრით ავლენს. ის ძალები, რომლებიც სასიცოცხლო ორგანოებს აგებენ, შეიძლება მხოლოდ ინსტინქტურ ემოციურ განცდებში გამოვლინდნენ. ვინაიდან, ისინი გრძნობის არანაირ ორგანოებს არ ქმნიან, ხილული კი მხოლოდ ასეთების წყალობით შეიძლება გამოვლინდეს.

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში.*

39,15-17 **B** არ შეიძლება, გახდეს ხილული და შესაძლოა, იყოს მხოლოდ ემოციური ინსტინქტური განცდა.

**A** არ შეიძლება, გახდეს ხილული

39,30-32 **B** ისეა მოწყობილი, რომ ის „მე“-ს გრძნობად განცდებს გადასცემს;

A ისეა მოწყობილი, რომ ის ასევე გრძნობადად განცდადიც ხდება;

39,25 B „ეთერული სხეული“ შეიძლება

A „ეთერული სხეული“, როგორც სასიცოცხლო ორგანოების შემქმნელი, შეიძლება

39,34-37 B უნდა იყოს ასეთი მიმართება: „მე“ ისევე ეკიდება ადამიანის ფიზიკურ სხეულს, როგორც „ასტრალური ადამიანი“ – „ადამიანის ეთერულ სხეულს“. ამრიგად, სასიცოცხლო პროცესები გულისხმობს იმ ძალების არსებობას, რომლებსაც თავად ისინი არ ემსახურებიან, თუმცა მათ ეგუებიან, აყალიბებენ რა გრძნობის ორგანოებს, მაგ., სმენის ორგანოს, განცდის თვალსაზრისით სხეულიდან ამოსვლით; გრძნობის ორგანოები კი, პირიქით, გულისხმობს სასიცოცხლო ორგანოებს, ნარჩუნდება რა მათი პროცესების წყალობით.

*დამატება ვარიანტში B ინტერვალის გარეშე ერთვის ... . შეიძლება განიცადონ. . . ემოციურად“-ს.*

A ამრიგად, შეიძლება განვასხვაოთ: 1. ზეგრძნობადი სამყარო, რომელშიც განლაგებულია ძალები გრძნობის ორგანოების შექმნისთვის. 2. ზეგრძნობადი სამყარო, რომელშიც არის ძალები სასიცოცხლო ორგანოების შექმნისთვის. ეს სამყარო გულისხმობს პირველს. აქედან პირველს შეიძლება ზენა სულიერი სამყარო ეწოდოს, უკანასკნელს კი – ქვედა სულიერი სამყარო. 3. სამყარო, რომელშიც ასტრალური ადამიანი იმყოფება ისეთ მიმართებაში სასიცოცხლო პროცესებთან, რომ ეს უკანასკნელი მასში ვლინდება სასიცოცხლო ინსტინქტების სახით. სასიცოცხლო ინსტინქტები გულისხმობს სასიცოცხლო პროცესებს, შესაბამისად მეორე სამყაროს. მას საჭიროა ასტრალური სამყარო ეწოდოს. 4. სამყარო, რომელშიც გრძნობის ორგანოების წყალობით ვლინდება „მე ადამიანის“ გრძნობადი განცდები. ეს არის ფიზიკურ-გრძნობადი სამყარო.

*მთელი აბზაცი ვარიანტში არის დამატება, რომელიც ინტერვალით ერთვის ... . შეიძლება განიცადონ. . . ემოციურად“-ს.*

40,14-25 ზენა სულიერი სამყაროდან წარმოიქმნა ადამიანის ფიზიკური სხეული, რამდენადაც ის არის გრძნობის ორგანოების მატარებელი. ქვედა სულიერი სამყაროდან ფორმი-

რებულია ადამიანის „ეთერული სხეული“, რამდენადაც ის კვლავ აგებს სასიცოცხლო ორგანოებს. ასტრალურ სამყაროში „ასტრალური ადამიანი“ ხვდება სასიცოცხლო პროცესებს, რამდენადაც ისინი სასიცოცხლო ინსტინქტებში ვლინდება. ფიზიკურ სამყაროში „მე-ადამიანი“ ხვდება გრძნობად განცდებს, რომლებიც წარმოადგენენ გარე სამყაროს (ბგერა, ტონი, სითბო, სინათლე და ა. შ.), რამდენადაც გრძნობადი განცდები გრძნობადი სამყაროს სახით ვლინდება.

*მთელი აბზაცი – ეს არის თან დართული ხელნაწერი დამატება ცალკე ფურცელზე, რომელიც მიეკუთვნება ამ ადგილს, ნაბეჭდი ფურცლის გვერდის შესაბამისი ნომრის მითითებით.*

41,5 A უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება

B უპირველეს ყოვლისა, ეკუთვნის

41,14 B წარმოჩნდებიან ისინი

A განეკუთვნებიან ისინი

41,24-26 A ძალზე ღირებულია; მის მიმართ ინტერესი იღვიძებს. ახლა კი ეს ინტერესი

B ძალზე ღირებულია, მის მიმართ ინტერესი იღვიძებს; საჭიროა

42,13 B „მე“ მოქმედებას

A „მე“ მოქმედებას

42,21 B საუბრობენ გრძნობის ორგანოებზე, „ეთერულ ადამიანთან“ მიმართებით – სასიცოცხლო ორგანოებზე,

A საუბრობენ გრძნობად უნარებზე, ეთერული ადამიანისთვის – სასიცოცხლო პროცესებზე,

43,4 A იმ განცდიდან

B განცდიდან

43,21 B შეგრძნების

A შეგრძნებისთვის

43,21 A რეალობაში

B სინამდვილეში

45,8-18 A ახლა იოლია, ვალიართ, რომ სამყარო, რომელზეც აქ ითქვა, რომ მისგან მომდინარეობს „ასტრალური სხეული“, მსგავსია წინა თავში აღწერილი „ასტრალური სამყაროსი“. დასაწყისში სასიცოცხლო ინსტინქტებში უნდა გადა-

ვიდეს მარტოოდენ სასიცოცხლო პროცესები, რათა „ასტრალურ ადამიანში“ იმპულსად იქცეს. ამრიგად, სასიცოცხლო ინსტინქტები, ხატ-სახეთა შეგრძნებები, სურვილები და მოძრაობის იმპულსები განეკუთვნება „ასტრალურ ადამიანს“, რამდენადაც ეს „ასტრალური ადამიანი“ უკვე გულისხმობს ქვედა სულიერ სამყაროს, თავად კი „ასტრალური სამყაროდან“ არის წარმოქმნილი.

*ძოელი აბზაცი არის A ვარიანტის დამატება.*

46,1 A ადამიანის მიერ თავად „მე“-ს განცდაში

B „მე“-ს განცდაში

46,21 A ამრიგად, . . . უკან მიბრუნდება

B ამრიგად, . . . შემოტრიალდება

47,2 B მოხდება, და თუ

A მოხდება და თუ

47,3 B თუ განცდის მხოლოდ შინაგანი პროცესი უწევს გარკვეულწილად წინააღმდეგობას,

A თუ შემდეგ განცდის შინაგანი პროცესი უწევს წინააღმდეგობას,

47,11 A რომელიც თავად „მე“-მ გარედან

B რომელიც „მე“-მ გარედან

47,24-36 A ახლა კი დაუშვათ, რომ გარე სამყარო თითქოსდა მთლიანად ავსებს მე-განცდის პროცესს იმით, რაც მან გრძნობის ორგანოების დახმარებით შინაგანში გაგზავნა; მაშინ შინაგანი აგრძელებს გრძნობად აღქმაში გარეგნულის დამახასიათებელი თვისების აღქმას, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი განცდა და გარე სამყარო ერთმანეთს უპირისპირდება. შემდეგ კი გარე სამყაროს მხრიდან შეჭრა ვლინდება, როგორც რაღაც ერთგვაროვანი შინაგანთან. „მე“ გარეგანსა და შინაგანს განიცდის, როგორც ერთგვაროვანს. ასე ხდება სითბოს გრძნობაში. ახლა სითბოს გრძნობის განცდა შევადაროთ გათბობის სასიცოცხლო პროცესს. სითბოს შთაბეჭდილება საჭიროა მივიღოთ რაღაც მსგავსად იმ სითბოსი, რაც განიცდება საკუთრივ შინაგანში და მას ავსებს.

ყნოსვის, გემოსა და მხედველობის გრძნობებთან დაკავშირებით შეიძლება საუბარი გარე სამყაროს რაღაც შეჭრაზე მე-განცდაში. სითბოს გრძნობის მეშვეობით შინაგანი ცხოვრე-

ბა გარე სამყაროს თავისებურებით ივსება. წონასწორობის, საკუთრივ მოძრაობისა და სიცოცხლის გრძნობებთან დაკავშირებით გრძნობადი აღქმა თავის თავზე შიგნიდან გვაუწყებს. მათი მეშვეობით „მე“ განიცდის თავის შინაგან ფიზიკურ განხორციელებას.

**ბ** შემდეგ ღაღუშვათ, რომ გარე სამყარო თითქოსდა მთლიანად ავსებს მე-განცდის პროცესს იმით, რაც მან შინაგანში გაგზავნა; მაშინ მთელი შინაგანი მიიღებს გარე სამყაროს დამახასიათებელ თვისებას, თუმცა ის არის კიდევ შინაგანი განცდა, ხოლო გარე სამყაროდან შეჭრილი ვლინდება, როგორც რაღაც ერთგვაროვანი შინაგანთან. „მე“ გარეგანსა და შინაგანს განიცდის, როგორც ერთგვაროვანს. ასე ხდება ეს სიტბოს გრძნობაში. სიტბოს შთაბეჭდილება საჭიროა, განიმსჭვალოს როგორც ისეთი რამ, რაც თავისი წარმოშობის ერთგვაროვნებით დავალებულია, როგორც ყველაზე შინაგანში გამომუშავებული სიტბოსგან, ისე ამ შინაგანის ამსხვებისგან. (ანთროპოლოგიამ ეს უნდა აღიაროს, რამდენადაც შინაგანი სიტბო მან უნდა ივარაუდოს, როგორც შინაგანი დაწვის წყალობით წარმოქმნილი ისევე, როგორც გარეგნული სიტბო წარმოიქმნება დაწვის მეშვეობით). თუ იაზრებენ გარეგნული სიტბური პროცესების პროდუქტს, რომელიც ავსებს სხეულს, მაშინ ის წარმოუდგენიათ, როგორც შინაგანი განცდების რაღაც სახე, რაც აღავსებს „მე“-ს და მე-ბუნებას თავად „მე“-ში აღიქვამს. ამრიგად, მე-განცდაში შედის რაღაც, რაც მეორე „მე“-ს სახით პირველს ავსებს. ეს მეორე „მე“ ნამდვილად არის მე-განცდა, დაპირისპირებული პირველს. რამდენადაც ეს პირველი „მე“ მხოლოდ თავის თავს შეიგრძნობს ჭეშმარიტად, ამიტომ მან ეს მეორე უნდა წარმოიდგინოს საკუთარი თავის შეგრძნება-ხატის სახით. ხოლო ის გარეგნული სამყარო, რომელშიც ფესვგადგმულია მეორე „მე“, მთლიანად გადაიქცა შინაგან სამყაროდ.

თუ ყნოსვის, გემოსა და მხედველობის გრძნობებთან დაკავშირებით შეიძლება საუბარი გარე სამყაროს შეჭრაზე „მე-განცდაში“, მაშინ შეიძლება ასევე წარმოვიდგინოთ შემთხვევა, რომ გარე სამყაროს ის ნაწილი, რომელიც ცნობილია შინაგანში ჩაფლობით, მოქმედებს არა მარტო შინაგანი ცხოვრების ავსებით, როგორც სიტბოს გრძნობაში, არამედ ამ ავსე-

ბის გრძნობას შეიძლება, გადააჭარბოს და გარკვეულწილად შინაგანი განცდები ჩაახშოს. მაშინ ის შიგნით გრძნობადი განიცდის სახით გამოვლინდებოდა. გარე სამყაროს ეს ჩაფლობილი ნაწილი სინამდვილეში წარმოადგენს წონასწორობის, საკუთარი მოძრაობისა და სიცოცხლის გრძნობებთან დაკავშირებით მოქმედ მიმართებებს. მათი წყალობით „მე“ განიცდის თავის შინაგან ფიზიკურ განხორციელებას.

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში, ასევე წაშლა A-ში: „(ანთროპოლოგია . . . გადაიქცა შინაგან სამყაროდ).“*

48,22 A მოცემულია

B ხდება

49,13 B ბგერის გრძნობის

A ბგერის გრძნობაში

49,15 A გრძნობადი უნარების განვითარებას

B განვითარებას

49,25 A ბგერის გრძნობისთვისაც

B მეტყველების გრძნობისთვისაც

49,27 A უკვე აითვისა სხვა მნიშვნელობები

B უკვე აითვისა სხვა

50,7 A ჩანს:

B ჩანს,

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში.*

49,16 A ახლა კი ადამიანს თუ წარმოვიდგენთ

B ადამიანს თუ წარმოვიდგენთ

51,3 A ამ სამ

B სამ

52,2 A მის საკუთარ

B მის

52,14 A ჰიპოთეზურად გამოგონილ

B გამოგონილ

53,2-3 A განეცადა მე-ადამიანის გარეგნულ მოძრაობაში.

B განეცადა გარეგნულ მოძრაობაში.

53,20 A მოქმედებაზე

B გარეგნულ მოქმედებაზე

54,9 B წონასწორობის შებრუნებულ გრძნობაზე, რომელმაც



A წონასწორობის შებრუნებულ განცდაზე, რომელმაც 54,11-12 A მსგავსად იმისა, როგორც, მაგ., ცხოვრების შებრუნებული გრძნობა აგროვებს და აკავშირებს ცნების განცდებს.

B მსგავსად იმისა, როგორც, მაგ., ცხოვრების შებრუნებულმა გრძნობამ შეაგროვა და დააკავშირა ცნების განცდები.

54,16-24 A რომ სმენის მოწყობის წარმოქმნის საფუძველში ძვეს პროცესი, რომელიც ორგანოს აძლევს უნარს, აღიქვას გარეგნული არსება მისი საკუთარი შინაარსის შესაბამისად, რომელიც ადამიანთან კონტაქტის დროს ტონის სახით იღვრება მე-განცდაში, მაშინ, როცა წონასწორობის შებრუნებული გრძნობა წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც ძვეს ტონის საფუძველში და რამაც ტონის განცდისთვის ხელის შესაწყობად, ორგანიზმიდან გამოძინარე, სმენის აგებულება ჩამოაყალიბა.

B რომ სმენის მოწყობის წარმოქმნის საფუძველში ძვეს გარე სამყაროს რეალობა, რომელიც წონასწორობის გრძნობას მიეცა გრძნობად განცდაში, როცა ამ უკანასკნელს წარმოიდგენენ შებრუნებულად და არა ადამიანის შინაგანში აღქმულად, არამედ იმად, რაც გარეთ ასხივებს; ეს რეალობა ადამიანთან კონტაქტის დროს აძლევს თავის საკუთარ შინაარსს, რომელიც ადამიანთან კონტაქტის დროს ტონის სახით იღვრება მე-განცდაში, მაშინ, როცა წონასწორობის შებრუნებული გრძნობა წარმოადგენს მოქმედებას, რომლითაც სმენის აგებულება ფორმირდება.

*განსხვავებული კორექტურები A-სა და B-ში.*

55,6-7 A რაღაც სახის სასიცოცხლო პროცესი,

B რაღაც სახის კვების პროცესი,

55,7 A ეს მოქმედება

B მოქმედება

55,9 A რაღაც სახის კვება

B რაღაც კვება

## 2. მანუსკრიპტი (ხელნაწერი) - ესკიზები

„ანთროპოსოფიისთვის“ შემოინახეს სხვადასხვა მანუსკრიპტი-ესკიზი. საუბარია ჩამოყალიბების პროცესში არსებული ხელნაწერის წინასწარ ეტაპებზე, რომლებიც მოიცავს, როგორც მთლიან თავს, ისე ცალკეულ ფრაგმენტს. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ისინი იწყება და მთავრდება წინადადების შუაში, ვინაიდან კონტექსტში, ამ ადგილზე შეწყდა ან ჩართეს ხელნაწერის შესაბამისი ადგილი. ესკიზები დაბეჭდილია თავდაპირველ სტილში ხელნაწერის შესაბამისად. შექმნისდაგვარად მოცემულია მითითება ხელნაწერის უფრო გვიანდელი რედაქციისა და დაბეჭდილი ფურცლების შესაბამის ადგილებზე. გერმანული გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორის დამატებები ჩასმულია [კვადრატულ] ფრჩხილებში.

### 1.

ექვსი გვერდი, ამასთან მეორე გვერდი დაკარგულია. – უფრო ადრეული, სავარაუდოდ I თავის პირველი ვარიანტი, რომლის დასაწყისიც ემთხვევა ნაბეჭდი რედაქციის დასაწყისს, მაგრამ შემდეგ, ხელნაწერის (იხ. თავი I, გვ. 17 ბოლო სტრიქონი და მომდ.) მეოთხე გვერდიდან დაწყებული, ტექსტები ზოგჯერ განსხვავდება.

თეოსოფია ეყრდნობა იმას, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სულიერ არსებას წარმოადგენს. ის ცდილობს, შეიმეცნოს იგი ისეთი როგორიც არის. როგორ განიცდის ადამიანი საკუთარ თავს ამა თუ იმ გარემოებაში, როგორ ფორმირდება იგი ამა თუ იმ კლიმატში, ამა თუ იმ დროში, ეს მისთვის წარმოადგენს სულიერი არსების გამოცხადებას. ის ცდილობს სხვადასხვა ფორმის შემეცნებას, რომლებშიც ამ სულიერ არსებას შეუძლია, საკუთარი თავი გამოავლინოს და სულიდან წარმოადგინოს ის, რის შემეცნებასაც ანთროპოლოგია გარეგნული ჭვრეტის მეშვეობით ცდილობს. ამ სულიერ არსებაზე მოსაზრებას ის თვითნებური მტკიცების სახით არ აშუქებს. ამავე დროს, ანთროპოლოგიის მსგავსად, ისიც ფაქტებს ეყრდნობა, თუმცა მის ამ ფაქტებსაც ასევე სრულიად ბუნებრივია მრავალმხრივ სადავოს ხდიან. ის საუბრობს იმაზე, რომ ადამიანის შინაგანი არაა ჩაკეტილი, ურყევი, არამედ

განვითარების უნარი აქვს. და ამ განვითარების წყალობით ადამიანი მხოლოდ შინაგან ფაქტებს არ განიცდის. მეტიც, ის იჭრება სამყაროში, რომელიც მისთვის გარე სამყაროს არა ნაკლებ წარმოადგენს, ვიდრე ეს არის გრძნობადი სამყარო, როგორც ასეთი. შინაგანი განცდები გარეგნული სულიერი სამყაროს შუამავალი ხდება. ის, როგორც ასეთი თვითმიზანს არ წარმოადგენს; ის საშუალებას მოგცემს შინაგანიდან მიხვიდე გარეგნულ სულიერ სამყაროში, ზუსტად ისე, როგორც გრძნობის ორგანოები წარმოადგენს საშუალებას, გარეგნული გრძნობადი სამყარო გარდაქმნან შინაგან მშვინვიერ სამყაროდ. ბუნებრივია, ადამიანის დამოკიდებულება სულიერ გარე სამყაროსთან უნდა იყოს სხვაგვარი, ვიდრე გრძნობადთან. ამ უკანასკნელის ფორმა მას ყოველთვის წარმოუდგება ერთნაირად, როგორც არ უნდა მიუდგეს მას. რაც არ უნდა ხდებოდეს ადამიანის შინაგანში, შეუძლებელია რაიმეს შეცვლა იმაში, რასაც წარმოადგენს თავის მიმდინარეობაში ხილული ფაქტი. საქმე სრულიად სხვაგვარადაა, როცა საჭიროა შინაგანის გარდაქმნა სულიერი სამყაროს დაკვირვების ორგანოდ. აქ აუცილებელია, რომ ყველანაირი პირადული თვითნებობა დადუმდეს. ამის მისაღწევად აუცილებელია სრულიად განსაზღვრული მომზადება. რამდენადაც ამ მომზადებას შეუძლია, სრულყოფის აუცილებელი საფეხურის მოცემა მხოლოდ დაახლოებით, ამიტომ ადამიანებისთვის ყოველთვის რთული იქნება თანხმობის მიღწევა იმასთან დაკავშირებით, რასაც ისინი განიცდიან სულიერ სამყაროში საკუთარი შინაგანი განვითარების წყალობით. სულისმკვლევრებთან არ წარმოიქმნება ისეთი სიაღვიდე, რომლითაც ბუნებისმეტყველებს შეუძლიათ, თანხმობას მიაღწიონ ხილულ ფაქტებთან დაკავშირებით. მაგრამ თავად ფაქტებში არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ ადამიანს თავის შინაგანში მთვლემარე ჩანასახების განვითარების წყალობით შეუძლია, შეიქმნას ორგანოები, რომლებიც მას სულიერ სამყაროში შეიყვანს. მხოლოდ მას, ვისაც არ სურს, რაიმე გაიგოს ამ ფაქტებზე, შეუძლია, მოიპოვოს საწინააღმდეგო აზრი სულიერი სამყაროს კვლევის წინააღმდეგ იმ გარემოებიდან, რომ სულისმკვლევრები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან.

შესაბამისად, თეოსოფია ადამიანის შინაგან განცდაზე დაკანონებული. თუ რომელიმე სამშვიდობომა ეს განცდები ოდესღაც განვლო, მაშინ ნებისმიერი სხვა სამშვიდობოსთვისაც, რომელიც წვდომისთვის არაა ჩაკეტილი, შეიძლება, გასაგები გახდეს. ვინაიდან ყველაფერმა, რასაც განიცდის ერთი სამშვიდობელი, როგორც მაღალგანვითარებულიც უნდა იყოს ის, შეიძლება, ასახვა პოვოს სხვაში. ამის წყალობით ისევე, როგორც ეს ხდება გრძნობად სამყაროში, სულიერ სამყაროს უწყება მიაქვს ადამიანიდან ადამიანისკენ. ხილულ ფაქტებთან მიმართებით საჭიროა, მეფობდეს თანხმობა, ვინაიდან, ისინი ერთნაირი სახით წარმოუდგება ყველას, ვინც მათ მიუკერძოებლად განიხილავს. სულიერი სამყაროს ფაქტებზე თანხმობის მიღწევა შეუძლებელია იმით, რომ ადამიანებს გარეგნულად მიაწვდიან ფაქტებს და მათ ამ ფაქტებს აჩვენებენ; თუმცა, ასეთი თანხმობა ყოველთვის მიიღწევა, თუ ადამიანები შინაგან მშვიდვიერ გზაზე თავად დააყენებენ საკუთარ თავს შესაბამისი სულიერი ფაქტების წინაშე. – იმ ადამიანებს, რომლებიც ამას ნამდვილად აკეთებენ და ამავე დროს ხელმძღვანელობენ მხოლოდ ჭეშმარიტებით, არ შეაშფოთებთ სხვადასხვა სულისმკვლევრის გამონათქვამები. გამოვლენილი სირთულეებისგან ისინი, ყველანაირი პირადი თვითნებობის გამორიცხვით, იპოვიან ამ განსხვავებების არსს და მთლიანად ჩასწვდებიან.

სრულიად გასაგებია, რომ თეოსოფიის თვალსაზრისები ბევრს საეჭვოდ ეჩვენება. რამდენადაც ის ვლინდება კაცობრიობის სულიერ განვითარებაში, ამიტომაც მალდდება უშუალოდ ყოფიერების განცდებზე, სულიერი კვლევის უმაღლესი წერტილისკენ. მართალია, ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით იყენებენ ცხოვრებაში თეოსოფიის დასკვნებს, მას ღრმა ინტერესით ხვდებიან, თუმცა იქნებიან სხვებიც, რომლებიც ცხოვრობენ მოსაზრებით, რომ ადამიანისთვის შეუძლებელია უნარების ასეთ სიმაღლემდე განვითარება. ცხადია, უდაოა, რომ გზები ყოველთვის მომდინარეობს სულიერი კვლევის შედეგებიდან, რათა მათთან დააკავშირონ უშუალო ცხოვრება, თუმცა ეს გზები კეთილსინდისიერი ადამიანებისთვის გრძელდება. ამიტომ ბევრი მიმართებით ის, რისი

თქმაც თეოსოფიას შეუძლია ადამიანზე, ძალზე ჩამორჩენილი ჩანს ანთროპოლოგიური შედეგებისგან.

ახლა გვმართებს ავიდოთ მომდევნო, მესამე თვალსაზრისი, რომელიც ანთროპოლოგიასა და თეოსოფიას შორის ძევს. აქედან გამომდინარე შეხედულებამ უნდა დაახასიათოს *ანთროპოსოფია*, როგორც ასეთი. შინაგანი განცდის შედეგები უშუალოდ უნდა იყოს ნაჩვენები, არა როგორც თეოსოფიაში, და ასეთ შემთხვევაში გარეგნული ადამიანი გამოიხატება, როგორც ადამიანის სულიერი არსების გამოცხადება; მეტიც, თავად ეს გამოცხადება ყურადღებით უნდა განიხილონ. გარეგნული ადამიანი ისე უნდა განიხილონ, როგორც მას განიცდიან ხილულ სამყაროში. თუმცა ეს დაკვირვება ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ მთელი გამოცხადების გავლით მოიძიონ სულიერი საფუძველი. გამოცხადების აღწერისას ანთროპოლოგიის მსგავსად არ მართებთ გაჩერება, კერძოდ აშკარა ფაქტობრივზე. თუ თეოსოფია იმყოფება, თითქოსდა მთის წვერზე და იქიდან განიხილავს ლანდშაფტს, ანთროპოლოგია კი, პირიქით, რჩება ქვევით დაბლობზე და იკვლევს ტყეს ტყეზე და სახლს სახლზე, მაშინ ანთროპოსოფია საკუთარი თვალსაზრისისთვის ირჩევს მთის ფერდობს, საიდანაც ჯერ კიდევ შეიძლება ცალკეულობების, თუმცა უკვე ერთიან მთლიანობაში გაერთიანებულის, გარჩევა.

აქ წარმოდგენილი უნდა იყოს ასეთი სახით დახასიათებული მეცნიერების მხოლოდ ესკიზი. ამიტომ თითქმის ყველაფერი მოგვეჩვენება მხოლოდ ოდნავ მონიშნული. გარკვეული დროის შემდეგ ამ ესკიზს შეუერთდება ორი სხვაც, რომლებიც მასთან ერთ მთლიანობას ქმნის. ამ ესკიზში აღიწერება მხოლოდ ის, რაც განეკუთვნება ადამიანის სხეულებრივს. და ვიწრო თვალსაზრისით ამას უნდა ეწოდოს ანთროპოსოფია. მეორე ესკიზს მშვიფვივრთან მიმართებით საჭიროა, ეწოდოს ფსიქოსოფია, ხოლო მესამეს, სულიერ ადამიანთან მიმართებით – პნევმატოსოფია. და მაშინ ამით კვლავ მივიღებთ მის შედეგებს სხვა გზაზე, ვიდრე ეს არის არჩეული თავად თეოსოფიის მიერ.

10 გვერდი. – ადრინდელი რედაქცია, რომელიც განეკუთვნება III თავს. სამ მონაკვეთად დაყოფილი ეს წინასწარი ეტაპი, – ერთ შემთხვევაში ვარსკვლავებით, მეორე შემთხვევაში ინტერვალებით, – იწყება ისეთივე სიტყვებით, როგორც თ. III (იხ. გვ. 26, სტრიქ. 7 და მომდ.) შემდეგ ტექსტი ხდება სრულიად სხვანაირი.

. . . მონაწილეობს თავისი „მე“-თი, რომელშიც საკუთარ თავს მშვინვიერ სამყაროში ქმნის გრძნობადი განცდების საფუძველზე. ის უკვე აღარ მონაწილეობს თავისი გრძნობის ორგანოთა აგებაში. თუმცა განხილვა მას კარნახობს, რომ ყოფიერებას არ შეუძლია, შემოიფარგლოს იმით, რასაც ის გრძნობის ორგანოებით აღიქვამს, ვინაიდან, ის ვერ შეძლებდა, ჰქონოდა რაიმენაირი გრძნობა გრძნობადი აღქმისთვის უხილავი ყოფიერების გარეშე.

სრულიად სამართლიანია გრძნობად სამყაროში წარმოდგენილი ადამიანის საპირწონედ საუბარი სხვაზე, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს, საკუთარი თავი გამოავლინოს ამ სამყაროში. პირველი ურთიერთობაშია ხილულ სამყაროსთან და მისგან ავითარებს საკუთარ მშვინვიერ ცხოვრებას; მეორე ურთიერთობაშია სხვა სამყაროსთან და მისგან ავითარებს უნარებს გრძნობადი აღქმისკენ. მეორე ადამიანი თითქოს პირველის შიგნით არის მოთავსებული. მაგრამ მასში ყოფნით ის წარმოქმნის გაცილებით უფრო მყარ აგებულებას, ვიდრე პირველი. გარეგნულ კონფიგურაციაში ვლინდება მშვინვიერი ცხოვრება, როგორც ის იგება გრძნობადი აღქმების სამყაროს საფუძველზე. შეხედეთ სახეში ადამიანს, რომელსაც მუდმივად უღიმოდა ცხოვრების მზე და შეადარეთ იგი იმ ადამიანს, რომელზეც მიიმე ცხოვრებისეულმა საზრუნავებმა მრავალმნიშვნელოვანი ნაკვალევები დატოვა. თუ ასეთ დაკვირვებებს გააგრძელებენ, მაშინ მალევე მივლენ წარმოდგენებამდე იმაზე, როგორ ვლინდება მშვინვიერი ცხოვრების ხასიათი ფიზიოგნომიაში, სახის გამოსატყულებაში, ჟესტში და ცხადია, თვით ადამიანის ფიგურაში. მაგრამ ეს არის გამოვლინება, რომელიც გარკვეული ფარგლების შიგნით ასევე წარმოად-

გენს ურთიერთობის შედეგს ადამიანსა და გარეგნულ ხილულ სამყაროს შორის, რასაც გააჩნია რაღაც გაურკვეველი, რაც განუწყვეტლივ რყევასა და ჩამოყალიბებაში იმყოფება. ის არ იძლევა არანაირ მყარ სტრუქტურას. სამაგიეროდ, თავად გრძნობადი აღქმის უნარების მიერ წარმოდგენილი შედეგები გაცილებით ფართო საზღვრების შიგნით წარმოდგენს დასრულებულს, მდგრადს, რომელიც წარმოქმნის რაღაც საფუძველს, რომელზეც ადამიანი უკვე ქმნის თავის მოძრავ გაცნობიერებულ მშვინვიერ ცხოვრებას. როგორც ახლა ჩნდება აზრი მსგავს განსხვავებაზე გარეგნულ სამყაროსა და ადამიანის შინაგან მშვინვიერ ცხოვრებას შორის, რომლის დროსაც ეს უკანასკნელი წარმოდგენს კიდევ პირველის ანაზახს მათი ურთიერთობის წყალობით, ასევე ჩნდება ვარაუდი მსგავს განსხვავებაზე დაფარულ გარეგნულ სამყაროსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის, რომელიც დაფარულად არის განლაგებული სამყაროს მიღმა, რომელშიც უპირველეს ყოვლისა, ცხოვრობს „მე“, როცა ის ეყრდნობა მხოლოდ ხილულ სამყაროს. შეიძლება, ერთმანეთისგან განასხვაო ადამიანის წინაშე გაშლილი სამყარო, – როცა იგი ხსნის თავის ერთ ან რამდენიმე გრძნობად კარიბჭეს, – და ის, რაც ურთიერთობის წყალობით ამ სამყაროს უერთდება ადამიანის შინაგანში. ადამიანის წინაშე განფენილ იმ სამყაროს აქ საჭიროა, ვუწოდოთ „გრძნობადი სამყარო“. იმას, რაც ადამიანში აღწერილი სახით მას ეგებება, უნდა ეწოდოს „მე-ადამიანი“. ოღონდ ამ მომენტში ამ სახელებს არ გვმართებს, დავუკავშიროთ სხვა რამე, გარდა იმისა, რისთვისაც ისინი აქ უშუალოდ არის გამოყენებული. – „ეთერული სამყარო“ უნდა ვუწოდოთ სამყაროს, რომლისგან გამომდინარეც წარმოიქმნება გრძნობადი აღქმის უნარები, მსგავსად იმისა, როგორც წარმოიქმნებიან, მაგ., წარმოდგენები „გრძნობადი სამყაროდან“. ხოლო ამ „ეთერული სამყაროდან“ ადამიანში შობილს ისეთივე სახით, როგორც „მე-ადამიანი“ – გრძნობადი სამყაროდან, გვმართებს ვუწოდოთ „ასტრალური ადამიანი“. არაა საჭირო, „ეთერულ სამყაროსთან“ დავაკავშიროთ „ეთერი“ ფიზიკაში, ხოლო „ასტრალურ ადამიანზე“ ამჟამინდელ მომენტში არ უნდა წარმოვიდგინოთ აქ დახასიათებულის გარდა რაიმე სხვა. ისეთივე სახით, როგორც „გრძნობადი სამყაროს“ საფუძველ-

ში ძვეს „ეთერული სამყარო“, „ასტრალური ადამიანი“ ძვეს „მე-ადამიანის“ საფუძველში. როგორც არ შეიძლება „ეთერული სამყაროს“ აღქმა გრძნობადი სახით, რამდენადაც მან ჯერ უნდა დაბადოს გრძნობა, ასევე არ შეიძლება „ასტრალური ადამიანის“ განცდა გრძნობადად, რამდენადაც ის უნდა უსწრებდეს გრძნობადი უნარების წარმოქმნას.

\* \* \*

ახლა შეიძლება ადამიანი სხვა კუთხითაც განვიხილოთ. უპირველეს ყოვლისა, თავად ადამიანი წარმოადგენს არსებას გრძნობადი სამყაროს შიგნით. ცხოვრების სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში ადამიანის დამახასიათებელი თავისებურებები განსხვავებულია. თუ განვიხილავთ ბავშვს, როგორც ხილულ არსებას, მაშინ იმის საფუძველზე, რაც წარმოუდგება გრძნობებს, საერთო შეუძლებელია, დავინახოთ, როგორ გამოიყურება იგი ასაკოვან მდგომარეობაში. და მაინც, უნდა ვივარაუდოთ, რომ წინაპირობები და ძალები, რომლებიც მას საშუალებას აძლევს ბავშვობის გეშტალტიდან განვითარდეს ზრდასრულობამდე, უკვე არსებობს მასში. აი, აქ კეთილსინდისიერი განსჯა აჩვენებს, რომ რეალობა, ყოფიერება თავის თავში მოიცავს მეტს, ვიდრე შეიძლება ხილულ სამყაროში აღიქვა. განვითარების დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, დაფიქრდეთ და წარმოდგენა შევიქმნათ აქ დაფარულზე. თითქმის კბილების ცვლამდე, – დაახლოებით ცხოვრების მეშვიდე წელს, – ეს დაფარული უპირატესად ადამიანის გარეგნულ გარსზე ზემოქმედებს. დაახლოებით ამ დროს იქნის გარეგნული სხეულის ორგანოები თავის მუდმივ ფორმას. მართალია, მას შემდეგ სხეულის წვევრების ზრდა გრძელდება, თუმცა ეს არაა უკვე ადრე ჩადებული მოხაზულობის პირდაპირი გარდაქმნა. გარდა ამისა, იქიდან მოყოლებული თავად საკუთარ თავში ცხოვრებას აგრძელებს დაფარული შინაგანი და ის მისაწვდომია ძალებისთვის, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობა უფრო მეტად გაშალეს დაფარულ შინაგანში. ცხოვრების პირველ წლებში შინაგანი ძალები მაფორმირებელი ძალების სახით უფრო მეტად გარეგნული სხეულებრიობისკენ ისწრაფიან; მომდევნო წლებში ისინი უფრო მეტად შეჩერებულია თავად შინაგანში, სანამ არ მომწიფდებიან სხვა



არსებაზე საკუთარი ყოფიერების გადასატანად და ადამიანს უნარი არ ექნება გვარის გასაგრძელებლად. იმაში, რაც უხილავად ვითარდება ადამიანში თვით სქესობრივ მომწიფებამდე, უცილებელია, დავინახოთ ის, რაც შთამომავლებს უნდა გადაეცეს. – აქ საჭიროა, ჩავრთოთ მოსახრება, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის არსების შემეცნებისთვის. წინაპირობები იმისთვის, რაც ადამიანს შეუძლია, მემკვიდრეობით გადასცეს ფიზიკურ შთამომავლებს, მდგომარეობს იმაში, რაც თავისი განვითარების გარკვეულ დასრულებას სქესობრივი მომწიფებით აღწევს. თუ ცხოვრების უფრო გვიანდელ ეპოქაში ადამიანის მიერ ათვისებული სხვა რაიმე უნდა გადაეცეს მემკვიდრეობით, მაშინ დასაწყისში ეს უნდა შეუერთდეს ძალებს, რომლებიც აქ უკვე სახეზეა სქესობრივი მომწიფებით და შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცეს შემოვლითი გზებით მხოლოდ მათი მეშვეობით. ვინაიდან, თავისთავად ცხადია, რომ მემკვიდრეობისთვის მნიშვნელოვანი ყველა პირობა განვითარებული უნდა იყოს უკვე სქესობრივი მომწიფების შემდეგ. – სქესობრივი მომწიფებით ადამიანში განვითარებას წყვეტს ის, რაც შეიძლება გადაიტანონ შიგნიდან გარეთ და რაც ვლინდება, როგორც საკუთრივ სხეულის მაფორმირებელი ძალები ბავშვობის ცხოვრების პირველ პერიოდში, მოგვიანებით კი ფორმირდება შინაგანში ისე, რომ ადამიანს შეუძლია თავისი გემტალტი შთამომავლობაზე გადაიტანოს. თუ ამ მომენტიდან ადამიანის განვითარება გაგრძელდება, მაშინ ის კვლავ შეიძლება, მხოლოდ თავად შინაგანს შეეხოს. ადამიანის შემდგომი განვითარება ახლა აგრძელებს იმას, რაც უნდა განიცდებოდეს, უპირველეს ყოვლისა, როგორც შინაგანი, როგორც მშვიინვიერი შინაარსი. მაგრამ ახლა ეს შინაგანი არ შეიძლება, გაუთანაბრდეს იმ გაცნობიერებულს, რომელიც „მე“-დან გამოაშუქებს მშვიინვიერი შინაარსისკენ, რომელიც გრძნობადი აღქმებისგან წარმოიქმნება. „მე“ არც ისეთ დონეზე ფლობს რაღაც შინაგან განვითარებას, როგორც ის ფლობს სამშვიინველის შინაარსის გაცნობიერებულ განვითარებას. გარედან გრძნობადი აღქმით აღგზნებული მშვიინვიერი ცხოვრების შესაგებებლად შიგნიდან მოდის სხვა, რომელიც მოქმედებს ისე, რომ თითოეული ადამიანი გრძნობად გარე სამყაროს სრულიად განსაზღვრული მშვიინვიერი ელფერით

აღიქვამს. ამრიგად, ადამიანში იმყოფება რაღაც, რაც მოდის შიგნიდან გრძნობების შესაგებებლად და მაინც არ განეკუთვნება თავად ადამიანის სფეროს, რომელიც გრძნობის ორგანოებით არის აღგზნებული. მხოლოდ წმინდა განსჯის მეშვეობით ეჯახებიან ასე „ადამიანის შინაგანს“, რომელიც „მე-ადამიანის“ მიღმა იმალება, ვინაიდან, ის უკვე უნდა იმყოფებოდეს იქ, სანამ „მე-ადამიანი“ შეძლებს თავისი ცხოვრების დაწყებას. – არაა ძნელი იმის აღიარება, რომ ეს „შინაგანი ადამიანი“ არის სწორედ ის, რომელზეც ამბობდნენ, რომ იგი ურთიერთობაში შედის დაფარულ სამყაროსთან, რომელიც განლაგებულია „გრძნობადი სამყაროს“ მიღმა. და მაინც, ეს „შინაგანი ადამიანი“ არ შეიძლება წააქეზონ იმ შინაგანი ძალებით, რომელთა განვითარებაც მთავრდება სქესობრივი მომწიფების დასრულებით, ისე რომ, ის ამ პერიოდის შემდეგაც ასევე აგრძელებს განვითარებას. ის საერთოდ არ შეიძლება მიეკუთვნოს ადამიანს, რომელიც ვლინდება სხეულის ფორმირებასა და საკუთარი არსების შთამომავლებზე გადატანაში. გაცილებით უფრო მეტად უნდა იყოს ის ფესვგადგმული არსებაში, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სწორედ ადამიანის ძალთა ზემოხსენებულ გამოვლინებებთან. საერთოდაც ის არ შეიძლება, მომდინარეობდეს შინაგანიდან ისევე, როგორც ამ ძალთა გამოვლინებები. ვინაიდან, ამ ძალთა გამოვლინებები ადამიანს აიძულებს მის შინაგანში დავანებული (birgt) გარეთ გამოავლინოს. თუმცა, ეს შინაგანი ადამიანი ნამდვილად უნდა შევიდეს რაღაც ცვალებად კავშირში გარეგნულ იერთან, რამდენადაც ის აგრძელებს ფორმირებას მაშინ, როცა შინაგანი მაფორმირებელი ძალები და მემკვიდრეობის წინაპირობები თავის დასრულებამდე მივიდნენ. ამ შინაგან ადამიანს აქვს ყველაფერი, რაც საშუალებას გვაძლევს ის ზემოხსენებული „ასტრალური ადამიანის“ ტოლ-სწორად მივიჩნიოთ.

შესაბამისად, ამ „ასტრალური ადამიანისთვის“ აუცილებელია, „ეთერულ სამყაროში“ ივარაუდოს ზემოქმედებები, რომლებიც აღნიშნავს „მე-ადამიანის“ გრძნობადი შთაბეჭდილებების მსგავსს. „ასტრალური ადამიანი“ „ეთერული სამყაროდან“ ისეა ფორმირებული, როგორც „მე-ადამიანი“ – „გრძნობადი სამყაროდან“. ამრიგად, „ეთერულ სამყაროსა“ და „ასტრალურ ადამიანს“ შორის არსებობს ურთიერთქმედე-

ბა, რომელიც მთელი გრძობადი სამყაროს მიღმა ძევს. – თუ კვლავ გამოვიყენებთ სურათ-ხატს, მაშინ წარმოვიდგინოთ გრძობადად აღქმადი ზღვის მასები, რომელშიც თამაშდება ურთიერთობა „ეთერულ სამყაროსა“ და „ასტრალურ ადამიანს“ შორის; ზღვის ამ მასებიდან კი კონტინენტის სახით გამოიყოფა ურთიერთქმედება „გრძობად სამყაროსა“ და „მე-ადამიანს“ შორის.

ნუთუ ახლა შესაძლებელია „ეთერულ სამყაროს“ ძიება მარტოოდენ ადამიანის მიღმა? ცხადია, არა. ადამიანი ხომ თავისი საკუთარი სხეულებრიობის მეშვეობით აღიქვამს სიცოცხლის გრძობას, საკუთარი მოძრაობის გრძობასა და წონასწორობის გრძობას, ისევე, როგორც გარეგნულ ობიექტებს იგი აღიქვამს ყნოსვის, გემოსა და ა.შ., გრძობების დახმარებით. შესაბამისად, უნდა არსებობდეს „ეთერულ სამყაროსა“ და „ასტრალურ ადამიანს“ შორის ასეთივე ურთიერთობის შესაძლებლობა, როგორც გარეგნული სამყაროსთვის, ასევე საკუთარ სხეულებრიობაში ჩაფლობისთვის. მაგრამ ეს აჩვენებს, რომ საკუთარი სხეულებრიობის შიგნით ადამიანს უნდა გააჩნდეს რაღაცა, რაც ერთნაირია „ეთერულ სამყაროსთან“. სხვა სიტყვებით, მან საკუთარ თავში უნდა ატაროს ამ „ეთერული სამყაროს“ ნაწილი განსაკუთრებული „ეთერული ადამიანის“ სახით. ასე წარმოჩნდება ადამიანი სამი წევრისგან შემდგარ არსებად: „მე-ადამიანი“, „ასტრალური ადამიანი“ და „ეთერული ადამიანი“.

„ეთერული ადამიანი“ – ეს არის ის, რაც გრძობადად აღუქმელი სახით ძევს საკუთარი სხეულებრიობის აღქმის მდგომარეობის საფუძველში პირველი სამი ხსენებული გრძობის მეშვეობით. ამრიგად, „ასტრალურსა“ და „ეთერულ“ ადამიანს შორის არსებობს ურთიერთქმედება. ცხოვრების დაკვირვება აჩვენებს, რომ თვით „მე-ადამიანიც“ ვლინდება გარეგნულ სხეულებრიობაში: მიმიკაში, ფიზიონომიაში, ჟესტებში და ა. შ. ეს როგორ არის შესაძლებელი? გამოვლენილია, რომ გარეგნული სხეულებრიობის ფორმაზე მოქმედებენ „შინაგანი ადამიანის“ ძალები, რომლებიც თავის განვითარებას სქესობრივ მომწიფებასთან ერთად პოულობენ. შესაბამისად, თუ „მე-ადამიანმა“ უნდა იმოქმედოს გარეგნულ სხეულებრიობაზე, მაშინ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში, როცა ის ამას ახორციელებს ამ „შინაგანი ადამიანის“ შემოვლით გზაზე (Umweg). რადგანაც ეს ასე ხდება, „მე-ადამიანი“ ზემოქმედებს ამ შინაგან ადამიანზე. გაცილებით უფრო ღრმა კავშირი არსებობს „ასტრალურ ადამიანსა“ და ამ შინაგან ადამიანს შორის, ვიდრე მასა და „მე-ადამიანს“ შორის და ეს ვლინდება იმაში, რომ „ასტრალური ადამიანის“ გარე სამყაროსთან ურთიერთობის ხასიათი გაცილებით ძლიერად ვლინდება სხეულებრიობაში, ვიდრე „მე-ადამიანის“ მშეინვიერი შინაარსი. როცა ადამიანი მგზნებარედ ჩართული აკვირდება გარეგნული სამყაროს ყველა ფაქტს, ეს გაცილებით უფრო შესამჩნევია სხეულებრიობაზე, ვიდრე მის მიერ ამის თუ იმის გრძნობადი აღქმის მეშვეობით განცდისას. აქედან გამომდინარეობს ის, რომ დახასიათებულ შინაგან ადამიანზე ზემოქმედებს „ასტრალური ადამიანი“. – აქ ადამიანის შიგნით წინააღმდეგობაში მოდის ძალთა ორი სფერო. „ასტრალური ადამიანი“, რომელიც ურთიერთობაშია გარეგნულ „ეთერულ სამყაროსთან“, ეჯახება ზემოთ დახასიათებულ შინაგან ადამიანს, რომელიც თავის თავში შეიცავს ფორმაქმნად ძალებსა და გამრავლების წინაპირობებს. ახლა არაა ძნელი იმის აღიარება, რომ ამ შეჯახებაში მოცემულია „ასტრალურ ადამიანსა“ და „ეთერულ სამყაროს“ შორის ურთიერთობის მაგვარი. აქედან კი ირკვევა, რომ დახასიათებული შინაგანი ადამიანი არის იგივე „ეთერული ადამიანი“, მაგრამ უკვე სხვა მხრიდან მოცემული. ამრიგად, „ეთერული ადამიანი“ არის სხეულებრივი მაფორმირებელი ძალების მატარებელი და გამრავლების წინაპირობა.

აქ აშკარაა, როგორ იკვრება ადამიანი და გარე სამყარო. უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობაში იმყოფებიან გრძნობადი სამყარო და „მე-ადამიანი“. ამ ურთიერთობების საფუძველში ძვეს სხვა – ურთიერთობა ეთერულ სამყაროსა და ასტრალურ ადამიანს შორის. ეთერულ სამყაროში უნდა არსებობდეს გრძნობადად დაფარული წარმომქმნელი ძალები გარეგნული გრძნობადი უნარებისთვის: ყნოსვის, გემოსა და ა. შ. გრძნობებისთვის ასტრალური ადამიანი ეთერულ ადამიანთან ურთიერთობაში ორიენტირებულია შიგნით და ამ ურთიერთობაში წარმოიქმნება ცხოვრების, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების აღქმები. მეორე მხრივ,

ეთერული ადამიანი საკუთარ თავს განიცდის ფორმაქმნადობასა და გამრავლების წინაპირობებში.

მინც რას წარმოადგენს ადამიანის გარეგნული სხეული, რომელშიც ეთერული ადამიანის ანასახი ცხოვრობს. თუმცა ეს უბრალოდ არ უნდა გავიგოთ. თუ, მაგ., გავითვალისწინებთ ყურის ფორმას, მაშინ ის თავისი ხასიათით ორი მხრიდან არის ფორმირებული. ბგერითი სამყაროს მიღმა ეთერულ სამყაროში მცხოვრები ისე ზემოქმედებს, რომ ყური შეიძლება იყოს სმენის გრძნობის ორგანო. მაგრამ გარედან ამ ფორმირებას შიგნიდან უნდა ეგებებოდეს რაღაც სხვა, რამდენადაც სხეულებრივი ორგანოს ფორმაში ეთერული ადამიანი თავის თავსაც ასევე განიცდის. შემდგომი განხილვიდან დავინახავთ თუ როგორია ეს მიმართებები. ეთერული სამყაროს ძალებს ყველგან, სადაც ისინი განფენილია, სმენის ორგანოს წარმოქმნა არ შეუძლიათ. როცა ისინი ქვას ეხებიან, მათ ეს არ შეუძლიათ. რატომ? ქვა თავის თავში არაფერს შეიცავს, რაც დახასიათებული ეთერული ადამიანის მსგავსია. ის შიგნიდან, თავისი თავიდან არ აგებს გარეგნულ ფორმას ადამიანის მსგავსად. მეტიც, ის არ მრავლდება. ამრიგად, სმენის ორგანოს წარმოქმნისთვის, სმენის მაფორმირებელი საჭიროა ეთერულ სამყაროში ეთერულ ადამიანს შეხედეს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. თუ ადამიანს მიაკუთვნებენ ეთერულ ადამიანს, მაშინ მცენარესაც უნდა მიაკუთვნონ ეთერული მცენარე. თუმცა მას არა აქვს ურთიერთობა, რომელიც ზემოთ დახასიათებულია ადამიანისთვის, როგორც ურთიერთობა ასტრალურ ადამიანსა და ეთერულ სამყაროს შორის. შესაბამისად, გრძნობადი უნარების შექმნის დასაწყებად ეთერულ ადამიანთან ეთერული სამყაროს ძალთა შეჯახებაში საჭიროა, ასევე შევიდეს ეს ურთიერთქმედება ეთერულ სამყაროსა და ასტრალურ ადამიანს შორის.

ამრიგად, გარეგნული ადამიანი თავისი გეშტალტით რთული არსებაა: როგორადაც ის არის წარმოდგენილი, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამ გარეგნული გეშტალტის მიღმა დგას: ეთერული, ასტრალური და „მე“-ადამიანი. იმის წყალობით, რომ მისი არსების ამ სამ წევრს მიაკუთვნებენ კიდევ მეოთხეს, გარეგნულ გეშტალტს, რომელიც

შეიძლება აღინიშნოს, როგორც ფიზიკური ადამიანი, ამიტომ ვლექულობთ ადამიანის ოთხწევრიანობას.

გრძნობების განხილვამ მიგვიყვანა ადამიანში ოთხწევრა არსების აღიარებამდე. თუმცა მას, ვინც საფუძვლიანად განიხილავს მოცემულ მსჯელობას, შეუძლია მასში იპოვოს რაიმე არადამაკმაყოფილებელი, რომელიც ბადებს შემდგომ კითხვებს. ასე იყო მინიშნებული იმაზე, რომ გრძნობების ცხოვრება გულისხმობს ურთიერთობას ეთერულ სამყაროსა და ასტრალურ ადამიანს შორის. ამ ასტრალურ ადამიანს უპირისპირებენ გრძნობების შთაბეჭდილებებს, როგორც უახლოეს შინაგანს. მისი თვისებები ვლინდება ნიუანსებში, რომელსაც გრძნობათა განცდები შინაგანში იძენს, თუმცა მე-ადამიანს არც აქვს ამაზე უშუალო გავლენა. ახლა კი განსჯის გარეშეც გასაგები უნდა იყოს, რომ ასტრალური ადამიანის განცდები გადადის ეთერულ ადამიანზე, ვინაიდან, ფიზიონომიაში, ჟესტსა და ა. შ., ჩანს, როგორ მოქმედებენ მაფორმირებელი სახით ასტრალური ადამიანის ეს განცდები ფიზიკურზე. თუმცა, რამდენადაც აქ ჩანს, ეს ხდება ძალზე უმნიშვნელო სახით. მართალია, არაფერი ეწინააღმდეგება იმას, რომ ეთერული ადამიანი, როცა *ასეთივე* მეთოდით ძალზე აღვზნებულია, შეიძლება ასევე გაცილებით ძლიერად გამოვლინდეს ფიზიკური ადამიანის ფორმირებაში. მაგრამ აუცილებელია იმის აღიარება, რომ ძალები, რომლებიც ეთერულ სხეულს უბიძგებს ჟესტისა და ფიზიონომიის წარმოქმნისკენ, არ შეიძლება იყოს იგივე ძალები, რომლებიც ისე ძლიერად ზემოქმედებენ მასზე, რომ ის გრძნობის ორგანოების ფორმებს გამოკვეთს. ამით ვლინდება ეთერულ სამყაროში რაღაც ორმაგი ყოფიერების არსებობა. ერთი მოქმედებს ასტრალურ ადამიანზე, მეორეს კი, რომელიც უფრო ძლიერია, შეუძლია ეთერულ ადამიანზე ზემოქმედება, როცა მას აძლევს იმის უნარს, რომ გრძნობის ორგანოთა ფორმები გამოკვეთოს. ეს აჩვენებს, რომ, თავად ეთერული სამყაროდან ამოსვლით, მოქმედებს რაღაც ასტრალური ადამიანის მსგავსი, როცა ეთერულ ადამიანში აღძრავს იმ მაფორმირებელ ძალებს, რომლებიც გრძნობის ორგანოებს გამოკვეთენ. ამრიგად, იმ იდუმალ სფეროში, სადაც აუცილებელია ეთერული სამყა-

როს ძიება, ასევე ეხებიან სხვა სამყაროსაც, რომელიც ზემოქმედებს ეთერულ ადამიანზე და ასტრალური ადამიანის მონათესავეა. დაე, ახლა სამყაროს იმ ნაწილს, რომელიც ურთიერთობაშია ასტრალურ ადამიანთან, ეწოდოს ეთერული სამყარო ამ სიტყვის ვიწრო გაგებით; თუმცა მეორეს, რომელთანაც მიიყვანა განსჯამ, ასტრალურ ადამიანთან მისი ნათესაობის გამო, ასტრალური სამყარო ეწოდება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მე-ადამიანზე ზემოქმედებს გრძნობების სამყარო, ასტრალურზე – ეთერული სამყარო, ხოლო ეთერულ ადამიანზე – ასტრალური სამყარო.

რამდენადაც ფიზიკურ ადამიანში უნდა ჩამოყალიბდეს გრძნობის იმდენი ორგანო, რამდენიც გამოვლინდა გრძნობის ცალკეულ სფეროში, ამიტომ ასტრალურ სამყაროში აუცილებელია, განვასხვაოთ იმდენივე განსხვავებული ძალოვანი ზონა, რამდენი გრძნობის ჩამოთვლაც შეიძლება. მაშინ ეს ძალოვანი ზონები ეთერულ ადამიანში აღძრავენ შესაბამის მაფორმირებელ ძალებს ისე, რომ ფიზიკურ ადამიანში წარმოიქმნება გრძნობის შესაბამისი ორგანოები. – ცხადია, აქ გამოვლენილი ზოგადი ფაქტი ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვაგვარ ცვლილებას განიცდის. საჭიროა ასეთი მოდიფიკაციების გამოვლენა, რამდენადაც გრძნობის სფეროებს განსხვავებული ყოფიერება გააჩნიათ. – ავიღოთ, მაგ., ყნოსვის გრძნობა. მისი დახმარებით ადამიანი მხოლოდ უმნიშვნელოდ აღწევს რომელიმე მატერიალური სხეულის შინაგანში. ამ გრძნობის წინაშე წარმოჩნდება მატერიალურის მხოლოდ გარეგნული მხარე. ამას შევადაროთ სითბოს გრძნობა. მისი წყალობით ადამიანი გაცილებით უფრო იჭრება გარეგნული სხეულის შინაგანში. აქედან ჩანს, რომ ყნოსვის გრძნობის ორგანო შიგნიდან აგებული უნდა იყოს უფრო მძლავრი, ხოლო გარედან – ნაკლებად მძლავრი ძალებით; სითბოს გრძნობის ორგანო, პირიქით, საჭიროა შიგნიდან უფრო ნაკლები, გარედან კი უფრო მძლავრი ძალებით აიგოს. გრძნობის ცალკეული სფეროს განხილვისას გარედან და შიგნიდან აგებულთან მიმართებით გარკვეული თანმიმდევრულობა ვლინდება. პირველი სამი გრძნობა: სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობები – არსებითად შიგნიდანაა აგებული; ანუ, ეთერული სამყაროს ის ნაწილი, რომელიც ვი-

თარღება ეთერული ადამიანის სახით, მათი აგებისას ქმედითს წარმოადგენს. ეს ეთერული ადამიანი ისე აყალიბებს ფიზიკურ სხეულს, რომ ის ხსენებული გრძნობების აღქმისთვის გამოსადეგია. მას ხელეწიფება მისი ასე ფორმირება, ვინაიდან იგი თავად არის ასტრალური სამყაროს ამ ძალებისკენ მიდრეკილი. ცხადია, რომ ადამიანის შექმნისას, რამდენადაც ის ვლინდება გრძნობების ხსენებულ სამ სფეროში, საქმე აქვთ ასტრალური სამყაროსა და ეთერული ადამიანის ურთიერთქმედებასთან, რომელსაც სრულიად არაფერი აქვს საერთო იმ ურთიერთქმედებასთან, რომელსაც ადგილი აქვს ეთერულ ადამიანსა და ასტრალურ ადამიანს შორის. სხვაგვარადაა ეს ყნოსვის, გემოს, მხედველობის, სითბოსა და სმენის გრძნობებთან მიმართებით. მათში ეთერულმა ადამიანმა საჭიროა, შეასრულოს ისეთი აგებულება, რომ ეთერული სამყაროსა და ასტრალური ადამიანის ურთიერთქმედება შესაძლებელია გრძნობის შესაბამის სფეროებში. ანუ, თითოეული ამ გრძნობისთვის ეთერულ ადამიანზე უნდა მოქმედებდეს ძალა ასტრალური სამყაროდან. ხოლო ასტრალური სამყაროს ამ ძალთა ზემოქმედებიდან ეთერულ ადამიანში წარმოიქმნება მაფორმირებელი ძალები, რომლებსაც შესაბამისი გრძნობები თავისი ამოცანისკენ მიჰყავს. ასევე შეიძლება, ითქვას, რომ ასტრალური სამყარო უშუალოდ ზემოქმედებს ეთერულ ადამიანთან სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობებში; ყნოსვის, გემოს, მხედველობის, სითბოსა და სმენის გრძნობებში ასტრალური სამყარო ისე ზემოქმედებს, რომ გრძნობის ორგანოთა ფორმირებისთვის მხედველობაში მიიღება ასტრალური ადამიანი. — სრულიად სხვაგვარადაა საქმე მეტყველებისა და წარმოდგენის გრძნობებთან მიმართებით. აქ აუცილებელია უფრო უშუალო ურთიერთქმედება გარეგნულ სამყაროსა და ასტრალურ ადამიანს შორის, ვიდრე ზემოხსენებულ ხუთ გრძნობაში. ეს უშუალო ურთიერთქმედება უკვე უახლოვდება იმას, რასაც ადგილი აქვს მე-ადამიანსა და გრძნობის აღქმებს შორის და ფიზიკურად ვლინდება სახისა და ფიზიონომიის გამოხატულებაში. ამიტომაც გრძნობების ეს სფერო შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ ადამიანის გარე სამყაროსთან კონტაქტში შესვლისას, ანუ დაბადების შემდეგ, მაშინ, როცა სხვა გრძნობების მაფორმირებელი ძა-



ლები, არსებითად, უკვე დაბადებიდანვე შემოპყავთ სამყაროში. სამართლიანია ითქვას: მაშინ, როცა ცხოვრების გრძნობის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების აგებისთვის ძალები ღრმად და დაფარული გრძნობების სამყაროს მიღმა, მეტყველებისა და წარმოდგენის გრძნობებისთვის ძალები უშუალოდ გრძნობების სამყაროს უკანაა განლაგებული. ასეთ შემთხვევაში მათ შორის ძვეს ძალები, რომლებიც ყნოსვის, გემოს, მხედველობის, სითბოსა და სმენის გრძნობების აგებას ემსახურება. ეს მიმართებები გარეგნულად მკაფიო ხდება იმის წყალობით, თუ როგორ შეუძლია ანთროპოლოგიას გრძნობად სამყაროში ანუ ფიზიკურ ადამიანში გამოვლენილი გრძნობის ორგანოების აღწერა. პირველი სამი გრძნობისთვის, არსებითად, არ შეიძლება მკაფიოდ გამოხატული გრძნობის ორგანოების აღწერა. მხოლოდ წონასწორობის გრძნობასთან ვლინდება მინიშნება ასეთ ორგანოზე ნახევრადწერიული ფორმის ყურის არხებში. ამის მიზეზი არის ის, რომ გრძნობის მაფორმირებელი შესაბამისი ძალები ემსახურება ფიზიკური ადამიანის საერთო აგებულებას და ეს ფიზიკური ადამიანიც გრძნობის შესაბამის სფეროებში აღიქმება. ყნოსვის, გემოს, მხედველობის, სითბოსა და სმენის გრძნობებს ემსახურება განსაკუთრებული ორგანოები, ჩაშენებული ფიზიკური ადამიანის საერთო აგებულებაში, ვინაიდან, მათ აგებაში მაღალი ხარისხის აქტიურობით მონაწილეობენ სწორედ გარე სამყაროს ძალები. მეტყველებისა და წარმოდგენის გრძნობებისთვის ასეთი ორგანოები უკვე აღარ არსებობს, ვინაიდან, ეს გრძნობები მიეახლებიან იმ სფეროებს, სადაც ფიზიკური ადამიანი მშენიანიერისკენ იხრება.

როგორც უკვე ვაჩვენეთ, „მე“ ერთი მხრივ და შეხების გრძნობა მეორე მხრივ მეტად აღარ მიეკუთვნებიან გრძნობის სფეროს. თუმცა, ისინი გარკვეულწილად გრძნობათა ცხოვრების ორივე საზღვარს წარმოქმნიან. „მე“ ითვისებს გრძნობების აღქმას და მათ შთაბეჭდილებებს გარდაქმნის მშენიანიერ განცდებში. ისინი, როგორც ასეთი, წარმოადგენენ მთლიანად შინაგანს და გრძნობების ცხოვრებას უკვე აღარ მიეკუთვნებიან. შეხების გრძნობისთვის ობიექტები მთლიანად გარეგნული რჩება. შეხების გრძნობის წყალობით მათში განცდილი, არსებითად, წარმოადგენს შინაგან განცდას, რომელიც დაფარული

განცდის წყალობით გარე სამყაროს განეკუთვნება. ეს შინაგანი განცდები კი სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების სფეროს განეკუთვნება. ცხადია, რომ შეხების მეშვეობით ადამიანის მიერ გამოვლენილ გარე სამყაროს, თავიდან გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება მთლიანად გარე სამყარო ეწოდოს, ვინაიდან, მისი აღქმისთვის არაა საჭირო ადამიანში რაიმე განსაკუთრებული გრძნობის ჩაშენება. ამ გარე სამყაროსა და ადამიანურ „მე“-ს შორის ძვეს სფერო, რომლისგანაც ოთხწევრა ადამიანი თავის თავს გარეთ ავითარებს.

ახლა კი გრძნობის ამ სფეროებს შორის განსხვავება იძულებულს გვხდის, ამ სფეროების შიგნით ვიპოვოთ კიდევ უფრო მეტი განსხვავება. სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების სფეროში ვლინდება ეთერული ადამიანის ფორმაქმნადი ძალები, რომელიც თავის თავს ფიზიკურ ადამიანში განიცდის. ისინი არ ითვალისწინებენ ასტრალურ ადამიანს. შესაბამისად, მათში საქმე აქვთ ძალებთან, რომლებიც ისე მუშაობენ შინაგან სხეულებრიობაზე, თითქოსდა ასტრალური ადამიანი მათთვის აქ გარკვეული მიმართებით არ არსებობდა. ამრიგად, ისინი საკუთარი მოღვაწეობისთვის ადამიანური ყოფიერების ისეთ დაფარულ სიღრმეებში ეშვებიან, რომ თავს არიდებენ ასტრალურ ადამიანს. მომდევნო ხუთი გრძნობის სფეროში ვლინდება ფორმაქმნადი ძალები, რომლებიც ითვალისწინებს ასტრალურ ადამიანს. მეტყველებისა და წარმოდგენის გრძნობაში ვლინდებიან ძალები, რომლებიც უკვე ძალზე ახლოს არიან იმასთან, რაც გრძნობების მეშვეობით ვლინდება. ამის შესაბამისად აუცილებელია, განვასხვაოთ: გრძნობების სამყარო, რომელიც ვლინდება მე-ადამიანში და ამით აყალიბებს გაცნობიერებულ ცხოვრებას; უშუალოდ გრძნობების ამ სამყაროს მიღმა ძვეს – დაფარული ეთერული სამყარო, რომელიც აყალიბებს ასტრალურ ადამიანს; ამ ეთერულ სამყაროში კვლავ იმალება ასტრალური სამყარო, რომელიც ისე აყალიბებს ეთერულ ადამიანს, რომ ის ავითარებს ფიზიკური ადამიანის მაფორმირებელ ძალებს; თუმცა ამ ასტრალური სამყაროს მიღმა უნდა ვივარაუდოთ კიდევ სხვაც. ვინაიდან, როგორც ნაჩვენები იყო . . . [ცარიელი ადგილი ტექსტში]

3.

ფრაგმენტი, ფურცლის უკანა მხარეს საარქივო ჩანაწერი № NZ 226. – შესაძლოა ეკუთვნის III თავს (გვ. 38, სტრ. 7 და მომდ.).

გარე სამყაროს ნივთიერება საჭიროა, განვიხილოთ ისე, როგორც ის სთავაზობს თავის თავს შეხების გრძნობას. ამ ფორმაში ადამიანის გრძნობადი განცდები უკან იხევს მისგან; შესაბამისად, იქ მას არა აქვს არაფერი, რაც შეიძლება ადამიანის შინაგანში შეიჭრას. აქ ნივთიერება მხოლოდ თავის გარეგნულ მხარეს სთავაზობს.

4.

ფრაგმენტი. - სავარაუდოდ ეკუთვნის IV თავს (იხ. გვ. 52)

მაგრამ ახლა ის, რაც ხელშესახებად აღიქმება სასიცოცხლო ორგანოებით, მაინც როგორ ეკუთვნის „ეთერულ სხეულს“, რომელიც დახასიათებულია, როგორც გრძნობადად აღუქმელი. ამასთან დაკავშირებით მიუკერძოებელმა განხილვამ საჭიროა, გამოავლინოს შემდეგი. „ეთერული სხეულის“ აღუქმელი გამოცხადებანი ჯერ თავად უნდა დაიბადოს ისეთ ფორმაში, რომ ისინი არა მარტო „ასტრალური ცხოვრებით“ განიცდებიან, არამედ „მე-ადამიანის“ მიერ გრძნობადად აღიქმებიან.

5.

ორი გვერდი. – შესაძლოა ეკუთვნის IV თავის წინასწარ ეტაპს.

სმენისა და სითბოს გრძნობები უფრო მეტად ადასტურებენ საკუთარ კუთვნილებას სუნთქვისა და სითბოს პროცესებთან, ვიდრე შენახვისა და ზრდის პროცესებთან; სამაგიეროდ, ვალიართ ამ უკანასკნელთა ერთიანობა, როგორც პროცესების, რომლებიც უფრო ემოციურად ვლინდება შინაგანი გრძნობებით სხეულის შინაგანში, ასევე მათი ერთიანობა მოძრაობისა და წინასწარობის გრძნობებთან. ზრდისა და შენახვის სასიცოცხლო პროცესები უფრო მეტად ზემოქმედებენ შინაგანი გრძნობების მიმართულებით, ხოლო სითბოსა და

სუნთქვის პროცესები – იმ გრძნობებზე, რომელთა წყალობითაც ადამიანი საკუთარი ცხოვრების კარიბჭეს გარეთ ხსნის. ამის შედეგად გარეგნული გრძნობები ძლიერდება სასიცოცხლო პროცესების მეშვეობით ერთი მიმართულებით, შინაგანი გრძნობები კი იგივეს იძენენ საპირისპირო მიმართულებით. ეს ფაქტი შეიძლება, გამოსახულების წყალობით თვალსაჩინო გახდეს. წარმოიდგინეთ გრძნობათა სფეროს გარემოცვა ბურთის ფორმით, რომლის ზედაპირიდან მოქმედებენ გრძნობათა განცდები. გარეგნული და შინაგანი გრძნობების ზემოქმედებათა დაპირისპირებულობის სწორად შეფასებისთვის წარმოიდგინეთ, რომ ბურთის ერთი ადგილი დანაოჭებულია შიგნით, და მსგავსი სახით შეიძლება შინაგანი გრძნობების სიმბოლური ზირება ბურთის შინაგანში. გარდა ამისა, ამ ბურთის დახმარებით თუ სურთ, თვალსაჩინოდ აჩვენონ სასიცოცხლო პროცესების გაძლიერებული ზემოქმედება გრძნობების განცდაზე, როგორც ერთი ისე მეორე მიმართულებით, მაშინ ეს ბურთი უნდა წარმოიდგინონ გაწედილი ორი საპირისპირო მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში ერთ ბოლოში მოქმედებენ სასიცოცხლო პროცესები, დაკავშირებული ისეთ შინაგან განცდებთან, როგორცაა სუნთქვა და სითბო, რომლებიც კავშირს ამყარებენ გარე სამყაროს სასიცოცხლო პროცესებთან; მეორე მიმართულებით მოქმედებენ სასიცოცხლო პროცესები, რომლებიც ვლინდებიან ისეთ შინაგან განცდებში, როგორცაა გამოყოფა, შენახვა და ზრდა. ამრიგად, თუ სიმბოლურად ვიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანურ სხეულს ბურთისებრი მოწყობა ეძლევა მისი გრძნობის ორგანოებში გამოვლენილი ძალებით. სასიცოცხლო ორგანოების წყალობით ეს მოწყობა სიგრძეში იწელება. ამის წყალობით ასე არსებობს განსხვავებული სასიცოცხლო ღირებულების ორი წარმოქმნილი მიმართულება. ერთ მხარეს, სადაც ვლინდება სუნთქვა, სითბო და კვება, გარეთ იხსნება სიცოცხლე, რათა განახლდეს. გამოყოფასთან და შენახვის პროცესთან ის საკუთარ პროცესებს წინ სწევს თავისი სხეულის შიგნით. ამის წყალობით ის გარკვეულწილად თავად განახლდება თავის თავში. შემდგომი პროცესები აჩვენებს, რომ ზრდასა და შობასთან მოცემულია რაღაც ისეთი, რაც თავისი განსაკუთრებულობის წყალობით მოკლებულია უშუალო სასიცოცხლო აღორძინე-

ბას. სუნთქვასა და სითბოში სიცოცხლეზე განმაახლებლად მოქმედი ძალები უკვე აღარ შედიან იმასთან, რაც მოცემულია ზრდასა და შობასთან. სხეულის შიგნით წარმოიქმნება, – ან უმჯობესია ითქვას, შიგნიდან გარეთ ისწრაფვიან, – სიკვდილისთვის განწირული მზა ქმნილებები (ცხოველურ სამეფოში ჩანს, როგორ არიან მოკლებული ეს ქმნილებები თავის სიცოცხლისუნარიანობას და გამოგდებულები არიან, მაგ., დაბალ ცხოველებთან ტყავის მოცილების მეშვეობით. ადამიანთანაც არსებობს მსგავსი განუწყვეტელი გამოგდება, თუნდაც ეს ნაკლებად შესამჩნევი იყოს. საკმარისია, დავაკვირდეთ, როგორ გამოდიან თითებზე ფრჩხილები შიგნიდან და თავის ბოლოსკენ გადადიან თავიანთ მომაკვდავ ნაწილში). ამრიგად, ზემოთ სიცოცხლის სიმბოლურად აღნიშნული ორივე მხარე წარმოგვიდგება სიცოცხლის აღორძინებისა და განადგურების წინააღმდეგობრივი სახით.

## 6.

ფრაგმენტი. – შესაძლოა ეკუთვნოდეს V თავს. იხ. გვ. 41

წყურვილის რაღაც შთაბეჭდილება, რომელსაც თავის თავში მოქმედების საშუალებას აძლევენ. მეტიც, იმყოფებიან იმის შთაბეჭდილების ქვეშ, რაც ადამიანის შიგნით წინამორბედია რაღაც აღქმის, ამ შთაბეჭდილების მისაღებად. „მე-ადამიანი“ არსებობს, რამდენადაც ის თავის თავში წარმოქმნის შინაგან განცდებს გრძნობების აღქმით, როცა შემოდის ეს აღქმები, როცა ის, მაგ., მიაყურადებს ბგერას; პროცესები შინაგანში . . .

## 7.

3 გვერდი. – წინასწარი ეტაპი VI თავისთვის. პირველი ორი წინადადება თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა იმას, რაც არის უფრო გვიანდელი ვარიანტის VI თავის დასაწყისში, იხ. გვ. 46.

„მე“-ს განცდაში არაფერია ისეთი, რაც აღძრულია გრძნობადი პროცესით. პირიქით, „მე“ თავის საკუთარ განცდაში

იღებს გრძნობადი პროცესების შედეგებს და მათგან აგებს საკუთარ შინაგან, ნამდვილი „მე-ადამიანის“, სტრუქტურას. ამრიგად, ამ „მე-ადამიანის“ შინაგანში არსებობს ძალოვანი მიმართულებები, რომლებიც გვხვდება შემდეგი სახით. „მე“ თავის არსს, გარკვეულწილად, ყოველმხრივ განიცდის; მისი თვითგანცდა სხვადასხვა მხრიდან ხვდება ძალებს, რომლებიც მას ეჯახება სხვადასხვა მიმართულებიდან და თავის თავს ავლენენ განსხვავებულად, გამომდინარე გრძნობათა განცდის თავისებურებიდან. ე. წ. შეხების გრძნობაში განცდა ისეთია, რომ მისი შინაარსი მთლიანად ჩაკეტილი რჩება შინაგანში და მხოლოდ ამ შინაგანი განცდით მსჯელობენ იმაზე, რა ეგებება გარედან. აქედან „მე“ თავს უფლებას აძლევს, ხელშესახებ ობიექტებში ივარაუდოს რაღაც, არსებითად, ისეთივე, როგორცაა თავად „მე“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შინაგანში შეხების განცდის სახით გათამაშებული სინამდვილე გარედან მოქმედებს საპირისპირო მიმართულებით. მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული, უმრავლეს შემთხვევაში კი მთლიანად გაუცნობიერებელი განსჯა, სინამდვილეში, შეხების ყველა აღქმის საფუძველში ძევს. თავად „მე“ შებრუნებული სახით განიცდის თავის თავს. შეხების აღქმის მიღებისთვის „მე“-მ თავისი განცდა გარეთ უნდა განავითაროს, მაგრამ ობიექტთან შეხების წყალობით იძულებულია, დაამუხრუჭოს, შემდეგ კი თავის თავში შებრუნდეს. „მე“ განცდა მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა დაუბრკოლებლად შეუძლია შინაგანი განცდების სამყაროს (Allheit) გაშლა და როცა ის ივსება მხოლოდ თავისი საკუთარი რეალობით. სხვა გრძნობების განცდა ამ ორ უკიდურესობას შორის შუაში ძევს. ცნების გრძნობაში „მე“-ს განცდის პროცესი გარედან ძალზე უმნიშვნელოა და დამუხრუჭებული. ეს განცდა ისეთია, რომ ის კნინდება „მე“-განცდასთან მიმართებით. ის თავის სიმდიდრეში შემცირდა. მან თავისი საკუთარი ძალა გასცა და შეიძლება შემდეგი რამის აღიარება. ცნების აღქმაში „მე“ თითქოსდა საშუალებას აძლევს თავის თავს, ჩაიღვაროს მისკენ წამოსულ ძალაში. თუ აღგილი ექნებოდა მე-განცდის მხოლოდ ამ ჩაღვრას, მაშინ „მე“ თავის განცდაში მხოლოდ გაღარიბებას იგრძნობდა. თუმცა შესაგებებლად წამოსული ძალოვანი ნაკადი რეალობა და ამიტომაც ურთიერთქმედებს გადმოღვრილში. მათი

ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს ცნების განცდა. ახლა კი წარმოიდგინეთ ორივე ძალოვანი ნაკადი, რომელიც ერთი მიმართულებით მიედინება, მაგრამ ერთი უკვე დიდი ხნიდან არსებობს, როცა მეორე მას უერთდება. შემდეგ მეორე ცვლის პირველს და ეს ცვლილება ისეთია, რომ ის განპირობებულია მეორის არსით. ამ სურათ-ხატიც წყალობით შეიძლება, მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ცნების აღქმა. ორივე ნაკადს სურს, მე-განცდები წარმოადგინოს. უფრო ძველი ნაკადი ცნებების განცდაში მიედინება. მოგვიანებით შეერთებული კი – საკუთარ ადამიანურ მე-განცდაში. შერწყმის პროცესში მიიღება ძველი მე-განცდის ცვლილება. ეს ცვლილება ორივე მე-განცდის სახით განლაგებულია მათ სიახლოვეს, როგორც მე-სამე. ახლა თუ ამ ცვლილებაში ხედავენ წარმოდგენის აღქმის ორგანოს, მაშინ სიმბოლოს მნიშვნელობა მოცემულია. ორი მე-განცდა ურთიერთქმედებს; ახალი წარმოადგენს აღქმის ორგანოს მიზეზს წარსულში და მას ეხსნება შეჯახება ძველთან, გამომდინარე ცვლილებიდან, რომელიც ძველმა განიცადა. – მეტყველების გრძნობისთვის შეიძლება გამოიყენოთ ისევ ეს სურათ-ხატი, მხოლოდ აუცილებელია, წარმოვიდგინოთ, რომ აქ ახალი მე-განცდა თავის თავს პოულობს დაპირისპირებულს ძველის გაცილებით უფრო მეტ ცვლილებასთან, მის თავდაპირველ თავისებურებასთან შედარებით ისე, რომ ახალი მე-განცდა მისკენ მომდინარე შორეული მე-განცდის ცვლილებას მნიშვნელოვნად განიცდის. კიდევ უფრო მეტი ხარისხით ხდება ეს სმენის გრძნობასთან. მისთვის ძველი მე-განცდა უკვე ძალზე უკან იხევს ცვლილებისთვის, რომელსაც ის დარტყმისას განიცდის. სიტბოს გრძნობასთან საქმე უკვე ისეა, რომ ძველი მე-განცდა ისეთ ცვლილებას განიცდის, რომ ამ ცვლილების ბუნება არსებითად უთანაბრდება თავად ახალი მე-განცდის ბუნებას. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენის ახალ განცდაში დარტყმა ისე შეიგრძნობა, თითქოს გამოწვეულ ცვლილებაში არსებობდეს რაღაც ისეთი, რაც იმპულსის სახით უკვე არსებობს ახალ განცდაში. გარედან შემოსულ სიტბოს შეიგრძნობენ, როცა ის საკუთარ მე-განცდაში იღვრება ისე, რომ სიტბოს შინაგანი განცდების ანალოგიური აღმოჩნდება. მხედველობის გრძნობასთან ეს სხვაგვარად ხდება. აქ ორივე ნაკადის სურათ-ხატი ისე უნდა შეირჩეს,

რომ ნაკადი, რომელიც წარმოადგენს ახალ მე-განცდას, თავად განიცდის ცვლილებას, რომელიც განლაგებულია ძველი მე-განცდის ცვლილების სიახლოვეს. ახლა, შეჯახების შემდეგ, ერთმანეთზე მოქმედებს არა თავად მე-განცდები, არამედ მათი ორმხრივი ცვლილებები. ახალი მე-განცდა თავის საკუთარ ცვლილებას აგზავნის ძველის ცვლილების შესაგებებლად. თუ ძველი მე-განცდის ცვლილება ისევე ძლიერია, როგორც ახლის ცვლილება, მაშინ პირველი საშუალებას აძლევს, უკანასკნელში ჩაიდვაროს რაღაც საკუთარი არსიდან და პირიქით. და ადგილი აქვს ძველი მე-განცდის გარკვეული წონასწორობის ფაქტს ახალ მე-განცდასთან. ასე შეიძლება, მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ადამიანის ურთიერთქმედება გარე სამყაროსთან მხედველობის გრძნობის განცდისას. ასეთ შემთხვევაში გემოს გრძნობას ადგილი აქვს, როცა ახალი მე-განცდის ცვლილება ძლიერად ვლინდება ძველის ცვლილებით, რომლის წყალობითაც ვლინდება ფაქტი, რომელიც გამოიყურება, როგორც ახალი მე-განცდის ცვლილების წინააღმდეგობა ძველ მე-განცდასთან. გარკვეულწილად გამოედინება ახალი მე-განცდის მხოლოდ ნაწილი, მეორე ნაწილი კი ბრუნდება ახალ „მე“-ში. ახალი მე-განცდის ძალა კიდევ უფრო ძლიერია ყნოსვის გრძნობასთან. ყველაზე მეტად კი ის ვლინდება ე. წ. შეხების გრძნობასთან. აქ ის მთლიანად ინარჩუნებს საკუთარ თავისებურებას ძველ მე-განცდასთან მიმართებით და შეხებისას უკუაგდება მას, რათა თავად განიცადოს საკუთარ თავში ყველაფერი, რასაც საკუთარ თავში შეიცავს. შეხების გრძნობაში ადამიანის საკუთარი „მე“ თავის ძალებს აგზავნის, რათა გარე სამყაროსთან შეხებისას მათი ცვლილება კი არ დაუშვას, არამედ საპირისპირო მიმართულებით კვლავ ასახვისას ისინი განიცადოს. ამიტომ შეიძლება ასევე ითქვას: შეხებისას მე-განცდის ნაკადი გარეთ იღვრება, როცა თავისი თავისგან გარე სამყაროს არაფერს აძლევს, არამედ გარედან შიგნით მიმართულებით კვლავ განიცდის საკუთარ სრულ შინაარსს. ყნოსვის გრძნობაში მე-განცდა გარეთ ისწრაფვის და კარგავს თავისი შინაარსის ნაწილს, დარჩენილ ნაწილს კი განიცდის ისეთ ცვლილებაში, რომელიც მასზე აღბეჭდილია გარედან. გემოს განცდისას „მე“-მ მეტი უნდა გასცეს საკუთარი შინაარსიდან, ამიტომ აქ საკუთარი



არსის გარდაქმნა უფრო მეტად განიცდება, ვიდრე ყნოსვის განცდისას. მხედველობის განცდისას „მე“ იძენივეს შეიცავს, რამდენსაც დაახლოებით გადასცემს. სიტბოს განცდისას ძველი მე-განცდა უფრო ძლიერი აღმოჩნდება; ახალმა „მე“-მ მეტი უნდა გადასცეს, ვიდრე ის შეიცავს. ის შეიცავს გარდაქმნის სხვა სახეს, რომელიც მასში არაა გამოწვეული გარედან, არამედ თავად მის მიერ მიღწეულია შიგნიდან გარეთ. მაშინ გასაგებია, სმენის გრძნობაში როგორ ხდება გარდაქმნა შიგნიდან გარეთ მიმართულებით. ბგერა უკვე აღარ ცხოვრობს იმავე სამყაროში, რომელშიც საჭიროა გემოსა და ყნოსვის გრძნობათა მიზეზები გადაიტანონ. ბგერა შიგნიდან გარეთ ვითარდება. კიდევ უფრო მეტი ხარისხით ეს ხდება მეტყველების გრძნობასთან, ხოლო ყველაზე უმაღლესი ხარისხით – წარმოდგენის გრძნობასთან.

## 8.

ფრაგმენტი, ჩანაწერების უკანა მხარეს ფურცელზე, არქივის ნომერი № NZ63, რომელიც აღდგენილია 137 (იხ. ნახაზი) გვერდზე. - სავარაუდოდ, ეკუთვნის VI თავს, იხ. გვ. 47.

თავის თავში ატარებენ გარე სამყაროს ნაწილს. თუმცა, ეს გარე სამყარო თავის თავში ატარებს „მე“-ს ანასახს.

ახლა თუ განვიხილავთ წონასწორობის გრძნობის განცდას, მაშინ ისინი წარმოჩნდება პროცესების სახით, რომლებიც პირველ „მე“-ში გარედან კი არ ვლინდება, არამედ შიგნიდან, როცა ისინი, ასე ვთქვათ, შესაბამისობაშია მოყვანილი სივრცის სამ მიმართულებასთან. ეს კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება საკუთარი მოძრაობის გრძნობის განცდისას. მასში შინაგან პროცესებს განიცდიან, როგორც გარეგანს. სიცოცხლის გრძნობასთან შიგნით ვლინდება რაღაც მსგავსი იმისა, რაც შეხების გრძნობასთან გარეთაა. ცხოვრების გრძნობის მიერ გამოვლენილი გრძნობადი განცდები რას წარმოადგენენ; თუმცა მათი შესაბამისი ხატოვანი შეგრძნებები ადამიანში გარედან კი არ იჭრება, არამედ შიგნიდან ამოიზიდება. გრძნობად განცდაში სახეზეა „მე“; მაგრამ აქ „მე“ შედის ურთიერთქმედებაში მარტოოდენ შინაგანთან ისე, როგორც ის სხვა გრძნობაში შედის ურთიერთობაში გარე სამყაროსთან.

ფრაგმენტი. – განეკუთვნება VII თავს, იხ. გვ. 49 და მომდ.

სმენის გრძნობასთან მისი ორგანოს აგება ინდივიდუალურ ცხოვრებაში უკვე ისე აღარ ვლინდება, როგორც წარმოდგენისა და მეტყველების გრძნობასთან. თუმცა ორივე ამ გრძნობადი მოწყობის აგებულებაში, ასევე მე-ორგანიზმის აგებულებაში, არ შეიძლება უშუალოდ ჩაიდოს ხილული აღქმა, და მაინც, უმნიშვნელო მსჯელობაც აჩვენებს, როგორ ხორციელდება ასეთი აგებულებისას მუშაობა. ეს წარმოიქმნება ძალებისგან, რომლებიც ნივთიერების გარდაქმნით, ჩნდებიან რა მე-განცდის სახით, ადამიანის ასტრალურ სხეულში ვლინდებიან. მე-ორგანიზმში გარკვეულწილად სახეზეა თავად გარდაქმნილი „მე“; წარმოდგენის ორგანიზმში – გარდაქმნილი წარმოდგენა, ბგერის ორგანიზმში კი – გარდაქმნილი ბგერა. რამდენადაც მე-განცდა არ გარბის ზევიდან ქვევით უსასრულობაში, არამედ ფერხდება მის შესაგებებლად მოძრავი ძალებით, ამიტომ ის, ასე ვთქვათ, თავად აისახება საკუთარ თავში. წარმოდგენის განცდის შემდეგ ის უკვალოდ კი არ ქრება, არამედ ნარჩუნდება ადამიანის შინაგანში და მაშინ ამ წარმოდგენიდან წარმოიქმნება რაღაც, რაც ხელს უწყობს ახალი წარმოდგენის გააზრებას. იგივეს აქვს ადგილი ბგერის გრძნობასთან. ამრიგად, თავდაპირველ მე-განცდაში შეიძლება, დავინახოთ ზევიდან ქვევით მსწრაფი. მე-ორგანიზმში, წარმოდგენის ორგანიზმსა და ბგერის ორგანიზმში ასეთი მე-განცდები, რომლებიც ზევიდან ქვევით მიმართული ძალების წყალობით, თავად ასახავენ თავის თავში განცდებს, რომლებიც „მე“-ში, წარმოდგენასა და ბგერაში ძევს, მათ კი დამუხრუჭებისკენ (Stauung) მიჰყავთ. თავისთავად ცხადია, რომ წარმოდგენის ორგანო არანაირი წარმოდგენა არ არის. მაგრამ ის წარმოდგენს ცნების განცდას, მიყვანილს თავის თავში დამუხრუჭებამდე. თუმცა ცხადია, რომ აქ მოყვანილი აღწერით არ შეიძლება, იგულისხმებოდეს რომელიმე ორგანოს აგება რეალურ ფიზიკურ ადამიანში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თავად მე-ორგანიზმი, რომელიც, რამდენადაც ის აგდება თავის თავში და აღქმამდე მიჰყავს საკუთარ თავში

სრულიად ღარიბი მე-განცდა, სხვა არაფრით სარგებლობს, გარდა თავად „მე“-ს მსგავსი ძალებისა, ოღონდ წარმართულს საპირისპირო მიმართულებით. წარმოდგენის ორგანოთი, რომელიც არის თითქოსდა მხოლოდ წარმოდგენის გადაბრუნებული განცდა, შეიძლება გადმოსცე *მხოლოდ* წარმოდგენის განცდა, რაც არ ეფუძნება იმ სამყაროს, რომელიც სივრცესა და დროში არაა ადამიანებთვის საფრთხის შემცველი. ბგერის გრძნობაც, რომელიც აგებულია მხოლოდ დახასიათებული სახით, არ შეიძლება, ეკუთვნოდეს მოსმენილ ბგერას, არამედ – არაგრძნობადი პროცესების მხოლოდ წმინდა მშვინვიერ გაგებას, შესაბამისად, მხოლოდ ჩვეულებრივი ბგერის გრძნობის ანალოგს. – ნუთუ, ახლა შესაძლებელია, მსგავსი სახით წარმოვიდგინოთ მოწყობილობა სმენის ორგანოსთვის, რომელიც განხორციელებულია ორი ძალოვანი მიმართულების დამუხრუჭების მეშვეობით? მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ტონის მიღმა დაფარულია რაღაც, რაც გაურბის თავად ტონის განცდას. წარმოიდგინეთ მე-განცდა, როგორ გარდაიქმნება ის ტონის განცდაში, რომელიც ვლინდება უკუქმედების ძადად, რომელსაც ის ვერ აღიქვამს ისე, როგორც სმენის ორგანო – ტონს, მაგრამ მას ასახავს საპირისპირო მიმართულებით. თავდაპირველი ძალოვანი ნაკადი და ამრეკლავი ასეთ შემთხვევაში დამუხრუჭების ერთ სტრუქტურაში ფორმირდებიან.

## 10.

ფრაგმენტი. – როგორც N9, ესეც ეკუთვნის VII თავს.

სმენის გრძნობის აგებულება გაურბის ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროს. ეს გრძნობა ადამიანს დაბადებიდან აქვს მიცემული. მე-აღქმის, წარმოდგენის გრძნობისა და ბგერის გრძნობის ორგანოები გულისხმობენ სმენის ორგანოს არსებობას. ასევეა სითბოს, მხედველობის, გემოს, ყნოსვის, წონასწორობისა და საკუთარი მოძრაობის გრძნობებისთვისაც. ამ გრძნობათა ორგანოები უკვე უნდა არსებობდნენ, როცა მათში განფესვა მართებთ ბგერის, წარმოდგენისა და „მე“-ს ორგანიზმების ორგანოებს. ახლა სურათ-ხატში წარმოიდგინეთ სმენის გრძნობაში მოცემული გარდაქმნილი მე-განცდა მიმა-

ვალი ერთი მიმართულებით ისე, როგორც არის წარმოდგენილი თავდაპირველად ზევიდან ქვევით მიმავალი მე-განცდა, და მაშინ, სმენის განცდის არსებობისთვის აუცილებელია, ვივარაუდოთ საპირისპირო მიმართულებიდან აგებული ორგანო. იგივე ხდება სხვა გრძნობებისთვისაც. – სმენის გრძნობის განხილვისას აღმოჩნდება, რომ მის განცდებში აუცილებელია ვალიართ რაღაც, რაც ფორმირდება უშუალოდ ადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთკავშირში. ტონი, როგორც ასეთი, არ შეიძლება, გადაადგილდეს გარე სივრცეში, მაგრამ მისი ახსნა შეიძლება რაღაცით, რაც წარმოიქმნება სმენის გრძნობის წყალობით გარეგნული პროცესის მეშვეობით, რომელიც ტონს არ წარმოადგენს. ამას მიჰყავს მოქმედებისკენ, რომელიც წინა გადმოცემაში დახასიათებულია წარმონაშობების სახით. სიტბოს გრძნობისთვის საქმე სხვაგვარადაა. აქ გარეგნული სიტბური პროცესის გადაცემა უშუალოდ ადამიანში ხდება. გარეგნული პროცესი გრძელდება შინაგან განცდაში. ეს უფრო მეტია უბრალო ხატოვან გამოთქმაზე, როცა ამბობენ, სიტბოს განცდა შინაგანში აღდგენილი გარეგნული პროცესია. მაგრამ სიტბოს ამ განცდას მიჰყავს ზემოთ დახასიათებულ ზრდის პროცესთან. – მხედველობის გრძნობასთან აღქმა გარეთ გადაადგილდება. სმენისა და სიტბოს განცდებში თავს შიგნით ჩაფლობილად გრძნობენ; მხედველობის განცდებში თავის თავს უპირისპირებენ განცდილს. მოსმენისას ტონი აღიქმება, როგორც შინაგანად განცდილი, ხოლო თავად ადამიანი თავს გრძნობს მის მატარებლად. მხედველობის პროცესში ფერი გადაიტანება გარეთ და გადადის გარეგან მატარებელზე. ორგანო, რომელიც თავის თავს უპირისპირებს მხედველობის განცდას, ემოციურად არაა დაკავშირებული მხედველობის გრძნობასთან;

## 11.

ფრაგმენტი. – განეკუთვნება VIII თავს, იხ. გვ. 62, სტრ. 36 და მომდ.

მოცემული ფრაგმენტის პირველი აბზაცის მომდევნო იხ. გვ. 61, სტრ. 12 და მომდ.

. . . ეწოდება, ამასთან ამ დასახელებისთვის არაა საჭირო, იგულისხმონ სხვა რამე, აქ მოცემულის გარდა.

ზემოთ მოყვანილი სურათ-ხატის თვალსაზრისით ახლა შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი თავისი ფორმირებით, რამდენადაც ის ვლინდება „მარჯვნიდან-მარცხნივ“ და „მარცხნიდან-მარჯვნივ“ მიმართულებით, მიუთითებს ასტრალურ სამყაროზე და ქვედა სულიერ სამყაროზე. ყოველი გრძნობადი ორგანო თავის ფორმაში სმენის, სითბოს, მხედველობის, გემოსა და შეხების გრძნობებისთვის აღმოაჩენს, რომ ადამიანის სიმეტრიული ფორმირება თავისი წარმოშობით დავალებულია ასტრალური და ქვედა სულიერი სამყაროების ურთიერთგანმსჭვალვასთან. ადამიანის სხეულის ფორმირებაში, – ადამიანის წინსვლასთან მიმართებით, – საჭიროა, წარმოვიდგინოთ ქვედა სულიერი სამყარო; ის მოქმედებს „მარცხნიდან-მარჯვნივ“, ამოდრავებს რა ეთერულ სხეულს, რომელშიც მოძრაობს ასტრალური სხეული, როცა ადამიანური ფორმის შექმნას დამუხრუჭების მეშვეობით აღწევს. „მარჯვნიდან-მარცხნივ“ ფორმირებაში საჭიროა, წარმოვიდგინოთ ეთერული სხეული, რომელიც ისწრაფვის „მარჯვნიდან-მარცხნივ“, რომელშიც გადაადგილდება ასტრალური სხეული. ასტრალური და ეთერული სხეულების ამ განმსჭვალვის შედეგად საჭიროა, განვიხილოთ სიმეტრიულად ფორმირებული ყველა გრძნობის ორგანო.

12.

ფრაგმენტი.

თუმცა, გრძნობის ამ ორგანოებს გარე სამყაროში რეალურად არსებობა რომ შეეძლოთ, ჯერ კიდევ აუცილებელია მათი შევსება ნივთიერებით, რომელიც ყნოსვის გრძნობაში თავის თვითაღქმას განიცდის. აქამდე დახასიათებულის მიხედვით, ისინი წარმოჩნდებიან მოჩვენებებად, რომლებსაც გარეგნული რეალობისთვის არ ჰყოფნით შევსება. როგორ შეიძლება ნივთიერებით ამ შევსების ახსნა?

13.

ფრაგმენტი.

სმენის, მეტყველებისა და წარმოდგენის გრძნობის თითოეული განცდიდან გარე სამყაროში მითითებულია რაღაცაზე, რაც ამ განცდას არ ექვემდებარება. გამომავალი მე-განცდა თითქოსდა გადაძაღავს მას. ამიტომ თავად ის არ შეიძლება, გარდაიქმნას მე-განცდაში. და მაინც, მას შეუძლია ადამიანში შეჭრა, თუ მოცემულია ზემოქმედების შესაძლებლობა ადამიანური ბუნების სხვა წევრზე, როგორც მე-განცდაზე. გარკვეული მიმართებით ასტრალური ადამიანის განცდები უფრო სუსტია, ვიდრე მე-ადამიანის განცდები.

#### 14.

ფრაგმენტი. – სავარაუდოდ განეკუთვნება VIII თავს, იხ. გვ. 61 და მომდ.

მეორე განხილვას შეუძლია, ამ მიმართულებით მოძრაობა გააგრძელოს. თუ განვიხილავთ ადამიანური სხეულის გრძნობების და იმ სასიცოცხლო პროცესების კლასიფიკაციას, მაშინ უკანასკნელნი პირველებზე, გარკვეულწილად, ბრძანების სახით ზემოქმედებენ. თავად გრძნობადი პროცესებისთვის ვლინდება ერთიანი წესრიგი იმასთან მიმართებით, რომ წარმოდგენისა და მეტყველების გრძნობებში არსებობს შინაგანი განცდები, როგორც სმენის, სიტბოს, მხედველობის, გემოსა და ყნოსვის გრძნობებში. წონასწორობის, საკუთარი მოძრაობისა და ცხოვრების გრძნობებში კვლავ ადგილი აქვს შინაგან განცდებს, თუმცა ისინი მოცემულია უფრო მჭიდრო სახით, ვიდრე წარმოდგენისა და მეტყველების გრძნობებში, რომლებიც მშვიდნიერი სახის გრძნობებს წარმოადგენენ. ამრიგად, თავად სიცოცხლის გრძნობის ფარგლებში სახეზეა ადამიანის სხეულისთვის გარეგნული და შინაგანი დაპირისპირებულობა. სასიცოცხლო პროცესების მეშვეობით კიდევ რაღაც სხვა წესრიგი შემოდის. უპირველეს ყოვლისა, ამ სასიცოცხლო პროცესების კავშირში მოყვანა წარმოდგენის გრძნობასთან და ცხოვრების გრძნობასთან შეუძლებელია. სამაგიეროდ შეიძლება ითქვას, რომ თავის თავში გარკვეულწილად განკარგულებაში . . .

15.

სამი ფრაგმენტი. – ორი ფრაგმენტი არის ვარიანტები, მე-სამე ამთავრებს მეორეს. სავარაუდოდ ეკუთვნის IX თავს, ის. გვ. 67 და მომდ.

სიცოცხლის გრძნობაში გარკვეულწილად ვლინდება ზემოთ დახასიათებული მე-განცდის შინაგანი განხორციელება. ახლა დავეუშვათ გარკვეული გაძლიერება ამ საფეხურის ზემოთ. მაშინ ასტრალური სხეულის ძალები თავის საკუთარ შინაგანში შემობრუნდებოდნენ და იმოქმედებდნენ თავად თავის თავში საპირისპირო მიმართულებით. თუ ამას ადგილი ექნებოდა, მაშინ ადამიანში გამოვლინდებოდნენ შიგნიდან გარეთ მოქმედი ძალები, რომლებიც იქნებოდა იგივე სახის გამოცხადება, როგორც ისინი . . .

სიცოცხლის გრძნობაში ვლინდება ზემოთ დახასიათებული მე-განცდის პროცესის განხორციელება განსაზღვრულ მიჯნამდე. ახლა დავეუშვათ, რომ ხდება რაღაც ამაღლება ამ მიჯნებზე. მაშინ სიცოცხლის გრძნობის სურათ-ხატის შეგრძნება არა მარტო გააღწევს მე-განცდის პროცესში და ის მათ თავად აღიქვამს, არამედ ისინი თავის თავს თავად ერგებებიან. ანუ, ხდება ის, რასაც შეიძლება, წარმოდგენის ცხოვრება ეწოდოს, თუმცა ცოცხალი ორგანიზმი ამ სიცოცხლის მატარებელს არც წარმოადგენს. მაინც რა შეიძლება, დაემატოს ადამიანის ჩვეულებრივ ცნებით სიცოცხლეს, რომ წარმოდგენის ამგვარ დამოუკიდებელ ყოფიერებას არსებობა შეეძლოს? დამატებული საზომი შეიძლება, აღმოჩნდეს შემდეგი სახის: წარმოდგენის ორგანო გამოვლინდა, როგორც . . .

16.

ხუთი გვერდი და ერთი გვერდი ერთი ვარიანტით; ფრაგმენტი N17 შეიცავს შემდეგ ვარიანტს. – წინასწარი საფეხური, განეკუთვნება VIII-X თავებს.

წარმოდგინეთ ადამიანის პირველი ჩანასახი მთელი ძალებით, რომლებიც მას შეიძლება, შინაგანად ჰქონდეს ფიზი-

კურ სამყაროში, რომელიც ქვევიდან ზევითამდე მოცულია უშუალოდ ზენა სულიერი სამყაროდან მომდინარე ძალით, რომელმაც მარტობაში მოქმედებით წარმოშვა ადამიანი, ვინაიდან ის წარმოადგენს მხოლოდ „მე“-ს მატარებელს. სანამ ასე აგებული ადამიანი შეძლებს, ზოგადად წარმოიქმნას, ეს ძალა ხელში უნდა ჩაიგდონ სხვა ძალებმა, რომლებიც მოქმედებენ უკნიდან წინ (სინამდვილეში ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი აიძულებენ პირველს, გააგრძელოს მოქმედება, მხოლოდ მისი მარჯვენა მხარეს გადახრით), და მომდინარეობენ უშუალოდ ქვედა სულიერი სამყაროდან. ეს ძალები ძვეს სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების შინაარსებში. თუნდაც ამ გრძნობების შინაარსები განსხვავებული იყოს, თითოეული მათგანისთვის საერთოა ჩვენი „მე“-ს მეშვეობით მათი გამოყენება ფიზიკურ სამყაროში საკუთარი სხეულის განცდისთვის. ამრიგად, ისინი არ გულისხმობენ რაიმე სხვას, გარდა საკუთარი სხეულებრიობისა, როცა საჭიროა მისი განცდა. ფიზიკურ სამყაროში ისინი განცდილი უნდა იყოს საკუთარ სხეულებრიობაში. ამგვარად, აქ ისინი საკუთარი სხეულებრიობის მეშვეობით მოქმედებენ. სწორედ მათი საპირისპიროა წარმოდგენის, ბგერისა და ტონის გრძნობების განცდა. წარმოდგენის, ბგერისა და ტონის განცდები ისე აღიქმება, რომ მათში მონაწილეობა არ შეუძლია საკუთარ სხეულს. ამ განცდების განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მათი დამოუკიდებლობა საკუთარი სხეულებრიობისაგან. შესაბამისად, მათში „მე“-მ უნდა განიცადოს რაღაც, რომ მას უნარი აქვს, ჩართოს საკუთარ თავში რაღაც სხეულებრიობისგან ამის გადმოდების გარეშე. ამავდროულად ეს „რაღაც“ დამოუკიდებელი უნდა იყოს ორგანოებისგან, რომლებიც ამ განცდებს გადმოსცემენ. უფრო ზუსტად, საჭიროა, დამოუკიდებელი იყოს, მსგავსად იმისა, როგორი დამოუკიდებელიცაა თავად „მე“. ამრიგად, წარმოდგენაში, ბგერასა და ტონში არის რაღაც, რაც ფიზიკურ სამყაროში უერთდება საკუთარ სხეულებრიობას, როგორც უერთდება ამ სხეულებრიობას თავად „მე“. ამრიგად, ადამიანის ფიზიკურ სხეულებრიობაში უნდა გამოვლინდეს იმ ორგანოების ჩანასახები, რომლებსაც დასაწყისში არც კი აქვთ თავის წინაპირობად ეს სხეულებრიობა. ასეთ შემთხვევაში ორგანოთა ეს ჩანასახები



წარმოადგენენ განსაკუთრებულ ორგანიზმს, რომელიც ფიზიკური სამყაროს შიგნით ეხება წონასწორობის, საკუთარი მოძრაობისა და სიცოცხლის გრძნობების შინაარსს, როცა თავიდან ურთიერთობაში არ შედის სხვა ორგანოებთან. მაშასადამე, ამ გრძნობების შინაარსებმა საჭიროა, ისე იმოქმედონ, რომ უკვე არსებულ ორგანიზმში შექმნან სიცოცხლით აღვსილი ორგანოები. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ ძალებს, რომლებიც *ფიზიკურ სამყაროში* წარმოქმნიან დაბალი სულიერი სამყაროს თვისებებს თავად „მე“-ს მსგავსად, რომელიც ავლენს ზედა სულიერი სამყაროს თვისებებს. ამ გრძნობების შინაარსები ისევე უშუალოდ უნდა ასხივებდეს ფიზიკურ სამყაროში, როგორც იღვრება მასში „მე“. თუ ეს ძალები ასეთი სახით მოქმედებენ ფიზიკურ ადამიანზე, რამდენადაც ის წარმოადგენს „მე“-ს მატარებელს, ამიტომ ისინი გაიყოფენ ამ ფიზიკურ ადამიანს ორ ფიზიკურ არსობრივ წევრად, რომელთაგანაც ერთი არსებობს სასიცოცხლო ჩანასახებში, რომლებიც შემდგომში სასიცოცხლო ფიზიკური ორგანოების ფორმირებას შეუდგებიან; მეორეს კი ეს სასიცოცხლო ჩანასახები ისე აყალიბებენ, რომ მათ შეეძლოთ, იქცნენ „მე“-ში განცდების მატარებლებად, რომლებიც დაბალი სულიერი სამყაროდან მომდინარეობენ ისე, როგორც თავად „მე“ მომდინარეობს ზენა სამყაროდან. მაგრამ ასეთ განცდებს წარმოადგენს წარმოდგენის, ბგერისა და ტონის განცდები, რომლებიც უშუალოდ ენათესავებიან „მე“-ს არსობრივ ხასიათს. თუ ახლა სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების შინაარსებს წარმოვიდგენთ ძალებად, რომლებიც ქვედა სულიერი სამყაროდან გამომდინარე, უკნიდან-წინ მიმართულებით ხელში იგდებენ ფიზიკური სხეულის თავდაპირველ ჩანასახს, როგორც მეს-მატარებელს და ამ ჩანასახზე აღბეჭდავენ თავის საკუთარ არსს, მაშინ მათ ამ ფიზიკურ სხეულზე უნდა აღებეჭდათ ორგანოები, რომელთა წყალობითაც „მე“ იძენს განცდებს, რომელიც მას აკავშირებს ქვედა სულიერ სამყაროსთან, მსგავსად იმისა, როგორც თავად საკუთარი თავის წყალობით არის დაკავშირებული ზენა სულიერ სამყაროსთან. ტონი, ბგერა და წარმოდგენა თავისი შინაარსით წარმოადგენენ დაბალი სულიერი

სამყაროს ისეთივე უშუალო გამოცხადებებს, როგორც „მე“ – ზენა სულიერი სამყაროს გამოცხადებას.

შემდეგ თუ წარმოვიდგენთ ფიზიკური ადამიანის თავდაპირველ მე-ჩანასახს, რომელიც არაა თავის თავში დავანებული, მაშინ ეს მე-ჩანასახი სიცოცხლის, წონასწორობისა და საკუთარი მოძრაობის გრძნობებში ჩადებული შინაარსების მეშვეობით განვითარებას გააგრძელებდა ტონის, ბგერისა და წარმოდგენის განცდებისკენ იმის შედეგად, რომ სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების შინაარსები მიიტაცებდნენ მას და განმსჭვალავდნენ უკნიდან-წინ მიმართულებით. – დაუეშვათ, ასეთი სახით გარდაქმნილი ადამიანის ეს ფიზიკური ჩანასახი ახლა იქნებოდა მოცული მარჯვნიდან მარცხნივ მხედველობის, გემოსა და ყნოსვის, სითბოსა და სმენის გრძნობების შინაარსებით, მაშინ გრძნობების ეს შინაარსები, ცხადია, ვერ შეძლებდნენ მასზე ზემოქმედებას, თუ არ იარსებებდა გრძობათა შესაბამისი ჩანასახები. თავად ნივთიერება კი გარკვეულწილად დაეჯახებოდა ამ ჩანასახს; ამის შედეგად ორგანოების ჩანასახებში, რომლებიც სხვაგვარად განვითარდნენ წონასწორობის, საკუთარი მოძრაობისა და სიცოცხლის გრძნობების შინაარსით წარმოდგენის, ბგერისა და ტონის ორგანოებში, ეს ჩანასახი გარდაიქმნებოდა ისეთ ორგანოებად, რომლებიც თავად თავის თავში შეძლებდნენ ნივთიერების გარეგნული ზემოქმედების განცდას. ფიზიკურ სამყაროში ეს შესაძლებელია მხოლოდ სასიცოცხლო ორგანოების არსებობისას. ახლა ცხადია, რომ მხოლოდ უკვე არსებული სასიცოცხლო ორგანოების მეშვეობით არის შესაძლებელი სუნთქვის, სითბოსა და კვების პროცესები. გამოყოფა, შენარჩუნება, ზრდა და წარმოშობა, პირიქით, ისეთ პროცესებს წარმოადგენენ, რომლებსაც ფიზიკურ სამყაროში იწვევს მე-განცდა, დამოუკიდებლად ამ ფიზიკური სამყაროს გარეგნული პროცესებისგან. და რამდენადაც სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობებში სწორედ ასეთი პროცესები ვლინდება, ამიტომ ისინი გულისხმობს მხოლოდ შინაგანი სასიცოცხლო ორგანოების არსებობას. ამრიგად, არსებობს სასიცოცხლო ორგანოები, რომლებიც „მე“-ს უერთდება ნივთიერების გარეგნული გავლენის გარეშე, როგორც მას, ფიზიკური სამყაროდან გამომდინარე, უერთდება

წარმოდგენა, ბგერა და ტონი. ხოლო სიტბოს, მხედველობისა და გემოს გრძნობების განცდისთვის უნდა არსებობდეს გარეგნული ნივთიერება, რომლისგანაც „მე“ თავის განცდას გამოყოფს. ამრიგად, არსებობს სასიცოცხლო პროცესები, რომლებიც მხოლოდ შინაგანად განიცდება; და სიტბოს, მხედველობისა და გემოს განცდები ჩართულია „მე“-ში, როგორც გარეგნული ნივთიერებისგან გამოყოფილი განცდები. ახლა დავუშვათ, რომ „მე“, როგორც ფიზიკურ სამყაროში მცხოვრები, ენათესავენა ასტრალურ სამყაროს ისე, როგორც თავად თავისი თავის წყალობით ენათესავენა ზენა სულიერ სამყაროს, ხოლო წარმოდგენის, ბგერისა და ტონის წყალობით ენათესავენა ქვედა სულიერ სამყაროს. ეს შესაძლებელია მხოლოდ მასში სასიცოცხლო პროცესების არსებობისას ისე, რომ ამის წყალობით შინაგანი აღძრულია შესაბამისი გარეგნული სასიცოცხლო პროცესით. თუმცა, ასეთ შემთხვევაში წარმოშობაში, ზრდაში, შენახვასა და გამოყოფაში საჭიროა, დავინახოთ ისეთი სასიცოცხლო პროცესები, რომლებიც შეიძლება, გარედანაც აღიძრას, ხოლო სუნთქვაში, სიტბოსა და კვებაში – ისეთი პროცესები, რომლებიც შეიძლება, შიგნიდანაც აღიძრას. ოღონდ ამავდროულად აუცილებელია, ვიგულისხმოთ, რომ შინაგან სუნთქვას, სიტბოსა და კვებას დაემატა პროცესები, რომლებიც გარე სამყაროდან აღძრავენ უშუალო პროცესებს „მე“-ს შიგნით, რომლებიც „მე“-ს პირდაპირ ტონით, ბგერით და წარმოდგენით უერთდება. ანუ: ასტრალური სამყაროდან „მე“-ჩანასახში უნდა მოვიდეს ზემოქმედებები, რომლებიც ერთ სასიცოცხლო პროცესებს სხვა სასიცოცხლო პროცესებისგან გამოყოფენ იმავე თვალსაზრისით, როგორც თავად „მე“ გამოყოფს თავისი თავიდან ტონს, ბგერას და წარმოდგენას, ასევე თვით მე-აღქმაც. როცა შინაგანი სუნთქვა, სიტბო და კვება აღიძვრება „მე“-ს მეშვეობით, რომელიც უშუალოდ გარე სამყაროდან იღებს იმას, რასაც ფიზიკურ სამყაროში მცხოვრები ეს „მე“ გამოყოფს გემოს, მხედველობისა და სიტბოს განცდებში, მაშინ ასეთ „მე“-ს შეეძლო აღნიშნული თვალსაზრისით მოქმედება. ამრიგად, ფიზიკური ადამიანი ასტრალური სამყაროდან უნდა შეხვედროდა რაღაც „მე“-ს, რომელიც თავისი არსის წყალობით არ წარმოადგენს გემოს, მხედველობისა და სიტბოს განცდების მიღმა მყოფს და მხო-

ლოდ იმას, ვინც იყენებს ორგანოებს მათი აღქმისთვის, არამედ თავად თავისი არსით არსებობს ამ განცდების შიგნით. გემოს, მხედველობისა და სიტბოს განცდები უნდა წარმოვიდგინოთ არა მკვდარ-მატერიალურად, არამედ გამშვინვიერებულად იმ „მე“-ს მიერ, რომელიც ზედა და ქვედა სულიერი სამყაროების მონათესავეა. მაშინ ასეთ „მე“-ს შეეძლებოდა, თავისი შინაგანი ცხოვრებისთვის მიეცა ადამიანის ფიზიკურ ჩანასახზე ზემოქმედების საშუალება, ხოლო გემოს, მხედველობისა და სიტბოს განცდებს შეეძლებოდათ ამ ფიზიკური ჩანასახის შიგნიდან განმსჭვალვა. მაშინ, თუ ამ გრძნობადი განცდების შინაარსი „მე“-სთვის განმსჭვალავდა ფიზიკურ ჩანასახს, მათ ორგანოთა ისეთ ჩანასახებში, რომელი ორგანოებიც სასიცოცხლო პროცესებს იწვევენ წონასწორობის, საკუთარი მოძრაობისა და სიცოცხლის გრძნობებისთვის, შეეძლებოდათ, გამოეწვიათ გარდაქმნა, რომელიც ორგანოთა ამ ჩანასახებს გადააქცევდა წარმოშობის, ზრდის, შენახვისა და გამოყოფის ორგანოებად. ამიტომ, თუ „მე“ გარკვეულ მომენტამდე გარეგნული დარჩებოდა ადამიანის ფიზიკურ ჩანასახთან მიმართებით, მაშინ ამ მომენტიდან დაწყებული ორგანოთა ჩანასახებს, რომლებიც ემზადებიან იქცნენ სუნთქვის, სიტბოსა და კვების ორგანოებად, შეიძლება მიეცეს იმპულსი ორგანოებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ გამოყოფის, შენახვის, ზრდისა და წარმოშობის ორგანოებს. თუ „მე“-ს, რომელიც ასტრალური სამყაროდან ფიზიკურში გემოს, მხედველობისა და სიტბოს განცდებს ასხივებს, ვივარაუდებთ არა თავის თავში დავანებულს, არამედ მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულებით მსწრაფს, მაშინ წარმოიქმნებოდნენ სასიცოცხლო ორგანოები, რომლებიც განვითარდნენ მარჯვნივ, როგორც სუნთქვის, სიტბოსა და კვების ორგანოები, ხოლო მარცხნივ, როგორც გამოყოფის, შენახვის, ზრდისა და წარმოშობის ორგანოები. რამდენადაც ახლა მითითებულის მსგავს ასეთ ორგანოებში სახეზეა სიცოცხლით სავსე „მე“, ამიტომ ის ამ ორგანოების პროცესებს პასიურად კი არ იღებს, არამედ საკუთარ პროცესებში ცხოვრობს; ეს პროცესები ამავედროულად მე-განცდებს წარმოადგენენ. კვების ორგანოებში ნივთიერების მარცხნიდან შეჭრის შესატყვისი იქნებოდა შენახვა მარჯვნიდან, სიტბოსი – მარცხნიდან, ზრდისა – მარჯვნიდან, სუნთქვისა –

მარცხნიდან, წარმოშობისა კი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში იქნებოდა ამოსუნთქვა, – მარჯვნიდან. გამოყოფა ნივთიერებას წონასწორობაში შეინარჩუნებდა ორივე მხრიდან. – როდესაც კვება, სითბო და სუნთქვა მოქმედებენ მარჯვნიდან, ადგილი ექნება საპირისპირო პროცესებს; აქ შენახვა, ზრდა და წარმოშობა მარცხნიდან მარჯვნივ მოტრიალდება. ახლა უკვე ცხადია, რომ ფიზიკურ სამყაროში გემოს, მხედველობისა და სითბოს თავისუფლად მოლივლივე განცდებს არსებობა არ შეუძლიათ, როგორც ცხადია აგრეთვე ისიც, რომ არსებობს ნივთიერება, რომელსაც შეუძლია, ემსახუროს არა მარტო სუნთქვას, სითბოსა და კვებას, არამედ, რომელიც შეიძლება, განიცადოს მარტოდენ „მე“-მ მხოლოდ შეხების წყალობით – კერძოდ წმინდა მშვინვიერ განცდებში. ეს ხდება, როცა თავად ნივთიერება სურათ-ხატის შეგრძნების სახით წარმოიქმნება და სურათ-ხატის შეგრძნებასთან კი დაკავშირებულია სურვილი და მოძრაობის იმპულსი. ამრიგად, ნივთიერება შეიძლება გამოვლინდეს ყნოსვის გრძნობისთვის. თუ ნივთიერება, რომელიც გარედან ურტყამს ფიზიკური ადამიანის ჩანასახს, შინაგანში კი უპირისპირდება სურვილსა და მოძრაობის იმპულსს, მაშინ სურათ-ხატის შეგრძნება შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ მის დარტყმას ფიზიკური ადამიანის ჩანასახში; გარდა ამისა, თუ სურათ-ხატის შეგრძნება სურვილის მეშვეობით იწვევს მოძრაობის შინაგან იმპულსებს, მაშინ სუნთქვის ორგანო, რომლის ფორმირებაც ოდნავაა დაწყებული, შეიძლება შეაკავონ, როგორც თავის ფორმირებაში, ასევე გაიყვანონ თავისი საკუთარი მაფორმირებელი ძალების ფარგლებს მიღმა. თუ მოძრაობის იმპულსი ძლიერად მოქმედებს სურვილზე, მაშინ ეს წარმართავს სუნთქვის შინაგანი ორგანოსკენ; სურვილი ძლიერად მოქმედებს; . . . [გამოტოვებულია ორი სტროფის ამოშლის გამო] . . . თუ სურვილისა და მოძრაობის იმპულსები ერთნაირად მოქმედებენ, მაშინ თავის თავდაპირველ ჩანასახს ქვევიდან ზევით უპირისპირდება სურათ-ხატის შეგრძნება, რომელიც ამას განიცდის საკუთარ მიჯნებზე ნივთიერების დარტყმის მეშვეობით. მაგრამ ახლა ასტრალური სამყაროდან წარმოშობილი „მე“ უკვე აღარ მოქმედებს ქვევიდან ზევით, ვინაიდან, მისთვის მნიშვნელოვანია, ადამიანზე იმოქმედოს მხოლოდ ჰორიზონტალური სიბრტყის

მიმართულებით. მაშინ ზევით ზემოქმედებისთვის მართებდათ მხოლოდ აქტიური ძალის გათვალისწინება, რომელიც დასაწყისში ზევიდან ქვევით მოქმედებდა ზენა სულიერი სამყაროდან, და ადრე ფორმირებული გრძნობების იმ ჩანასახებსა და სასიცოცხლო ორგანოებს, რომლებიც არ იყო დაპყრობილი მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობის დროს, ვინაიდან ასტრალური „მე“-ს ზემოქმედებამდე მოპოვებული თავიანთი მდგომარეობის წყალობით, მათ არ შეეძლოთ, განეცადათ იმ მიმართულებით არანაირი გავლენა ამ „მე“-სი, რომელიც მათ საკუთარ დამთავრებამდე მიიყვანდა. ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ უკნიდან-წინ მოძრაობის დროს დაუსრულებელი ტონის, ბგერისა და წარმოდგენის ორგანოთა ფორმირებით შეპყრობილთან, ვინაიდან, ზევიდან ქვევით მოქმედმა ძალამ შეაკავა დამთავრება, რომლის მიღწევაც საჭირო იყო უკნიდან-წინ მოქმედი ძალის წყალობით. დაუშვათ, რომ აქ მითითებულ მოძრაობაში ახლა ქმედითი იქნებოდა მხოლოდ წონასწორობის, საკუთარი მოძრაობისა და სიცოცხლის გრძნობების შინაარსები, მაშინ ურთიერთქმედება შეიძლებოდა, მომხდარიყო მხოლოდ ზევით მოქმედი ფიზიკური ადამიანის ჩანასახსა და თავად „მე“-ს შორის, რომელიც ზევიდან ქვევით მოქმედი ზენა სულიერი სამყაროს მონათესავეა, შემდეგ კი – გრძნობების იმ ჩანასახსა და „მე“-ს შორის, რომელიც ქვედა სულიერი სამყაროს მონათესავეა და წინიდან უკან მოქმედებს. უკანასკნელ „მე“-ს თავის მხრივ შეეძლო, შესულიყო ურთიერთქმედებაში იმასთან, რაც შეიძლება იყოს „მე“-ს თვითგანცდა წონასწორობის, საკუთარი მოძრაობისა და სიცოცხლის გრძნობებში. რამდენადაც შინაგანი ორგანოები ახლა უკვე არსებობენ ადამიანის ფიზიკურ ჩანასახში, ამიტომ

ვარიანტი, რომელიც მოხდევს სიტყვებს „... ამას განიცდის საკუთარ მიჯნებზე. . .“, გვ. 125, 32 სტრ. გრძელდება სხვა რედაქციით:

უპირისპირდება ქვევიდან ზევით თავის თავდაპირველ მიმართულებას. მაშინ შემდგომი პროცესებისთვის ითვალისწინებენ „მე“-ს ძალებს, რომელიც ზენა და ქვედა სულიერი სამ-

ყაროებისა და ასტრალური სამყაროს მონათესავეა. გარდა ამისა, სმენის, ბგერისა და წარმოდგენის გრძნობების ის პროცესები, რომლებიც მოცულია ფორმირებით და ვერ მიაღწიეს თავის დასრულებას, აქამდე უპირისპირდებოდნენ ჰორიზონტალურ სიბრტყეში მოქმედი ასტრალური „მე“-ს ზემოქმედებას. ამრიგად, ახლა ეს უკანასკნელი მხოლოდ ამ ზემოქმედებას ექვემდებარება. ახლა მათი შემდგომი განვითარება შინაგანი სასიცოცხლო პროცესების წყალობით, რომლებიც ექვემდებარება სურათ-ხატის შეგრძნებას, სურვილისა და ასტრალური „მე“-ს მოძრაობის იმპულსის ზემოქმედებას, შეიძლებოდა, წარმოქმნილიყო ორგვარი რამ: ან განვითარების დასასრული მოძრაობის დამთავრებისას მიაღწევდა საკუთარი შესაძლებლობის ზღვარს, ანდა ის შეკავებული იქნებოდა თავისი შესაძლებლობის ზღვრის წინაშე. პირველი წარმოქმნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამოიწურებოდა ასტრალური სამყაროს მონათესავე „მე“-ს ზემოქმედება ადამიანის ფიზიკურ ჩანასახზე იმ მომენტში, როცა წყდება წინიდან უკან მოძრაობა. მეორე დადგებოდა, თუ იმ „მე“-ს ზემოქმედება კიდევ გააგრძელებდა მოქმედებას მოძრაობის შეწყვეტის შემდეგაც. პირველი შემთხვევა დგება სმენის ორგანოსთვის, რომელთანაც ამ „მე“-ს სურათ-ხატის შეგრძნებას ფორმირება დამთავრებამდე მიჰყავს. მეორე შემთხვევა ხორციელდება ბგერისა და წარმოდგენის გრძნობებთან, რომლებიც ადამიანის ფიზიკური ჩანასახის ზედაპირამდე კი არ მიჰყავთ, არამედ ფერხდება შინაგანში. ამიტომ მოძრაობის დამთავრების შემდეგაც მათ ჯერ კიდევ აქვთ განვითარების უნარი. ურთიერთქმედება ზენა სულიერი სამყაროს მონათესავე „მე“-ს ზევიდან ქვევით თავდაპირველ მიმართულებასა და ქვევიდან ზევით მსწრაფი ფიზიკური ადამიანის ჩანასახს შორის ვლინდება უკვე გამართულ გეშტალტში. მასში ვლინდება, რომ თავად „მე“-ს აქვს ერთნაირი მიმართულება ადამიანის ფიზიკურ ჩანასახთან, ამიტომ ქმდითია არა მარტო „უკნიდან-წინ“, „წინიდან-უკან“, „მარჯვნიდან-მარცხნივ“ და „მარცხნიდან-მარჯვნივ“ ძალები, არამედ ადამიანის ფიზიკური ჩანასახი თავის თავს წარმართავს ზევით „მე“-ს გრძნობაში. აქ მონიშნული პროცესები შეესაბამება ადამიანური გეშტალტის სურათ-ხატს ზუსტად ისე, როგორც ადამიანური სიცოცხლის მიმდინარეობა.

ფრაგმენტი. – ვარიანტი №16-ისთვის, რომელიც უერთდება სიტყვებს „... . . და წონასწორობის გრძნობა“. გვ. 120, 10 სტრ. – ეკუთვნის თავებს VIII-X.

ეს ძალები შეიძლება წარმოვიდგინოთ ისე, რომ მარტოობაში მოქმედებით ისინი ადამიანს წარმოშობდნენ მხოლოდ ისეთს, რომ მას შეეძლებოდა არა მარტო „მე“-ს ტარება, არამედ მასშივე ასევე ჩანასახების განვითარება გემოს, მხედველობის, სითბური შთაბეჭდილების, ტონის, ბგერისა და წარმოდგენის ორგანოებისთვის. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს ძალები მიტაცებულია სხვების მიერ, რომლებიც უშუალოდ ასტრალური სამყაროდან არიან წარმოშობილნი და ისინი მთელ ადამიანურ ჩანასახს ისე შემოაბრუნებენ, რომ ახალი მიმართულება ახლახან მოცემულთან მიმართებით საჭიროა გამოვსახოთ მარჯვნიდან-მარცხნივ (ეს ნიშნავს, რომ ახალი მიმართულება უკვე ისეა შემობრუნებული, რომ ორ სხვასთან ქმნის სწორ კუთხეს). ასტრალური სამყაროს ამ ძალებს შეუძლიათ შენარჩუნდნენ ადრინდელების შემობრუნებისას, კერძოდ ისე, რომ ყნოსვის გრძნობისთვის ორგანოს ჩანასახზე იმოქმედებს ის, რაც თავად ყნოსვის გრძნობაში განიცდება; გემოს გრძნობის ორგანოს ჩანასახზე მოქმედებს მხედველობის განცდა; მხედველობის გრძნობის ჩანასახზე – სითბო; ტონის ორგანოს ჩანასახზე მოქმედებს წონასწორობის გრძნობის გადაბრუნებული შინაარსი; ბგერის ორგანოს ჩანასახზე – საკუთარი მოძრაობის გრძნობის გადაბრუნებული შინაარსი; წარმოდგენის ორგანოს ჩანასახზე – სიცოცხლის გრძნობის გადაბრუნებული შინაარსი.

ორი გვერდი. – ეკუთვნის VIII-X თავებს.

პასუხობდა მხოლოდ ნივთიერების ერთი შეკავებით ადამიანის ფიზიკური ჩანასახის მიჯნაზე; მაგრამ თუ სურვილი მოძრაობის იმპულსზე ძლიერი ხდება, მაშინ ამ ჩანასახის ზედაპირი მიიზიდება შინაგანში და წარმოიქმნება რაღაც ჩაღ-



რმავეება. მაშინ სურვილი ნივთიერებას აღმოაჩენს საზღვრების შიგნით, რომლებიც ადრე ფიზიკური ჩანასახებით განისაზღვრებოდა. ახლა თუ ჩანასახი გადის ახალი საზღვრის ფარგლებს მიღმა, მაშინ ადგილი აქვს რაღაც სურვილს, რომელიც განეკუთვნება ჩაღრმავებაში არსებული ნივთიერების ზემოქმედებას; ასეთ შემთხვევაში ნივთიერებას არ სჭირდება ადამიანის ფიზიკურ ჩანასახში შეღწევა; ის შეიძლება აღიქვას ყნოსვის გარდაქმნილი განცდის სახით, ანუ ყნოსვის შინაგანი განცდის სახით. ეს კი არის გემოს განცდა. ახლა დაეუშვათ, რომ ყნოსვის განცდაში ერთდროულად მოცემული იყო თავად ნივთიერების თვისება, რომელიც ამ ნივთიერებას შეუძლია გამოასხივოს ასტრალურ სამყაროში და ყნოსვის განცდა ფიზიკური იქნება მხოლოდ იმ დოზით, როგორც ის არის შეგრძნების განცდა და ასე იქნება ყნოსვის ეს განცდა ნივთიერების თვითშეგრძნება. ხოლო ფიზიკურ სამყაროში მცხოვრებ „მე“-ს შეუძლია თავად ნივთიერების აღქმა, თუ ეს „მე“ ფიზიკურ სამყაროს ისე ეკუთვნის, როგორც ფიზიკურ სამყაროში ეკუთვნის თავად „მე“ საკუთარ თავს, წარმოდგენას, ბგერას და ტონს. ოღონდ მასში ასტრალური სამყაროდან წარმოშობილ „მე“-ს შეუძლია ადამიანის ფიზიკური ჩანასახის საზღვარზე მოქმედება სურათ-ხატის შეგრძნების, სურვილისა და მოძრაობის იმპულსის ურთიერთქმედების მეშვეობით, ამასთან სურვილის მეშვეობით ის შეიძლება, გემოს ორგანოს ჩანასახის გადატანას მისი წარმოქმნილი ძალების ფარგლებს მიღმა და წარმოქმნილი ჩაღრმავების ისე შორს გატანას, რომ ის იარსებებდა, როგორც ადამიანის ფიზიკური სხეულის თავდაპირველი ჩანასახის რაღაც ჩართვა საზღვრების შიგნით. ამის წყალობით, ამგვარად გარდაქმნილი ორგანოსთვის გემოს სახეცვლილი განცდის თვისება ყოველთვის ავლენს თავს იმ შემთხვევაში, როცა ნივთიერება თავისი ზედაპირიდან ფიზიკური სამყაროს გავლით ასხივებს რაღაც თვისებას, რომელიც არ შეიგრძნობა სურვილის მეშვეობით, როგორც სუნი და არ შეიძლება, განიცდებოდეს უშუალოდ ჩაღრმავების მიდამოში, როგორც გემო, მოცული გემოს ორგანოთი, არამედ რომელსაც საჭიროა, შეეგებონ შინაგანი განცდით. თუ იმ ადგილას, რომლის მიმართულებითაც „მე“ ასხივებს საკუთარ ორგანიზმში, როგორც ასტრალური თვით-

განცდა და დახასიათებულ განცდაში არსებობს წინააღმდეგობა, მაშინ ამ ადგილზე „მე“-ს წინსვლა მისი განცდით, შეიძლება, მხოლოდ საკუთარი სხეულის საზღვართან შეჩერდეს; გარეგანში მას შეუძლია თავისი თავის განცდა, თუ ეს გარეგნული თავისი ზედაპირიდან ასხივებს რაღაც თვისებას, რომელიც ფიზიკური სხეულის შინაგანი თვისებებით კი არის განპირობებული, მაგრამ თავად ფიზიკურს არ წარმოადგენს, არამედ შეიძლება, განცდილი იყოს მხოლოდ ისე, რომ განცდა წარმოადგენს რაღაც „მე“-ს თვითგანცდას. მაგრამ ამით მოცემულია ნივთიერებისგან მოწყვეტილი მხედველობის განცდის არსი. თუ ფორმირებით მოცული მხედველობის ორგანო სურვილისა და მოძრაობის იმპულსის ურთიერთქმედების მეშვეობით გარდაიქმნება ისე, რომ მოიცავს ადამიანის მთელ ფიზიკურ ჩანასახს, მაშინ ასტრალური სამყაროდან წარმოშობილი „მე“ ასეთი ორგანოს მეშვეობით ფიზიკურ სამყაროში ყველგან პოულობს შესაძლებლობას, ნივთიერებაში შეაღწიოს არა ფიზიკურად, არამედ ასტრალურ თვითგანცდაში მიიღოს თვითგანცდა, რომელიც ნივთიერებიდან გამოსხივებული მსგავსია. თუ ფორმირებით მოცული სიტბოს ორგანო წარმოიქმნება რაღაც სურვილის იმპულსის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს უფრო ძლიერად, ვიდრე შესაბამისი იმპულსი ადრე შეკავებული მოძრაობისა, რითაც მიღწეულია იმ განვითარების ზღვარი, რომელიც შეიძლება, ემსახუროს შინაგან სიტბოს, მაშინ ეს ორგანო ხვდება გარეთ გასხნილ გზაზე; ამის წყალობით წარმოიქმნება ორგანო, რომელიც შინაგან სიტბოს იწვევს გარეგნული ნივთიერების მიღების მეშვეობით; და თუ ორგანო, შინაგანი კვებისთვის, შეკავებულია ასეთივე სახით, მაშინ წარმოიქმნება ორგანო გარეგნული კვებისთვის. მაგრამ თუ კვების ორგანო მოცულია მოძრაობის იმპულსით, რომელიც სურვილის იმპულსზე ძლიერია, მაშინ ის გარდაიქმნება მოძრაობის შინაგან ორგანოდ. – თუ ფიზიკური ადამიანის ჩანასახი, მას შემდეგ, რაც განიცადა გარდაქმნა, რომელმაც მასში ჩამოაყალიბა ორგანოები ტონის, ბგერისა და წარმოდგენის უშუალო დამოკიდებულებისთვის, მაშინ მითითებული სახით ზემოაღწერილი ასტრალური „მე“-ს დახმარებით იგი მოძრაობაშია მოყვანილი მარჯვნიდან მარცხნივ, ასე რომ, ადამიანის ფიზიკური ჩანასახის ამ „მე“-მ სურათ-ხატის შეგ-

რძნების მეშვეობით სურვილისა და მოძრაობის იმპულსის სრული წონასწორობისას სუნის საშუალებით ჩართო ნივთიერების თვითშეგრძნება; შემდეგ სურვილისა და მოძრაობის იმპულსის სათანადო ურთიერთქმედების მეშვეობით შემდგომი წინსვლისას თუ მან ჩართო ისეთი ორგანო, რომელმაც ფორმირების შეკავებისა თუ მიჯნის გაგრძელების მეშვეობით ფორმირებით მოცული ზემოხსენებული სახის ორგანოებიდან აღბეჭდა გრძნობადი ორგანოები – სითბოს, მხედველობის, გემოს, ყნოსვის გრძნობების, ასევე სუნთქვის, სითბოს, კვების, შენახვის, ზრდისა და წარმოშობის სასიცოცხლო ორგანოები. [ხელნაწერში გადახაზულია: მაშინ სასიცოცხლო ორგანოებს შორის დარჩა]. ჯერ კიდევ სეკრეციის სასიცოცხლო ორგანოები, გრძნობის ორგანოებს შორის წონასწორობის გრძნობის, საკუთარი მოძრაობის გრძნობისა და სიცოცხლის გრძნობის ორგანოები. ახლა დავუშვათ, რომ ადამიანის ფიზიკური ჩანასახი, მის მიერ ყველა ამ ზეგავლენის აღქმის შემდეგ, იმყოფება იმ სტადიაზე, როცა გრძნობათა ხსენებული ჩანასახები ფორმირებულია, ხოლო სასიცოცხლო ორგანოები ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. დავუშვათ, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩანასახი მოძრაობს წინიდან უკან ისე, რომ მასზე მოქმედება შეუძლია ასტრალური სამყაროდან წარმოშობილ „მე“-ს – სურათ-ხატის საკუთარი შეგრძნებებით, სურვილებითა და მოძრაობის იმპულსებით. მაშინ ამ „მე“-ს შეუძლია, დაამთავროს შესაბამისი სასიცოცხლო ორგანოები იმის წყალობით, რომ ის მათ ორ ჯგუფად ყოფს. ისეთებად, რომლებიც მოქმედებენ გარეთ, როგორც სუნთქვის, სითბოსა და კვების ორგანოები, და ისეთებად, რომლებიც მოქმედებენ შიგნით იმის წყალობით, რომ შიგნით ჩადებული ფორმირებით მოცული კვების ორგანოები სეკრეციის ორგანოებადაც იქცევა; მაგრამ შემდეგ ფიზიკური ჩანასახი მოძრაობს . . .

19.

ფრაგმენტი. – განეკუთვნება X თავს, იხ. გვ. 71 და მომდ.

სასიცოცხლო ორგანოების ფორმირება გადმოტანილია სულიერი სამყაროდან, გამომდინარე ამ სამყაროდან. თუმცა

ახლა სასიცოცხლო ორგანოები მთლიანი ადამიანური სხეულის თვალსაზრისით უნდა ჩამოყალიბდეს. მათ უნდა მისდიონ მიმართულებებს, რომლებიც ამ სხეულზე აღბეჭდავენ გადაბრუნებულ შეხების გრძნობას, სიცოცხლის გრძნობას და ა. შ. ეთერული სხეული, რამდენადაც ის წარმოადგენს ფორმაქმნადი ძალების მატარებელს სასიცოცხლო ორგანოებისთვის, ამის წყალობით ურთიერთობაში შედის გარეგნულ ფიზიკურ სამყაროსთან, ვინაიდან ორგანოები ნივთიერების მატარებლებს წარმოადგენენ. რამდენადაც ადამიანი ორგანიზებულია თავისი მე-განცდით, ამის გამოვლენა მის სხეულში საჭიროა, დაეინახოთ გამართულ სიარულში; ვინაიდან ის არის ფიზიკური სხეული – ქვედა ძალების საპირისპიროდ; ამრიგად, შეიძლება, მივუთითოთ დაპირისპირებულობაზე ზევიდან და ქვევიდან, ქვევიდან და ზევიდან, როგორც ორ ერთმანეთში არეულ დინებაზე; ისეთზე, რომელიც ადამიანს სხეულებრივად აჯაჭვავს მიწას, და ისეთზე, რომელიც მას ავითარებს მის შესაგებებლად.

## 20.

ფრაგმენტი. – განეკუთვნება X თავს. ის. გვ. 72.

ამ შინაარსებიდან ბოლო სამს არ შეეძლო მოქმედება „მე“-ზე, ვინაიდან ისინი გულისხმობენ გრძნობის ორგანოებს; მაგრამ წონასწორობის გრძნობის შინაარსი არის წარმმართველი ძალა; და რამდენადაც ეს შინაარსი მოქმედებს ზემოთ მითითებული მიმართულებით (უკნიდან-წინ), მას შეუძლია, უკვე მონიშნული ძალა გადახაროს საკუთარი თავდაპირველი მიმართულებიდან. ამის წყალობით „მე“-ს მატარებელი არის არსება, რომელიც ერთი განსაზღვრული მიმართულებით ისწრაფვის. და თუ თავად „მე“ წარმოშობილია ზენა სულიერი სამყაროდან და ზენა სულიერი სამყაროს ძალას შეუძლია, გააგრძელოს მოქმედება ფიზიკურ სამყაროში, რათა აიძულოს ნივთიერება, თავად აისახოს თავის თავში, მაშინ ამით მოცემულია შეხების განცდა. ახლა თუ წარმოვიდგენთ „მე“-ს მთლიანად ისეთ რამედ, რასაც ის წარმოადგენს, ოღონდ არა თავის თავში დავანებულს, არამედ ქვევიდან ზევით მსწრავს,

ანუ თუ გავიაზრებთ ასე რეალურად არსებულ სულს, როგორადაც ის ვლინდება ფიზიკური სამყაროს „მე“-ში – მხოლოდ, ერთი მისწრაფებით ქვევიდან ზევით (უმჯობესია ითქვას: ერთი წერტილიდან სივრცის *ყველა* მიმართულებით მსწრაფს), მაშინ ამ მისწრაფებით მას შეეძლებოდა შეხვედრა რაღაც სხვასთან, რაც წარმოშობილია ქვედა სულიერი სამყაროდან, მაგრამ სულის გარდა უკვე არაფერში არსებობს, მსგავსად თავად „მე“-სი, როგორც ის არსებობს ფიზიკურ სამყაროში; ოღონდ ეს სული საჭიროა, ისწრაფოდეს წინიდან უკან, ნაცვლად ქვევიდან ზევით სწრაფვისა. მხოლოდ ასე მართებს სულს შეხვედრა სულთან; სწორედ შეხვედრით უნდა ვლინდებოდეს ჭეშმარიტი, რომელიც მდგომარეობს მხოლოდ ერთი სულის მეორესთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში. მაშინ შეხვედრის ადგილზე წარმოქმნილი მთლიანად შეესაბამება შეხების განცდას. და თუ შეხების ეს განცდა . . .

## 21.

ფრაგმენტი. – განეკუთვნება X თავს, იხ. გვ. 73 და მომდ.

სულიერ სამყაროში არსებობს წინააღმდეგობა თავის თავში ჩაფლობილ და თავის თავში არ ჩაფლობილ ნივთიერებას შორის. ეს წინააღმდეგობა ფიზიკური სამყაროდან გავლენას ახდენს ადამიანის სხეულზე ჯერ კიდევ კვების პროცესში. კვების პროცესი ადამიანის ფიზიკურ სხეულში მიუთითებს მიმართულებაზე წინიდან უკან. გრძნობის ორგანოები მათი კუთვნილი ნერვული გზებით მიუთითებენ, არსებითად, უკნიდან წინ. აქედან გამომდინარე, წინიდან უკან მიმართულებაში შეიძლება, დავინახოთ ის მიმართულება, რომელზეც ფიზიკური სამყაროდან ხდება ზემოქმედება ფიზიკურ ადამიანზე ისე, როგორც ქვედა სულიერ სამყაროში – თავის თავში ნივთიერების ჩაფლობა; უკნიდან წინ მიმართულებაში – ის მიმართულება, რომელზეც გადამუშავებას აგრძელებს თავის თავში ჩაფლობილი ნივთიერება. ამრიგად, წინიდან უკან მიმართულებაში აუცილებელია, ვეძიოთ იმ ფორმაქმნად ძალთა ზემოქმედება, რომლებიც სასიცოცხლო ორგანოებს ავსებენ გრძნობის ორგანოებით; ამის სა-

წინააღმდეგოდ უკნიდან-წინ ზემოქმედების მიმართულება აფორმირებს ძალებს, რომლებიც ქვედა სულიერი სამყაროდან არიან წარმოშობილნი. ქვედა სულიერ სამყაროს უკვე აღარ შეუძლია მოქმედება წინ ადამიანის სხეულის შიგნით ფიზიკურ სამყაროდან; წინიდან უკან . . .

22.

ფრაგმენტი. – ჩანაწერი ფურცელზე, არქივის ნომერი № NZ 42

. . . რომელიც სასიცოცხლო ორგანოებისა და გრძნობის ორგანოების გარდაქმნისას ხარჯავს საკუთარი „მე“-ს ძალებს, რომლებიც ასტრალური სამყაროს მონათესავეა, შეიძლება სასიცოცხლო ორგანოების მოძრაობაში ზევით . . .

23.

ფრაგმენტი. – ჩანაწერი ფურცელზე, არქივის ნომერი № NZ 43.

აქედან ჩანს, რომ გრძნობის ორგანოები იგულისხმება სასიცოცხლო ორგანოების გარდაქმნის პროდუქტის სახით . . .

24.

ფრაგმენტი. – სავარაუდოდ ეკუთვნის X თავს.

ბგერისა და წარმოდგენის გრძნობაში შეიძლება, გამოვიცნოთ ნიშანი იმისა, რომ უშუალოდ ქვედა სულიერი სამყაროდან მომდინარე სასიცოცხლო პროცესები კვლავინდებურად გრძელდება დაბადების შემდეგაც. გამართულ გემტალტში ვლინდება „მე“-ს დასაბამისეული ნათესაობა ზენა სულიერ სამყაროსთან. მეტყველების ორგანოს ფორმირებაში ძვეს დასაბუთება იმისა, რომ ადამიანის ფიზიკური ჩანასახის უკანასკნელი მოძრაობისას ზევით სახეზეა სასიცოცხლო ორგანოები, რომლებიც თავის ფორმირებაში დაბადებამდე უკვე იმყო-

ფებოდნენ უშუალოდ ზენა სულიერი სამყაროდან მოქმედი ძალების გავლენის ქვეშ. ეს ფაქტი აჩვენებს, რომ . . .

### 3. ცალკე ფურცელი „ანთროპოსოფიისთვის“

ცალკე ფურცელი, რომელიც სიტყვებით „ანთროპოსოფიისთვის“ გარკვეულად მიერთებულია თხზულებასთან „ანთროპოსოფია“.

#### *ანთროპოსოფიისთვის*

სხვა ადამიანის აღქმა არის სურათ-ხატის შეგრძნება; რეალობის სახით მას უპირისპირდება განხორციელება იმისა, რასაც იძლევა შეხების გრძნობა, ასე რომ, ამ შინაგანში მოცემულია სინამდვილე, რომელიც შეხების გრძნობის საფუძველში ძევს.

გარე სამყაროდან წარმოდგენის აღქმაში მოცემულია ის, რაც ფიზიკურ სხეულებრიობაში რეალობის სახით საჭიროა, ჩაითვალოს გრძნობების ერთიანი წარმონაქმნის ორგანოდ. გრძნობის ამ ორგანოში *ცხოვრობს* წარმოდგენა. ასე ეძლევა სასიცოცხლო ორგანოს *გარედან* წარმოდგენის ორგანოს ფორმა. სასიცოცხლო ორგანოს უკან არსებობს მაფორმირებელი წარმოდგენა: სიცოცხლის გრძნობა.

გარე სამყაროდან ბგერის აღქმაში მოცემულია ის, რაც ფიზიკურ სხეულებრიობაში საჭიროა, რეალობის სახით ჩაითვალოს ბგერათწარმოქმნის გრძნობის ორგანოდ. გრძნობების ამ ორგანოში *ცხოვრობს* ბგერა. სასიცოცხლო ორგანოს უკან არსებობს მაფორმირებელი ბგერა: მოძრაობის გრძნობა. გარე სამყაროდან ტონის აღქმაში მოცემულია ის, რაც ფიზიკური სხეულებრიობის რეალობაში საჭიროა, ჩაითვალოს ტონის წარმომქმნელ გრძნობის ორგანოდ. გრძნობის ამ ორგანოში ტონი მიდის აღქმასთან. ამ ორგანოში, სანამ ის იქცევა სმენის ორგანოდ, ქმედითია წონასწორობის გრძნობა.

A. *სასიცოცხლო ორგანოები*, რომლებიც ფიზიკურ სამყაროში ავლენენ მშვიინვიერ მდგომარეობებს: ერთი მხრივ.

B. *სასიცოცხლო ორგანოები*, გარდაქმნილი გრძნობების ორგანოებში: მეორე მხრივ.

A. 1: მთელი ორგანიზმი: „მე“-ცნობიერება. – : თავის ფორმა

2: სისხლის ცირკულაცია: მისწრაფებები. სურვილები: ფანტაზია

3: კუნთოვანი ორგანიზმი: მოძრაობის იმპულსები: მეტყველება

„მე“, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრობს თავის მშენიერი მდგომარეობებში, შემდეგ სასიცოცხლო პროცესებში, ხოლო სასიცოცხლო პროცესებზე აღიბეჭდება გარე სამყაროს აღქმები.

### გამოყოფა

სმენის ჩანასახი

სითბოს შეგრძნების ჩანასახი      შენახვა

მხედველობის ჩანასახი      ზრდა      გათბობა      მხედველობის ჩანასახი


გემოს ჩანასახი      კვება      გემოს ჩანასახი

ყნოსვის(სუნის) ჩანასახი

წონასწორობა

გამოყოფა





Im Nihilorganfein = Degriff im Mittelohr  
 Im Reizorgan = Geruch

*4. ჩანაწერი ფურცელზე ათი გრძნობისთვის  
შეხების გრძნობასა და მე-განცდას შორის.*

ჩანაწერი ფურცელზე საარქივო ჩანაწერი № NZ 63.

ფიზიკური სამყარო

1. შეხების გრძნობა
2. სიცოცხლის გრძნობა
3. საკუთარი მოძრაობის გრძნობა
4. წონასწორობის გრძნობა
5. ყნოსვის გრძნობა
6. გემოს გრძნობა
7. მხედველობის გრძნობა
8. სითბოს გრძნობა
9. სმენის გრძნობა
10. სმენის გრძნობა – ფიზიკურად წინ განლაგებული
11. წარმოდგენის გრძნობა – ეთერულად წინ განლაგებული
12. ასტრალური მე-განცდა გახსნილია უშუალოდ

გრძნობის ორგანოები

სურათ-ხატის შეგრძნებაში = უშუალოდ ცნების გრძნობა

სურვილში = მეტყველების გრძნობა

შეხების გრძნობაში,

როგორც ფიზიკური სამყარო

სიცოცხლის გრძნობაში  
საკუთარი მოძრაობაში  
წონასწორობაში

ეთერული სამყარო  
ფიზიკური

ენოსვაში  
გემოში  
მხედველობაში

ეთერულ-ასტრალური  
ასტრალური სამყარო

სითბოში

ასტრალური

მოძრაობაში: სმენა  
სურვილში: მეტყველების გრძნობა  
სურათ-ხატში: ცნება

ასტრალურ/ეთერული

„მე“

ზეგრძნობადი სამყარო

შეხების ორგანოში მისკენ წამოწეულია  
მე-განცდა.

*5. მოხმენაზე და ლაპარაკზე,  
დაუმთავრებელი კვლევა, დაახ. 1910 წ.*

15 ხელნაწერი გვერდი, ჩანაწერების წიგნაკში არქივის ნომერი № NB 210. – ხელნაწერი დასახელების გარეშე ჩანაწერების ერთი წიგნაკიდან, რომელიც გრძნობის ორგანოებსა და სასიცოცხლო პროცესებზე ჩანაწერების გარდა შეიცავს ტექსტებს, რომლებიც თხზულებაში „ანთროპოსოფია“ ლიტერატურულ დონემდე უნდა მისულიყო. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის წარმოიქმნა „ანთროპოსოფიაზე“ მუშაობასთან კავშირში და მასთან ერთდროულად. ხელნაწერი არ შეიძლება უშუალოდ შეუერთდეს „ანთროპოსოფიის“ ტექსტს, მაგრამ ის წარმოადგენს დამოუკიდებელ დაუსრულებელ კვლევას. ჩანაწერების წიგნაკის სხვა შენიშვნები გამოქვეყნებულია წიგნში „სტატიები რუდოლფ შტაინერის შრომების სრული კატალოგისთვის“, N34, 1971. ტექსტის ფორმა მისდევს ხელნაწერს, მხოლოდ სახელების დასახელება მოცემულია კურსივით. დასახელება მოცემულია პასუხისმგებელი რედაქტორის მიერ/

*(ივულისხმება გერმანული გამოცემის რედაქტორი – მთარგ. შენიშვნა).*

მე-განცდით შეიძლება, გამოვიცნოთ, რომ ადამიანის არსება, თავისი თავიდან გამომდინარე, აყალიბებს ორგანიზმს, რომელსაც ახლა შეუძლია თავის თავში შეიქმნას რაღაც უცხო „მე“-ს მსგავსი სურათ-ხატი. ამგვარად ფორმირებული ორგანიზმი შეიძლება, განვიხილოთ, როგორც აღქმის ორგანოს ტიპი. აქ ამ ორგანიზმის შინაგანი თვისება, მისი კანონზომიერი ყოფიერება არ ექვემდებარება გრძნობადი სამყაროს შიგნით უშუალო ჭვრეტას. ის იკარგება ამ ჭვრეტისთვის მშვინვიერი და ორგანული სიცოცხლის სიღრმეებსა და ქსოვაში. ადამიანი ამ ორგანიზმს აცნობიერებს მხოლოდ მაშინ, როცა მას გრძნობადი სამყაროს აღქმისთვის იყენებს.

უშუალო გრძნობადი ცხოვრების დასაწყისში ადამიანი არც კი მიაპყრობს თავის ყურადღებას საკუთარ მოღვაწეობაზე, რომელიც მის მიერ მე-განცდაში აღქმის შინაარსის გარდაქმნისას ხორციელდება. იმისათვის, რომ გავივოთ რაიმე ამ მოღვაწეობაზე, მან აღქმის შინაარსიდან „მე“ უნდა მოაბრუნოს და წარმართოს საკუთარი მოღვაწეობისკენ. ამასთან, მის მიერ განხორციელებულ მშვინვიერ პროცესებს

იგი საკუთარ თავში აღმოაჩენს ძალიან ღრმად, როცა აღქმა სახეზეა „მე“-ში, როგორც განცდა.

ეს მშვინვიერი პროცესები ჭეშმარიტი აზრით უკვე აღარ განეკუთვნება ცნობიერების იმ განცდებს, რომლებიც ადამიანს ჩვეულებრივ ცხოვრებაში აქვს. მაშასადამე, სამშვინველის მკვლევარი იძულებულია, განასხვავოს განცდები: განხორციელებული გარე სამყაროსთან მიმართებით და დაფუძნებული საკუთარი მშვინვიერი განცდების აღქმაზე. რომელიმე გარეგნული ნივთისა თუ ფაქტის წინაშე დგომისას მათი დაკვირვება შეიძლება შემეცნების იმავე ინსტრუმენტებით, რომელთა დახმარებითაც ისინი დასაწყისში აღიქვეს. მაგრამ როცა გასურს რომელიმე მშვინვიერი ფაქტის შემეცნება მასზე საკუთარი დაკვირვებით, ის გისხდტება. აქ განხილული მოვლენების მდგომარეობა კარგად არის წარმოდგენილი *ფრანც ბრენტანოს* მიერ (მის ფსიქოლოგიაში, გვ. 35). აქ გაბედულად ვღერს, რომ შეუძლებელია, შინაგანად *დავაკვირდეთ* მშვინვიერი პროცესების შინაგან აღქმას. „როგორც ამბობენ, გარეგნულად აღქმადი ობიექტების დაკვირვება *შეიძლება*; მათი იერის ზუსტი აღქმისთვის მათზე მთლიანად მიაპყრობენ საკუთარ ყურადღებას. შიგნით აღქმულ ობიექტებთან ეს, ცხადია, სრულიად შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით ეხება ფსიქიკურ ფენომენებს, როგორიცაა მაგ., მრისხანება. ვინაიდან, ვინც მოისურვებდა მასშივე აფეთქებული მრისხანების დაკვირვებას, მასთან ის, ცხადია, უკვე დაცხრებოდა და დაკვირვების ობიექტი გაქრებოდა. მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაშიც ეს ასევე შეუძლებელია“.

რამდენადაც ბრენტანო მის მიერ გადმოცემულში მკაცრად მისღევს იმას, რაც გრძნობად სამყაროში ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის არის მისაწვდომი, მას ყურადღების მიღმა რჩება არსებული განსხვავება ისეთი მშვინვიერი პროცესების აღქმებს შორის, რომლებიც წარმოიქმნება გარე სამყაროს აღქმისას და ისეთებს შორის, რომლებიც ამ აღქმასთან იყო შეერთებული. გრძნობად სამყაროში ადამიანს შეუძლია, დააკვირდეს სიხარულს ან მწუხარებას, მის მიერ გარკვეული აღქმებისას მიღებულს, მაგრამ არა იმ მშვინვიერ პროცესებს, რომლებიც მიედინება იმ დროს, როცა „მე“ მთლიანად ეძლევა გარე სამყაროს აღქმებს; ვინაიდან, აღქმამდე ეს

მშენებელი პროცესები იქ ჯერაც არ არსებობს, არამედ აღქმის შემდეგ ისინი უკვე გაქრნენ ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის. ანუ ჩვეულებრივი შინაგანი აღქმა ეხება მხოლოდ ისეთ მშენებელი პროცესებს, რომლებთან მიმართებით ადამიანი თავისი შინაგანი განცდებით მთლიანად არ არის გადაცემული გარე სამყაროს.

იმ დროს გათამაშებული მშენებელი პროცესები, როცა „მე“ მთლიანად ეძლევა ობიექტს, არაა განლაგებული იმ სამყაროს შიგნით, რომელშიც ეს ობიექტი იმყოფება. ამრიგად, გრძნობადი სამყაროს ობიექტებისთვის ისინი ძვეს ზეგრძნობად სამყაროში. ამ მშენებელი პროცესების აღქმა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ „მე“ გამოიყენებს სრულიად სხვა უნარებს, ვიდრე ისინი, რომლებიც მას გრძნობად სამყაროში ემსახურება. „მე“-მ უნდა შეძლოს, შემეცნება მიმართოს პროცესებისკენ, რომლებიც იწყება, როცა ყურადღება მიმართულია რაიმე გრძნობად ობიექტზე და ქრება, როცა ეს ყურადღება მისკენ უკვე აღარ არის მიმართული.

ამას საჭიროა, დავამატოთ მხოლოდ ის, რომ ასეთი აღქმა შესაძლებელია. ამისთვის „მე“-მ მთლიანად უნდა გამოათავისუფლოს საკუთარი თავი გრძნობადი სამყაროს სფეროდან და შეძლოს მშენებელი აგებულების განჭვრეტა, რომელიც თამაშდება, როცა „მე“ გადაეცემა გარეგან ობიექტს თავის ჩვეულებრივ ცხოვრებაში. მაშინ „მე“ გადაინაცვლებდა ზეგრძნობად სამყაროში და მასში აღიქვამდა მშენებელი მოღვაწეობას, რომელიც ჩვეულებრივ დაფარულია ცნობიერებისაგან. მხოლოდ აქ არის საჭირო სწორედ მითითება იმაზე, რომ „მე“-ს, მისი ჩვეულებრივი მშენებელი განცდებიდან, ამგვარი გადაინაცვლებისკენ წარმართავს განსაზღვრული მშენებელი სავარჯიშოების შესრულება. (მსგავსი მშენებელი სავარჯიშოების გაცნობისთვის იხ. ჩემი წიგნი „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“).

ამრიგად, შესაბამისი მშენებელი პროცესების აღქმა ეკუთვნის ზეგრძნობად სამყაროს. გრძნობადი სამყაროს ფარგლებში დარჩენილმა განსჯამაც უნდა გახსნას ასეთი პროცესები. ვინაიდან გრძნობადი სამყარო ამ პროცესებზე ისე მიუთითებს, როგორც კვამლი მიუთითებს ცეცხლზე, თუნდაც ის არ ჩანდეს. (*პერბარტის ეს შედარება უდაოდ სხარტია*).

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ გრძნობად სამყაროში მცხოვრები ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის შესაძლებელია მხოლოდ დახასიათებული ზეგრძნობადი სამყაროს შემეცნება და მას, ცხადია, უარი უნდა ეთქვას თავად ამ სამყაროს ყველანაირ დეტალურ გაცნობაზე. ის ასეც იქნებოდა, თუ ამ ცნობიერების სფეროში არ წარმოიქმნებოდა რაიმე, რაც წარმართავდა სამშენველის შინაგანი მოღვაწეობისა და ობიექტის აღქმის ერთდროული ჭვრეტისკენ. ზუსტად თუ ვიტყვით, მაინც რა არის ეს მომხდარი? აქ აღქმის განცდა უნდა არსებობდეს არა მარტო გრძნობადი სამყაროს შიგნით, არამედ ადამიანმა ასევე საჭიროა, შეძლოს, ყურადღება მიაპყროს ამ განცდაზე ისეთი სახით, რომ განცდის პროცესის დროს აღიქვას თავისი საკუთარი მოღვაწეობა. მეტ-ნაკლებად შეზღუდულად ეს ხდება გრძნობადი განცდების სფეროში, გამომდინარე იქიდან, რა მიმართებაშია ადამიანი მეტყველების საკუთარ პროცესთან. ამასთან არ გემართებს ვიფიქროთ საკუთარი ბგერის ყურით მოსმენაზე. ვინაიდან საკუთარი ბგერის ეს მოსმენა არაფრით განსხვავდება უცხო ბგერის მოსმენისაგან. გრძნობადი აღქმის გამოწვევა მხოლოდ ამის წყალობით ხდება. გაცილებით მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო დაჩლუნგებულ აღქმაზე, რომლის მიღებაც შეიძლება მეტყველების ორგანოების მოძრაობისგან, როცა საჭიროა ბგერის წარმოთქმა. ასეთი აღქმა თუ არ იარსებებდა, მაშინ ადამიანი ვერასდროს მოახერხებდა განსაზღვრული ბგერის წარმოქმნისთვის აუცილებელი რამის გაკეთებას. მაინც რა არსებობს სამშენველში, როცა წარმოითქმება ბგერა? უშუალოდ თავად გრძნობადი სამყაროს კუთვნილი ბგერის გარდა სახეზეა საკუთარი მოძრაობის სურათ-ხატის შესაბამისი ორგანო. – ეს ორგანო არანაირად არ ჰგავს წარმოდგენის სურათ-ხატს, რომელიც მოპოვებულია გარეგნული აღქმის მეშვეობით. ეს უკანასკნელი მით მეტად არის სწორი, რაც მეტად ემთხვევა აღქმას. ორგანოთა საკუთარი მოძრაობის სურათ-ხატი გამოთქმულ ბგერასთან შეიძლება საერთოდ არ ემთხვეოდეს თავად ამ ბგერას. ცხადია შესაძლებელია, რომ ადამიანმა ვერასდროს შეძლოს, ეს სურათ-ხატი დაიყვანოს საკუთარ ცნობიერებამდე; ამ შემთხვევაში ლაპარაკისთვის აუცილებელ საკუთარ მოძრაობებს ის ყოველთვის არაცნობიერად

განახორციელებს. მაგრამ ამგვარ არაცნობიერად მოლაპარაკესთან ორგანიზმის სიღრმეში მაინც უნდა ხდებოდეს იგივე, რაც თამაშდება იმასთან, ვინც სულ უფრო მეტად იჭრება მეტყველების ორგანიზმში და ასე აამაღლებს სურათ-ხატების სახით საკუთარ ცნობიერებაში ბგერების ფორმაქმნად ორგანოებს. ამ უკანასკნელის ცოდნა, ცხადია, არა მხოლოდ მიიყვანს იმ რეალობის წარმოქმნისკენ, რაც აღიქმება. აღქმული არის მშვინვიერი პროცესი, რომელიც ქლერადობის გრძნობად ფაქტთან ერთად მიედინება.

ლაპარაკის პროცესში კი ეს მშვინვიერი პროცესი მეტნაკლებად დაფარულია ბგერით გამოთქმულში, „მე“-ს თავგანწირვის წყალობით. საჭიროა სპეციალური სავარჯიშო, რომ ამ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილოთ ორგანიზმის საკუთარ მოძრაობაზე. მაგრამ საკუთარი მოძრაობის აღქმა საუბრისას, არსებითად, არ განსხვავდება ფეხის აწევის ან ხელის მოძრაობისგან. ბგერა არ არსებობს მხოლოდ ამ საკუთარი მოძრაობებისას. მათში გარეგნული აღქმა უკვე მხედველობაში არ მიიღება. ვინაიდან თუნდაც ის, რომ შესაძლებელია, მაგ., დავინახოთ ჩვენი საკუთარი მოძრაობა, ამას სამშვინველში მცხოვრები საკუთარი მოძრაობის აღქმისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამრიგად, აღქმისთვის საკუთარი მოძრაობის გადაცემისას მშვინვიერი პროცესი წარმოჩნდება ისეთი, როგორც უნდა იყოს ისინი, რომლებიც გარეგნულ აღქმებთან ერთად წარმოიქმნებიან. სამაგიეროდ ამ მშვინვიერ პროცესებში გარეგნული აღქმის შესაბამისი აღქმის პროცესი ჯერჯერობით მთლიანად ჩვეულებრივი ცნობიერების მიღმა რჩება. ცნობიერებაში შემოდის მხოლოდ მშვინვიერი პროცესი; არსებითად ის, რაც სხეულში თამაშდება ამ მშვინვიერი პროცესის მიმდინარეობისას, არ შეიძლება, უშუალოდ ცნობიერების ობიექტად იქცეს.

ზემოთქმულის თვალსაზრისით გამართლებულია დასკვნა, რომ გარეგნულ აღქმასთან აღქმულის შინაარსი გაცნობიერებული ხდება, ხოლო მათი შესაბამისი მშვინვიერი პროცესები, პირიქით, დაფარული რჩება; აღქმულის შინაარსი ორგანიზმის შინაგანი პროცესების აღქმისას უშუალოდ აშკარა არ ხდება, სამაგიეროდ, ცნობიერებაში შედის შესაბამისი მშვინვიერი პროცესები.



ამ დასკვნის საფუძველზე უკვე შესაძლებელია, წარმოდგენა შევიქმნათ აღქმის ორივე სახის ბუნებაზე. გარეგნულ აღქმასთან ცნობიერების ჰორიზონტისკენ ამოიზიდება აღქმის შინაარსი; ამ ჰორიზონტის ქვეშ ადამიანში თამაშდება მღელვარება, რომელიც ცნობიერებაში არ ამოიზიდება. ეს მღელვარება ჰგავს მშვინვიერ პროცესს, რომელიც შედის ცნობიერებაში, მაგ., ორგანიზმის რაიმე საკუთარი მოძრაობისას. თუ გარეგნული გრძნობადი აღქმა შესაბამის შემთხვევაში დარჩებოდა გაუცნობიერებელი, ხოლო ამის მაგივრად „მე“-ს შექმნებოდა მთლიანად ჩაფლობა შინაგან მშვინვიერ პროცესში, მაშინ განცდილი იქნებოდა, მაგ., საკუთარი მოძრაობისას მომხდარის მსგავსი რაღაც. ოღონდ ამ მშვინვიერი პროცესისთვის იმპულსი შინაგან პროცესში არ უნდა ვეძიოთ.

ახლა კვლავ ყურადღება მივაპყროთ ბგერის მოსმენის პროცესს. უბრალოდ წარმოვიდგინოთ, რომ საკუთარ მეტყველებას კი არ ვუსმენთ, არამედ სხვა ადამიანის მეტყველებას. მაშინ მეტყველების ორგანოთა საკუთარი მოძრაობა, მასთან ერთად კი „მე“-ს მოქმედებაც საკუთარ ორგანიზმში ჩამოცილდებიან. საკუთარის ადგილზე სხვა „მე“ შემოდის. მსმენელში სახეზეა ზემოთ დახასიათებული მშვინვიერი პროცესი, რომელიც ცნობიერებაში არ შედის. ხოლო რამდენადაც ის არსებობს, ამიტომაც ეგებება ბგერას. ბგერა ეჯახება მშვინვიერი პროცესის წინააღმდეგობას და ამ გზით ხდება მისი გაცნობიერება. ახლა კი, თუ წარმოვიდგენთ, რომ „მე“ გადაეჯახება ბგერას მას შემდეგ, რაც ის შეკავებულია მშვინვიერი პროცესით, მივიღებთ ცნებას ბგერის გაცნობიერებაზე. ეს არის საკუთარი მშვინვიერი პროცესით გამოწვეული ექო ბგერისა, რომელიც „მე“ ცნობიერებას აღწევს. ამ შემთხვევაში ბგერა ჯერ ცხოვრობს მოლაპარაკეში, შემდეგ აისახება მსმენელის საკუთარი მშვინვიერი პროცესით, ასახვის შემდეგ კი მსმენელში ცხოვრობს. თუ გავიაზრებთ იმას, რომ ბგერა, რომელზეც არის საუბარი, არსებითად სახეზეა, ერთნაირად როგორც მოლაპარაკეში, ისე მსმენელშიც, ამიტომ გაცნობიერების ზემოაღწერილი პროცესის წარმოდგენა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. მაშინ სრულიად ცხადი გახდება ის, რომ მოლაპარაკე ადამიანისგან მომდინარე ბგერის მოსმენისთვის შემცნობი „მე“ სახეზეა არა შიგნით, არამედ თავისი სა-

კუთარი არაცნობიერის გარეთ, მაგრამ არსებული მშვიინვიერი პროცესების ბგერის აღქმასთან ერთად.

ამაზე დგას ასევე უსიცოცხლო სხეულისგან მომდინარე აღქმა ტონისა. შეგნებული „მე“ ამ ტონთან ისევე არის გადაჯაჭვული, როგორც უცხო ბგერასთან. აქედან გამომდინარე მის გაცნობიერებასაც ასეთივე მეთოდით უნდა მივაღწიოთ. მშვიინვიერი პროცესი უნდა ეწინააღმდეგებოდეს ტონს, ხოლო ასეთი სახით შეკავებული ტონი უერთდება „მე“-ს. – ასე გამოიყურება პროცესი, თუ მას მიუსადაგებენ ბგერის აღქმას. თუმცა, გრძობადი სამყაროს აღქმების მხრიდან მისი განხილვისას, ასეთ თვალსაზრისებთან დაკავშირებით წარმოიქმნება ეჭვები. აღქმების ამ სამყაროში ტონის ამოსავალ წერტილად მიიჩნევა სხეული, რომლის ნაწილიც განსაზღვრულ მოძრაობაში იმყოფება. აღმოჩნდება, რომ ეს მოძრაობა ჰაერში გრძელდება. ამოძრავებული ჰაერი ხვდება ყურში; ტონი კი წარმოიქმნება „მე“-ს ცნობიერებაში, როგორც ყურსა და ნერვულ ორგანიზმში ჰაერის ნაკადების დარტყმის შედეგი. ახლა კი შეიძლება იოლად მიხვიდე წარმოდგენამდე, რომ გარე სამყაროში საერთოდ არ არსებობს რაიმე სხვა, გარდა სხეულისა და ჰაერის მოძრაობისა, ხოლო ტონი წარმოიქმნება მხოლოდ სამშვიინველის შიგნით, როგორც ფიზიკური მოძრაობის უკუქმედება. ამ წარმოდგენას თავის თავში გააჩნია რაღაც ისეთი მიმზიდველი, რომ ის რწმენის სახით ცხოვრობს მრავალ ფილოსოფიურ შეხედულებაში. შემდეგ ის გადააქვთ ყველა გრძობად აღქმაზე და ამბობენ: ტონი, სინათლე და ა. შ. არსებობს, თითქოსდა, მხოლოდ ადამიანის სამშვიინველში; სამშვიინველის მიღმა სამყარო მდუმარე და ბნელია.

ბგერის აღქმა მოლაპარაკე ადამიანისაგან ხელს უწყობს იმას, რომ ამ წარმოდგენის უსიტყვო ნდობა არ შეიძლება. აქ ხომ უეჭველია ის, რომ მოსმენილი ბგერა წარმოთქმულის იდენტურია. ამიტომ ადგილი აქვს არა სურათ-ხატს, არამედ აბსოლუტურ შესაბამისობას ნამდვილ პროცესთან, როცა ამბობენ, რომ მოსაუბრის ბგერა მსმენელზე გადადის გარეგნული ნაკადის გადაცემის მეშვეობით, ხოლო მსმენელს აღქმულში აქვს გარე სამყაროში არსებული ნამდვილი ასლი, და არა მხოლოდ საკუთარი სამშვიინველის რეაქცია მდუმარე გარეგნულ პროცესზე.

ცხადია, აქაც შესაძლებელია საპირისპირო მოსაზრება. კერძოდ, შეიძლებოდა, ეთქვათ შემდეგი. მოსაუბრე აღძრავს თავისი მეტყველების ორგანოების განსაზღვრულ მოძრაობებს, ამის წყალობით კი – ასევე ჰაერს. მაგრამ მოსაუბრის მიღმა არაფერია, გარდა ჰაერის ამ მოძრაობისა. რამდენადაც ახლა ჰაერის ეს მოძრაობა გარკვეული სახით არსებობს, ამიტომ სწორედ მსმენლის სამშვინველში წარმოიქმნება პროცესის შესაბამისი წინააღმდეგობა, რომლის წყალობითაც მოსაუბრემ წარმოქმნა მოძრაობა. მაგრამ ასეთი საპირისპირო მოსაზრება მაინც არ მიიღება მხედველობაში. ვინაიდან, საუბარია იმაზე, რომ „მე“-ს, როგორც ასეთის გარეთ აქვს თუ არა რაღაც სინამდვილე იმას, რაც ბოლოს და ბოლოს გამოწვეულია „მე“-ში. ეს კი უდაოდ, ასეც არის მოსმენილ ბგერაში.

ხოლო „მე“-ს კავშირი ტონთან, რომელიც მომდინარეობს უსიცოცხლო სხეულისგან, წარმოადგენს ისეთივეს, როგორც მოლაპარაკე ადამიანის ბგერასთან კავშირი. ამიტომ, ადამიანის მთელ ორგანიზმთან მიმართებით ტონის გარეგნულ ან შინაგან ყოფიერებაზე ფიქრიც ისევე გემართებს, როგორც ბგერის შესატყვის ყოფიერებაზე და არა სხვაგვარად.

ბგერის ობიექტური ყოფიერება სახეზეა მოლაპარაკეში. მსმენელი ბგერას შეუსაბამებს ამ მოლაპარაკეს. ეს როგორ ხდება? ცხადია, მსმენელი ბგერასთან ერთდროულად აკავშირებს შთაბეჭდილებებს: ბგერა მოდის მისივე მსგავსი არსებისგან. თუ ადამიანი სრულიად უკაცრიელ სივრცეში, როცა იცის საკუთარ მარტობაზე, მოისმენს ბგერას რომელიმე მხრიდან, მაშინ ის ამ ბგერას, ცხადია, არ შეუსაბამებს მოლაპარაკე ადამიანს. ბგერის აღქმას კიდევ ემატება ამ კავშირის გამომწვევი სხვა აღქმები. ეს სხვა აღქმა აქ სრულებითაც არ წარმოადგენს რაღაც მოლაპარაკის იერის წყალობით მიღებული მხედველობითი აღქმების მსგავსს, არამედ ყოველივე იმას, რისი წყალობითაც ადამიანი მიდის განსჯამდე: მოლაპარაკე არის ჩემი მსგავსი არსება და წარმოთქმული ბგერის მიზეზი ძევს ამ არსების შინაგანში, როგორც მას შეუძლია, შესაბამისად, თავად ჩემშიც იმყოფებოდეს. ამ განსჯის წარმოქმნის პროცესი ძალზე რთულია. მისი წარმოქმნა იკარგება ყველა იმ განცდების მრავალრიცხოვნებაში, რომელთა წყალობითაც ადამიანი მიდის მეორე ადამიანში თავი-

სი მსგავსი არსების აღიარებამდე. თუმცა ყველა ამ განცდის შედეგი ეფუძნება იმას, რომ „მე“ თავის თავს ხედავს გადაჯაჭვულს ასეთ ბგერასთან და ამ ბგერას მიაკუთვნებს თავისივე მსგავს არსებას. ნაიფური ცნობიერებისთვის მოჩვენებითი სიმარტივე, „ადამიანი საუბრობს“ განსჯის ფორმირებაში, სინამდვილეში წარმოადგენს ძალზე რთული პროცესების შედეგს. ეს პროცესები წაწვეტებულია იქამდე, რომ ბგერაში, რომელშიც განიცდი *საკუთარ თავს*, ამავედროულად განიცდი სხვა „მე“-ს. სხვა ყველაფერი ამ განცდას მხედველობის მიღმა რჩება, ხოლო რამდენადაც მაშინ ყურადღება გადატანილია, ამიტომ გათვალისწინებულია „მე“-ს მიმართება „მე“-სთან. უცხო „მე“-სადმი *თანაგრძნობის* მთელი საიდუმლოება ამ ფაქტში ვლინდება. თუ სურთ მისი აღწერა, მაშინ ამის გაკეთება არ შეიძლება სხვაგვარად, ვიდრე ითქვას: უცხო „მე“-ში ადამიანი გრძნობს საკუთარ „მე“-ს. ასეთ შემთხვევაში თუ ის აღიქვამს უცხო „მე“-ს ბგერას, მაშინ საკუთარი „მე“ ამ ბგერაში ცხოვრობს, ამავედროულად უცხო „მე“-შიც.

თუ საკუთარი „მე“ ცხოვრობს უსიცოცხლო ობიექტის ტონთან გადაჯაჭვული, მაშინ გრძნობადი სამყაროს შიგნით ეს შეიძლება, შევუსაბამოთ მხოლოდ ამ უსიცოცხლო ობიექტს. თუმცა, თუ ის მიუახლოვდება ამ ობიექტს, მაშინ უპირველეს ყოვლისა, მას არ შეუძლია, მასში ისე იცხოვროს, როგორც ცხოვრობს უცხო „მე“-ში ბგერასთან. ის გადაჯაჭვულია ტონთან, მაგრამ არა უსიცოცხლო ობიექტთან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გრძნობადი სამყაროს დაკვირვება ავლენს უსიცოცხლო ობიექტის კავშირს სმენის ორგანოსთან (და ნერვების შესაბამის ორგანიზმთან). მაგრამ მოსაუბრის მეტყველების ორგანიზმსა და მსმენელის ყურსა და ნერვების ორგანიზმს შორის იგივე კავშირი არსებობს. და მაინც მოსაუბრის „მე“-ში ობიექტურად არსებული ბგერისთვის ეს კავშირი აქ ნიშნავს მხოლოდ ნაკადის გადმომცემს. შესაბამისად, ეს კავშირი არ მეტყველებს იმაზე, რომ მასში მოცემული უსიცოცხლო ობიექტის ტონის ობიექტური რეალობა და ტონის აღქმული შინაარსი მივიჩნიოთ მხოლოდ ადამიანური სამშენებლის რეაქციად. არ არსებობს რაიმე სხვა წარმოდგენა, გარდა იმისა, რომ წარმოვიდგინოთ, თვით ამ შემთხვევაშიც, რომ „მე“ ისევე არის დაკავშირებული ტონთან, როგორც ბგე-

რასთან. მაშინ ზემოთქმულის თვალსაზრისით ტონი უნდა შეჯახებოდა მსმენელს, ცნობიერების ჰორიზონტზე დაბლა კი უნდა წარმოქმნილიყო დახასიათებული მშვიდნიერი პროცესები, მაშინ „მე“ იცხოვრებდა ტონში, როცა ტონი ავლენს მის წინააღმდეგობას შესაბამის მშვიდნიერ პროცესებში. ასეთ შემთხვევაში გარე სამყაროში ტონი იარსებებდა, როგორც მოლაპარაკის ბგერაში, ოღონდ არ იქნებოდა არანაირი მიზეზი, რომელსაც შეეძლებოდა, მსმენელი „მე“-სთვის ებიძგებინა, უსიცოცხლო ობიექტის ტონი შესაბამისობაში მოეყვანა თავისივე მსგავს არსებასთან. მაგრამ ეს სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ ადამიანური ხმის გაუღერებისას მსმენელი საკუთარ „მე“-ს წარუდგენს უცხო „მე“-ს, უსიცოცხლო ობიექტის გაუღერებისას კი – მხოლოდ თავად ტონს. ბგერისას „მე“ გრძნობს იმპულსს, საკუთარი თავი განმსჭვალოს ამით, უსიცოცხლო ობიექტის დროს კი – არა. დანარჩენში უსიცოცხლო ობიექტის ტონი და ბგერა გრძნობად სამყაროს ერთნაირად ეკუთვნის და მსმენელი „მე“ ერთნაირად არის დაკავშირებული ორივესთან. სწორედ ამიტომ ტონის მიმართებაც იმასთან, რაც თამაშდება მუდურ ობიექტსა და მსმენელ ადამიანს შორის ჰაერის მოძრაობის სახით და ა. შ., აუცილებელია, წარმოვიდგინოთ ისეთივე, როგორც ბგერის მიმართება შესაბამის გარეგნულ მოძრაობასთან.

ამის თანახმად, ტონი დაკავშირებული უნდა იყოს გარეგნულ უსიცოცხლო ობიექტთან, როგორც ბგერა არის დაკავშირებული მოლაპარაკე ადამიანთან. ეს არ მოხდება უსიცოცხლო ობიექტის მის საკუთარ შინაგან ცხოვრებასთან შესაბამისობის გარეშე. მაგრამ შესაბამისი უსიცოცხლო ობიექტის, როგორც თავის თავში ჩაკეტილი არსის განხილვამდე, ცხადია, ეს რთული იქნება. მაგრამ ასეთი წარმოდგენა ემსგავსება იმას, რომლის მიმსგავსებაც სურდათ ადამიანის ხორხისთვის ჩაკეტილი არსების სახით. ბგერის ან ტონის წარმოქმნისთვის ხორხი უნდა იმყოფებოდეს პროცესებთან მშვიდნიერ ურთიერთკავშირში და პროცესებთან მოსაუბრის „მე“-ში. ამ მშვიდნიერი პროცესებისა და „მე“-ში პროცესების დანახვა ფიზიკურ სამყაროში არ შეიძლება. ისინი ზეგრძნობად პროცესებს წარმოადგენენ. გრძნობად სამყაროს ადამიანმა შეიძლება, მხოლოდ გრძნობადად აღქმადი მიაკუთვნოს. ბგერა მიე-

კუთვნება გრძნობად სამყაროს, ბგერის მშვიინვიერი შინაარსი კი – არა. ის, რასაც ახლა შეიძლება, გრძნობად სამყაროში დავაკვირდეთ, როგორც მუღერი უსიცოცხლო სხეულის მოძრაობას, როგორც ჰაერის მოძრაობას და ა. შ., საჭიროა, გრძნობად სამყაროში იგულისხმებოდეს ტონში მცხოვრების შედეგის სახით. და რამდენადაც თავად ტონი, როგორც მას აღიქვამს „მე“, შეუძლებელია, ითვალისწინებდეს მოძრაობის მიზეზს, ამიტომ ტონის საფუძველში ჩადებულში აუცილებელია, მივიღოთ უსიცოცხლო მოძრაობაში წარმოშობილი და „მე“-ში ტონის სახით გახსნილი ზეგრძნობადი სამყარო. მაგრამ „მე“-ს მიერ დადგენილი ურთიერთობა გრძნობად სამყაროში თავისივე მსგავსთან ადამიანური ბგერისას, უსიცოცხლო ობიექტის ტონისთვის, აუცილებელია, ვეძიოთ ტონის მიღმა არსებულ ზეგრძნობად სამყაროში.

თუ ტონს წარმოქმნის თავად მომღერალი ადამიანი, მაშინ ეს ტონი, რომელიც ბოლოს და ბოლოს უნდა შეისმინოს „მე“-მ, შეიძლება გამოვიცნოთ: ის მიეკუთვნება გრძნობად სამყაროს. მეორე მხრივ, მშვიინვიერი გამოღვიძება (მშვიინვიერი პროცესი), ტონის საფუძველში ძვეს.

გრძნობად სამყაროში მისი დაკვირვება შეუძლებელია. ის ეკუთვნის ზეგრძნობად სამყაროს, რომლისგანაც ადამიანს, რამდენადაც ის ცხოვრობს ამ სამყაროში, მხოლოდ ცნობიერება გააჩნია.

6. პირადული გამოხატულებები ფრაგმენტზე  
„ანთროპოსოფია“

შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: თეოსოფია არის ის, რომელიც იკვლევს, როცა ღმერთი ლაპარაკობს ადამიანში. – არსებითად, ეს არის თეოსოფიის ჭეშმარიტი დეფინიცია: მიეცი ღმერთს, ილაპარაკოს შენში და რასაც ის გეტყვის შენ ამ შემთხვევაში სამყაროსთან დაკავშირებით, არის კიდევ თეოსოფია. ანთროპოსოფია შეიძლება, ასე დავახასიათოთ: დააყენე საკუთარი თავი ღმერთსა და ბუნებას შორის, მიეც ადამიანს ილაპარაკოს შენში იმაზე, რაც შენ ზემოთაა და შენში ასხივებს, და იმაზე, რაც ქვევიდან იჭრება, მაშინ შენ მიიღებ ანთროპოსოფიას, სიბრძნეს, რომელსაც წარმოთქვამს ადამიანი. – ადამიანის მიერ გამოთქმული ეს სიბრძნე, ცხადია, შეიძლება იყოს თეოსოფიის მთელი სფეროს მნიშვნელოვანი გასაღები. და მას შემდეგ, რაც გარკვეული დროის განმავლობაში ითვისებდით თეოსოფიას, ოდნავ თუ შეგიძლიათ გააკეთოთ რაიმე უკეთესი, ვიდრე მოიპოვო ეს მყარი საყრდენი წერტილი მისი ნამდვილი ძიებით. ამიტომ მე ვიზრუნებ იმაზე, რომ ამ ლექციების დასასრულს რამდენადმე მოხერხდეს მოკლე მიმოხილვა იმისა, რას წარმოადგენს ანთროპოსოფია.

1909 წ. 23 ოქტომბრის მოხსენება, ბერლინი, „ანთროპოსოფია, ფსიქოსოფია, პნევმატოსოფია“, GA115. სერიის „ანთროპოსოფია“, პირველი მოხსენება.

ამ მიმართებით ხშირად მხედველობის მიღმა რჩებათ, რომ მას, ვინც უნდა აცნობიერებდეს საკუთარ სრულ პასუხისმგებლობას სულიერ სამყაროსთან მიმართებით, გააჩნია მკაცრი ვალდებულება, უნატიფესი სახით აღბეჭდოს ყველაფერი, რაც მას შეუძლია, ფიზიკურ პლანზე წარმოადგინოს, როგორც თეოსოფიური მეცნიერება. არ შეიძლება, მხედველობიდან გამოვგრჩეს, რომ დრო, რომელიც აუცილებელი იყო მოხსენებაში თეოსოფიური ჭეშმარიტებების გამოთქმისთვის, მინიმალურია იმასთან შედარებით, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ზენა სამყაროს შემეცნებები გადმოიტანო ფორმებში, რომლებიც ფიზიკურ პლანზე გამოთქმისთვის

არის განკუთვნილი. აქ არის პასუხისმგებლობის ორმაგი სიმძიმე: ჯერ ერთი, ზენა სამყაროებთან მიმართებით არ შეიძლება რაიმეს თქმა, რაც შესაძლებელია, მათთვის ნამდვილი იყოს; მეორეც, ფიზიკურ სამყაროსთან მიმართებით – ყველაფერი უნდა გაკეთდეს ისე, როგორც არის შესაძლებელი, რათა მივაღწიოთ ფიზიკური სიტყვის სრულ თანხვედრას ზენა სამყაროს ფაქტებთან. საჭიროა ამის გათვალისწინება თეოსოფიური მუშაობისთვის აუცილებელი დროის შეფასებისას. ასე, მაგ., მოხდა ისე, რომ ჩემი „ანთროპოსოფია“ ნოემბრიდან დევს ნახევრად დაბეჭდილი და ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა მასთან მიახლოება, რამდენადაც შეუძლებელი იყო ჩემ წინაშე სპირიტუალურად ამოზიდული ჭეშმარიტებების ქაღალდზე გადატანა. ამასთან, მე ვიცი სულიერი სამყაროდან, რომ სამუშაო შეძლებისდაგვარად უნდა წარმოვადგინო.

წერილი ედუარდ ზელანდერს, სავარაუდოდ 1911 წლის მარტის დასაწყისი, იხ. „რუდოლფ შტაინერი – მარია შტაინერ-ფონ სივერსი. მიმოწერა და დოკუმენტები 1901-1925,“ GA 262, II გამოც. გვ. 238 და მომდ.

მაშინ დოქტორმა შტაინერმა მე მომცა წიგნი შეუკრავი ფურცლებით და მითხრა: „შეხედეთ, აი, მე დავწერე წიგნი, დაბეჭდილი 64 გვერდამდე, თუმცა მე არ შემიძლია მისი დამთავრება“. ჩემს მდუმარე გაკვირვებაზე დოქტორმა შტაინერმა თქვა: „დიახ, მე ნამდვილად არ შემიძლია, მე ვერ ვახერხებ საგნებსა და მოვლენებს მივცე ისეთი ფორმა, რომ ვინმეს შეეძლოს ამის გაგება. წიგნი დარჩება ფრაგმენტად. მაგრამ მე ვისურვებდი, რომ ეს წიგნი, ვინაიდან მე ის დავწერე, თქვენ წაიკითხოთ დღეს დამე, დილით ადრე კი კვლავ მოხვიდეთ ჩემთან. მაგრამ თქვენ წიგნი მთლიანად სიტყვა-სიტყვით არ უნდა გადაწეროთ. თქვენ შეგიძლიათ, მისგან მხოლოდ ჩანაწერები გააკეთოთ თქვენთვის“.

1917 წელს ვალტერ იოანეს შტაინის საუბრის ჩანაწერი რუდოლფ შტაინერთან, – ფერის შემეცნებაში. ტომის „ფერის არსი“ დამატება, GA 291a, გვ. 136.



ახლა მე მსურს, თავს ნება მივცე, ამ ფაქტთან დაკავშირებით ნაწყვეტებად მოვიყვანო რაღაც, რაც ჩემ მიერ ეფუძნება დამუშავებულ ჭვრეტებს სრულიად სხვადასხვა მიმართულებით. ცხადია, ეს ჭვრეტები ითხოვს, რომ ისინი ამავე დროს გადმოიცეს სრული სახით, ყველანაირი დასაბუთებით. თუმცა ჯერჯერობით პირობები საშუალებას მაძლევს, მხოლოდ ზეპირ მოხსენებებში გამოვთქვა ზოგი რამ, რაც ამას ეხება. ის, რისი აქ მოყვანაც მე შემიძლია, არსებითად მოკლე ესკიზური გადმოცემის შედეგებია. და მე ვთხოვ მკითხველს, ჯერჯერობით მიიღოს ისინი როგორც ასეთები. საუბარია არა „იდებ-ზე“, არამედ რაღაცაზე, რის დასაბუთებასაც მე ვექებდი მრავალწლიანი შრომის შედეგად თანამედროვეობის მეცნიერული საშუალებებით.

სამშეინველის გამოცანებზე, 1917 GA21, თავი 5 „ესკიზური განვრცობა ამ თხზულების შინაარსისთვის“. თხზულებაში მოცემულია ადამიანის თორმეტი გრძნობის აღწერა.

ადამიანი რომ ფიზიოლოგიურად ნამდვილად გამოვიკვლიოთ, საჭიროა, აზროვნების გამოთიშვით შიგნით შევებრუნოთ წარმოდგენა ისეთი სახით, რომ ადამიანის სხეულებრიობამაც მოახდინოს რეაგირება ამაზე იმაგინაციებში. ცხადია, ეს მხოლოდ გზის დასაწყისია დასავლური განვითარებისთვის, მაგრამ ეს ის გზაა, რომლის არჩევაც საჭიროა. იმას, რაც მომდინარეობს აღმოსავლეთიდან და შეიძლება, დაცემამდე მიიყვანოს, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნია კიდევ განსაკუთრებული ღირებულება, აუცილებელია, მას დაუპირისპიროთ მისგანვე განვითარებული რაღაც, რათა მივიღეთ ჩვენი ცივილიზაციის არა დაცემამდე, არამედ მის აღმასვლამდე. მაგრამ შეიძლება ითქვას: ზოგადად, თავად ადამიანური მეტყველება ჯერაც არ მისულა იქამდე, რომ მთლიანად გამოხატოს განცდები, რომლებსაც ჩვენ აქ საკუთარი სამშეინველის სიღრმეებში ვაწყდებით. ამას ადგილი აქვს ახლაც, როცა მე მსურს, პირად განცდებზე მოგითხროთ.

მრავალი წლის წინ მე ვცდილობდი, გარკვეულ სფეროში სიტყვებით გამომეხატა ის, რასაც შეიძლება, ადამიანურ გრძნობებზე სწავლება ეწოდოს. ზეპირ მეხსიერებაში მე მო-

ვახერხე, გარკვეული სახით სიტყვებში გამომეხატა სწავლება ადამიანურ გრძნობებზე, სწავლება თორმეტ გრძნობაზე, რამდენადაც აქ კიდევ დიდი შესაძლებლობებია, სხვადასხვაგვარად ვაბრუნოთ ენა და გამეორებების მეშვეობით მივალწიოთ გაგებას, რომ არც ისე ძლიერად იგრძნობოდეს ჩვენი ენის ნაკლოვანება, რომელიც ჯერ ვერ უმკლავდება ასეთ ზეგრძნობად არსს. მაგრამ შემდეგ, როცა მე, – ეს იყო, როგორც უკვე გითხარით, დიდი ხნის წინ, – მინდოდა, ჩამეწერა ის, რაც გადმოვეცი მოხსენებებში, როგორც უშუალო ანთროპოსოფია, რომ გამეფორმებინა ეს წიგნი, გამოვლინდა საოცარი რამ: გარეგნულად განცდილი, სამშვინველის შიგნით მისი შეტანისას, გადაიქცა რაღაც ისეთ ძალზე მგრძნობიარედ, რომ ენა სიტყვებს ვერ პოულობდა, და 5-6 წელი, მე ვფიქრობ, ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ფურცლის დაბეჭდვის გადავადებას. მე არ შემეძლო წერის გაგრძელება, რამდენადაც მინდოდა, ყველაფერი მთლიანად დამეწერა, როგორც ეს იყო დაწვებული და არ შემეძლო უბრალოდ იმიტომ, რომ ჩემი განვითარების იმდროინდელი საფეხურისთვის, უპირველეს ყოვლისა, ენა არ მაძლევდა იმის მიღწევის საშუალებას, რაც მსურდა. ამის შემდეგ დადგა სამუშაოთი გადატვირთვის პერიოდი და მე დღემდე ჯერ კიდევ ვერ შევძელი ამ წიგნის დამთავრება. ვინც ნაკლები კეთილსინდისიერებით ეუფლება იმას, რასაც სულიერი სამყაროდან გამომდინარე აძლევს თავის გარემოცვას, მას, ალბათ, გაეცინება ასეთ შეფერხებაზე დროებით გადაულახავი სირთულეების გამო. მაგრამ, ვინც ნამდვილად განიცადა და სრული პასუხისმგებლობის გრძნობით შეძლო, შეჭრილიყო იმაში, რაც გეძლევა, როცა გსურს იმაგინაციისკენ გზების აღწერა, რომლებიც უნდა აირჩიოს ახლა დასავლეთის კაცობრიობამ, მან იცის, რამდენად ბევრი რამ არის აუცილებელი, რომ იპოვო ზუსტი სიტყვები სწორედ ასეთი აღწერისთვის. შედარებით მარტივად ეს შეიძლება, აღვწეროთ, როგორც სწავლების გზა. ეს განხორციელებულია ჩემს წიგნში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“. როცა სურთ სრულიად განსაზღვრული შედეგის მიღწევა, როგორიც უნდა იყოს შედეგი თავად ადამიანური გრძნობების სიბრძნის აღწერისა, ანუ შინაგანი ადამიანური ორგანოს ნაწილის, როცა საჭიროა, მიადწიონ მსგავს სრულიად განსაზღვრულ შე-

დეგებს, მაშინ წარმოიქმნება სირთულე იმაში, რომ დავუფუგლოთ იმაგინაციებს და სიტყვების მეშვეობით ისინი მკაფიო კონტურებით წარმოვადგინოთ.

1920 წლის 2 ოქტომბრის მოხსენება, დორნახი, წიგნში „ბუნების შემეცნების საზღვრები და მათი გადალახვა“, GA 322.

ერთხელ ანთროპოსოფიული საზოგადოებისთვის მე წავიკითხე ლექციები იმაზე, რასაც ამ ლექციებში ვუწოდებ „ანთროპოსოფია“. იმ დროს მე ვკითხულობდი ლექციებს ანთროპოსოფიაზე იმ დოზით, როგორითაც ეს მეხსნებოდა სწორედ ჩემი სულიერი კვლევით. შემდეგ იყო თხოვნა, გამომეკვყენებინა ეს ლექციები და მე გადავწყვიტე, რომ ისინი დამეწერა. ამის წერისას კვლავ წარმოიქმნა რაღაც სხვა. არა ის, რომ რაღაც შეიცვალა თავდაპირველად მოცემულში, არამედ უბრალოდ წარმოიქმნა აუცილებლობა, შეგვეტანა ზოგიერთი დამატება, რომლებიც იძლეოდა შემდგომ განმარტებებს. ამან კი უკვე მოითხოვა ამ ფაქტების კიდევ უფრო ზუსტად ფორმულირება. ამაზე წელიწადზე მეტი დრო დაიხარჯა. და აი, კვლავ გაჩნდა შესაძლებლობა. საზოგადოებაში მიმდინარეობდა მორიგი გენერალური ყრილობა. სწორედ იქ თქვეს ადამიანებმა, რომ გენერალურ ყრილობაზე კარგი იქნებოდა, გასაყიდად მომზადებულიყო მოხსენებები „ანთროპოსოფია“-ზე, მაშასადამე საჭირო იყო მათი მომზადება. მე მაშინვე ვაუწყებ მოხსენებების სხვა ციკლზე მომდევნო გენერალური ყრილობისთვის და ამ „ანთროპოსოფიის“ პირველი ფურცლები სტამბაში გავაგზავნე. ისინი მაშინვე დაიბეჭდა. მე ვვარაუდობდი, რომ ახლა შემეძლებოდა წერის გაგრძელება. გარკვეული დროის განმავლობაში ვაგრძელებდი კიდევ წერას, მაგრამ უფრო ზუსტი განმარტებებისთვის სულ უფრო მეტი აუცილებლობა ჩნდებოდა შემდგომი დამატებებისთვის. მაშინ ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ყველა თაბახი დაიბეჭდა. მანამდე მე ვწერდი. გარდა ამისა, ერთი თაბახი გამოვიდა ისეთი, რომ არ იყო სრული თექვსმეტი ფურცელი, არამედ მე მგონი, მხოლოდ ცამეტი ან თოთხმეტი სრული ფურცელი. სხვა გვერდები არ იყო შეესებული და მე უნდა გამეგრძელებინა წერა. ამასობაში

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ამისთვის სხვა მიზეზებიც არსებობდა, და სწორედ ახლა მსურს, ერთ-ერთი მიზეზი შემოგთავაზოთ, რამაც გამოიწვია ის, რაზეც აქ არის საუბარი. დადგა დრო, როცა საკუთარ თავს ვუთხარი: ახლა ეს სამუშაო ბოლომდე თუ იქნება მიყვანილი ისეთი სახით, როგორიცაა ახლა, ერთი წლის შემდეგ, მე კი უნდა შემძლებოდა და მინდა კიდევ მისი ქონა, უკვე აუცილებელია, უფრო დეტალურად განვითარდეს წარმოდგენის განსაზღვრული მეთოდი, განსაკუთრებულად დამუშავდეს იმაგინაციური და ინსპირაციული შემეცნება და შემეცნების ეს მეთოდი მივუსადაგოთ ამ ანთროპოსოფიულ საკითხებს. აქ მე მაინც მივედი იქამდე, რომ თავიდან გამეკეთებინა რაღაც ნეგატიური – დროებით გადამედო მთელი „ანთროპოსოფია“. ის დღესაც ჯერ კიდევ ისე ძვეს, როგორც მაშინ, უკვე დაბეჭდილი უამრავი თაბახით. და მე უკვე აღარც ვფიქრობდი ახლა კვლევის ნამდვილად გაგრძელებას. თუმცა, აქ მე საფუძვლიანად გავეცანი რაღაცას, რის შესახებაც ახლა მე მსურს, გაუწყოთ. ეს შემიძლია, მხოლოდ სქემატურად გამოვხატო. მაგრამ ეს სქემატური გამოხატულება წარმოადგენს შინაგანი განცდების უზარმაზარ ჯამს, რომელიც ადამიანის კვლევაში, არსებითად, შემეცნების მეთოდებს წარმოადგენს.

სულ უფრო მეტად და მეტად მკაფიო ხდებოდა, რომ „ანთროპოსოფიის“ დასრულება ოდესღაც დასახული მიზნების შესაბამისად შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა შინაგანი ჭკრეცისას მიხვალ იმის ხედვამდე, როგორ შეიძლება, ნერვულ სისტემაში მუშაობისას იქ რეალურად დანახული წინ წასწიო შინაგან მიმოხილვაში, როგორც სულიერ-მშვიინვიერი მოღვაწეობა მანამდე, სანამ აქ შიგნით არ მიხვალ ერთ წერტილამდე, რომელიც არსებითად წარმოადგენს ვერტიკალური მიმართულებით განლაგებულ ხაზს, მაგრამ მე მსურს, ეს აქ წარმოვიდგინოთ მხოლოდ სქემატურად; განსაზღვრული მოვლენებისთვის წერტილი არსებობს ზევით, შემდეგ უფრო ღრმად და ა. შ., შეიძლება ითქვას, ამ ლექციებში დეტალურად ამის აღწერა შეუძლებელი იქნება; მე, გარკვეულწილად, მოვიყვან მთლიანის მხოლოდ რაღაც მიმოხილვას, იმ წერტილამდე, სადაც შემდეგ მკაფიოდ ამჩნევ, რომ ერთმანეთში იკვეთება იმაგინაციასა და ინსპირაციაში მოპოვებული, გარედან შიგნით

მიმართული მთელი სულიერ-მშვინვიერი მოღვაწეობა. მაგრამ იმ დროს, როცა ის იკვეთება, შენ უკვე აღარ ხარ თავისუფალი ამ მოქმედების განხორციელებაში. ცხადია, როგორც მე უკვე აღუწერე, შენ ადრეც არ იყავი ბოლომდე თავისუფალი. ახლა კი კიდევ უფრო არათავისუფალი ხდები. ამხნევ, რომ ყველაფერი იცვლება. შედიხარ უფრო გაძლიერებულ იმაგინაციურ-ინსპირაციულ წარმოდგენაში. კონკრეტულად თუ ვიტყვით, როცა წარმოდგენის იმაგინაციურ-ინსპირაციულ წარმოდგენაში ჩასწვდები იმას, რაც თვალისთვის წარმოდგენს გრძნობად აღქმასა და მის აზრობრივ გაგრძელებას, ამის წყალობით კი მიდიხარ მხედველობის ორგანოს იმაგინაციისკენ, შესაბამისად, როცა ინსპირირებული იმაგინაციის მეშვეობით მიდიხარ მხედველობის ორგანოს აღქმამდე, მაშინ ეს მოქმედება გრძელდება შიგნით, შემდეგ აქ წარმოიქმნება გადაკვეთა და სწორედ მაშინ იმ მოქმედებით, რომლითაც თავიდან აქ მოცული იყო თვალი, მოიცავს სხვა ორგანოს. არსებითად ეს არის თირკმელი.

დაახლოებით ასეა სხვა ორგანოებისთვისაც. ადამიანის შინაგანში ამ იმაგინაციურ-ინსპირაციული მოქმედების გაგრძელებით ყოველთვის აღმოაჩენ, რომ გარკვეულ დონეზე ამ ინსპირირებული იმაგინაციით მოიცავს უკვე მზა ორგანოებს, – უკიდურეს შემთხვევაში თავის ჩანასახებში ეს ადამიანის დაბადებისას მთლიანად მზადაა, – და ასე მიიწევს წინ ადამიანის ორგანიზმის ჭეშმარიტი შინაგანი განხილვისკენ. ეს სრულიად განსაკუთრებული სირთულეა. და რამდენადაც იმ დროისთვის მე არა მარტო უნდა დამემთავრებინა წიგნი, არამედ ასევე უნდა წამეკითხა ლექციების სხვა ციკლიც, რომლისთვისაც აუცილებელი იყო სხვა კვლევები, ამიტომ თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მისი დამთავრება იმ დროისთვის განვითარებული ამ მეთოდებით, – ახლა ეს უკვე მრავალი წლისაა, – იოლი არ იყო.

მე საჭიროა, მხოლოდ შეგახსენოთ კიდევ სხვა სირთულეზე, რომელიც მდგომარეობს სწორედ იმაში, რაც დასაწყისში გამუდმებით უკან დაგახევინებს. ეს ჭეშმარიტი წინსვლა, თუ ის აუცილებელია, რომ განხორციელდეს, არის რაღაც ისეთი, რაც უკვე მოითხოვს შინაგანი ძალების მტკიცე მთლიანობას. ფაქტობრივად აუცილებელია, კვლავ და კვლავ ხელი მოვიკი-

დღით, მე ვიტყვოდი, წარმოდგენის ძალთა განმტკიცებას, სამშენველში შინაგანი ძალების მუშაობას სიყვარულის მიმართულებით გარეგანი ბუნებისკენ, გავხადოთ ის სულ უფრო ინტენსიური. სხვაგვარად ყოველთვის იოლად მოისვრიან გვერდზე. ამჩნევ, რომ შედიხარ საკუთარ თავში, მაგრამ ყოველთვის კვლავ მოსროლილი ხარ უკან და სინამდვილეში იმ რაღაცის ნაცვლად, რომლის დახასიათებაც მე მსურდა ასეთი შინაგანი სახით, იღებ რაღაც მცდარს. საჭიროა, გადაილახოს ის, რაც აქ ვითარდება, როგორც რაღაც ანასახი.

ამრიგად, მე მსურდა, თქვენთვის მომეთხრო წარსულზე იმისათვის, რათა თქვენ გენახათ, რომ სულისმკვლევარს შეუძლია იმ მომენტებზეც მიუთითოს, როცა ის ებრძვის სულიერი კვლევის ზოგიერთ პრობლემას. თუმცა, სამწუხაროდ, ჩემ მიერ მოთხრობილი მოვლენების მომდევნო წლებში, ჩემი დრო, განსაკუთრებით ბოლო წლები, იმდენად იყო შევსებული უამრავი გარემოებებით, რომ მე ვერ შევძელი, განმეხორციელებინა ნამდვილად აუცილებელი მოღვაწეობა, რომელიც მე აღვნიშნე, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, – ეს იყო ამ „ანთროპოსოფიის“ დასრულება. ვინაიდან, ყოველთვის, როცა გამოჩნდებოდა ოდნავი პერსპექტივა „ანთროპოსოფია“ ცოტათი წინ წამეწია, მე მიხმობდნენ სხვადასხვა რამეზე, აუცილებელი იყო ესა თუ ის, და ჩვენი ამჟამინდელი მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროში საჭირო იყო სხვადასხვა სხდომის გამართვა.

1921 წ. 22 მარტის მოხსენება, შტუტგარტი, შესულია ტომში: „ბუნების დაკვირვება, ექსპერიმენტი, მათემატიკა და სულიერი კვლევის შემცნების საფეხურები“ (ანთროპოსოფიის თვალსაზრისით), GA324.

საკმარისია, მხოლოდ განიხილოთ გრძნობის ორგანოები, მაგ., თვალი, რომელშიც თავიდან გვაქვს ერთი ჯიბე: თვალებუდეები; შემდეგ კი შევსება. ეს შევსება, რომელიც უმთავრესად გრძნობის ორგანოებთან ხდება, დაკავშირებულია ზოლიაქოსთან ზუსტად ისევე, როგორც ჯიბის ფორმაა დაკავშირებული პლანეტარულ სფეროებთან. ადამიანს, რომელსაც ამ მიმართებით გააჩნია ყველაზე სრულყოფილი ფორმა, სწორედ აქედან

აქვს თორმეტი ჯიბე შევსებით, თუმცა ისინი სხვადასხვაგვარად არის შენიღბული. ამიტომაც უნდა ჩამომეთვალა მე ჩემს „ანთროპოსოფიაში“ გრძნობის თორმეტი ორგანო.

1921 წ. 5 ნოემბრის მოხსენება, დორნახი, შესულია ტომში: „ანთროპოსოფია, როგორც კოსმოსოფია“ – მეორე ნაწილი: ადამიანის ფორმირება, როგორც კოსმიური ზემოქმედების შედეგი“, GA 208.

*ამ გამოცემაზე*

*ტექსტის საფუძველი*

*ტექსტის შესწორება*

*შენიშვნები*

*შემდგომი გამონათქვამები გრძნობებზე სწავლებასა  
და თორმეტ გრძნობაზე რუდოლფ შტაინერის  
შრომებში*

*ადრინდელი გამოცემების ბიბლიოგრაფიული ნუსხა*

*რუდოლფ შტაინერის შრომების სრული კრებული*



## ამ გამოცემაზე

ფრაგმენტად შემორჩენილი თხზულება „ანთროპოსოფია“, იქმნებოდა 1909 წლის ოქტომბრის ბოლოდან 1910 წლის ნოემბრის ბოლომდე. 1909 წ. 23 ოქტომბერს ბერლინში პირველივე მოხსენებაში „ანთროპოსოფიაზე“ მოხსენებების სერიიდან, რომლებიც წაიკითხა თეოსოფიური საზოგადოების გერმანიის სექციის მერვე გენერალურ ყრილობასთან დაკავშირებით, რუდოლფ შტაინერმა განაცხადა, რომ ის ისურვებდა, რაც შეიძლება სწრაფად გამოექვეყნებინა „ანთროპოსოფიის მოკლე მიმოხილვა“. მოკლედ, მომდევნო წელს მეცხრე გენერალურ ყრილობამდე, 1910 წ. ოქტომბრის ბოლოს, მან დაიწყო სტამბაში ჯერ კიდევ დაუსრულებელი ხელნაწერების ჩაბარება. ის ასწორებდა დაბეჭდილ ფურცლებს და აგრძელებდა წერას. 1910 წ. ნოემბერში მან შეწყვიტა მუშაობა თხზულებაზე, რომელიც მას შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა. კვლევის დიად დარჩენილმა საკითხებმა, ენობრივი ფორმის საკითხებმა, ასევე დროის უკმარისობამ სხვა სამუშაოებით გადატვირთვის გამო ხელი შეუშალეს სამუშაოს დასრულებას, რომელსაც შტაინერი 1920/21 წწ. ადრინდელივით ახასიათებდა, როგორც თავისი მოღვაწეობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას. ამასთან დაკავშირებით წაიკითხეთ მისი გამონათქვამები თხზულების დაუმთავრებელ ფრაგმენტებზე, რომლებიც თავმოყრილია დანართში – 6.

თხზულებაზე მუშაობა, რომელიც სტილისტურად ხასიათდება სულისმეცნიერული და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის სისტემატური გამოყენებით, ემთხვევა წლებს, როცა იწყებოდა რუდოლფ შტაინერის ანთროპოსოფიული მიმდინარეობის გამოყოფა თეოსოფიური საზოგადოებისაგან. ეს იყო მოღვაწეობის ფაზა, რომლის დროსაც შტაინერმა 1910 წ. გამოქვეყნებული ნაშრომით „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“ დაასრულა ძირითადი შრომა ანთროპოსოფიულ სულისმეცნიერებაზე, ადამიანისა და სამყაროს შექმნასა და განვითარებაზე და დაიწყო სხვადასხვა მიმართულებით სოციალური სფეროების დამუშავება. მაშინ სხვასთან ერთად ის გეგმავდა ტრილოგიის დაწერას, რომელშიც „ანთროპოსოფია“ შექმნიდა პირველ ნაწილს. როგორც მან აღუთქვა პირველი თავის ბო-

ლოს, პირველ წიგნს უნდა მოჰყოლოდა წიგნები „ფსიქოსოფია“ და „პნევმატოსოფია“. ჩანაფიქრის პირველი ნაწილი თუ ეძღვნებოდა ადამიანის სხეულებრიობის გაგებას, მაშინ მეორეს უნდა მოეცა წმინდა მშენიერი, ჭეშმარიტი ფსიქოლოგიის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა, მესამეს კი – ადამიანში სულიერის კვლევა. განზრახვა განხორციელდა რუდოლფ შტაინერის მიერ 1910 და 1911 წწ. მომდევნო გენერალურ ყრილობებთან დაკავშირებით წაკითხული მოხსენებების ციკლში, შესაბამისად ოთხი მოხსენება „ფსიქოსოფიაზე“ და ოთხი – „პნევმატოსოფიაზე“. „ანთროპოსოფიაზე“ მოხსენებების პირველ ციკლთან ერთად ეს მოხსენებები სრულად არის შესული კატალოგის ტომში „ანთროპოსოფია-ფსიქოსოფია-პნევმატოსოფია“, GA115. არჩეული მიმართულების მეთოდისკანსა და შინაარსს უნდა გამოეხატა არა მარტო ანთროპოსოფიული სულისმეცნიერების ახალი დასაბუთება, არამედ ეპოვა კიდევ გამოყენების გზები მეცნიერებებში, მათი იმჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამასთან წინა პლანზე წამოყენებულია ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მეშვეობით ფრანც ბრენტანოს განმარტება. შტაინერმა უარი თქვა წერილობითი ფორმით გადმოცემის გეგმის განხორციელებაზე, მას შემდეგ, რაც ის იძულებული გახდა, დაუსრულებელი „ანთროპოსოფია“ შეეწყვიტა. თუმცა, ის ჩაერთო შემდგომ კვლევებში, რომლებმაც ახალი შედეგები მოიტანა. 1917 წელს გამოქვეყნებული თავისი თხზულების, – „სამშენიველის გამოცანებზე“ GA21, – ესკიზური განვრცობით მან განაახლა დაწყებული თემების გადმოცემა, როცა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ტექსტების ამჟამად გამოქვეყნებული შინაარსების საფუძველში ჩაღებულია წლობით და ათწლეულებით განგრძობადი კვლევები „თანამედროვეობის მეცნიერული საშუალებების“ გამოყენებით; ამ კვლევების განხორციელება სინამდვილეში მოითხოვდა ძალზე ვრცელ გადმოცემას, რისი საშუალებაც მას დროის გარემოებებმა არ მისცა. ამის შედეგად ფრაგმენტი „ანთროპოსოფია“ საჭიროა, განვიხილოთ, როგორც კვლევის გზის ეტაპი, რომლის შედეგებიც შტაინერმა მიაკუთვნა თავის ცენტრალურ მეცნიერულ აღმოჩენებს და ისინი იმდენად მომწიფდა 1916/17 წწ., რომ ის ჩქარობდა მათ წერილობით გამოქვეყნებას თუნდაც მოკლე მონახაზებში.

ფართოდ გავრცელებული იმპულსები, იდეები და პრაქტიკული ინიციატივები, რომელთა მოცუმაც შტაინერს შეეძლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სოციალური ურთიერთობების, მეცნიერების, პედაგოგიკის, მედიცინისა და ცხოვრების სხვა სფეროების ფორმირებისთვის, მრავალი მიმართებით სწორედ ამ აღმოჩენებს ეფუძნება.

თხზულების „ანთროპოსოფია“ აზრთა მსვლელობა თავის დასაბამს იღებს ადამიანის გრძნობების სულისმცნეიერული კვლევისგან. უკვე XIX საუკუნის ბოლოს თავის შემეცნებით-თეორიულ თხზულებებსა და გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომების კომენტარებში შტაინერი ფილოსოფიურად საფუძვლიანად იკვლევს გრძნობების აღქმის არსს. 1909/10 წწ. მან განაავითარა მოძღვრება გრძნობებზე, რომელმაც იმ დროს აღიარებული გრძნობების რიცხვი ათამდე გაზარდა. ამასთან, შტაინერს დროის ამ პერიოდში ჯერ კიდევ ჰქონდა შეხედულება, რომ სხვა „მე“-ს შეხებისა და აღქმის პროცესი სინამდვილეში გრძნობად აღქმებს კი არ წარმოადგენს, არამედ გრძნობების სფეროს შემზღვრავ ადგილებს ფიზიკურ-გრძნობადი გარე სამყაროსა და ზეგრძნობად სამყაროსთან მიმართებით. ეს თვალსაზრისი თავად მას არასდროს გამოუქვეყნებია. 1916 წლიდან დაწყებული ის ზეპირ მოხსენებებში ყოველთვის კვლავ და კვლავ სხვადასხვა კუთხით გადმოსცემდა დროის ამ პერიოდში განვრცობილ თავის შეხედულებებს ადამიანის ყველა თორმეტ გრძნობაზე. 1917 წ. თავის თხზულებაში „სამშვინველის გამოცანებზე“, GA 21, მან გამოაქვეყნა მიმოხილვა ადამიანის თორმეტ გრძნობაზე, როცა ასლა ჩაერთო ასევე შეხება და სხვა „მე“-ს უშუალო აღქმა. მხოლოდ ეს მიმოხილვა შეიძლება, განვიხილოთ მისი შრომის საკმარისი წერილობითი წარმოდგენის სახით. ამისთვის მომზადებულ სამუშაოდ შეიძლება, მივიჩნიოთ 1909/1910 წწ. მოხსენებები და ფრაგმენტი, რომლებშიც, ცხადია, მიმოხილვაში მოცემული დეტალურადაა ასახული. ეს ხსნის იმას, მოგვიანებით თუ რატომ არ შედიოდა შტაინერი ხშირ შემთხვევაში დეტალებში და მოკლედ რატომ საუბრობდა იმაზე, რომ ადამიანის თორმეტი გრძნობის მისი კვლევა განეკუთვნება 1909/1910 წწ., – მისთვის ხომ ადრინდელი ნარკვევის მხოლოდ ცვლილება მოხდა. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ,

რომ უკვე 1910 წ. შტაინერი ამოდის განცდის თორმეტი სფეროდან, როცა ათი გრძნობა მოათავსა შეხების ორგანოსა და „მე“ ორგანოს საზღვრებს შორის, რაზეც მეტყველებს, როგორც გამონათქვამები ფრაგმენტში, ასევე უამრავი ჩანიშვნები ჩანაწერების წიგნაკებში. სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ სხვა „მე“-ს შეხებასა და აღქმას იმ დროს ის ჯერ კიდევ არ განიხილავდა, როგორც საკუთარ გრძნობებს ფიზიკურ-გრძნობადი სამყაროს ფარგლებში. ამის კარგად დანახვა შეიძლება ასევე ჩანაწერების აღდგენილ ფურცელზე (არქივის № NZ63), რომლის ნახაზიც აჩვენებს განცდის თორმეტ სფეროს და გრძნობის ათ სფეროს. სწორედ გრძნობებზე სწავლების განვითარება დასაწყისში ათი, შემდეგ კი თორმეტი გრძნობისკენ, მიუთითებს იმაზე, რომ შტაინერი გრძნობების კვლევის დროს არავითარ შემთხვევაში არ ამოდის აპრიორი თორმეტეული სქემიდან, რომ ის, მართალია აღწერდა კიდევ განცდის თორმეტ სფეროს, მაგრამ ნამდვილი გრძნობის სახით თავიდან განიხილავდა მხოლოდ ათ გრძნობას. მხოლოდ შემდგომმა კვლევებმა მიიყვანა იგი იმასთან, რომ 1916 წლიდან დაწყებული, როგორც შეხების პროცესი, ისე სხვა „მე“-ს აღქმა განეხილა სრულფასოვანი გრძნობების სახით ადამიანის გრძნობის შესაბამისი ორგანოებით, რასაც ის ყოველთვის წარმოიდგენდა უდიდესი ძალით, განსაკუთრებით „მე“ გრძნობასთან მიმართებით. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ამ ნაწილის ბოლოს შეკრებილი ფრაგმენტები ნაშრომების სრული კრებულიდან, რომელიც გრძნობებზე სწავლების საკითხში წინ წაგვწევს. იხ. გვ. 182 და მომდ.

„ანთროპოსოფიაზე“ მუშაობის დროიდან სამ სფეროში ადამიანის გრძნობების ორგანიზაციის ძირითადი აგებულება შტაინერის ყველა გადმოცემაში რჩება შემდეგი: შინაგანი, სხეულებრივი გრძნობების ქვედა სფერო; ნახევრად შინაგანი, ნახევრად გარეგანი გრძნობების შუა სფერო; მშვინვიერი სახის გრძნობების ზედა სფერო, რომელიც მთლიანად მიიწევს გარეთ. სხეულებრიობასთან დაკავშირებული გრძნობების მისეული განსხვავებით და მეტყველების, წარმოდგენისა და „მე“ გრძნობების, როგორც უმაღლესი გრძნობების კვლევით შტაინერი საკუთარ თავს ხედავდა, ერთი მხრივ, გაბატონებულ მეცნიერებასთან ოპოზიციაში, მაგრამ მეორე მხრივ, ასე-

ვე თანხმობაში თავისი დროის ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის მისწრაფებათა ზოგიერთ მწვერვალებთან: 1910 წ. ნოემბერში მის მიერ წაკითხულ მოხსენებებში „ფსიქოსოფიაზე“, ერთდროულად ან რამდენიმე დღეში „ანთროპოსოფიის“ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ ფურცლებზე მუშაობის შემდეგ, ის შეუდგა ფილოსოფოს ფრანც ბრენტანოს (1838-1917) საფუძვლიან განხილვას; შემდეგ თხზულებაში „სამშენიველის გამოცანებზე“ 1917 წელს ის გამოთქვამს გარკვეულ რეზიუმირებულ თვალსაზრისს ახლახან გარდაცვლილი ბრენტანოს აზროვნებასთან დაკავშირებით; იმავე თხზულებაში შტიინერი თავის ნარკვევთან დაკავშირებით მიუთითებს ადამიანის გრძნობებზე, ვიდრე დილტეისთან (1833-1911) იდეების ანალოგიურად მიმდინარე ტენდენციებზე; 1920 წლის 20 ოქტომბრის საღამოს მოხსენებაში, GA322, „მე“ გრძნობის გამოხატვასთან დაკავშირებით მან ყურადღება მიაპყრო მაქს შელერს (1874-1928) და მის თეორიას სხვა პიროვნების უშუალო აღქმაზე; და „ანთროპოსოფიაშიც“ ზოგიერთ ადგილას მან საკუთარი სულისმეტყველებით კვლევებიდან აშკარად შენიშნა მომავალი საბუნებისმეტყველო აღმოჩენები, დაკავშირებული ადამიანის ორგანოებთან.

თხზულება „ანთროპოსოფიის“ გადმოცემის, ისევე, როგორც წინარე წლების იმავე სახელის მოხსენებების გადმოცემის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ეჩვენებინა ადამიანის გეშტალტისა და ადამიანის ორგანიზმის ორგანოთა მაფორმირებელი ძალები, როგორც რაღაც პრობლემა, რომელიც შრეებად გასდევდა მთელ მის შრომას. ადამიანის გამართული გეშტალტი, როგორც ორი ძალოვანი მიმართულების შეხვედრა ზევით და ქვევით, მხარეთა სიმეტრია, მიმართულება წინ, ცალკეული ორგანოების მდგომარეობა და ფორმა საჭიროა, გავიგოთ ქმედითი სხეულებრივი და მშენივერ-სულიერი ფაქტორებით ადამიანის ქმნადობაში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ რუდოლფ შტიინერი ამავე დროს იკვლევდა ადამიანის ძალებს, რომელიც ისწრაფოდა ზევით ქვეცნობიერის სიღრმეებიდან, რომელთაც ადრეულ ბავშვობაში მიჰყავთ სწორედ დღომის, ლაპარაკისა და აზროვნების სწავლებისკენ; ამ საკითხთან დაკავშირებით ის. 1911 წ. მის მიერ კოპენჰაგენში წაკითხული ლექციები: „ადამი-

ანისა და კაცობრიობის სულიერი წინამძღოლობა. კაცობრიობის განვითარების სულისმცნიერული განხილვა“, GA15. გარდა ამისა, ადამიანის გეშტალტის კვლევასთან დაკავშირებით საჭიროა, განვიხილოთ ადამიანის ორგანიზმის სამწვერიანობის შემეცნება, როგორც მნიშვნელოვანი განვრცობა შეხედულების, რომელიც თავდაპირველად 1909/1910 წწ. ჩაიდო ფრაგმენტში „ანთროპოსოფია“, მოგვიანებით კი მომწიფდა და გამოქვეყნდა 1917 წელს ნაშრომში „სამშენველის გამოცანები“. მხოლოდ ამის წყალობით გახდა შესაძლებელი დაკვირვება იმისა, როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული წარმოდგენის, გრძნობისა და სურვილების მშენიერი პროცესები და იმაგინაციის, ინსპირაციისა და ინტუიციის სულიერი სამყაროები თვით მოქმედების სამი ერთმანეთის განმსჭვალავი სფეროს ნერვულ-გრძნობადი სისტემის, სუნთქვის რიტმული სისტემისა და სისხლის ცირკულაციის, ასევე ნივთიერებათა ცვლის სისტემის სხეულებრიობამდე.

## ტექსტის საფუძვლები

### *ტექსტის დოკუმენტები*

ფრაგმენტს „ანთროპოსოფია“ არ შეიძლება რაიმე საბოლოო ტექსტის სახე მიეცეს, რამდენადაც რუდოლფ შტაინერმა 1910 წ. ოქტომბერში, მართალია, დაიწყო ნაწარმოების გადაცემა სტამბისთვის, მაგრამ მაშინ ის არ იყო არც დასრულებული, არც გამოქვეყნებული. მის მემკვიდრეობაში არსებობს ტექსტები დასრულების სხვადასხვა სტადიაზე, რომლებიც ამავე დროს ნაწილობრივ ვარიანტებსაც შეიცავს. ეს გამოცემა შეიცავს დამთავრებული თხზულების ათ თავს, რომელიც შეესაბამება ტექსტის ბოლო არსებულ სტადიას და დანართში – ფრაგმენტის ლიტერატურული ტექსტისთვის ყველა მასალას. ფრაგმენტის ტექსტისთვის დოკუმენტების სახით რუდოლფ შტაინერის არქივში არსებობს:

ა) 52 გვერდისგან შემდგარი ხელნაწერი, დანომრილი რუდოლფ შტაინერის მიერ, ამასთან აკლია გვერდი 29 და არ შემონახულა. დანარჩენში მთელი ნაშრომი, რამდენადაც მოხერხდა მისი დასრულება, შეიცავს I-X თავებს იმ ადგილამდე, სადაც X თავში ტექსტი წყდება. გარდა ამისა, არსებობს ორიგინალის ერთი ხელნაწერი გვერდი ათი თავისი შინაარსის ჩამონათვალით.

ბ) თითოეულ შემთხვევაში პირველი და მეორე კორექტურის საბეჭდი თაბახების ერთი ან რამდენიმე ეგზემპლარი, ა. ვ. ჰაინს ერბენის სტამბა, პოტსდამი. საბეჭდი თაბახი დათარიღებულია სტამბის მიერ და შეიცავს წიგნის 16-16 გვერდს.

პირველი კორექტურის ხუთი საბეჭდი თაბახი შეიცავს წიგნის დაკაბადონებული და დანომრილი ტექსტის 80 გვერდს. ისინი შეიცავს ტექსტს თვით IX თავის ბოლოსწინა გვერდამდე. ისინი შეიცავს რუდოლფ შტაინერის ხელნაწერ კორექტურებს, კერძოდ, შემდეგი სახით: თაბახი I, 1910 წ. 24 ოქტ. 1 ეგზემპლარი კორექტურებით; თაბახი II, 1910 წ. 25 ოქტ. 1 ეგზემპლარი კორექტურებით; თაბახი III, 1910 წ. 26 ოქტ. 2 ეგზემპლარი ნაწილობრივ მსგავსი, ნაწილობრივ ერთმანეთისგან განსხვავებული კორექტურებით. თაბახი IV, 1910

წ. 28 ოქტ. 2 ეგზემპლარი ნაწილობრივ მსგავსი, ნაწილობრივ ერთმანეთისგან განსხვავებული კორექტურებით; თაბახი V, 1910 წ. 29 ოქტ. 1 ეგზემპლარი კორექტურებით. – ასევე არსებული მეორე კორექტურის ნაბეჭდი თაბახები შეიცავს პირველი კორექტურის პირველ ორ თაბახს შესრულებული კორექტურებით, ამასთან პირველი თაბახები არაა დაჭრილი. მეორე კორექტურის არც ერთ თაბახზე არ ვლინდება არანაირი ახალი კორექტურა.

გ) იმ ადგილიდან, სადაც IX თავში მთავრდება ნაბეჭდი თაბახები, თვით X თავის დასაწყისამდე, არსებობს ნაბეჭდი სვეტების კიდევ ოთხი გვერდი. მომდევნო ნაბეჭდი თაბახი უკვე არასრულია; ხელნაწერი აგრძელებს თხზულებას ბოლო სვეტების ფარგლებს გარეთ მხოლოდ რამდენიმე გვერდზე. სვეტებიდან მხოლოდ პირველია დანომრილი და სტამბის მხრიდან ორ ეგზემპლარს აქვს თარიღები 1910 წ. 31 ოქტ. და 28 ნოემბერი; მეორე დაკაბადონებულია ჯერ კიდევ, როგორც წიგნის გვერდები, მაშინ, როცა მესამე და მეოთხე გვერდები უკვე არაა დაკაბადონებული. ნაბეჭდ სვეტებს არანაირი კორექტურა არა აქვთ.

დ) ხელნაწერების, ნაბეჭდი თაბახებისა და სვეტების გვერდით რუდოლფ შტაინერის არქივში შემონახულია ცალკეული ხელნაწერების კორპუსი (korpus) სხვადასხვა სიგრძის, რომლებიც წარმოადგენს წინასწარ საფეხურებსა და მონახაზებს თხზულების ხელნაწერის სხვადასხვა ადგილისთვის. ყველა ეს ცალკე არსებული ხელნაწერ-მონახაზი გამოქვეყნებულია დანართში 2 ორიგინალურ ორთოგრაფიაში, იხ. გვ. 117 და მომდ.

### *მოხსენებები „ანთროპოსოფიაზე“ – 1909*

ფრაგმენტის კუთვნილი საარქივო მასალებს შეიძლება, ასევე მივაკუთვნოთ „ანთროპოსოფიაზე“ მოხსენებები, წაკითხული ბერლინში, 1909 წ. 23-27 ოქტომბერს. ამ მოხსენებების შინაარსის ძირითადი მიმართულება შეესაბამება იმას, რის მოკლედ გადმოცემასაც რუდოლფ შტაინერი ესწრაფოდა თხზულებაში „ანთროპოსოფია“ და წიგნის გამოქვეყნების ჩანაფიქრი სწორედ ამ მოხსენებების პერიოდს უკავშირდება. ეს მოხ-



სენებები გამოქვეყნებულია შრომების სრული კრებულის მეოთხე გამოცემაში, ტომში „ანთროპოსოფია-ფსიქოსოფია-პნევმატოსოფია“, GA115, დორნახი 2001.

*ჩანაწერები ჩანაწერების წიგნაკებსა და ცალკეულ ფურცლებზე*

შემდეგ ჩანაწერების წიგნაკებსა და ცალკეულ ფურცლებზე არის რუდოლფ შტაინერის მრავალრიცხოვანი ჩანაწერი, რომელიც უერთდება თხზულებას „ანთროპოსოფია“ შექმნის გარემოებიდან გამომდინარე, შინაარსისა და მუშაობის პერიოდით. უმთავრესად ისინი შეიცავს სქემებსა და მითითებებს ადამიანის გრძნობების დანაწევრებისთვის. ამ ჩანაწერების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია, როგორც „რუდოლფ შტაინერის ჩანაწერები გრძნობებზე სწავლებისთვის“, GA34, 1971 წ. ჰენდრიკ კნობელის რედაქციით. ადრინდელი გამოცემების მსგავსად ამ გამოცემაშიც არაა გათვალისწინებული ჩანაწერები ბლოკნოტსა და ფურცლებზე, იმ ფურცლის გამოკლებით, რომელიც რუდოლფ შტაინერმა აშკარად მონიშნა – „ანთროპოსოფიისთვის“; მიუხედავად იდეური განვითარებისადმი თავისი შინაარსობრივი კუთვნილებისა და ფრაგმენტის ჩამოყალიბებისა, ნახატები წარმოადგენს სამუშაოს რაღაც თავისებურ კომპლექსს და შეიძლება განიხილონ არა ხელნაწერის წინასწარი სტადიის სახით, არამედ „ანთროპოსოფიის“ ლიტერატურული ტექსტისთვის უშუალო მონახაზის სახით.

*დაუსრულებელი კვლევა მოსმენაზე და ლაპარაკზე*

დაუსრულებელ, მაგრამ დამოუკიდებელ ხელნაწერს, სავარაუდოდ, დაკავშირებულს „ანთროპოსოფიაზე“ მუშაობასთან, წარმოადგენს მსჯელობა 15 გვერდზე ჩანაწერების წიგნაკში, არქივის № NB210, მოსმენაზე და ლაპარაკზე. დაუმთავრებელი კვლევა, დაბეჭდილი ხელნაწერის მიხედვით, მოტანილია დანართის სახით, 5, იხ. გვ. 140 და მომდ.

## *თხზულების სათაური*

ხელნაწერსა და ნაბეჭდ თაბახებს არანაირი სათაური არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი იწყებოდა შესაბამისად ტექსტიდან I თავში. პირველი თავის ბოლოს, რომელსაც ჰქონდა პროგრამული სათაური „ანთროპოსოფიის ხასიათი“, შტაინერი საუბრობს (გვ. 21) „ანთროპოსოფიის“ მოკლე მონახაზზე, რომელიც უნდა დაწერილიყო წიგნის სახით. როდესაც აუწყებდა ოთხ მოხსენებაზე ბერლინში, 1909 წ., რომელშიც პირველად ეს შინაარსი ზეპირად იყო წარმოდგენილი, მათ თავად შტაინერმა უწოდა „ანთროპოსოფია“; სწორედ 1909 წ., 23 ოქტომბრის პირველ მოხსენებაში მან ისაუბრა უახლოეს მომავალში მოხსენებების შინაარსის ლიტერატურული გადმოცემის გეგმაზე, როგორც „მოკლე მიმოხილვა იმისა, რა არის ანთროპოსოფია“; იხ. „პირადი გამონათქვამები“, გვ. 191. და როგორც 1911 წ. წერილში, ისე გარკვეულ მიმოხილვაში ათი წლის შემდეგ, 1921 წ. შტაინერი საუბრობს თავის დაუმთავრებელ თხზულებაზე სათაურით „ანთროპოსოფია“ (იხ. პირადული გამონათქვამები, გვ. 191 და 195). ამ ყველაფრიდან გამომდინარე სათაური „ანთროპოსოფია“ შეიძლება მივიღოთ, როგორც მტკიცედ დადგენილი. – ქვესათაური „ფრაგმენტი“ დაურთო გამოცემის პასუხისმგებელმა რედაქტორმა, რათა მკაფიოდ ეჩვენებინა ნაწარმოების დაუმთავრებელ ხასიათი, ამასთან ეს გამოთქმა თხზულებისთვის უკვე ნამდვილად შტაინერის მიერ იყო მოყვანილი, იხ. პირადი გამონათქვამები, გვ. 151.

## *ტექსტის განლაგება და ფორმა*

ამ გამოცემაში, რამდენადაც შესაძლებელია, ტექსტი ყოველთვის მისდევს მის უკანასკნელ შენარჩუნებულ სტადიას, ანუ თავიდან მარტივად ან ორ ვარიანტში კორექტირებული ნაბეჭდი თაბახები, შემდეგ არაკორექტირებული სვეტები, და ბოლოს, როცა ისინი მთავრდება, ხელნაწერი. კერძოდ ეს ნიშნავს, რომ ტექსტის მიმდევრობა არის ასეთი:

ა) I-დან III-თავამდე ნაბეჭდი თაბახები, კორექტირებულია ერთხელ;

ბ) IV-თავიდან ადგილამდე „კვების რაღაც სახე“ VII თავში, გვ. 54, დუბლირებული და ერთმანეთისგან განსხვავებული ნაბეჭდი თაბახები მთავარი ტექსტისთვის ვარიანტების ნაკრებით და ყველა ვარიანტის ნუსხა დანართში, რაზეც მითითებულია ქვევით;

გ) ამ ადგილიდან VII თავში ადგილამდე „სასიცოცხლო ორგანოებით“, IX თავში, გვ. 68, ნაბეჭდი თაბახები კვლავ მხოლოდ ერთ ვარიანტში;

დ) IX თავის ამ ადგილიდან X თავის ადგილამდე „გადაბრუნებული“, გვ. 72, არაკორექტირებული სვეტები;

ე) X თავის ამ ადგილიდან ტექსტის ბოლომდე, გვ. 79, ხელნაწერი.

ძირითადი ტექსტის მართლწერა პრინციპულად ეფუძნება ნაბეჭდი თაბახების ვარიანტს. საეჭვო შემთხვევაში შედარებულია ხელნაწერთან. ნაბეჭდი თაბახების სტილი გამოყენებულია ასევე ტექსტში მიღებული კორექტურისა და ვარიანტებისთვის, აგრეთვე უკანასკნელი თავის ნაწილისთვის, რომლისთვისაც ტექსტის საფუძვლის სახით გვაქვს მხოლოდ ხელნაწერი ტექსტი. შეუძლებელია იცოდეთ, რა ზომით მოახდენდა რუდოლფ შტაინერი არსებული ტექსტის შემდგომ შინაარსობრივ და სტილისტურ ცვლილებებს. VI თავისთვის მოყვანილი მრავალი ვარიანტის საფუძველზე ეს შეიძლება დაგუშვათ, როგორც ძალზე მოსალოდნელი. უკიდურეს შემთხვევაში მან ერთხელ მაინც დაათვალიერა და კორექტურა გაუკეთა ნაბეჭდ თაბახებს.

ხელნაწერთან მიმართებით საბეჭდი თაბახების მართლწერა განსხვავდება უპირველეს ყოვლისა: უცხო სიტყვებთან (ეთერული, ინსტინქტური); gibt-ის ნაცვლად giebt-ის წერისას, ß-ის წერის უნიფიცირებისას (daß, außen ნაცვლად dass, aussen); რამდენიმე შემთხვევაში დიდი და პატარა ასოების წერისას, ასევე დაყოფილი და შერწყმული წერისას (zugrunde, . . . ნაცვლად იმისა, როგორც ყოველთვისაა ხელნაწერში Zu grunde . . .); დაბოლოების შემოტანა e (ზოგჯერ hoheren, inneren ნაცვლად hohern, innern; insofern ნაცვლად იმისა, როცა ხელნაწერში ხშირად არის insoferne); სიტყვაში ორი S-ის გამოყენებისას (ყველაზე

ხშირად Geruchssin, Geschmakssin - Geschmaksin და Geruchsin-ისთვის); და ცალკეულ შემთხვევებში პუნქტუაციას.

ადრინდელ გამოცემებთან მიმართებით შემოკლებები დატოვებულია ორიგინალის ფორმით (ასეა ყოველთვის Z. B. ნაცვლად Zum Beispiel) და გარდა ამისა ჩვეულებრივ ტექსტი კვლავ გადაიხედება, დარდება დოკუმენტებს და ხშირად ორიგინალს უახლოვდება. ხელნაწერების წინასწარ სტადიაზე დაწინაურებაში არაა გათვალისწინებული მართლწერის ერთიანი სტანდარტიზაცია. ისინი ქვეყნდება ხელნაწერი ტექსტის ორიგინალურ ორთოგრაფიაში. მათში საუბარია მონახაზებზე და უმთავრებელი ნაწარმოებისთვის, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე თავად ნაწარმოები და უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც წინასწარი ვარიანტები.

ძირითად ტექსტში გამომცემლობის ჩარევა მართლწერისას და ორთოგრაფიისას ნაბეჭდი თაბახების ყველა საბოლოო ორიგინალთან მიმართებით, ასევე კორექტურები და ხელნაწერები მონიშნულია ქვემოთ.

#### *ორმაგი კორექტურული რედაქტირების ვარიანტები IV-VII თავებისთვის*

განსაკუთრებულ პრობლემას ფრაგმენტის გამოცემისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შტაინერმა მესამე და მეოთხე ნაბეჭდი თაბახების, IV-დან VII თავის ჩათვლით, ორ ეგზემპლარში მოახდინა ორმაგი კორექტირება. რატომ – უცნობია. შეიძლება დავუშვათ, რომ აქ შტაინერი ტექსტის კორექტირებას ახდენდა ორჯერ, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბევრი ადგილის ფორმულირებისას ის ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი. ასე ჰგავს კორექტურა ნაწილობრივ ორივე ვარიანტის იმავე ადგილის კორექტურებს, ნაწილობრივ ეს კორექტურები, შესრულებულია მხოლოდ ერთ რედაქციაში, ნაწილობრივ ეს არის, – და ეს ხშირად ხდება, – კორექტურის განსხვავებული რედაქციები ტექსტში იმავე ადგილისთვის ორივე ეგზემპლარში. ამრიგად, არსებობს კორექტურის პარალელური ვარიანტები, რომლებსაც ვერანაირ უპირატესობას ვერ მიანიჭებ. ხელნაწერის ამ მდგომარეობის გამო აქ შეუძლებელია ტექსტის ერთიანი ფორმა მისი ბოლო სტადიით.

მოცემული გამოცემისთვის წარმოდგენილია კორექტურის ორივე ვარიანტი აღნიშვნით A და B, და გამოყენებულია შემდეგი მეთოდი:

ა) ორივე რედაქციაში მსგავსი კორექტურები შემდგომი დასაბუთების გარეშე ჩართულია ძირითად ტექსტში, როგორც ტექსტის ბოლო საფეხური.

ბ) ხოლო ერთ რედაქციაში კორექტირებული ადგილები ასევე ყოველთვის ჩართულია ძირითად ტექსტში, რამდენადაც ადგილი კორექტირებულია მინიმუმ ერთხელ და ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს გადაკეთებულად, ამასთან მეორე ნაბეჭდი თაბახის გაუსწორებელი ადგილი ასევე შტაინერის მიერ გადათვალიერებული და კორექტირებული, ვარიანტის სახით ნაჩვენებია დანართში.

გ) ერთი და იმავე ადგილის განსხვავებული კორექტურებიდან A და B რედაქციაში ერთი არჩეულია ძირითადი ტექსტისთვის, მეორე კი ვარიანტის სახით ნაჩვენებია დანართში. შესაბამისად სტილისტური ან შინაარსობრივი თვალსაზრისით გაკეთებული არჩევანი არ უნდა განვიხილოთ, როგორც მნიშვნელოვანი, რამდენადაც ძირითადი ტექსტის საფუძველზე არ შეიძლება რაიმენაირი ნამდვილად ბოლო ვარიანტის მოცემა, არამედ შტაინერის მხოლოდ ალტერნატიული ფორმულირება.

დ) დანართში 1, გვ. 101 და მომდ. შეიძლება უშუალოდ შედარდეს ყველა ვარიანტი. შესწორებული ვარიანტების პრობლემა ხდება პირობითი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი ყველაზე ხშირად აჩვენებენ შინაარსის ენობრივ გამოხატულებას და იშვიათად – შინაარსის ახალ სახეს. ისინი აჩვენებენ რუდოლფ შტაინერის ბრძოლას რთულ ენობრივ ფორმასთან ამ თხზულებისთვის, ბრძოლას, რომელიც თავად მან მრავალჯერ აღწერა; იხ. პირადი გამონათქვამები გვ. 190 და მომდ. და ბოლოს, საჭიროა, მკაფიოდ ხაზი გაესვას, რომ მთელი დანარჩენი ტექსტიც არ წარმოადგენს რუდოლფ შტაინერის ერთიანი თხზულების საბოლოო ვარიანტს, არამედ – დაუმთავრებელი მონახაზის ერთ ფრაგმენტს, რომელზეც მან მუშაობა შეწყვიტა.

## *ტექსტის კორექტურები*

ქვემოთ მონიშნულია ტექსტში გამოძცემლობის ყველა ჩარევა, როცა ის განსხვავდებოდა ბოლო ორიგინალისაგან, რომელიც საექვო შემთხვევებში დარღებოდა ხელნაწერთან. ხელნაწერი კორექტურების შესაბამისობაში მოყვანა ნაბეჭდ თაბახებში, როგორც ხელნაწერის ორიგინალში X თავის ბოლო ნაწილისთვის ნაბეჭდი თაბახებისა და სვეტების ორთოგრაფიისთვის I თავიდან X თავამდე სპეციალურად არაა ნაჩვენები, როცა საქმე ეხება მხოლოდ შესაბამისი მართლწერის გამოყენებას (მაგ., daß, direkt ნაცვლად dass, direkt ა. შ.), გარდა ამისა სხვა შემთხვევებშიც. თავიდან გვერდისა და სტროფის მითითებისას ყოველთვის მოცემულია ტექსტის სახე მოცემულ გამოცემაში, მას გვერდით მოსდევს ორიგინალის ტექსტის სახე, დაწყებული ნაბეჭდი თაბახებიდან:

17,22 Geistiges / geistiges, 17,24 Physisches / physisches 18,6 Welten?», / Welten., 29,6 Gegebenen / gegebenen 34 Titel Kap. III: zugrunde / Manuskript: zum Grunde / Korrektur Steiner in den Druckbögen: zu Grunde was im Unterschied zum Manuskript in den Druckbögen durchwegs, im Text ebenso wie bei Kapiteltiteln, als zugrunde geschrieben wird 36,31 jemandem / jemanden 37,25 Wirkenden / wirkenden 39,11 Gebieten / Gebieten, 44,21f Dieser geht / Diese geht 47,6 Ich, / Ich; 47,23 Urteiles, / Urteiles 48,23 abspielen, / abspielen 52,8 offenbaren / offenbart 54,20 Geisteswelt, / Geisteswelt; 54,24f Lebensvorgänge, / Lebensvorgänge; 55,8 offenbaren. / offenbaren. - 56,6 kommt hinzu / kommen hinzu 56,27f sinnlich Wahrgenommene / sinnlich-wahrgenommene 57,13 Lebensvorgänge / Lebensvorgänge, 58,25 genannten Sinn - / genannten Sinn 63,25 von außen / von Außen 68,5f nach obigem / nach obigen 69,23 erlebt, / erlebt; 69,24 hinein, / hinein; 71,14 Hervorbringung, / Hervorbringung; 71,20 möglich, / möglich 72,13 Begriffsorganismus, / Begriffsorganismus 73,20 müßte dieser / müßte sich dieser 73,31 angenommene, / angenommene 74,3 darstellt, / darstellt; 74,19 Inhalt

nach / Inhalt nach, 75,10 Das heißt, / Das heißt 75,27 von außen, / von außen 77,16 sind, / ist, 77,18 sinnesorganbildenden / sinnorganbildenden 78,26 Manuskript: gehemmt / Druckbogen: getrennt 79,8 bilden, / bilden 81,14 Umgekehrte / umgekehrte 83,5 Bestehendes, und / Bestehendes und 84,9 voraussetzt, / voraussetzt; 85,13 Stoffes / Stoffes, 85,23 hinausführe, / hinausführe; 85,24 das heißt, / das heißt 86,4 hinausführte / hinausführe 87,7 voraussetzen, / voraussetzen 88,6 zum Stofflich-Inneren / zum Stofflich-Innerem 89,3 liegt? / liegt. 90,18 verinnerlichtem / verinnerlichten 92,14 Ergänzt: Ich-Träger wie eine / Ichträger eine Von hier an beziehen sich die Texteingriffe auf die allein vorhandene Manuskriptvorlage: 93,29 aus das, / aus, das, 93,31 Ergänzt: Mensch sich in / Mensch in 94,15f weiterwirken, / weiterwirken 94,16 Ergänzt: daß sie aus / dass aus 94,25 Gesagte / gesagte 95,31 wirkende - / wirkende, - 96,6f Ergänzt: nicht auf die / nicht die 96,15 Welten /Welten, 96,18 Ergänzt: aber (?) I ab 97,2 Formen / Form 97,3 «rechts-links» / rechts-links 97,6 Nachinnen-Wenden / NachInnen-wenden 97,12 offenbart, / offenbart 98,22 ist / ist, 99,4 Wirkungen / schon Wirkungen 100, 10 schallerregende / Schallerregende 100,26 Möglichkeit, / Möglichkeit 100,31 Ergänzt: bedeutungslos ist, / bedeutungslos, 101,9 Ich-Wahrnehmung / Ichwahrnehmung 101,18 Organs, / Organ 101,24 Geruches, / Geruches;

## შენიშვნები

### ანთროპოსოფია. ფრაგმენტი

ბმ. . .

3 ანთროპოსოფია: თხზულებაზე მუშაობისას ჯერ კიდევ არ იყო მონიშნული სახელი რუდოლფ შტაინერისგან მომდინარე სულისმცენიერული მოძრაობისთვის (იხ. ამის შესახებ ასევე გვ. 212), ის წარმოიქმნა მხოლოდ თეოსოფიური საზოგადოებიდან გამოყოფის შემდეგ, 1912/13 წწ. „ანთროპოსოფიის“ წერისას შტაინერი ჯერ კიდევ გენერალური მდივანი იყო 1902 წელს დაფუძნებული თეოსოფიური საზოგადოების გერმანული სექციის, ამასთან უკვე სახეზე იყო მზარდი უთანხმოება.

გამოხატულება „ანთროპოსოფია“, წარმოქმნილი სახელის „თეოსოფია“ ანალოგიურად და შედგენილი ბერძნული სიტყვებისაგან ანთროპოსი და სოფია, დაახლოებით ნიშნავს „სიბრძნე ადამიანზე“, შესაბამისად „სიბრძნე, რომელსაც ამბობს ადამიანი“, როგორც ეს ჩამოაყალიბა შტაინერმა პირველ მოხსენებაში, მოხსენებების სერიიდან „ანთროპოსოფია“ (ბერლინი 1909, GA 115). რუდოლფ შტაინერმა თავისივე მოწმობით (იხ. მოხსენება დორნახში 1923 წ. 11 ივნისი □□ 258) გადმოიღო რა გამოთქმა, რომელიც 1902 წელს მან ერთხელ უკვე გამოიყენა მოხსენებების ციკლის აღნიშვნისთვის, ფილოსოფოს რობერტ ციმერმანის წიგნის სახელწოდებიდან. ვენაში სწავლის პერიოდში შტაინერი ისმენდა მის ლექციებს. ავსტრიელმა ფილოსოფოსმა და ესთეტიკოსმა რობერტ ციმერმანმა (1824-1898) ვენაში 1882 წელს გამოსცა თავისი ნაწარმოები „ანთროპოსოფიის ნარკვევი. იდეალური მსოფლმხედველობის მსოფლიო სისტემის ესკიზი რეალისტურ საფუძველზე“. წინასიტყვაობაში ანთროპოსოფია გამომიჯნულია ანთროპოლოგიისა და თეოსოფიისაგან, იქ ნათქვამია: „ანთროპოსოფია – წიგნის სახელწოდება. ფილოსოფიას, რომელმაც აირჩია ასეთივე სათაური, სურს, ამით აჩვენოს, რომ როგორც მისი სპეკულაციების მიზანი არ იქნება თეოსოფია, ასევე არ დააკმაყოფილებს მას, იყოს ემპირიული არაფილოსოფიისა და კრიტიკული ანთროპოლოგიის მსგავსიც“.



ანთროპოსოფიის ამ შესაძლო შუალედურ მდგომარეობას ანთროპოლოგიასა და თეოსოფიას შორის შტაინერი აქ იყენებს მის მიერ პირველ თავში დახასიათებული აზრით, რათა დაახასიათოს ანთროპოლოგიასა და თეოსოფიაში არსებული ისეგან განსხვავებული მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი მიმართულება.

10 *ანთროპოლოგია*: მეცნიერების ფართო წრის სახელწოდება, მიმართული კაცობრიობის გაგებაზე, რომელიც ვრცელდება კულტურული ეპოქების ასპექტში ადამიანზე ფიზიკური ცოდნიდან ფილოსოფიურ ანთროპოლოგიამდე.

11 თეოსოფია: წარმოქმნილია ბერძნული სიტყვებიდან *theos* ღმერთი“ და *sophia* „სიბრძნე“, ანუ დაახლოებით ნიშნავს „სიბრძნეს ღმერთზე“ და წარმოადგენს უმაღლესი მისტიკური შემეცნების ტრადიციულ აღნიშვნას. გარდა ამისა, ეს სიტყვა შედის 1875 წ. ნიუ იორკში ელენე პეტრეს ასული ბლავატსკაიასა (1831-1891) და ჰენრი შტეველ ოლკოტის (1832-1907) მიერ დაფუძნებული საერთაშორისო მოძრაობა – თეოსოფიური საზოგადოების სახელწოდებაში, რომლის შიგნითაც შტაინერი მუშაობდა 1902 წლიდან, როცა ეკავა დამოუკიდებელი მდგომარეობა ამავე საზოგადოების გერმანული სექციის გენერალური მდივნის სახით. ეს გამოთქმა განმსაზღვრელი გახდა 1904 წ. მისი ფუნდამენტური ნაშრომისთვის: „თეოსოფია. სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების შესავალი და ადამიანის დანიშნულება“, GA 9.

12 „როგორ მიიღწევა ზეგრძნობადი სამყაროს შემეცნება?“, რუდოლფ შტაინერის ფუნდამენტური ნაშრომი შემეცნების ყოვლისმომცველი უზენაესი ფორმირების განვითარებაზე, გამოქვეყნდა 1904/05 წწ. GA10.

14 *ფსიქოსოფია*, რომელიც განიხილავს მშვინივერს და პნევმატოსოფია, რომელიც სულით არის დაკავებული: თეოსოფიური საზოგადოების გერმანული სექციის გენერალურ ყრილობასთან დაკავშირებით 1910 წ. ნოემბერში და 1911 წ. დეკემბერში შტაინერმა ამ სათაურით წაკითხა მოხსენებების სერია, რომელმაც გააგრძელა მოხსენებები „ანთროპოსოფია“, წაკითხული 1909 წ.; მოხსენებების სამი სერია გამოიცა ტომში „ანთროპოსოფია-ფსიქოსოფია-პნევმატოსოფია“, GA 115. უპირველეს ყოვლისა, შტაინერს განზრახული ჰქონდა, ამის

შესაბამისად გამოექვეყნებინა სამი წიგნი, რაზეც მან შემდგომში უარი თქვა, რამდენადაც ნაშრომი „ანთროპოსოფია“ დაუსრულებელი დარჩა. გამოთქმა „ფსიქოსოფია“ წარმოქმნილია ასევე ბერძნული სიტყვებისაგან psycho „სამშვინველი“ და sophia „სიბრძნე“, ანუ ეს დაახლოებით ნიშნავს „სიბრძნე სამშვინველზე“. სახელი „პნემატოსოფია“, - ბერძნული სიტყვებისაგან pneuma „ჰაერი“, „სუნთქვა“, „სული“, - შესაბამისად დაახლოებით ნიშნავს „სიბრძნე სულზე“.

15 რაც გოეთემ თქვა: გამონათქვამი აღებულია იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (1749-1832) გვიანდელი ლექსის „აღქმა“ მეოთხე სტროფიდან, რომელიც სიტყვასიტყვით ასე ჟღერს:

„მაშინ შენ შეგიძლია მიენდო,

სიყალბის გარეშე დატოვო ის შენი მხერა,

როცა შენი გონი სიფხიზლეში შეგინახავს.

21-22 რომელსაც ჩვეულებრივ შეხებას უწოდებენ: როგორც მოხსენებების სერიაში „ანთროპოსოფია“, ბერლინი 1909 GA 115, შტაინერს აქაც მკაფიოდ ესმის შეხების გრძნობა არა, როგორც დამოუკიდებელი გრძნობა, არამედ როგორც განსჯა, რომელიც ეფუძნება ზოგიერთი სხვა გრძნობის შთაბეჭდილებათა თვისებებს. და მაინც, შეხების გრძნობა მის მიერ განიხილება, როგორც განცდის საკუთარი სფერო გრძნობათა ცხოვრების გარეგნულ მიჯნაზე (იხ. ამის შესახებ გვ. 26, 27 და მომდ.), ამიტომაც ბევრ ადგილას ასევე საუბარია „შეხების გრძნობაზე“, „შეხების ორგანოებზე“ და „შეხების აღქმაზე“. თორმეტ გრძნობაზე თავის ყველა მოხსენებაში, დაწყებული 1916 წლიდან და შტაინერის მიერ გამოქვეყნებულ წერილობით მონახაზში, - წიგნში „სამშვინველის გამოცანებზე“ 1917, GA 21, თავი „მიზანმიმართული კავშირის რეალურ საფუძველზე“, შეხების გრძნობა ასევე მიჩნეულია დამოუკიდებელ გრძნობად ფუნქციად, ამასთან იქ გაცხადებულია, რომ ადამიანი „არასდროს იღებს რაიმე შთაბეჭდილებას მხოლოდ ერთი გრძნობის მეშვეობით, არამედ ამის გარდა ყოველთვის კიდევ, როგორც მინიმუმ, მეორის მეშვეობით“.

27 როგორც შეხების გრძნობა, ასევე „მე“-ც ნაკლებად შეიძლება, საკუთრივ გრძნობათა ცხოვრებას მიეკუთვნოს: „ფრაგმენტის“ კონტექსტში „მე“-განცდა გაგებულია საკუთარი „მე“-ს თვალსაზრისით და შეხებასთან მიმართებით განიხილე-

ბა, როგორც გრძნობათა ცხოვრების საპირისპირო გარეგნული მიჯნა ზეგრძნობადის მიმართულებით - იხ. ამის შესახებ ასევე აღდგენილი ჩანაწერი ფურცელზე (არქივის № NZ 63) გვ. 137 და მომდ. გარდა ამისა, მოსმენასა და ლაპარაკზე დაუშთავრებელ კვლევაში (იხ. დანართი 5 გვ. 140 და მომდ.) ბგერის მოსმენა, მართალია, ითვლება აღქმის მშვინვიერ-გრძნობად პროცესად, მაგრამ მაინც არა სხვა „მე“-ს კომპლექსურ წარმოდგენად. შტაინერის ყველა გამონათქვამში თორმეტ გრძნობაზე, დაწყებული 1916 წ. და მოგვიანებით, გრძნობა, რომელიც განფენილია საკუთარი „მე“-ს განცდიდან *სხვა* „მე“-ს გრძნობამდე, „მე“-გრძნობა მიხნეულია ადამიანის დამოუკიდებელ გრძნობად; იხ. მაგ. თხზულებაში „სამშვინველის გამოცანებზე“ იმასთან ერთად, რაც წინა შენიშვნაში იყო მოცემული, „ვინც მხედველობაში მიიღებს ყველაფერს, რაც გათვალისწინებულია ერთი ადამიანური გრძნობის დახასიათებისთვის, ის აღმოაჩენს, რომ აუცილებელია, დასახედდეს კიდევ სხვა „გრძნობა“, გარდა იმისა, რასაც ჩვეულებრივ ასე უწოდებენ. მაგ., ის, რაც გარდაქმნის „თვალს“ „გრძნობის ორგანოდ“, სახეზეა მაშინაც, როცა განიცდიან *სხვა* „მე“-ს დაკვირვების ფაქტს. . . ხელმძღვანელობენ რა იმით, რასაც ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია გამოავლენენ ამ მიმართებით ერთიანი განხილვისას, აღწევენ მომდევნო შეხედულებას ადამიანის გრძნობების ორგანიზაციაზე. აუცილებელია, გამოვიცნოთ: გრძნობა სხვა ადამიანის „მე-აღქმისთვის“; . . .“; თუ რამდენად იყო დაკავებული უკვე 1910 წელს შტაინერი, წარმოდგენისა და მეტყველების ბგერის აღქმასთან ერთად, სხვისი „მე“-ს აღქმით, ამას ცხადჰყოფს, მაგ., ჩანაწერები წიგნაკში (არქივის № NB210/3), იხ. „სტატიები შრომების სრულ კრებულზე“ 34, 1971: „უცხო „მე“-ს აღქმა გულისხმობს ორგანოს, რომელსაც არანაირი ფიზიკური შინაარსი არ გააჩნია აღქმაში (მხოლოდ აღქმის ძალა): „მე“-ს ორგანიზმთან“. იხ. ასევე აღწერა სხვა ასპექტში ცალკე ფურცელზე „ანთროპოსოფიისთვის“, გვ. 135 და მომდ., ასევე გამონათქვამები მოსმენასა და აზრის გამოთქმაზე დაუშთავრებელი კვლევის დასაწყისში, იმაზე, რომ სწორედ „მე“-ორგანიზმი შეიძლება, განვიხილოთ, როგორც „აღქმის ორგანოს ტიპი“, გვ. 140. შტაინერის შედარებით გვიანდელი შეხედულების სხვაობა მდგომარ-

რეობს არა საერთო აზრში, რომელსაც ის დასაწყისიდანვე ანიჭებდა სხვა „მე“-ს განცდას, არამედ იმაში, რომ მხოლოდ მოგვიანებით განიხილავდა ამ განცდას, როგორც საკუთარ გრძნობად პროცესს.

31 *სასიცოცხლო პროცესები*: ის. ასევე თორმეტი გრძნობადი სფეროს და შვიდი სასიცოცხლო პროცესის გამოსახულება მოხსენებაში, წაკითხული ღორნახში, 1916 წ. 12 აგვისტოს, „ადამიანის გამოცანები. ადამიანის ისტორიის სულიერი საფუძვლები“, GA 170.

*მოსმენაზე და ლაპარაკზე,  
დაუმთავრებელი კვლევა, დაახ. 1910*

9, 178 *სურათ-ხატი რაღაც უცხო „მე“-ს მსგავსი*. იხ. სხვისი „მე“-ს აღქმის პრობლემაზე შენიშვნა გვ. 38.

10, 179 *ფრანც ბრენტანო*, 1838-1917, ფილოსოფოსი, კათოლიკე თეოლოგი და მღვდელი, რომელიც 1873 წელს უცოდველობაზე დოგმის განმარტების გამო ეკლესიიდან გავიდა. ბრენტანომ თავისი მკაცრი მეთოდოლოგიით, თავისი მოწაფეებით და არისტოტელეს კვლევით, ფსიქოლოგიისა და ლოგიკის სფეროში კვლევების წყალობით უდიდესი ზეგავლენა მოახდინა XX საუკუნის წინარე ფილოსოფიაზე, განსაკუთრებით აზროვნების ფენომენოლოგიურ მიმართულებაზე. ციტატა აღებულია 1874 წ. ლაიპციგში პირველად დაბეჭდილი პირველი ტომიდან „ემპირიული თვალსაზრისის ფსიქოლოგია“, თავი II. სტუდენტობის წლებში შტაინერი ისმენდა ბრენტანოს ლექციებს და მის ფილოსოფიაში ხედავდა მეცნიერული ფსიქოლოგიის რეალურ გამოცდილებას. მან არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ბრენტანოს პიროვნებაზე, მის აზრებსა და ნაწარმოებზე, განსაკუთრებით ხშირად საკუთარ მოხსენებებში „ფსიქოსოფიაზე“ და „პნევმატოსოფიაზე“, ბერლინი 1910/11 წწ., GA 115, ისევე, როგორც თავის თხზულებაში „სამშენიველის გამოცანებზე“, 1917 წ., GA 21, რომელიც შეიცავს საფუძვლიან ნეკროლოგს ბრენტანოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

11. 181. *იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტი*, 1776-1841, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და პედაგოგი, პროფესორი გიოტინგენში და კიონიგსბერგში, განსაკუთრებით გავლენიანი იყო პედაგოგიურ მეცნიერებაში. მოყვანილი შედარება შესულია 1828 წ. კიონიგსბერგში პირველად გამოქვეყნებულ ნაწარმოებში „ზოგადი მეტაფიზიკა ბუნებაზე ფილოსოფიური სწავლების საწყისებთან ერთად“, I ნაწილი, სადაც ჰერბარტი კანტიანელობის კრიტიკულ განხილვასა და კანტის სამყაროს ცნების მოვლენაში წერს:

„მას შემდეგ, რაც მან მთელი გამოცდილება ახსნა მხოლოდ მოვლენის ერთ მხარეს; მას შემდეგ, რაც მისთვის იქცა გაურკვეველად – სუბსტანციურია თუ არა ჩვენში მოაზროვნე, და ასეთივე ხარისხით იქცა გაურკვეველად, თავის თავში რა საგნებს სურთ დამალვა სხეულებრივი მოვლენების უკან, ის

კმაყოფილდებოდა გაურკვეველი ვარაუდით, რომ არსებული, შეიძლება ითქვას, დაფარულია ხილულის მიღმა. გადამწყვეტი მოთხოვნილება, დაიწყო ასლა კვლევა, რომ *განსახდევრო არსებული, როგორც ასეთი, როგორიც უნდა იყოს ის, რათა მოვლენები თავის მხრივ ხდებოდეს ასე და არა სხვაგვარად*, – მეტაფიზიკური აზროვნების ეს მამოძრავებელი ძალა მასზე არ მოქმედებდა. მაგრამ მას უნდა ემოქმედა მასზე.

როგორც კვამლი მიუთითებს ცეცხლზე, ასე მიუთითებს გარეგნული არსებულზე; ის არა მარტო მიუთითებს, არამედ გვახსენებს, რომ ჩვენ გავეშუროთ და ვნახოთ, სად იწვის“.

იხ. ასევე ჰერბარტის ფილოსოფიაზე შტაინერის მიერ დახასიათებული, ნაშრომში: „ფილოსოფიის გამოცანები, გადმოცემული მისი ისტორიის ნარკვევის სახით“, 1914, GA 18, თავი „რეაქციული მსოფლმხედველობები“, სადაც ნახსენებია იგივე შედარება. სავარაუდოდ, შტაინერმა ეს შედარება გადმოიღო რობერტ ციმერმანის წიგნიდან, რომელიც მის ბიბლიოთეკაშია, „ესთეტიკის ისტორია, როგორც ფილოსოფიური მეცნიერება“, ვენა 1858, გვ. 754. ციმერმანზე, რომელიც მიეკუთვნება ჰერბარტის აზრობრივ მიმართულებას, იხ. ასევე შენიშვნა გვ. 3.

*დამატებითი გამონათქვამები გრძნობებსა და თორმეტი გრძნობის სწავლებაზე რუდოლფ შტაინერის შრომებში*

GA = რუდოლფ შტაინერის შრომების სრული კრებული.

### *თხზულებები*

*გოეთეს საბუნებისმეტყველო-მეცნიერული შრომების შესავალი, 1884-1897, GA 1.*

*სამშენებლის გამოცანებზე, 1917, GA 21.*

### *მოხსენებები*

*ანთროპოსოფია-ფსიქოსოფია-პნევმატოსოფია, GA 115. „ანთროპოსოფია“, 4 მოხსენება, ბერლინი 23-27 ოქტომბერი 1909 წ. და „ფსიქოსოფია“, 4 მოხსენება ბერლინში 1910 წ. 1-4 ნომერები.*

*ხელოვნება და მხატვრული შემეცნება: ახალი ესთეტიკის საფუძვლები, GA 271. „ხელოვნების არსი“, მოხსენება ბერლინში, 1909 წ. 29 ოქტომბერი.*

*სულისმეცნიერების პასუხები ყოფიერების უდიდეს გამოცანებზე, GA 60.*

*„ადამიანის სული და ცხოველის სული“ და „სული მცენარეულ სამყაროში“, მოხსენებები ბერლინში, 1910 წ. 17 ნოემბერს და 8 დეკემბერს.*

*სამყაროს არსებები და საკუთარი პიროვნება, GA 169, „ადამიანის თორმეტი გრძნობა“, მოხსენება ბერლინში, 1916 წ. 13 ივნისს.*

*ადამიანის გამოცანა – ისტორიის სულიერი საფუძვლები, კოსმიური და ადამიანური ისტორია, ტომი I, GA 170. გრძნობის თორმეტი სფეროზე და შვიდ სასიცოცხლო პროცესზე, თორმეტი გრძნობასა და გრძნობის ზენა ორგანოებზე, მოხსენებები ღორნახში, 1916 წლის 12 აგვისტო და 2 სექტემბერი.*

*მეცნიერება ადამიანის ჩამოყალიბებაზე, GA 183. თორმეტი გრძნობაზე ადამიანის სამწვერიანობასთან და ზოდიაქოსთან კავშირში, დღისა და ღამის გრძნობებად დაყოფა, მოხსენება ღორნახში, 1918 წ. 25 აგვისტო.*

*ზოგადი ანთროპოლოგია, როგორც პედაგოგიკის საფუძველი*, GA 293. „თორმეტი გრძნობაზე აზროვნებასთან, გრძნობელობასთან და სურვილთან კავშირში და მათი მნიშვნელობა პედაგოგიკისთვის“, მოხსენება შტუტგარტში, 1919 წ. 29 აგვისტო.

*სულისმეცნიერება, როგორც სოციალური ფორმირების ძირითადი იმპულსების შემეცნება*, GA 199. „ადამიანის თორმეტი გრძნობა მათ კავშირში იმაგინაციასთან, ინსპირაციასა და ინტუიციასთან“, მოხსენება ღორნახში, 1920 წ. 8 აგვისტო.

*ბუნების შემეცნების საზღვრები და მათი გადაღახვა*, GA 322.

მეცნიერულ შემეცნებაზე და შემეცნების უზენაეს ფორმებზე სხვადასხვა გრძნობასთან შესაბამისობაში, მოხსენებები ღორნახში, 1920 წ. 28 სექტემბერი, 1, 2 და 3 ოქტომბერი.

*ადამიანის ჩამოყალიბება, სამყაროს სამშენველი და სული – მეორე ნაწილი: ადამიანი, როგორც სულიერი არსება ისტორიული ჩამოყალიბების მსვლელობაში*; ადამიანი მის კავშირში კოსმოსთან, ტომი VI, GA 206. ადამიანის თორმეტი გრძნობაზე და მაღალ და დაბალ გრძნობებზე ისტორიული განვითარების მსვლელობაში, მოხსენებები ღორნახში, 1921 წ. 22 და 23 ივნისი.

*ავადმყოფობასა და ჯანმრთელობაზე – გრძნობებზე სულისმეცნიერული სწავლების საფუძველები, მოხსენებები გოეთეანუმიის მშენებლებისთვის, ტ. II*, GA 348. ყურზე, თვალზე, ცხვირზე, ყნოსვასა და გემოზე, შეხების გრძნობაზე, გემოს გრძნობაზე, ყნოსვის გრძნობასა და სითბოს გრძნობაზე, მოხსენებები ღორნახში, 1922 წ. 29 ნოემბერი, 13, 16 და 20 დეკემბერი.

*ბუნებისმეტყველების წარმოქმნის მომენტი და მისი შემდგომი განვითარება მსოფლიო ისტორიაში*, GA 326. გრძნობების პირველად და მეორად თვისებებზე, მოხსენება ღორნახში, 1923 წ. 1 იანვარი.

### *სტატიები შრომების სრული კრებულისთვის*

*რუდოლფ შტაინერის მონახაზები გრძნობებზე სწავლებისთვის*, 1910 წ. №34, 1971.



## ადრინდელი გამოცემების ბიბლიოგრაფიული ნუსხა

1. გამოცემულია რუდოლფ შტაინერის მემკვიდრეობის მმართველობის საავტორო გამომცემლობაში, დორნახი 1951 წ. (იოჰანნეს ვაეგერის რედაქციით).
2. გამოცემულია, უფრო ვრცელი დანართით, დორნახი 1970 წ. (ჰენდრიკ კნობელის რედაქციით).
3. გამოცემულია, დორნახი 1980 (ჰენდრიკ კნობელის რედაქციით).

## რუდოლფ შტაინერის მოღვაწეობა

რუდოლფ შტაინერმა, (1861-1925), რომელმაც თავიდან თავისი თავი გამოავლინა, როგორც ფილოსოფოსმა, პუბლიცისტმა და პედაგოგმა, XX საუკუნის დასაწყისიდან გაშალა თავისი ფართო კულტურული და სოციალური მოღვაწეობა და დააფუძნა თანამედროვე მეცნიერება სულზე, ანთროპოსოფია. მისი ვრცელი მოღვაწეობა მოიცავს თხზულებებსა და სტატიებს, ჩანაწერებსა და წერილებს, მხატვრულ ესკიზებსა და მოდელებს, ასევე რამდენიმე ათასი მოხსენების ტექსტს, ძირითადად მსმენელთა ჩანაწერების ფორმით.

რუდოლფ შტაინერის ცხოვრების თანამგზავრის მარია შტაინერ-ფონ სივერსის (1867-1848) გარდაცვალებიდან შტაინერის ლიტერატურულ და მხატვრულ მემკვიდრეობას ხელმძღვანელობს მარია სივერსის მიერ დაფუძნებული *რუდოლფ შტაინერის მემკვიდრეობის მმართველობა*. მას შემდეგ ამისთვის შექმნილ *რუდოლფ შტაინერის არქივში* მუშაობენ არსებული დოკუმენტების შენახვაზე, კვლევაზე და გამოცემაზე. გამოსაცემი წიგნები ქვეყნდება *რუდოლფ შტაინერის გამომცემლობაში*, რომელიც ორგანიზაციულად არქივთან არის დაკავშირებული.

საგამომცემლო საქმიანობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს 1955-1956 წლებიდან გამოქვეყნებული რუდოლფ შტაინერის შრომების სრული გამოცემა (GA, იხ. ქვემოთ მოყვანილი მიმოხილვა). ის მოიცავს 350 ტომზე მეტს, ასევე დამატებით გამოქვეყნებულ შრომებს მხატვრული ნაწარმოებებიდან. საქმე მიდის მრავალრიცხოვან ცალკეულ სპეციალურ გამოცემაზე, ჩანაწერების წიგნაკების და სხვა თანმხლები პუბლიკაციების გამოქვეყნებამდე. გამოცემების მომზადება ხდება პროფესიონალი კომპეტენტური გამომცემლების მიერ არქივში არსებული დოკუმენტების საფუძველზე და შევსებულია შენიშვნებით, ანბანური სიით და ა. შ. ახალი გამოცემისას ტექსტი ხშირ შემთხვევაში კიდევ ერთხელ მოწმდება პირველწყაროების საფუძველზე.

შრომების სრული კრებული ჯერ კიდევ არაა მთლიანად გამოცემული; ამავე დროს მრავალი საარქივო დოკუმენტი საჭიროებს საფუძვლიან საგამომცემლო დამუშავებას. ეს დაკავ-

შირებულება დიდ დროსთან და ფინანსურ დანახარჯებთან, რომელიც შეუძლებელია დაფინანსდეს წიგნების გაყიდვით, არამედ მათ ხელი უნდა შეეწყოს შემოწირულობებით. ასეთივე ზომით ამას ადგილი აქვს არქივის მოღვაწეობის მრავალი სხვა სფეროსთვის, არქივის, რომელიც არანაირ სოციალურ დოტაციას არ იღებს. იმისათვის, რომ მომავალში არქივს შეძლებოდა თავისი ამოცანის შესრულება რუდოლფ შტაინერის შრომების შენახვის, დამუშავების, გამოცემისა და შეთავაზების ცენტრის სახით, 1996 წელს დაფუძნდა – *რუდოლფ შტაინერის არქივის ხელშეწყობის საერთაშორისო საზოგადოება*.  
უფრო ფართო ინფორმაციის ან უფასო კატალოგებისთვის მიმართეთ მისამართზე:

Rudolf Steiner Verlag/ Rudolf Steiner Archiv  
Postfach 135  
CH-4143 Dornach 1

[Verlag@ Rudolf-Steiner.com](mailto:Verlag@Rudolf-Steiner.com)  
[www. Steinerverlag.com/](http://www.Steinerverlag.com/) [www.Steinerarchiv.info](http://www.Steinerarchiv.info)

რულოფ შტაინერის მხზულეპათა სრული კრეპული

*კლასიფიკაცია: რულოფ შტაინერი – ლიტერატურული და მხატვრული შრომები. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. (ბიბლიოგრაფია: №, ფრჩხილებში, კურსივით)*

ა. ნაშრომები

*I. შრომები*

გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომების შესავალი. 1884-1897 (1).

გოეთეს მსოფლმხედველობის შემეცნების თეორიის ძირითადი შტრიხები, განსაკუთრებული აქცენტით შილერზე. 1886, (2).

ჭეშმარიტება და მეცნიერება. „თავისუფლების ფილოსოფის“ შესავალი, 1892, (3).

4. თავისუფლების ფილოსოფია. 1894

5. ფრიდრიხ ნიცშე, თავისი ეპოქის წინააღმდეგ მებრძოლი, 1895

6. გოეთეს მსოფლმხედველობა. 1897

7. მისტიკა ახალი დროის სულიერი ცხოვრების გარიჟრაჟზე და მისი მიმართება თანამედროვე მსოფლმხედველობებთან. 1901

8. ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები. 1902.

9. თეოსოფია. სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების შესავალი და ადამიანის დანიშნულება. 1904

10 როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება? 1904/05

11. აკაშა-ქრონიკიდან\*.

12. უმაღლესი შემეცნების საფეხურები. 1905-1908

13. იდუმალთმეტყველების ნარკვევი. 1910

14. ოთხი დრამა-მისტერია. 1910-1913

15. ადამიანისა და კაცობრიობის სულიერი წინამძღოლობა. 1911

16. ადამიანის გზა თვითშემეცნებისკენ\*. 1912

17. სულიერი სამყაროს ზღურბლი. 1913

18. ფილოსოფიის გამოცანები. 1914

19. (შესულია 24 ტომში).

20. ადამიანის გამოცანებზე. 1916
  21. სამშენველის გამოცანებზე. 1917
  22. გოეთეს სულიერი იერი, როგორც ის ვლინდება „ფაუსტში“ და „ზლაპარში გველსა და შროშანზე“. 1918
  23. სოციალური საკითხის არსი აწმყოსა და მომავლის სასიცოცხლო აუცილებლობებში. 1919
  24. სტატიები სოციალური ორგანიზმის სამწვერიანობაზე. 1915-1921
  25. კოსმოლოგია, რელიგია და ფილოსოფია. 1922
  26. ანთროპოსოფიული თეზისები. შემეცნების ანთროპოსოფიული გზა, მიქაელის მისტერია. 1924/25
  27. სულისმეცნიერების საფუძველზე მკურნალობის ხელშეწყობის გაფართოების საფუძველები. იტა ვეგმანთან ერთად. 1925
  28. ჩემი ცხოვრების გზა. 1923-25
- II სტატიების კრებული*
29. სტატიები დრამატურგიაზე. 1889-1901
  30. ანთროპოსოფიის მეთოდოლოგიური საფუძველები. სტატიების კრებული ფილოსოფიაზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, ესთეტიკასა და ფსიქოლოგიაზე. 1884-1901.
  31. ზოგადი სტატიები კულტურის ისტორიასა და თანამედროვეობაზე. 1887-1901
  32. სტატიები ლიტერატურაზე. 1884-1902
  33. ბიოგრაფიები და ბიოგრაფიული ნარკვევები. 1894-1905
  34. ლუციფერ-გნოზისი. ფუძემდებელი სტატიები ანთროპოსოფიაზე და ცნობები ჟურნალებიდან „ლუციფერი“ და „ლუციფერ-გნოზისი“. 1903-1908
  35. ფილოსოფია და ანთროპოსოფია. 1904-1923
  36. ფიქრები გოეთეანუმზე თანამედროვეობის კულტურული კრიზისის დროს. სტატიები ყოველკვირეული ჟურნალიდან „გოეთეანუმი“, 1921-1925
- III პუბლიკაციები მემკვიდრეობიდან*
38. წერილები. 1881-1890
  39. წერილები. 1890-1825
  40. გამონათქვამები. 1906-1925.
  - 40-44. გეგმები, ფრაგმენტები და დამატებები დრამა-მისტერიებისთვის. 1910-1913

45. ანთროპოსოფია. ფრაგმენტი. 1910 წ.

ბ. ლექციები

*I. ღია, საჯარო ლექციები*

51-67. ბერლინის ღია ლექციები, 1903/04-წლებიდან 1917/18 წლებამდე.

68-84. სხვადასხვა ქალაქში წაკითხული საჯარო მოხსენებები და კურსები. 1906-1924

*II. ლექციები ანთროპოსოფიული საზოგადოების წევრებისთვის.*

91-245. ზოგადი ანთროპოსოფიული შინაარსის ლექციები და კურსები. სახარებების განხილვა. ქრისტოლოგია. კოსმოსისა და ადამიანის ისტორია. სოც. საკითხის სულიერი საფუძვლები. ადამიანი მის ურთიერთკავშირში კოსმოსთან. კარმული მიმოხილვები. ლექციები და სტატიები ანთროპოსოფიულ მოძრაობასა და ანთროპოსოფიული საზოგადოების ისტორიაზე.

*III. ლექციები და კურსები სპეციალურ სფეროებზე*

271-292 ლექციები ხელოვნებაზე, ევრიტიკაზე, ენის ფორმირებასა და დრამატურგიულ ხელოვნებაზე, მუსიკაზე, სამშენებლო ხელოვნებასა და არქიტექტურაზე, ხელოვნების ისტორიაზე.

293-311. ლექციები აღზრდაზე. 312-319. ლექციები მედიცინაზე. 320-327. ლექციები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე და მიწათმოქმედებაზე.

328-341 ლექციები სოციალურ ცხოვრებაზე და სოციალური ორგანიზმის სამწვევრიანობაზე.

342-346 ლექციები და კურსები ქრისტიანულ-რელიგიურ საქმიანობაზე.

347-354 ლექციები გოეთეანუმის მშენებლებისთვის

ბ. რეპროდუქციები და პუბლიკაციები მხატვრული  
მემკვიდრეობიდან

ესკიზები ფერწერული, პლასტიკური და არქიტექტურული სამუშაოებისთვის პირველ გოეთეანუმში. სასწავლო ესკიზები მხატვრებისთვის. ესკიზები ევრითმიული დადგმების გასაფორმებლად. ევრითმიული ფორმები. ესკიზები ევრითმიული ფიგურებისთვის, დაფაზე გაკეთებული ესკიზები და ნახაზები ლექციებისთვის და ა. შ.

ასოციაცია „კობიტო“ გამოსაცემად ამზადებს:

რულოლუ შტანერი

„ისტორიული სიმპტომატოლოგია“  
GA 185

რულოლუ შტანერი

„ეზოთერიკის ძირითადი ელემენტები“  
GA 93ა

რულოლუ შტანერი

„კარმის გამოცხადებები“  
GA 120

\* \* \*

დაბეჭდილია

„კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას  
რომ საჭიროებენ“ – სტამბაში.

ძმები უბილაგების 8